

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი


ჰუმანიტარულ მეცნერებათა ფაკულტეტის ქართული ენის
ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

პაატა ცხაღაია

სამეგრელოს
გეობრაფიული
სახელწოდებანი

VIII

აბაშის რაიონი



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2013

აბაშის რაიონის ტერიტორია სამეგრელოს რეგიონის სხვა რაიონებზე მცირეა (320,5 კვ.კმ), მაგრამ მისი ტოპონიმია ისევეა წარსულის მატიანე, ხალხის ყოფა-ცხოვრების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, ომიანობისა თუ მშვიდობიანობის შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველი, როგორც საერთოდ მოელი ქვეყნის ტოპონიმია. წინამდებარე სალექსიკონო მასალა, რომელიც ჩაწერილია 1984-1986 წლებში, წარმოადგენს სპეციალური სერიის – „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“ – დამასრულებელ (VIII) წიგნს.

რედაქტორი მერაბ ჩუხუა

რეცენზენტები: რევაზ აბაშია
იგორ კეკელია

© პ.ცხადაია, 2013

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

–მაილ: უნივერსალ ინტერნეტ.გე

IՄ 978-9941-22-180-4

ამონარიდი ცნობილი გაგზავნილი
ქართვალთლოგის - ვინფრიდ ბომბერის -
ბარათიდან

ბუნების მკვლევარს,
სუბინტენიან მკვლევარს იური სარაქიანი წიგნი-
თვის. სარაქიანი აქვნი ნაყადიური ავტორიობა.
იმის მიუხედავად, რომ მნიშვნელოვანი
დავალია ვაპ სანტონის სხვადასხვა
ავტორს მნიშვნის, აქვნი მიუხედავად
იმისა, რომ მნიშვნელოვანი, რომ
სამხარეთის ეს მნიშვნელოვანი კომანდა
წარმოადგენს უნივერსიტეტის "ქვემო"
ქვემოცემული ნაბიჯების მიხედვით იყენებს
რეზიუმეებს. ამის მიხედვით ვუხარობ იმ
დინამიკებს, რომლებიც მოვიქნის შიდა

მოღვაწეების მუშაობის სფეროებში -
ქვემოცემული ნაბიჯების სარაქიანი
მსხვედრის მიხედვით ვსჯი.

"ქვემოცემული" წიგნი იყო რეზიუმეები, უნივერსიტეტის
მნიშვნელოვანი.

სარაქიანი იყო რა სარაქიანი სარაქიანი
ვინფრიდ ბომბერი

3.11.2004

წინასიტყვაობა

ტოპონიმი (გეოგრაფიული სახელწოდება) მისი შემქმნელი ხალხის ისტორიისა და კულტურის, სულიერი და მატერიალური ცხოვრების, ყოველდღიური საქმიანობისა და საადათწესო რიტუალების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, ომიანობისა და მშვიდობიანობის მაცნეა. ამიტომაც მსოფლიოს ცნობილი ონომასტიკოსები ტოპონიმას უწოდებენ „მიწისზედა არქეოლოგიას“, „დედამიწის ენას“. ტოპონიმის სწორ მეცნიერულ ანალიზს ძალუძს, დაასაბუთოს, თუ რომელი ხალხია აბორიგენი ამა თუ იმ რეგიონისა: წარსულის გეოგრაფიული სახელწოდებანი ცხადყოფენ, რომ ქართული (მეგრული, სვანური) ტოპონიმური ფენა აფხაზეთში სუბსტრატულია, ხოლო აფხაზეთი ტოპონიმია სამურზაყანოში სუპერსტრატს წარმოადგენს. ასეთივე ვითარებაა ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ტოპონიმიაშიც. ორივე რეგიონში პირველადი და აბორიგენულია ქართული მოსახლეობა, ხოლო არაქართული მოსახლეობა შემდგომ არის დამკვიდრებული ამ რეგიონებში.

აღ. ცაგარელი 1880 წელს გამოცემულ „მეგრულ ეტიუდებში“ ხაზგასმით აღნიშნავს: **ნოდელა-ცხენისწყლის შუამდინარეთის სოფლებში უპირატესობს () ქართული ენა** (ცაგარელი, 1880, გვ. VI). ავტორი გულისხმობს დღევანდელი აბაშის რაიონის ცხენისწყლისპირა სოფლებს მარტვილის რაიონიდან სამხრეთით რიონ-ცხენისწყლის შესართავამდე. იზიარებს რა ამ მოსაზრებას, ი. ყიფშიძე დაასკვნის, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე სამეგრელოსა და იმერეთის საზღვარი მდინარე ნოდელაა (ყიფშიძე, 1994, გვ. 29). რა ვითარებაა ტოპონიმთა მონაცემების მიხედვით XX ს-ის 80-იან წლებისათვის?

ნოდელა-ცხენისწყლის შუამდინარეთში მდებარე სოფლების ჩამონათვალს აღ. ცაგარელი იწყებს ენობრივი ვითარების ხაზგასმით სამიქაოსა და მაიდანში (დღეს ორივე სოფელი სამიქავოს თემის საკრებულოშია გაერთიანებუ-

ლი). კერძოდ, „მეგრული ეტიუდების“ შესავალ ნაწილში ხაზგასმითაა ნათქვამი: „ნოდელა-ცხენისწყლის შუამდინარეთის სოფლებში, როგორც უკვე ზემოთ აღნიშნულია, უპირატესობს () ქართული ენა“. აქვე დასახელებულია სამი სოფელი, რომლებშიც ამ თვალსაზრისით ერთგვარი განსხვავებული ვითარებაა. ქართული ენა გაბატონებულია () მაიდანში, მეგრული ენა უპირატესობს სამიქაოში, ხოლო ილორში ქართულის უპირატესობა უმნიშვნელოა ()

როგორია ვითარება 1986 წელს სამიქაოს თემის საკრებულოში (სოფლები: სამიქაო, მაიდანი) ჩაწერილი ტოპონიმური მასალის მიხედვით? დასახელებულ თემის საკრებულოში აღნუსხულია დიდი თუ მცირე ობიექტის 307 სახელწოდება (სამიქაოში – 172, მაიდანში – 135). ამათგან, რამდენიმე ერთეულის გამოკლებით, გეოგრაფიული სახელწოდებანი ქართულენოვანია. დავასახელოთ რამდენიმე ნიმუში: **ბალხიდე** – სახნავი (**ხიდე** გურულსა და იმერულში იგივეა, რაც **ხიდი**), **თეთრქეები** – საბანაო ცხენისწყალზე, **კარნაძეების ნამოსახლარი** – საძოვარი, **სამძირხე** – გზისპირი, **ნასაყდრო** – სახნავი, **ჩორგოლაშვილები/ჩორგოლაშვილების ქუჩა** – უბანი, **ნაბო** – სახნავი (ქეგლ-სა და ქართველურ ენათა და დიალექტთა ლექსიკონებში ეს სიტყვა არ ჩანს. კახეთიდან ჩამოსახლებულთა შთამომავალი ალექსი ჩორგოლაშვილი (დაბადებული 1908 წელს) განმარტავს: „ნაბო დაბალი ადგილია, სადაც ცოტა წყალი დგება“, **სალოცავი ცაცხვი** – საკულტო ცაცხვი და სხვ. (სამიქაო); **გადათხრილისთავი** – სახნავი, **დარცმელიების რცხილნარი** – ტყე, **დუტულოს შემოკავებული** – ტყე, **ნიგოზისძირი** – სახნავი, **ნოღლიპირები** – ბუჩქნარი, **ვაშნარა** – სახნავი, **თოფურიანამოსახლი** – სახნავი, **ორჟველები** – სახნავი, **საგოჭია** – სახნავი და სხვ. (მაიდანი). მეგრულენოვანი მასალა კი არც ჩანს (შდრ.: აღ. ცაგარლის მიხედვით, 1880 წელს სამიქაოში მეგრული მეტყველება უპირატესობს).

ასეთივე ვითარებაა სამიქაოს თემის საკრებულოს სამხრეთით რიონ-ცხენისწყლის შესართავამდე (გეზათის, ქო-

ლობნის, მარნის და პირველი მაისის თემის საკრებულოები).

კეთილარის თემის საკრებულოში (კეთილარი, გაღმა კოდორი, გულეიკარი), ე.ი. რიონის მარცხ. მხარეს, ტოპონიმური ვითარება ასეთია: გულეიკარში, რომელიც ესახლვრება სამტრედიის რაიონს, ჩაწერილია 43 ტოპონიმი. მათგან **ნახევარი მაინც** მეგრულია: **გიგოშ ნაქობალუ** – სახნავი, **ღუქანკარი** – გზათგასაყარი, **კონნარიშ ფართობი** – სახნავი, **ნოჯიხენი** – ბორცვი, **ჭილაიაშ ნაშარუ** – ნაგზაური. და სხვ. ამავე სოფელში დასტურდება ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ერთ ობიექტს (სოფლის უბანს) ორი სახელწოდება აღნიშნავს – ერთი ქართული და ერთიც მეგრული: **ჭალის კუთხე/გულეიკარიშ ჭალე** – დასახლებული უბანი. კეთილარში ჩაწერილია 116 ტოპონიმი. მათი ძირითადი ნაწილი მეგრულია: **გასხაპური** „გასახტომი“ – სახნავი არხის ნაპირას, **ბურსულაიაშ ნაკარუ** – სახნავი, **თელონი** – სახნავი, **მოჭვირი** „ნახანძრი“ – სახნავი, **ნაგუმორი** „ნაგვიმრალი“ – სახნავი, **ნაოხვამუ** – სახნავი ბორცვზე, **ნოტეხი** – სახნავი, **ტილიფონა** – საძოვარი, **უზა დელე** – დელე, ტყე; **ჭყონკაკირი** „მუხა დაჭდევებული“ – საძოვარი, **ნაკიფუ** „ნაკანაფარი“ – საძოვარი, **საყარაულო ჯა** „სადარაჯო ხე“ – ხე და სხვ. ხოლო რაც შეეხება ქართულენოვან ტოპონიმებს, კეთილარში ძალზე მცირეა: **ანჯელების ნაეკლესვარი** – ბორცვი, **ნარიონალი** – ჭაობნარი, **ურიაჭალა** – ტყე და სხვ. გაღმა კოდორში კი, რომელიც აბაშის რაიონის უკიდურეს სამხრეთ ნაწილშია, ჩაწერილია 48 ტოპონიმი. ყველა მათგანი მეგრულია: **კიზირიაშ ეშადობილი** „კიზირიას შემოდობილი“ – ბუჩქნარი, **ო(ნ)გერე** „სამგლე“ – სახნავი ანჯერში, **სადლამო** „სადლავე“ – ნატორალი, **ფილპეშ ნაკარუ** „ფილიპეს ნაკარვალი“ – სახნავი, **სადარდო** – ტბორი (დარდა იგივე დალდაა, წყლის ქათამი), **ხატკარი** – საძოვარი და სხვ. მრ.

სამეგრელოს ტოპონიმიაში არაა იშვიათი იმერულ-გურული დიალექტებიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულები: ბრუნაო, ბუკი, ფშიარი, ხარდანი, კაპეტი, ჭანჭახი, დობირო, კოწახური და სხვ. ნოდელის დასავლეთით, თვით სა-

მურზაყანომდე, ამ სიტყვათაგან წარმოქმნილი ტოპონიმები მეგრელთა შემოქმედების ნაყოფია, მაგრამ ნოდელა-ცხენისწყლის შუამდინარეთში ძირითადად იმერელთა და გურულთა მიერაა შერქმეული (თუმცა არაა გამორიცხული, ზოგი მათგანი მეგრულ სუბსტრატს წარმოადგენდეს)...

ნოდელა-ცხენისწყლის შუამდინარეთში დასტურდება ჰიბრიდული ინტერფერენციის რამდენიმე მაგალითი: **ქოლოზანი** (სოფელი) ქოლო (მეგრ. კოლი; წყარო) + უზანი (ქართ); **ბულვანი** (სოფელი) ბული (მეგრ. ბალი) + ქართული სადერივაციო ერთეული -ოვან; **ჭუბურვანი/ჭუბურ(ო)ანი** „წაბლნარი“ – სახნავი: მეგრ. ჭუბური „წაბლი“ + ქართ. -ოვან (ჭუბროვანი).

ტოპონიმის მონაცემები მეტად მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ რომ საკვლევადიებო მასალის მიხედვით მეცნიერების დარგი ორი სახისაა: 1. საანალიზო მასალა რეალურად არსებობს ნაბეჭდი თუ ხელნაწერი ფორმით; 2. საანალიზო მასალა საველე ექსპედიციების გზითაა მოსაპოვებელი, მით უმეტეს, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთი ნაწილი დროთა განმავლობაში იკარგება ან იცვლება.

აბაშის რაიონის ტოპონიმის მნიშვნელოვანი ნაწილი შესულია გ. ელიავას „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმოგრაფიაში“ (თბ., 1977. **შენიშვნა:** ამ პერიოდში უკვე დამკვიდრებული იყო ტერმინები: **ტოპონიმია** – ტოპონიმთა ერთობლიობა და **ტოპონიმოგრაფია** – სამეცნიერო მოძღვრება ტოპონიმთა შესახებ. მკვლევარი სწორად აღნიშნავს, რომ ტოპონიმური „მასალა მხოლოდ ადგილების დეტალური ფეხდაფეხ ჩამოვლით უნდა იქნას დაფიქსირებული. ამიტომ მათი შეკრების მეთოდური გზა თვით ადგილების ჩამოვლა და ხაღხის დაკითხვაა. მისი განხორციელებისათვის საჭიროა: 1. სხვადასხვა უწყებრივ დაწესებულებასა და არქივში არსებული მასალებიდან ადგილების შესახებ დეტალური ცნობების ამოკრეფა; 2 რაიონის დაყოფა მიკროუბნებად ან სოფლებად და ამ სოფლების დეტალური ჩამოვლა; 3. შეკრებილი მასალების სოფლების რუკაზე აღნიშვნა და მათ შესაბამისად სათანადო სია-ჩანაწერების

გაკეთება“. მაგრამ აქვე ხაზგასმითაა აღნიშნული: „ჩვენ აქ არ გვიცდია ტოპონიმების დეტალური ანალიზი, მათი მეცნიერული გაშიფვრა. წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ ტოპონიმებისა და მათ გარშემო არსებული ხალხური განმარტებების აღნუსხვის მიზანს ისახავს“ (იქვე, გვ. 6). მიუხედავად ასეთი განცხადებისა, ძალზე მწირია დასახელებულ ტოპონიმთან დაკავშირებული ინფორმაციები. მიუხედავად ამისა, ავტორი იშვიათად ასახელებს სახელდებულ ობიექტს: **ნაფაცერუ** – ჭალა (გვ.17), **ნაჭიფუ** – უბანი (გვ. 26), **საცხირკარი** – უბანი (გვ. 29), **გედერუ** – საყანე (გვ. 37) და სხვ.; ზოგ ტოპონიმთან დაკავშირებით მოცემულია მხოლოდ ქართული თარგმანი: **ძონძირი** – დაძონძილი (გვ. 37), ბოგაში – ხიდისა (გვ. 39), **თხირონა** – თხილნარი (გვ. 45) და სხვ. ჩვეულებრივ ტოპონიმის შემდეგ მოცემულია არა **კონკრეტული ობიექტის დასახელება**, არამედ **ზოგადი ტერმინი**: **ნაკართხუ** – ადგ.; **ნაბაკენი** – ადგ.; **კოპიტნარი** – ადგ.; **ბერიახო** – ადგ.; **ტები** – ადგ. და სხვ. (გვ. 45).

მიუხედავად მრავალი ნაკლოვანებისა, გ. ელიავას „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია“ თავისი დროის (ე.ი.1977 წ.) ქართული ონომასტიკური ლიტერატურის საჭირო შენაძენია.

„სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებანის“ რვავე წიგნში (აგრეთვე „რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებათა“ ოთხ წიგნში და სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებებში, რომლებიც ვ. ჯოჯუას თანაავტორობით არის გამოცემული) გატარებულია მასალის მოწოდების ასეთი თანმიმდევრობა: 1. ტოპონიმის დასახელება; 2. კონკრეტული სახელდებული ობიექტის აღნიშვნა; 3. მიკროლოკალიზაცია; 4. მოტივაცია; 5. ამოსავალი ფუძის ეტიმოლოგია; 6. ისტორიული წყაროების ჩვენებანი (სადაც კი იგი მოიპოვება). კიდევ ერთი გარემოება: ტოპონიმური მასალის სრულად მოპოვება და ქართული თუ ქართველური ენების ლექსიკონებთან შედარებამ შეუძლებელია არ გამოავლინოს ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულები.

დაბოლოს: დავასახელებთ რამდენიმე ნაშრომს რომლებსაც ხშირად მივმართავდით აბაშის რაიონის გეოგრა-

ფიულ სახელწოდებათა შესახებ საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად: 1. აბაშა. ენციკლოპედია, თბ., 2010; 2. მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა, ესე სოფელი კეთილ არს (ისტორიული აღმანახი), თბ., 2004; 3. დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორია, თბ., 2009; 4. იგორ კეკელია, აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთაისი, 2011; 5. იგორ კეკელია, სეფიეთის ტოპონიმია, თბ., 2010; 6. დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010.

ნაწილი პირველი

აბაშის რაიონი

(საპრეზულოები, სოფლები, რესპოდენტები)

აბაშის რაიონი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობზე, სამტრედიის რაიონსა და სენაკის რაიონს შუა. ჩრდ-ით ესაზღვრება მარტვილის, ხოლო სამხრეთით – ღანჩხუთის რაიონები. 1886 წლის კამერალური აღწერის ცნობარის (... 1893) მიხედვით, შექმნილია აბაშის უბანი (საბოქაულო), რომელშიც შედის აბაშა-ონტოფოს (აბაშა = ძველი აბაშა), გულიკარის, ილორის, კვათანის, მარნის, ნაესაკოვოს, ნოსირის, სეფიეთის, სუჯუნის სოფლის საზოგადოებანი. ამ ცხრა ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულის 44 სოფელში ცხოვრობს 5598 კომლი (31009 სული). ამასთანავე, ცალკეა დასახელებული დაბა „ –

1926 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით (გამოიცა 1930 წელს) სენაკის მაზრის აბაშის რნის 12 სას. საბჭოში მკვიდრობს 8377 კომლი (37146 სული). საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგებით (თბ., 2003), აბაშის რაიონის 16 საკრებულოს (ქ. აბაშის გამოკლებით) მოსახლეობის რაოდენობა აღწევს 22277 სულს (კაცი – 10434, ქალი – 11843). ყველა სოფელი დასახელებულია და მოსახლეობა 99,2% ქართველია.

სხვა მონაცემები რაიონზე: ტერიტორია შეადგენს 320,5 კვ.კმ-ს (ბოლო ადგილი სამეგრელოში). მანძილი თბილისიდან 283 კმ, ხოლო აბაშიდან ზუგდიდამდე – 54 კმ. რელიეფი ერთგვაროვანია – ვაკე-დაბლობი ზ.დ. 20-50 მ. რაიონის ფარგლებშია რიონის, ცხენისწყლისა და აბაშის ქვემო დი-

ნებანი, აგრეთვე მცირე მდინარეები – ზანა, კოვზა, დიდი ნოდელა (ცხენისწყლის მარჯვ. ტოტი, ამჟამად ნაწილობრივ დაწყვეტილი). ისტორიული ძეგლებია: სეფიეთის სამნავიანი ბაზილიკა (ადრინდელი შუა საუკუნეებისაა, გადაკეთებული XV-XVI სს.), ტყვირის მაცხოვრის (XV-XVI სს.) და სუჯუნის წმ. გიორგის (XVIII ს.) ეკლესიები (ქსე, I). სხვათაშორის, არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.) და პარიზის ეროვნულ ბიბლოთეკაში დაცულ რუკაზე „კოლხეთი, დღევანდელი სამეგრელო“ დასახელებულია დღევანდელი აბაშის რ-ნის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრები და სოფლები: ცილორი, რობა, ილორი, ძიგური, ზანათი, შუაქალაქი, ხოლო თ. ბერაძის მიერ შედგენილ XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე დატანილია სეფიეთი, ონტოფო, აბაშა, სუჯუნა, ტყვირი და სხვ.

როგორც ცნობილია, კოლხეთის დაბლობზე ფართოდ იყო გავრცელებული გორანამოსახლართა და არხთა სისტემა. დღევანდელი სენაკისა და აბაშის რ-ნების ვაკეებში, კერძოდ, ფიჩორ-რიონისა და ცხენისწყალ-ტეხურის შუამდინარეთში დღემდეა შემორჩენილი მრავალი არხი და ნაარხალი. ამასთან დაკავშირებით გ. გრიგოლია აღნიშნავს: „შედარებით უკეთ შემონახული ძველი ნაარხალები შემორჩენილია სენაკისა და აბაშის რაიონებში. ესენია: სოფლების – მესამე ნოსირის, ზანათისა და ძიგურის – ტერიტორიაზე გამავალი დიდი მარაგანის არხი, სოფ. წყემის ტერიტორიაზე დადასტურებული პატარა ტეხურად წოდებულ არხი, სოფ. სუჯუნაში გამავალი უჩადალი და ნაესაკაო-ქოლობანის არხი – ნოდელა. მათ შორის პირველი სამი მდ. ტეხურიდან იღებს სათავეს და მდ. აბაშას უერთდება, ხოლო ნოდელა ცხენისწყლიდან იღებს სათავეს და უფრო ქვემოთ ერთვის რიონს“ (გრიგოლია, 1994, გვ. 6).

ჟ. აბაშა

აბაშა – ქალაქი (1964 წლიდან), აბაშის რ-ნისა და სა-ქალაქო საბჭოს ცენტრი, მდებარეობს მდ. აბაშასა და ნო-დეღას შუა. ზ.დ. 23 მ, თბილისიდან 258 კმ. ქალაქში გადის თბილის-სოხუმის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალი. ლენინ-ოდიშის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფით, სოფელი აბაშა (რა თქმა უნდა, დღევანდელი ძველი აბაშა) მოხვდა სუჯუნის მაზრაში. რუსეთის იმპერიის მიერ ამიერკავკასიაში ჩატარებული კომპლობრივი აღწერის (იხ. ... 1893) მონაცემების მიხედვით, 1886 წელს აბაშის საბოქაულოში (უბანში) შექმნილია 9 სასოფლო საზოგადოება. მათგან დღევანდელი ქ. აბაშის ტერიტორია შედიოდა კვათანის სოფლის საზოგადოებაში და მოიცავდა სოფლებს:

კვათანა (ც.) – 173 კ., 941 ს. (კაცი – 477, ქალი – 464).

კაპანა – 190 კ., 729 ს. (კაცი – 404, ქალი – 325).

მაცხოვრისკარი – 117კ. 701 ს. (კაცი – 347, ქალი – 354).

ნოღა-ხაში – 175კ., 947 ს. (კაცი – 486, ქალი – 461).

რობა – 19კ., 106 ს. (კაცი – 55, ქალი – 51).

საკაჭარავო – 122კ. 664 ს. (კაცი – 346, ქალი – 318).

საჩოჩუო – 139კ., 878 ს. (კაცი – 477, ქალი – 401).

ჯამი: 875კ., 4966 ს. (კაცი – 2592, ქალი – 2374).

ქალაქი აბაშა (ისევე როგორც ქ. სენაკი) წარმოიშვა დას. საქართველოში რკინიგზის მაგისტრალის გაყვანის შემდეგ. რკინიგზის სადგური აშენდა საკაჭარავოს ტერიტორიაზე (დღევანდელი ძველი აბაშიდან 5 კმ-ზე) და ეწოდა „სადგური აბაშა“ (). სწორედ ამ სადგურის გარშემო წარმოქმნილ დასახლებულ პუნქტს დაერქვა „აბაშა ახალი“. 1930 წლისათვის უკვე შეიქმნა „აბაშის სას. საბჭო“, რომელიც მოიცავდა 13 სოფელს:

აბაშა ახალი – 100კ. (431 ს.).

კვათანა დიდი – 307კ. (941 ს.).

კვათანა პატარა – 182კ. (799 ს.).

კაპანა – 143კ. (597 ს.).

მაცხოვრისკარი – 205კ. (974 ს.).

ნორიო – 107კ. (523 ს.).

ნოღა – 81კ. (361 ს.).

საბოკუჩაო – 104კ. (485 ს.).

საკაჭარაო – 299კ. (1232 ს.).

საგვაზაო – 159კ. (733 ს.).

სახოჩიო – 118კ. (612 ს.).

საძველაიო – 52კ. (218 ს.).

ხაში – 170კ. (767 ს.).

ჯამი: 2027კომლი, 8673სული (მათგან არაქართველია მხოლოდ 7).

1949 წლისათვის კი აბაშის რ-ნის ადმ.-ტერიტ. დაყოფის სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა: შექმნილია აბაშის სადაბო საბჭო, რომელშიც დაბა აბაშასთან ერთად შედის ერთადერთი სოფელი – პატარა კვათანა, ხოლო სხვა სოფლები, რომლებიც 1930 წელს შედიოდა აბაშის სას. საბჭოში, ასე გადანაწილდა: ნოღა-ხაშის სას. საბჭო (შედის ნოღა-ხაში და კაპანა), დიდი კვათანის სას. საბჭო (მოიცავს ერთადერთ სოფელს – დიდ კვათანას), ნორიოს სას. საბჭო (შეიცავს ნორიოს, განათლებისკარს, აბაშის-პირს, საგვაზაოს, საბოკუჩაოს), ხოლო საკაჭარაოს, საგვაზაოს, სახოჩიოს, საძველაიოს აღარ მოეპოვება სოფლის სტატუსი.

აბაშის რკინიგზის სადგურის შემოგარენში დასახლება კიდევ უფრო მჭიდრო გახდა, აშენდა დუქნები, განვითარდა ვაჭრობა დაწესდა „იარმუკობაც“, ქუჩები ფარნებმა გაანათა. ყოველივე ამის შედეგად „ახალი აბაშა“ იქცა დაბა აბაშად, ხოლო 1964 წლიდან მიიღო ქალაქის სტატუსი და მასში შევიდა სოფლები დიდი კვათანა და პატარა კვათანა. 1987 წლიდან კი ორივე ეს სოფელი ტერიტორიულად ქალაქს შეერწყა და ამჟამად წარმოადგენს უბნებს რკინიგზის მაგისტრალიდან სოფ. ნაესაკაომდე.

„ქართლის ცხოვრებაში“ დასახელებულია აბაშა (აბაშეთი და აბაშელნი): „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“-ში (მიეწერება VIII ს-ის მოღვაწე ჯუანშერ ერისთავს) აღწერილია მურვან ყრუს უსასტიკესი ლაშქრობა და მოთელი

საქართველოს დაპყრობა ანაკოფიამდე. აქ ნათქვამია: „აბაშთა ნათესავი იყო დაბანაკებული მდინარესა მას ზედა, რომელს რქვან აბაშ(ა)“. („ქ.ცხ.“, 1955, გვ. 237). აქვე (გვ. 238) მოთხრობილია: სამშობლოსკენ მიბრუნებული არაბთა ლაშქარი დაბანაკდა ორ მდინარეს შუა „და გარდამოკდა წუმა ფიცხელი, აღდგეს მდინარენი სასტიკად: და მიმართა უმცროსმან წყალმან (იგულისხმება მდ. აბაშა – პ.ც.) სპათა აბაშთასა, და წარიღო მისგან მკურცხელი (ცხენი – პ.ც.) ოცდასამი ათასი და მიმართა უფროსმან წყალმან (იგულისხმება მდ. ცხენისწყალი – პ.ც.) მკვდართა, რომელთა იგი ბანაკი იყო უჭალაკე... წარიღო ცხენი ოცდათხუთმეტი ათასი და მიერთიგან სახელ-ედვა ორთა იმათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთსა აბაშა“ („ქ. ცხ.“, 1955, გვ. 238). ამავე საისტორიო წყაროში ნახსენებია აბაშეთი („საზღვართა ზედა სპარსთანა“) და აბაშნი. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში აბაში//პაბაში აღნიშნავს ეთიოპიელს, ხოლო აბაშეთი – ეთიოპიას (სარჯველაძე, 2001, გვ. 5. 286). „ქართლის ცხოვრების“ ლეგენდას იმეორებს ვახუშტიც (ვახუშტი, 1973, გვ. 776).

„ქართლის ცხოვრებას“ ეყრდნობა კ. ჰანის „განმარტებაც“: „აბახა (აბაშა) ტეხურის შენაკადია, სახელი მიუღია იმასთან დაკავშირებით, რომ მასში ჩამხრჩვალა არაბი სარდლის მურვან-ყრუს 8000 აბახი (აბაში) მოლაშქრე“ (ჰანი, 1909, გვ. 2). მდ. აბაშას მოიხსენიებს იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტიც. მის „სამეგრელოს აღწერაში“ (თბ., 1991, გვ. 162) ვკითხულობთ: „აბაშა ძველად შეიძლება იყოს სტრაბონის გლავეკოსი, რომლის შესახებ იგი ამბობს, რომ ცხენისწყალთან ერთად ფაზისს ერთვისო“.

მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ სახელწოდებისათვის ამოსავალია აბა, რაც, დაწყებული პალესტინის მონასტრის მოზაიკური წარწერიდან (VI ს.), მრავალგზის არის დამოწმებული სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროში. გამოთქმულია ასეთი მოსაზრებაც: აბაშასათვის ამოსავალია აბხა, რაც სპარსულში ნიშნავს „პატარა წყალს, პატარა მდინარეს“ (იხ. ვრცლად: ი. კეკელია, სეფიეთის ტოპონიმია, ქუთაისი, 2011, გვ. 18-20).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ აბაშა – ჰიდრონი-
მი და ოიკონიმი (სოფლის სახელწოდება) აბაშისა და სამ-
ტრედიის რ-ნებში, ჯერ კიდევ არაა დამაჯერებლად გან-
მარტებული როგორც სემანტიკის, ისე მოტივაციის თვალ-
საზრით.

1996 წელს ქ. აბაშაში მკვიდრობდა 251 გვარის მატარე-
ბელი 1396 კომლი. კომლთა რაოდენობით გამოირჩევა: კა-
ჭარავა – 160კ., ცომაია – 133კ., თოფურია, ჭანტურია – 59-
59კ., გვაზავა – 70კ., გაბელაია – 49კ., ქორჩილავა – 26კ.,
ქოიავა – 23კ., ძველაია – 20კ., ლიპარტია – 19კ., გუგუშვი-
ლი – 18კ., ჩაგანავა – 15კ.

ქ. აბაშის ტოპონიმია ჩაწერილია 1985 წლის ოქტომ-
ბერში, რესპოდენტები იყვნენ:

გაბელაია ლავრენტი საჩინოს ძე, 90 წ.

გაბელაია მიხა იზდორეს ძე, 73 წ.

გაბელაია პეტრე სოლომონის ძე, 72 წ.

გაბელაია შოთა ალექსანდრეს ძე, 58 წ.

გოგია ნოდარ კოსტას ძე, 48 წ.

ელიაძე ბიქტორ (გრიშა) ივანეს ძე, 79 წ.

თოფურია კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, 67 წ.

თოფურია პლატონ ვლადიმერის ძე, 65 წ.

ლიპარტია ბექი ნესტორის ძე, 63 წ.

სიგუა ოთარ (კიტა) შალიკოს ძე, 57 წ.

ჩალიგავა დომენტი იაკობის ძე, 81 წ.

ცომაია ამირან ვლადიმერის ძე, 61 წ.

ცომაია ანასტა (დედუ) ვასილის ას., 80 წ.

ცომაია დავით ალექსანდრეს ძე, 67 წ.

ცომაია ნიკოლოზ (ჟორჟი), 71 წ.

ცომაია სოსო ვლადიმერის ძე, 55 წ.

ცომაია შალვა ნესტორის ძე, 85 წ.

ჭანტურია ვასილ პართენის ძე, 68 წ.

ჭანტურია ჟორა სიმონის ძე, 73 წ.

გეზათის თემის საკრებულო

გეზათის თემის საკრებულო მდებარეობს მდ. ცხენის-წყალსა და მდ. ნოდელას შუა. სამხრ-ით ესაზღვრება ქოლობნის თემის საკრებულო და ქ. აბაშა, ხოლო ჩრდ-ით – ონტოფოს თ/ს. აღნიშნული ადმ.-ტერიტ. ერთეული პირველად გამოჩნდა „დაყოფის“ 1930 წლის გამოცემაში როგორც „გეზათ-გულუხეთის სას. საბჭო“ (361 კომლი, 1653 სული), რომელშიც შედის ორი სოფელი – გეზათი და გულუხეთი. 1949 წლისათვის კი შექმნილია გეზათის სას. საბჭო (იმავე ორი სოფლით). 2002 წელს გეზათის თემის საკრებულოს მოსახლეობა აღწევდა 835 მუდმივ მოსახლეს (გეზათი – 426 ს., გულუხეთი – 409 ს.).

1996 წელს გეზათის თემის საკრებულოში მკვიდრობდა 64 გვარის მატარებელი 264 კომლი. მათგან კომლმრავლობით გამოირჩევა: ჯიბლაძე – 44კ., გაბუნია – 43კ., გიგინეიშვილი – 25კ., ფირცხალავა – 23კ., შუბლაძე – 22კ., გოგავა – 16კ., იობიძე – 12კ. ცნობას ხელს აწერენ საკრებულოს გამგებელი ი. გაბუნია და აპარატის ხელმძღვანელი ს. გაბუნია.

გეზათი

გეზათი – სოფელი და სას. საბჭოს ცენტრი აბაშის რაიონში, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 35 მ, აბაშიდან 6კმ (ქსე, 3). დავაზუსტოთ: გეზათს ესაზღვრება გულუხეთი, სამიქაო, ქოლობანი, პატარა გეზათი. არაოფიც. ვარიანტი: დიდი გეზათი.

ოდიშ-ლენხუმის დავით დადიანისეული დაყოფის (მე-19 ს. 40-იანი წლები) ცნობარისა და 1886 წლის კამერალური აღწერის მასალებში ეს სოფელი არ ჩანს. საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფით (გამოიცა 1930 წ.), გეზათი და გულუხეთი შედის გეზათ-გულუხეთის სას. საბჭოში, სადაც დაფიქსირდა 261 კომლი (1653 სული). სოფლების მი-

ხედვით ასეთი სურათია: გეზათი – 197კ. (893 ს.), გულუხეთი – 160კ. (780 ს.). 1949 წლისათვის კი ამ ორი სოფლის გამაერთიანებელ სას. საბჭოს გეზათი ეწოდება (ცენტრი – ს. გეზათი).

გადმოცემით, გეზათის პირველმოსახლენი ყოფილან ბოკერიები და მიქელაძეები. გავრცელებულია სოფლის სახელწოდების ასეთი ახსნა: „რობაში მოსახლე ჭილაიებს დაუწყიათ ცხენისწყალსა, ნოდელასა და კოვზას შუა მდებარე ადგილების დათვალიერება. მათგან ათს გეზი აუღია დღევანდელი გეზათისაკენ და ადგილისთვისაც ამიტომ უწოდებიათ გეზათი“. ამ ცრუ ხალხურ ეტიმოლოგიას ეფუძნება კ. ჰანის „ეტიმოლოგიაც“: „ – . გეზი = “). რესპ. ა. მიქაუტაძე კი დარწმუნებულია, რომ „თათრები მოდიოდნენ და ადგილობრივი მცხოვრებნი იძახოდნენ: გეზ, გეზ (გავეცალოთ, ცხენები იხრჩობიანო) და ამიტომაც დარქმევია გეზათი“. შდრ.: დ. ყანდაშილი ამ ოიკონიმის „ეტიმოლოგიის“ გასარკვევად მიმართავს სულხან-საბას ლექსიკონს: „გეზათი – წყლის კიდე კაცთ გასავალი“. სოფლის ისტორიაზე კი რესპოდენტები მოგვითხრობენ: ცხენისწყალი ადიდებულა და გადმოუხეთქავს გეზათისაკენ, დაუტბორავს ნოდელისპირა ადგილები, სადაც მდგარა სკოლაც და წმინდა თევდორეს ეკლესიაც. წყალს გამორიდებულნი აქ დასახლებულან და გადმოუტანიათ სკოლაც, ეკლესიაც და სახელწოდებაც. გეზათის წმ. თეოდორე ტირონის ეკლესია დასახელებულია სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიათა შორის (1838 წ. ჭითანავა, 2010, გვ. 58). შდრ. სოფ. დიდ გეზათში (ამჟამინდელი გეზათი) ორი ნაეკლესიარია: თევდორე ტირონის სახელობისა და საქაჯაიოს მაცხოვრის სახელობისა (მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას. შეეწირა ცხენისწყლის ადიდებას 1914 წელს). დ. ჭითანავა ასახელებს სოფელ პატარა გეზათსაც „სადაც შემორჩენილია მარიამ ღვთისმშობლის ნაეკლესიარი“ (ჭითანავა, 2010, გვ. 504). რესპოდენტთა მტკიცებით, პატარა გეზათი ეწოდება უბანს სამტრედიის რაიონის სოფ. ჩხენიშშიც.

გეზათის ეტიმოლოგიისათვის: „-ათ სუფიქსს თვლიან ქართული -ეთ სუფიქსის ზანურ შესატყვისად“, მაგრამ იქვეა ნათქვამი: „-ათ სუფიქსის გამოყოფა გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად სადავოა“ (ჯორბენაძე, 1988, გვ. 26). მართლაც, მეგრულში ამგვარ ტოპონიმთა -თი დაბოლოება მორფემოიდია, წარმოქმნის ჯგუფურ ანთროპონიმებს, რომლებიც ხშირად ტოპონიმებადაც იქცევა: თოლორდა (გვარსახელი თოლორდავა) **თოლორდათი** „თოლორდას შთამომავალნი, თოლორდას მოდგმა“. ამგვარი ანთროპონიმი ხშირად გადადის ტოპონიმის რანგში. მაგრამ -თი დროთა განმავლობაში იქცა მორფემოიდად და გაუტოლდა სპეციფიკურ ტოპოფორმანტს. ამიტომ შემორჩენია უბნებს ასეთი სახელწოდებანი: თოლორდათი//სათოლორდო, ბერიათი//ლებერიე.

2002 წელს გეზათის თემის საკრებულოს სოფ. გეზათში 426 მუდმივი მისახლე აღინუსხა (კაცი – 208, ქალი – 218). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1986 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

- ბოკერია კოლია მიხეილის ძე, 87 წ.
- გაგნიძე გაიოზ ავთანდილის ძე, 51 წ.
- გიგინეიშვილი ხუტა ალექსანდრეს ძე, 49 წ.
- გოგავა ვლასი ბიქტორის ძე, 72 წ.
- მიქაუტაძე აქვსენტი მიხეილის ძე, 67 წ.
- შუბლაძე დემური იოანეს ძე, 41 წ.
- შუბლაძე მზია ვასილის ას., 47 წ.
- ჯიბლაძე ბენია აკაკის ძე, 68 წ.
- ჯიბლაძე შოთა ალექსანდრეს ძე, 62 წ.

ბულუხეთი

ბულუხეთი – სოფელი აბაშის რაიონის გეზათის სას. საბჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 40 მ, ქ. აბაშიდან 10კმ (ქსე, 2). დაკონკრეტება: გულუხეთი მდ. ცხენისწყლიდან სწვდება მდ. ნოდელამდე. ესაზღვრება გეზათი, სამიქაო. აღგ. ვარიანტია გულხეთი.

სახელწოდება პირველად გვხვდება 1753 წელს შედგენილ „შეწირულობის წიგნში“, სადაც ნათქვამია: „... ეგე შესაწირავი ძღვნად მოგიძღვენ, ასე რომ გულუხეთს ჩვენი ყმა ბუჭუკელა გიგინეისშვილი იყო, მოკვდა ისე და...“ (ქსძ, III, გვ. 837). ვახუშტის ერთ-ერთ რუკაზე ცხენისწყლის მარცხ. მხარეს წარწერაა „გულუხეთი“. მე-19 ს-ში გულუხეთი მოიხსენიება რამდენიმე საეკლესიო საბუთში, კერძოდ: 1838 და 1855 წლებში დასახელებულია გულუხეთის წმ. გიორგის ეკლესია (ჭითანავა, 2010, გვ. 58, 66). გულუხეთი მე-19 ს-ის ორმოციან წლებში შედის სუჯუნის მაზრაში, ხოლო 1886 წელს – აბაშა-ონტოფოს სოფლის საზოგადოებაში (მოსახლეობა – 79 კომლი, 426 სული, იხ.: ... 1893). 1930 წლისათვის კი გულუხეთი (167 კომლი, 760 სული) შედის გეზათ-გულუხეთის სას. საბჭოში, შემდგომში კი შესაბამის ადმ.-ტერიტ. ერთეულს ეწოდა გეზათის სოფსაბჭო. 2002 წელს გეზათის თემის საკრებულოს სოფ. გულუხეთის მუდმივი მოსახლეობა 409 სულს აღწევს (კაცი – 199, ქალი – 210). რესპოდენტის განცხადებით, პატარა გულუხეთი ეწოდება აგრეთვე ადგილს მდ. ცხენისწყალს გაღმა, სამტრედიის რ-ნის სოფ. ჩხენიში.

ეტიმოლოგიისათვის: რესპოდენტთა განმარტებანი ცრუ ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშებია: ა. „აქ თამარ მეფეს გამოუვლია და ცოტა ხნით დასასვენებლად ჩამომჯდარა. ადგილობრივებს შესაფერისი პატივი უციათ. მეფე ქალს უთქვამს: „რა გულუხვი ხალხი ყოფილაო“. ამიტომ დარქმევია“; ბ. „კნიაზს გამოუვლია და წყალი უთხოვია, ღვინო მიურთმევიათ. უთქვამს, ამ სოფელს გულუხეთი ერქვასო“. ცრუ ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშია კ. ჰანის მსჯელობაც: „ – . გული „ უხვი „ (ჰანი, 1909, გვ. 40). გ. ელიავას მოსაზრებით, გულუხეთი ცნობილია „ნაყოფიერი მიწებით, გულუხვი მოსახლეობით. ამიტომ შეერქვა გულუხეთი“ (ელიავა, 1977, გვ. 18). ივარაუდება, რომ გულუხეთი თავდაპირველად წარმოადგენდა ჯგუფურ ანთროპონიმს, რომელიც წარმოქმნილია ქართული -ეთ სუფიქსით. შემოთავაზებულია ასეთი ეტიმოლოგიაც: გულუხემ თი („გულუას ქალის ოჯახი,

შთამომავლობა“) გულუხეთი. გულუა მრავალრიცხოვანი გვარია. ხე გათხოვილი ქალის აღმნიშვნელია (კეკელია, ლქაპ, III, გვ. 127).

2002 წელს სოფ. გულუხეთის მუდმივი მოსახლეობა შეადგენდა 409 სულს (კაცი – 199, ქალი – 210). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1886 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

გაბუნია არჩილ კირილეს ძე, 55 წ.

გიგინეიშვილი აპალონ კლიმენტის ძე, 66 წ.

გიგინეიშვილი ოლიფანტე შავარდენის ძე, 78 წ.

იობაძე პლატონ ნიკოს ძე, 77 წ.

ფირცხალავა დიომიდე ბესარიონის ძე, 74 წ.

ფირცხალავა სერგო პავლეს ძე, 71 წ.

ზანათის თემის საკრებულო

ზანათის თემის საკრებულო აღმ.-ტერიტ. ერთეულია აბაშის რ-ნში, მდ. აბაშის ორივე მხარეს. ოღიშ-ლენჩხუმის 8 მაზრად. დაყოფის ცნობარის თანახმად, ზანათი ერთი სოფელია სენაკის მაზრის აბაშის ოლქში. 1886 წლის კამერალური აღწერის ცნობარის მიხედვით, ეს სოფელი „ზანათა“ ფორმით (235 კომლი, 1344 სული) არის შესული სუჯუნის სოფლის საზოგადოებაში. საბჭოთა საქართველოს პირველი აღმ.-ტერიტ. დაყოფით კი (გამოცა 1930 წ.) ზანათი სამ სოფლად შედის სუჯუნის სას. საბჭოში: ზანათი გამოდმა (197 კ., 940 ს.), ზანათი გადმა (208კ., 953 ს.) და ზანათი შუა (37კ., 198 ს.) საბოლოოდ ზანათი ორ სოფლად დამკვიდრდა ზანათის სას. საბჭოში.

საისტორიო წყაროში, კერძოდ, 1628 წელს ლევან მეორე დადიანის მიერ შედგენილ „შეწირულობის სიგელში“ ზანათი დასახელებულია „მზანათი“ ფორმით (კაკაბაძე, I, 1921, გვ. 13). ამავე პერიოდში ზანათი (Zannati) აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის სამეგრელოს რუკაზე. 1811 წელს სამეგრელოში არსებული ცაიშისა და ჭყონდიდის ეპარქიები გააერთიანეს და უწოდეს სამეგრელოს ეპარქია. ამ

ეპარქიის 1838 წლის აღწერის მასალებში დასახელებულია ზანათის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (ჭითანავა, 2010, გვ. 58), ხოლო 1846 წლის მასალებში – ზანათის მაცხოვრის ეკლესია (იქვე, გვ. 61). 1870 წლისთვის სამეგრელოს ეპარქია დაიყო 8 ოლქად, ანუ საბლადოჩინოდ. მათგან ორი ოლქი – სუჯუნისა და საჭილაოსი – მდებარეობდა დღევანდელი აბაშის რ-ნში. 1870 წლისთვის სუჯუნის ოლქის 18 ეკლესიიდან ერთ-ერთი იყო ზანათის იოვანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია (კაჭარავა, 2009, გვ. 71).

ზანათის ეტიმოლოგიისათვის: კ. ჰანი თვლის, რომ **ზანათი** უკავშირდება ავარიულ სიტყვა ზანს, რაც ძეგლს აღნიშნავს (ავტორისეული მოტივაცია: ადგილს ასეთი სახელი იმიტომ მიუღია, რომ აქ ყრია ფილაქნის ნამსხვრევები, რომელთაგან ძეგლს აგებენ). (ჰანი, 1909, გვ. 60).

ზან- სიტყვის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ იგი ზოგ ჩრდილოკავკასიურ ენაში აღნიშნავს წყალს (შდრ. ნართზან ნარზანი „ნართების წყალი“, „ალანზან ალაზანი“ (ჯორბენაძე, 1997, გვ. 43). საკმარისია აღინიშნოს, რომ სამეგრელოში 5 მცირე მდინარეს ეწოდება ზანა (იხ. ცხადაია, 2008, გვ. 295-297). გარდა ჰიდრონომიისა, ზან- ეთნონიმაცაა (შდრ.: სვან. ზანპრ, მეგზან, მეგზნი აღნიშნავს მეგრელს). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა ზანა ან ზანი წარმოადგენდა პირსახელს (ან მეტსახელს). ამ შემთხვევაში ზანა+თი (ან ზან+ათ) აღნიშნავს ოჯახს, შთამომავლობას. ჯგუფური მეტსახელი ადგილის საკუთარ სახელად ქცეულა: საგულისხმოა გ. ელიავას რესპოდენტთა განმარტებანი: ა. „ზანა გვარი ყოფილა“; ბ. „ზანა დიდი კაცი ყოფილა, დიდი ოჯახი ჰქონია. ამიტომ ზანაშ თის – ზანას ოჯახს ეძახიან ადგილს“ (ელიავა, 1977, გვ. 57). (შდრ.: ბედოშვილი, 2002, გვ. 157) იხ. აგრეთვე აღ. ქობალია: „ზანა – ზანა; წყალი; ვაკე, ბარი, წყლისპირა ბარი“.

ზანათი ანთროპოლიკონიმია, იგი დატანილია თ. ბერაძის „XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე“ (იხ. „ძეგლის მეგობარი,“ კრებული ოცდამესამე, თბ., 1970).

სოფელ ზანათს უკავშირდება ორი მცირერიცხოვანი გვარი – ზანთარაია (248 სული) და ზანთარია (176 სული). ორივე გვარი ძირითადად ზუგდიდის რაიონშია გავრცელებული. გვარის წარმომავლობა: ზანათი (სოფელი აბაშის რ-ნში) ზანათარი „ზანათელი“ ზანთარაია//ზანთარია. შეიძლება დავუშვათ, რომ გვარი ზამთარაძეც მომდინარეობს ზანთარიასაგან (საქში ცხოვრობს 576 სული. მათგან თითქმის ნახევარი მკვიდრობს სამტრედიის რ-ნში, ხოლო მცირე ნაწილი – აბაშის რ-ნში).

ზანათის თემის საკრებულოში 1996 წელს მკვიდრობდა 77 გვარის მატარებელი 444 კომლი. ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარებია: მიმინოშვილი – 100კ., მაკალათია – 55კ., უჩანეიშვილი – 25კ., გუნია – 25კ., ქობალავა – 23კ., დანელია – 17კ., ნოღია – 14კ., კოკაია – 13კ., ქადარია – 10კ. სათანადო ცნობა შეუდგენია ინეზა გუნიას და ხელმოწერილია ზანათის გამგეობის თავმჯდომარის მიერ.

ბამოღმა ზანათი

გამოღმა ზანათი – სოფელი აბაშის რ-ნის ზანათის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის მარცხ. მხარეს. ზ.დ. 13 მ, ქ. აბაშიდან 7კმ, გაღმა ზანათიდან 2,5კმ (ქსე, 2). საქ. სსრ 1930 წლის დაყოფის ცნობარში სოფელი წარმოდგენილია „ზანათი გამოღმა“ (197კ., 940 ს.) ფორმით, მაგრამ შემდგომში დამკვიდრდა როგორც „გამოღმა ზანათი“. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 4 აპრილის ბრძანებულებით ზანათის სასოფლო საბჭოს ცენტრი გადატანილ იქნა სოფელ გაღმა ზანათიდან სოფელ გამოღმა ზანათში (იხ. საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1987 წლის გამოცემა, გვ. 247).

1996 წელს სოფ. გამოღმა ზანათში მკვიდრობს 40 გვარის მატარებელი 235 კომლი. მათგან მრავალკომლიანობით გამოირჩევა: მიმინოშვილი – 98კ., მაკალათია – 50კ., უჩანეიშვილი – 24კ.

2002 წელს ზანათის თემის საკრებულოს სოფ. გამოდ-
მა ზანათში მკვიდრობს 252 მუდმივი მოსახლე (კაცი – 396,
ქალი – 456). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის
ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

- ახობაძე ვალიკო იაკობის ძე, 53 წ.
- ახობაძე ვლადიმერ ძიკის ძე, 52 წ.
- თაკვარელია ბონდო ალფესის ძე, 70 წ.
- მაკალათთია დარეჯან ხუხუს ას, 36 წ.
- მაკალათია შადვა სამსონის ძე, 77 წ.
- მაკალათია ჯიმშერ იაკობის ძე, 60 წ.
- მიმინოშვილი ბონო ბიქტორის ძე, 54 წ.
- მიმინოშვილი გიგილო ალექსანდრეს ძე, 42 წ.
- მიმინოშვილი იოსებ მიხას ძე, 82 წ.
- მიმინოშვილი სანდრო საჩინოს ძე, 80 წ.
- უჩანეიშვილი იროდიონ მიხეილის ძე, 64 წ.
- შონია ვასო სანდროს ძე, 60 წ.

ბაღმა ზანათი

ბაღმა ზანათი – სოფელი აბაშის რ-ნის ზანათის სოფ-
საბჭოში, მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირას. ზ.დ. 16 მ, აბაშიდან
8კმ (ქსე, 3). დაზუსტება: ესაზღვრება საოდიშარიო, წყეში,
ძიგური. ამის გარდა, ორივე ზანათი (ბაღმა და გამოდმა)
მდებარეობს სენაკის რ-ნის საზღვართან.

1930 წელს ზანათი ბაღმაში (ქლობნის სას. საბჭო)
მკვიდრობდა 197 კომლი (940 სული). 1996 წელს კი ბაღმა
ზანათში მკვიდრობს 45 გვარის მატარებელი 189 კომლი.
კომლმრავალი გვარებია: გუნია – 25კ., ქობალავა – 23კ.,
დანელია – 17კ., კოკაია, ნოღია – 13-13კ., ქადარია – 10კ.,
ჭაავა – 8კ. 2002 წელს კი ამ სოფელში აღინუსხა 654 მუდ-
მივი მოსახლე (კაცი – 309, ქალი – 345). ტოპონიმური მასა-
ლა ჩაწერილია 1984 წლის 12-15 ოქტომბერს. რესპოდენტე-
ბი იყვნენ:

- გუნია გიორგი ბაგრატის ძე, 72 წ.
- გუნია გრიგოლ (ჟორა) ნიკოლოზის ძე, 74 წ.

გუნია ილარიონ თემრაზის ძე, 94 წ.
 დანელია ალე ბურდღუს ძე, 71 წ.
 დანელია იოსებ ისლამის ძე, 69 წ.
 დანელია პანტელეიმონ (კვანჩი) ეპიფანეს ძე, 69 წ.
 ქობალავა ირან ბესარიონის ძე, 49 წ.
 ცოტაძე ხარიტონ (გუგუ) კალისტრატეს ძე, 72 წ.
 ჭაავა ნიკო ლევანის ძე, 70 წ.
 ჭოჭუა გრიგოლ ექვთიმეს ძე, 72 წ.

კეთილარის თემის საკრებულო

კეთილარის თემის საკრებულო, ერთ-ერთი ადგილობრივი ტერიტორიული ერთეული აბაშის რ-ნში, მდებარეობს მდ. რიონის მარცხ, ნაპირას. ესაზღვრება გურიასა (ღანჩხუთის რ-ნი) და იმერეთს (სამტრედიის რ-ნის სამხრ. ნაწილი). შედის სოფლები – **კეთილარი** (ც.) – მდ. რიონის მარცხ. ნაპირზე, გულეიკარსა და გაღმა კოდორს შუა, **გულეიკარი** – მდ. რიონის მარცხ. ნაპირას, კეთილარსა და სამტრედიის რ-ნის საზღვარს შუა, **გაღმა კოდორი** – მდ. რიონის მარცხ. ნაპირას, თემის დას. ნაწილში.

რუსეთის იმპერიის მიერ ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის (1886 წ.) მასალები გვაუწყებს, რომ სენაკის მაზრის აბაშის უბანში შექმნილია „გულიკარის სოფლის საზოგადოება“, რომელშიც შედის გულიკარი და კეთილა (აგრეთვე: ქორეისუბანი, ტყვირი და ტოლები). საბჭოთა საქართველოს პირველი წლებიდანვე შეიქმნა გულეიკარ-კეთილარის სას. საბჭო, რომელშიც უკვე სამი სოფელი შედის: გულეიკარი (ც.) – 86 კომლი (370 სული), კეთილარი – 138 კომლი (626 სული) და კოდორი მეორე – 100 კომლი (391 სული). „დაყოფის“ 1949 წლის გამოცემაში კი აღნიშნული სამი სოფლის გაერთიანებას ეწოდება კეთილარის სას. საბჭო. ამასთანავე, სოფლის სახელწოდება „კოდორი მეორე“ შეცვლილია „გაღმა კოდორით“. ეს ვითარება დღემდეა დაცული.

კეთილარის თემში შემავალ სოფლებში იმართებოდა რელიგიური დღესასწაულები: კოდორში – ტილიფობა, კეთილარში – ქაშუეთობა, გუღეიკარში – გუღეიკარობა. ამასთანავე, როგორც კ. კაჭარავა აღნიშნავს, „თემში მცხოვრებნი ეროვნებით ქართველები, ეთნოგრაფიულად ძირითადად მეგრელები არიან. ამავე დროს შეხვდებით გურულებს, იმერლებს, რაჭველებსა და აჭარლებს. სალაპარაკო ენა ქართულ-მეგრულია“ (დეკანოზი კონსტანტინე, 2004, გვ. 7). საერთოდ კი, აბაშის რ-ნში ცხენისწყალ-ნოდელას შუა აშკარად შეინიშნება ინტერფერენცია (ორენოვნობა).

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: გუღეიკარსა და კეთილარს შუა 200 წლის წინათ ცხენისწყალი გაედინებოდა. მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა წერს: ნოდელა „თუ ადრე ტყვირის ეკლესიას აღმოსავლეთით უვლიდა, ახლა დასავლეთით ჩამოუარა. შესაბამისად შესართავმაც გადაინაცვლა და თუ ადრე ნაცხენისწყლევი-ნოდელის კალაპოტი კეთილარსა და გუღეიკარს მიჯნავდა, ეხლა უკვე კოდორსა და კეთილარს შუა ჩადგა... კეთილარელები იხსენებენ „ძველების“ ნაამბობს იმის შესახებ, რომ ადრე კეთილარიდან კოდორში ნავებით გადადიოდნენ“ (კაჭარავა, 2004, გვ. 57).

1996 წელს კეთილარის თემის საკრებულოს სამ სოფელში (კეთილარი, გუღეიკარი, გაღმა კოდორი) მკვიდრობს 84 გვარის მატარებელი 390 კომლი. თემის მასშტაბით კომლმრავალი გვარებია: ჩაგანავა – 61კ. (მხოლოდ კეთილარში), კეკელიძე – 25კ., გუგუშვილი – 16კ., თევზაძე – 13კ. (ძირითადად გუღეიკარში), თედორაძე – 12კ., გვაძაბია – 11კ., ნიკურაძე – 10კ., სურმავა – 10კ., ჯანაშია, შავაძე – 8-8კ.

2002 წელს კეთილარის თემის საკრებულოს სამივე სოფელში აღინუსხა 1203 მუღმივი მოსახლე (კაცი – 568, ქალი – 635).

კეთილარი

კეთილარი – სოფელი აბაშის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, მდ. რიონის მარცხ. ნაპირას, სოფსაბჭოს ცენტრი. ზ.დ. 15 მ, აბაშიდან 23კმ, ჯაპანიდან 6,5კმ (ქსე, 5, გვ. 458). ესაზღვრება: სამხ.-აღმ-ით – გულეიკარი, დას-ით – გაღმა კოდორი, სამხრ-ით – ჯაპანა და ქვიანი (ორივე ლანჩხუთის რ-ნი).

სოფ. კეთილარი (ისევე როგორც გულეიკარი) ოდიშლენხუმის დავით დადიანისეული დაყოფის მიხედვით, შედის საჭილაოს მაზრაში. 1886 წელს ეს სოფელი „გულიკარის“ სოფლის საზოგადოებაშია, ოღონდ სახელწოდებით „კეთილა“ (100 კომლი, 628 სული). 1930 წელს კი კეთილარი (138კ., 626 ს.) გულეიკარ-კეთილარის სას. საბჭოში შედის. 1949 წელს კეთილარი უკვე კეთილარის სას. საბჭოს ცენტრია.

გადმოცემით, კეთილარის პირველმოსახლენი იყვნენ ჩაგანავები. ისინი მდ. რიონის მარჯვ. ნაპირზე ესახლნენ და მათი სალოცავი ტყვირი იყო, მაგრამ შემდეგში მდ. რიონმა ჩრდ-ით გადაინაცვლა და საჩაგანაო მდ. რიონის მარცხ. ნაპირზე აღმოჩნდა.

როგორია საისტორიო წყაროთა ჩვენებანი? სამწუხაროდ, კეთილარი არც უკვე დაბეჭდილ საეკლესიო-სამართლებრივ ძეგლებში ჩანს და არც ვახუშტის საისტორიო-გეოგრაფიულ თხზულებაში. უაკ ფრანსუა გამბას მოგზაურობის აღწერაში (1822 წ.) ორგანაა დასახელებული რიონისპირა სოფელი „კვეტილა“. მოგზაურები 1822 წლის 7 (19) ივნისს წალიკარიდან გასულან და ღამე კვეტილაში გაუთენებიათ. „ჩვენი მოგზაურები კვეტილადან დიდის ექვსის ნახევარზე გავიდნენ და ცხრა საათისათვის საკმაოდ დიდ სოფელს ჩაუარეს“ (გამბა, 1987, გვ. 142-143). XIX ს-ის დასაწყისის ერთ დოკუმენტში კი გვხვდება ფორმა „ქვეტილა“ (კეკელია, 2011, გვ. 36). ეს „ქვეტილა“ და „კვეტილა“, მკვლევართა აზრით, არის იგივე კეთილა, ანუ კეთილარი.

ეტიმოლოგიისათვის: როგორც კ. კაჭარავა აღნიშნავს, ტოპონიმ კეთილარის დამაჯერებელი ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება. გ. ელიავა ასახელებს „კეთილა“ ფორმას და გადმოსცემს ხალხური ეტიმოლოგიის რამდენიმე ვარიანტს, რომელთა „მტკიცება“ ასეთია: 1. ადგილი ყოფილა კეთილი და ამიტომ შეურქმევიათ კეთილა, კეთილარი; 2. არაბების წინააღმდეგ ბრძოლა კეთილად დასრულებულა; 3. ხატი ყოფილა კეთილი კეთილარის ნასალოცვარის მიდამოებში (ელიავა, 1977, გვ. 61). მსგავსი გადმოცემა ჩაუწერია მღვდელ კონსტანტინე კაჭარავასაც (კაჭარავა, 2011, გვ. 36). შდრ. კ. ჰანი: „ — . კეთილი = „ (ჰანი, 1909, გვ. 80).

რესპოდენტთა გადმოცემით, სოფლის სახელწოდების ადგ. ვარიანტია კეთილური. ამაზე დაყრდნობით, ი. კეკელია ვარაუდობს: „სახელწოდებაში გამოიყოფა კეთილ-ფუძე და -ნარ სუქფიქსი“ (ე.ი. კეთილნარი კეთილარი), მაგრამ იქვეა ნათქვამი: „გასარკვევია ოიკონიმის ფუძის შინაარსი“ (კეკელია, 2011, გვ. 37). იქნებ ასეც იყოს, თუ მოვიშველიებთ აღ. ქობალიას განმარტებას, რომ კეთილური ვახის ჯიშია (შენიშვნა: ერთი გარემოება მაინც უდავოა: ტოპონიმის ფუძე იმერული ან გურული დიალექტის კუთვნილებაა. მით უმეტეს, კ. კაჭარავას მიერ ჩაწერილ გადმოცემაში ნათქვამია: „სწორედ გურიიდან გადმოხვეწილთა და დამკვიდრებულთა ნათესავებს უთქვამთ: „ესე სოფელი კეთილ არს“).

რესპოდენტთა გადმოცემით, სამივე სოფელში – კეთილარსა, გულეიკარსა და გაღმა კოდორში ეკლესიები წმ. გიორგის სახელობისა იყო. 1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალების მიხედვით კი მხოლოდ კეთილარშია ერთი ეკლესია (კაჭარავა, 2010, გვ. 79).

1996 წელს კეთილარში მკვიდრობდა 39 გვარის მატარებელი 101 კომლი. მათგან მრავალკომლიანი გვარებია: ჩაგანავა – 61კ., ჯანაშია და გუგუშივილი – 8-8კ.

2002 წელს სოფ. კეთილარში აღინუსხა 485 მუდმივი მოსახლე (კაცი – 236, ქალი – 249). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ფარცვანია შალვა ტრიფონის ძე, 71 წ.
ქობულა ვახტანგ გალაქტიონის ძე, 41 წ.
ჩაგანავა გივი ბაგრატის ძე, 53 წ.

ბაღმა კოდორი

ბაღმა კოდორი – (ყოფილი მეორე კოდორი) – სოფელი აბაშის რ-ნის კეთილარის სას. საბჭოში, მდ. რიონის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 11 მ, ქ. აბაშიდან 45კმ, კეთილარიდან 2კმ (ქსე, 3, გვ 21). დაზუსტება: ბაღმა კოდორი მდებარეობს კეთილარის დას-ით. ფიხორამდე კი ანჯერის ფართო მასივია.

კოდორი ერთი სოფელი იყო XIX ს-ის შუა წლებში: ოდიშ-ლენჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის ცნობარის მიხედვით, იგი შედის საჭილაოს მაზრაში. 1886 წელსაც კოდორი ერთი სოფელია (შედის ნაესაკაოვოს სოფლის საზოგადოებაში: 236 კომლი, 1237 სული). მაგრამ 1930 წელს იგი ორ სოფლადაა წარმოდგენილი: მდ. რიონის მარჯვ. ნაპირასაა პირველი კოდორი (შემდგომში: გამოდმა კოდორი), რომელიც შედის აბაშის რ-ნის ნაესაკაოს სას. საბჭოში, ხოლო მდ. რიონის მარცხ. მხარესაა მეორე კოდორი (შემდგომში: ბაღმა კოდორი), რომელიც შედის გუღეიკარ-კეთილარის სას. საბჭოში (მოსახლეობა: 100კ., 391 ს.). რა მოხდა? საქმე ისაა, რომ XIX ს-ის დასაწყისში კოდორი ორად გაიყო მდ. რიონის არხით. ეს არხი მალევე მთელი მდინარის სადინარი გახდა. რესპოდენტთა გადმოცემა: გუღეიკარელი დილით არხზე გადაამხტარა და აბაშისაკენ გაუწევიდა. სადამოს რომ მობრუნდა, არხზე მთელი რიონი მიედინებოდა.

განმარტებანი: ალ ქობალია: „კოდორი – კლდოვანი“; ო. ქაჯაიას ლექსიკონში ეს ლექსემა არ ჩანს. ი. ჩანტლაძემ საგანგებოდ შეისწავლა კოდორ სიტყვის ეტიმოლოგიის საკითხი, არ გაიზიარა ქეთევან მარგვიან-დადვანის, ზ. ჭუმბურიძისა და თ. მიბზუნანის მოსაზრებანი, შეისწავლა კოდორ- სიტყვის სემანტიკის საკითხები და გამოთქვა ვარაუ-

დი, რომ „კოდორი“ „წელის“ სემანტიკას შეიცავს და არა „მთის ფერდობის ან ხმელეთისას“ (ჩანტლაძე, 2012, გვ. 229). შდრ. სვანურ ლექსიკონთა ჩვენებანი: 1. ვ. თოფურია, მ. ქაღდან: ა. სვან. კადარ „ხმელი, მშრალი ადგილი; ხმელეთი“; ბ. ა. ლიპარტელიანი: „კადარ – ხმელეთი, სიმშრალე“. მღვდელი კონსტანტინეს მიერ ჩაწერილი განმარტებით, კოდორი იგივე კოდმეა, ე.ი. ხაბო, მდინარის მაღალი ნაპირი (კაჭარავა, 2004, გვ. 8).

1996 წელს გაღმა (მეორე) კოდორში მკვიდრობდა 29 გვარის მატარებელი 98 კომლი. შედარებით მრავალკომლიანი გვარებია: სიმონია – 8კ., ჩაჩავა და ხორავა – 7-კომლი. 2002 წელს კეთილარის თემის საკრებულოს სოფ. გაღმა კოდორში ესახლა 485 მუდმივი მოსახლე. სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბზიავა გურამ სამსონის ძე, 38 წ.

სიმონია ვასილ თედორეს ძე, 68 წ.

ჩოჩია არისტრახო ფილიპეს ძე, 65 წ.

ჩოჩია ძაკა ათანასეს ძე, 74 წ.

ხორავა ლერი რეზოს ძე, 26 წ.

ბუღეიკარი

ბუღეიკარი – სოფელი აბაშის რ-ნის კეთილარის სას. საბჭოში. მდ. რიონის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 15 მ, ქ. აბაშიდან 42 კმ, რკინიგზის სადგურ საჯავახოდან – 4კმ (ქსე, 3). დამატებითი ინფორმაცია: აღმ-ით ესაზღვრება ქორეისუბანი (სამტრედიის რ-ნი), დას-ით – სოფ. კეთილარი, ხოლო სამხრ-ით – ლანჩხუთის რ-ნი.

XIX ს-ის ორმოციან წლებში სოფელი „ბუღეიკარი“ შედის საჭილაოს მაზრაში. 1886 წლისათვის უკვე შექმნილია „ბუღეიკარის“ სოფლის საზოგადოება, რომელშიც შედიოდა:

ბუღეიკარი (ვ.) – 104 კომლი (451 ს.).

კეთილა – 100 კომლი (623 ს.).

ქორეისუბანი – 69 კომლი (254 ს.).

ტყვირი – 70 კომლი (368 ს.).

ტოლები – 31 კომლი (260 ს.).

ჯამი: 374 კომლი, 1956 სული.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სოფელს ერქვა „გულეველი“ და აქ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის აშენების შემდეგ ეწოდა „გულეველისკარი“. ვარიანტი „გულეველისკარი“ მოხსენიებულია დაახლოებით 1616-1633 წლებში შედგენილ „შეწირულების წიგნში“ (ქსბ, III, გვ. 500-501).

გადმოცემით, გულეიკარის ძირითადი მაცხოვრებლები გურიიდან არიან გადმოსულები: კეკელიძეები, თევზაძეები, სურმავეები, გოჩოლეიშვილები... და ამიტომაც აქ საოჯახო სალაპარაკო ენა ძირითადად ქართულია (გურული დიალექტი). ამას ადასტურებს გულეიკარის (და გულეიკარის თემის სხვა სოფლების) მცხოვრებთა გვარები, რომელთა რაოდენობასაც ცხადყოფს გულეიკარის საკრებულოს მიერ თსუ ტოპონიმიკის ლაბორატორიის თხოვნით გამოგზავნილი ცნობა. თემში დადასტურდა 84 გვარის მატარებელი 390 კომლი. მათგან გულეიკარში – 37 გვარის მატარებელი 134 კომლი. კომლმრავლობით გამოირჩევა: კეკელიძე – 20კ., თევზაძე – 11კ., გვაძაბია – 11კ., სურმავე – 10კ., თედორაძე – 9კ., იაკობაძე – 8კ., ოდიშარია – 8კ., ნიკურაძე – 8კ., თოფურია – 8კ., ჩიტეიშვილი – 6კ., სანაძე – 5კ.

ეთნოლოგი გ. ელიავა **გულეიკარს** განმარტავს, როგორც „გულიკარს“ და იშველიებს რესპოდენტისეულ გადმოცემას: „ეს ადგილი გულიას ნასახლარია. ზოგჯერ მასზე გულეკარსაც ამბობენ. აქ გულედას სალოცავი ყოფილა უხსოვარ დროს“. მკვლევარი აქვე მოგვითხრობს ძველთაძველ გადმოცემას: გულეიკარის წმ. გიორგის ხატი გაბრაზებია დამპყრობელ მურვან ყრუს, რომელიც შეშინებული და თავისი ხმალი აქ დაუტოვებია, ხოლო მისი შერცხვენილი ლაშქარი გასცლია ამ ადგილს (ელიავა, 1977, გვ. 62). ამ ლეგენდის განსხვავებული ვარიანტები აქვთ ჩაწერილი ექვთიმე თაყაიშვილს, როდინ ქორქიას, კონსტანტინე კაჭარავას და სხვ. ტოპონიმი „გულევერიკარის“ ფორმით

არის აღნიშნული თ. ბერაძის მიერ შედგენილ „XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზეც“. ეკლესიის ორი ხატის ხუცურ წარწერაში სოფლის სახელწოდებაა „ბულეველი“.

გულეიკარის ეკლესიასთან ყოველწლიურად, ივლისის ბოლო შაბათს, იმართებოდა გულივერობა (გადმოცემით, გულივერი იყო ის ჭაბუკი, რომელმაც წმ. გიორგის შეწევნით ხმალი ხელიდან გააგდებინა მურვან ყრუს). სწორედ ამ გადმოცემაზეა დამყარებული ხალხური ეტიმოლოგია, რომლის მიხედვითაც გულეიკარი ნიშნავს გულოვანის, ანუ ახოვანის კარს („კარი“ ემატება ნაგებობის სახელს ან ანთროპონიმს და წარმოიქმნება ნაგებობის, ჩვეულებრივ, ეკლესიის, ან ანთროპონიმით აღნიშნული პიროვნების სამოსახლოს წინ (ან ირგვლივ) მდებარე ობიექტის სახელს, მაგ., მანცხვარკარი). სწორედ ამ გულივერობაზე თავს იყრდა დიდძალი ხალხი გურიიდან და სამეგრელოდან.

გულეიკარის წმ. გიორგის ეკლესია უძველეს დროშივე ყოფილა აგებული თლილი ქვებით. მოგვიანებით აქ ეკლესია ხელახლა აუგიათ.

ფორმა „გულეველი“ დაფიქსირებული ყოფილა წმ. გიორგის ხატის ხუცურ წარწერაში: „ქ. წმინდაო გიორგი გულეველისაო“. სოფლის სახელწოდების ადგილობრივი ვარიანტია „გულეკარი“ ან „გუეკარი“. მართალია, ჭეშმარიტებისგან შორს დგას, მაგრამ კ. ჰანის ეტიმოლოგიას მაინც მოეუხმობთ: „ - - - - - გული „ - - - - - კარი - - - - - : „. ი. კეკელიას დასკვნით, გულეიკარი ანთროპონიკონიმი: „გულეიკარი „გულე(ი)სკარს“, გულე(ი)ს სახლთან მდებარე მოედანს ნიშნავს“ (კეკელია, 2011, გვ. 126). აქვე წარმოვადგენთ ა. ფაილოძის მოსაზრებას: „გულეიკარი, ვფიქრობთ, მიღებულია გულეკალნარიდან. მისი შეკუმშვით, ცალკეული ბგერების ამოვარდნით, ანდა გულუათა კარისგან“ (ფაილოძე, 2011, გვ. 214). ამასთან დაკავშირებით ი. კეკელია აღნიშნავს: „ეკალნარიდან ოიკონიმ გულეიკარის წარმოშობაზე მსჯელობა დასაბუთებული არაა და, ამდენად, დამაჯერებლობას მოკლებულია“ (კეკელია, 2011, გვ. 25).

2002 წელს სოფ. გულეიკარში მკვიდრობს 408 მუდმივი მოსახლე (კაცი – 187, ქალი – 221). სოფლის ტოპონიმია ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

გვაძაბია ალექსანდრე ესტატეს ძე, 70 წ.

ბაქრაძე ამბერკი გარსევანის ძე, 84 წ.

საბულუა ნორა გალაქტიონის ას., 40 წ.

სურმავა ილია სიმონის ძე, 54 წ.

მარნის თემის საკრებულო

მარნის თემის საკრებულო – ადმ.-ტერიტ. ერთეული აბაშის რ-ნში, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე. შედის სოფლები: მარანი (ც.), გუგუნაყათი, მარანჭალა. სამხრ-ით ესაზღვრება პირველი მაისის თ/ს (მისგან გამოყოფილია რკინიგზის მაგისტრალით), ხოლო ჩრდ.-დას-ით – ქლობნის თ/ს.

მარნის ადგილობრივი ადმ.-ტერიტ. ერთეული სახელწოდებით „მარნის სოფლის საზოგადოება“ პირველად დასახელდა 1886 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული კომლობრივ-სულადობრივი აღწერის ცნობარში (იხ. ... 1893). ამ სოფლის საზოგადოებაში შედის 9 სოფელი (ოღონდ მათ შორის არ ჩანს საკუთრივ მარანი) კომლთა და სულთა ასეთი მონაცემებით:

ილარი მეორე (ც.) – 277კ., (1536 ს.).

ბულვანი – 9კ., (59 ს.).

გოუწყინარი – 101კ., (560 ს.).

გუგუნაყათი – 28კ., (157 ს.).

ილარი პირველი – 273კ., (1485 ს.).

ქვიშანჭალა – 56კ., (298 ს.).

ნაფაცხევი – 5კ., (19 ს.).

თხმელარი – 31კ., (156 ს.).

ეკალი – 12კ., (38 ს.).

ჯამი: 792 კომლი, 4308 სული.

1930 წლისათვის შექმნილია „მარნის სას. საბჭო“, რომელშიც შედის 7 სოფელი (მაგრამ არც მათ შორისაა მარანი):

გაუწყინარი – 150კ., (682 ს.).

თხმელარი – 79კ., (364 ს.).

ილორი პირველი – 288კ., (1287 ს.).

ილორი მეორე – 442კ., (2103 ს.).

კუტა-ეწერი – 107კ., (479 ს.).

მარნის ქარხანა – 21კ., (38 ს.).

ქვიშანჭალა – 69კ., (337 ს.).

ჯამი: 1156 კომლი, 5290 სული.

1949 წელს კი აბაშის რ-ნის „მარნის სას. საბჭოში“ შედის მხოლოდ სამი სოფელი – მარანი (ც.), მარანჭალა და გუგუნაყათი (გაუწყინარი, ქვიშანჭალა და თხმელარი პირველი მაისის სას. საბჭოშია გაერთიანებული. სხვა სოფლებს სათანადო სტატუსი მოეხსნათ).

1996 წელს მარნის თემის საკრებულოს სამ სოფელში აღინუსხა 172 გვარის მატარებელი 812 კომლი, მათგან მარანში – 575კ., (115 გვარი); მარანჭალაში – 200კ., (44 გვარი); გუგუნაყათში – 37კ., (13 გვარი). თემის მასშტაბით მრავალკომლიანი გვარებია: დუნდუა – 109კ. (მთლიანად სოფ. მარანში), ჯანელიძე – 75კ., თელია – 41კ. (ძირითადად მარანჭალაში), გოგიშვილი – 36კ. (მთლიანად სოფ. მარანში), პიტავა – 25კ. (მთლიანად სოფ. მარანში), ვაჩეიშვილი – 21კ., ცომაია – 16კ. (მთლიანად სოფ. მარანში), ლაბარტყავა – 15კ. (მთლიანად სოფ. მარანში), ფრანგიშვილი – 11კ. ცნობა შედგენილია ნ.ქ. კოჩაძის მიერ. ხელს აწერს მარნის თ/ს თავმჯდომარე.

2002 წელს მარნის თემის საკრებულოში მკვიდრობს 2290 მუდმივი მოსახლე (კაცი – 1020, ქალი – 1270).

მარანი

მარანი – სოფელი და მარნის სას. საბჭოს ცენტრი აბაშის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის

მარჯვ. ნაპირას. აქვეა სამტრედია-ფოთის რკინიგზის ბაქანი. ზ.დ. 16 მ, ქ. აბაშიდან 10კმ (ქსე, 6). ესაზღვრება: ჩრდ.-დას-ით – მარანჭალა, სამხრ-ით – პირველი მაისი, სამხრ.-დას-ით – თხმელარი, დას-ით – ტყვირი. მარანი, როგორც სოფლის სტატუსის მქონე დასახლებული ერთეული, პირველად გამოჩნდა საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში 1949 წელს როგორც სოფელი და სას. საბჭოს ცენტრი.

მარანი დასახელებულია 1803 წელს შედგენილ სოლომონ მეორის „წყალობის წიგნში“: „საჭილაოს დაგასახლეთ და ჩვენი სახასო მიწა გიბოძეთ ოთხი ქცევა სამოსახლოთ მარანთან ნავენახარი...“ (კაკაბაძე, II, 1921, გვ. 142), აგრეთვე (არაერთგზის) ედუარდ აიხვალდისა და ჟაკ გამბა ფრანსუას მოგზაურობათა დღიურებში. კერძოდ, ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც 1822-1824 წლებში იმოგზაურა ამიერკავკასიაში და აბაშიდან ეწვია მარანს, აღნიშნავს: „აბაშასა და მარანს შორის ბევრია თუთის ხეები, მაგრამ აბრეშუმის პარკის გამოყვანა, განსაკუთრებით კი აბრეშუმის რთვის ხელსევენება, აქ ჯერ კიდევ სრულიად ახალი საქმეა“ (გამბა, 1987, გვ. 128).

გ. ელიავას გადმოცემით, მარანი ოდესღაც საჭილაოს ცენტრი ყოფილა. იგი ოდითგანვე მევენახეობის ძლიერ დაწინაურებულ სოფლად ითვლებოდა. ჭილაძეებსა და დადიანებს სწორედ აქ ჰქონიათ მამულები. სოფელი სულ მარნებით ყოფილა მოფენილი, მოჰყავდათ ჩეში, ხარდანი, პუმპულა, ჩერგვალი და სხვ., რომლებიც ხურმისა და ვაშლის ხეებზე ყოფილა გაშვებული (ელიავა, 1977, გვ. 40).

1886 წლის კომლობრივი აღწერის ცნობარში (... 1893) გამოყოფილია „მარნის სოფლის საზოგადოება“, ხოლო 1930 წელს – „მარნის სას. საბჭო“, მაგრამ სოფელი მარანი არც ერთგან ჩანს და არც მეთორვეან. თიკონიმის ამოსავალი ფუძე ნათელია – მარანი (ღვინის დასაყენებელი და შესანახი ნაგებობა). ტოპონიმი წარმოქმნილია ლექსიკური რანგის შეცვლის გზით: მარანი (ნაგებობა) მარანი (იქვე არსებული ან ახლად წარმოქმნილი უბნის სახელი) მარანი (სოფელი).

1996 წელს მარანში მკვიდრობდა 157 გვარის მატარებელი 905 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: დუნდუა – 109კ., გოგიშვილი – 36კ., ჯანელიძე – 23კ., ტალიკაძე – 24კ., ცომაია, ვაჩიშვილი, ნოღია – 16-16კ., ლაბარტყავა – 15კ., ბოხუა – 9კ., ხურცილავა – 8კ.

2002 წელს მარნის თემის საკრებულოს სოფ. მარნის მოსახლეობა შეადგენს 1758 სულს. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ანაკიძე ვალერიან გაბრიელის ძე, 74 წ.

დუნდუა გალაქტიონ სევერიანის ძე, 71 წ.

დუნდუა ნიკოლოზ გრიგოლის ძე, 65 წ.

ელიავა კოლია მექის ძე, 68 წ.

კილაძე გრიგოლ ვალიკოს ძე, 81 წ.

სამანიშვილი ოთარ შალვას ძე, 56 წ.

ჯანელიძე ვარლამ მანუჩარის ძე, 80 წ.

სოფ. მარანში გვართა დასახლებებს ეწოდებათ: გოგიშვილების უბანი, ვაჩიშვილების უბანი, ცომაიების უბანი.

გუგუნაყათი

გუგუნაყათი – სოფელი აბაშის რ-ნის მარნის სოფსაბ-ჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას. ზ.დ. 25 მ, ქ. აბაშიდან 8კმ, სოფ. მარნიდან 2 კმ (ქსე, 3).

რესპოდენტი გადმოსცემს: წინაპართაგან ხშირად მსმენია, რომ დღევანდელ გუგუნაყათს უწინ ერქვა გამოღმა ილორი. სკოლა მერე ილორში იყო და მეც იქ დავდიოდი. ნანწარულს კი ერქვა პირველი ილორი და მერე დაერქვა პირველი მაისი. საკუთრივ ილორი კი არის ცხენისწყლის გაღმა, სამტრედიის რაიონში.

ოდიშ-ღეჩხუშის დავით დადიანისეული დაყოფის ცნობარში ცხენისწყლისპირას მდებარე რამდენიმე სოფელია დასახელებული, მაგრამ გუგუნაყათი არ ჩანს. მომდევნო 4 ათეული წლის მანძილზე გუგუნაყათმა, როგორც ჩანს,

სოფლის სტატუსი მიიღო. 1886 წელს ჩატარებული კომლობრივი-სულადობრივი აღწერის ცნობარში (იხ. ... 1893) მარნის სოფლის საზოგადოებაში შემავალ 9 სოფელს შორის დასახელებულია (მოსახლეობა: 28კ., 157 ს.). საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ სოფელი გუგუნაყათი (111კ., 504 ს.) ქოლობნის სას. საბჭოში შევიდა. ამასთანავე, სოფლის ჩრდ. ნაწილში შეიქმნა მერძვეობა-მეზოსტნეობის მეურნეობა, ხოლო სამხრ. ნაწილში – კოლმეურნეობა „მრომა“. ამის მიხედვით საბოლოოდ გუგუნაყათი ორ დამოუკიდებელ სოფლად დაიყო: ერთი შევიდა ქოლობნის, ხოლო მეორე – მარნის სას. საბჭოში (განმასხვავებელი და დამაკონკრეტებელი ეპითეტების გამონახვა, როგორც ჩანს, აზრად არავის მოსვლია. საუბრისას კი იტყვიან: ქოლობნის გუგუნაყათი, მარნის გუგუნაყათი).

გუგუნაყათში ყოველწლიურად ტარდებოდა დღესასწაული ტილიფობა, რაც ემთხვეოდა საზამთროს შემოსვლას. შდრ. „ტილიფობა//ტილიფიმოფენა – სულიწმინდის მოფენის დღესასწაული ამადლებიდან მეათე დღეს (ღეჩხუმი)“. (იხ. ქელ, 2009, გვ. 130).

გუგუნაყათის (მეგრ. გუგუნაყათი) ეტიმოლოგია-მოტივაციისათვის: „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკაში“ გ. ელიავა ქ. აბაშის ტოპონიმთა ჩამონათვალში ასახელებს „გუგუნაყათს“ და ასე განმარტავს: „გუგუნაშ ოხორუ, გუგუნაშ თი – გუგუნას ნასახლარი“ (ელიავა, 1977, გვ. 39). მარნის სას. საბჭოს ადგილთა სიაში კი იგივე ავტორი, ასახელებს რა ამ ტოპონიმს, გადმოგვცემს რესპოდენტთა განმარტებებს: ა. „აქ ვინმე გუგუ სახლებულა, ამ ადგილებში სახლ-კარი გაუმართავს. ამიტომ დარქმევი გუგუში ნაყათი“; ბ. „გუგუ ყოფილა ლამაზი ქალი, რომელიც კაჭარავას მოუტაცნია, მაგრამ გამოქცევიდა და თავის სოფელში ჩამოსულა, შინ მისვლა სასირცხო საქმედ ჩაუთვლია და რუშეში თავი დაუხრჩვია. ამიტომ ამ ადგილს გუგუნაყათი შერქმევი“; გ. „აქ გუგუნა (გუგუნავა) სახლებულა, დიდი კაცი, თავისი დიდი ოჯახით და მათს ნასახლარს გუგუნაყათი შერქმევი“ (ელიავა, 1977, გვ. 42). ეს ბოლო გადმოცემა-მოტივაცია ჭეშმარიტებასთან ახლოს

დგას, ოღონდ საჭიროებს ენობრივ-ფონეტიკურ დასაბუთებას.

ცნობილია, რომ ქართველურ ენებში ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად საჭირო ხდება თანხმოვნის ჩართვა: მა „მე“ მა-ვა „მეო“, მუ ფქიმიანა „რა ვქნა“ მუ ფქიმიანა-ვა „რა ვქნაო“ (ყიფშიძე, 1994, გვ. 43). დღეს მეგრულში საგვარსახელო საგანგებო სუფიქსებია -ვა, -ია, -უა, მაგრამ ისტორიულად მხოლოდ -ა ხმოვანს ჰქონდა ეს ფუნქცია. „ქართული სამართლის ძეგლების“ მრავალტომეულში დასტურდება გვართა ასეთი ფორმები: გუგუნაა, ნიკოლაა, შაფათაა... ყველა ამ შემთხვევაში ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად ხდება გ ხმოვნის ჩართვა: გუგუნავა, ნიკოლავა, შაფათავა, მაგრამ როგორც ჩანს, იშვიათად ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად გამოიყენებოდა ე ბგერაც. მაშასადამე, გუგუნავას გვერდით გამოიყენებოდა გუგუნაჲა ფორმაც. სხვათაშორის, ი. ყიფშიძეც ტოპონიმ გუგუნაყათს (და საგუგუნასაც) სწორედ გვარ გუგუნავასთან ასახელებს (ყიფშიძე, 1994, გვ. 423).

დასკვნა: კოლხურ გვარსახელებში ფაქტობრივი და ისტორიული მაწარმოებელია -ა, მაგრამ სინქრონიულ ჭრილში ბგერათკომპლექსი (-ვა, -ია, -უა) საგანგებო საგვარსახელო სუფიქსებია (იხ. ვრცლად: ცხადაია, 2000, გვ. 16-27).

მაშასადამე: გუგუნა (პირსახელი) გუგუნაა (გვარსახელი) გუგუნავა გვაფიქრებინებს, რომ გუგუნაჲაში ე ისეთივე ჩანართია, როგორიც ვ. ასეთ შემთხვევაში: გუგუნაჲა (გვარსახელი) გუგუნაჲათი „გუგუნაჲას ოჯახი, გუგუნაჲას შთამომავლობა“ (ჯგუფური ანთროპონიმის ტოპონიმთა რანგში გადასვლა სამეგრელოს ტოპონიმიაში იშვიათი აღარაა). გუგუნაყათი მეგრული გუგუნაჲათის ქართული ვარიანტია.

XVIII-XIX საუკუნეების საისტორიო წყაროებში გვხვდება არა მარტო გუგუნაყათი, გუგუნაკათი, არამედ გუგუნაყარი ფორმაც: 1787 წელს შედგენილ ერთ შეწირულების წიგნში, რომელშიც წარმოდგენილია „ნუსხა ქრისტეს საფლავის ყმებისა“ დასახელებულია „გუგუნაყარი“ ფორმაც (კაკაბაძე, II, გვ. 92), რასაც ა. ფაილოძე გაიანზ-

თელია ვალერიანე სილოვანის ძე, 77 წ.
ფრანგიშვილი კირილე სიმონის ძე, 85 წ.
ჯანელიძე ვარლამ მანუჩარის ძე, 80 წ.

მარანჭალა

მარანჭალა – სოფელი აბაშის რ-ნის მარნის სოფსაბ-
ჭოში, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას. ზ.დ. 25 მ, ქ. აბა-
შიდან 8კმ, სოფ. მარნიდან 2,5კმ (ქსე, 10). დაზუსტება: მა-
რანჭალა მდებარეობს საკუთრივ სოფ. მარანსა და მარნის
თ/ს-ში შემავალ გუგუნაყათს შუა, დას-ით ესაზღვრება
ბუღვანი.

მარანჭალამ აბაშის რ-ნის სოფლებს შორის ყველაზე
ბოლოს მიიღო სოფლის სტატუსი. იგი პირველად გამოჩ-
ნდა მარნის სას. საბჭოს შემადგენლობაში 1949 წელს. გ.
ელიავას რესპოდენტი აზუსტებს, რომ მარანჭალა ის ადგი-
ლია, „სადაც ახლა კლუბი და კანტორაა. იქ დადიანს იმე-
რეთისა და ოდიშის საზღვარზე ჰქონია მამული და მარანი.
იგი პუმჟულას ყურძენს წურავდა და ღვინოს აყენებდა“
(ელიავა, 1977, გვ. 41). 1996 წელს მარანჭალაში მკვიდრობ-
და 44 გვარის მატარებელი 200 კომლი. მრავალკომლიანი
გვარებია: ჯანელიძე – 37კ., თელია – 35კ., პიტავა – 22კ.,
ბოხუა – 14კ., გაბუნია, გეგეშიძე – 6-6კ., ასათიანი – 5კ.
გვართაგანაა წარმოქმნილი საუბნო სახელები: თელიების
უბანი, პიტავების უბანი, ჯანელიძეების უბანი, თელიების
უბანი.

2002 წელს მარნის თემის საკრებულოს სოფ. მარანჭა-
ლაში მკვიდრობს 267 მუდმივი მოსახლე. სოფლის ტოპო-
ნიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის 12 ოქტომბერს. რეს-
პოდენტები იყვნენ:

ბრელიძე ჩიხერინი სამსონის ძე, 62 წ.

თელია ვეტიხი რომანოზის ძე, 63 წ.

თელია ვალერიანე სილოვანის ძე, 71 წ.

პიტავა გივი ივანეს ძე, 60 წ.

პიტავა ტერენტი გიორგის ძე, 63 წ.

ნაესაკაოს თემის საკრებულო

ნაესაკაოს თემის საკრებულო – ადმ.-ტერიტ. ერთეული აბაშის რ-ნში, რიონის მარჯვ. მხარეს. ჩრდ.-ით ესაზღვრება ქ. აბაშა და ნორიოს თ/ს, ჩრდ.-დას-ით – სუჯუნის თ/ს, სამხრ-ით – მდ. რიონი.

1886 წლის მოსახლეობის კომლობრივი აღწერის ცნობარში (იხ. ... 1893) დასახელებულია „ნაესაკაოს სოფლის საზოგადოება“, რომელშიც შედის სოფლები:

ნაესაკაო (კ.) – 181კ., (989 ს.).

კოდორი – 236კ., (1237 ს.).

წალიკარი – 71კ., (380 ს.).

ცილორი – 35კ., (191 ს.).

შუაქალაქი – 15კ., (76ს.).

ეწერი – 207კ., (1189 ს.).

ჯამი: 745კომლი, 4062 სული.

1930 წლის ადმ.-ტერიტ. დაყოფით კი ნაესაკაოს სას. საბჭოში შედის 4 სოფელი:

ნაესაკაო (კ.) – 246კ., (1016 ს.).

კოდორი პირველი – 191კ., (750 ს.).

ტყვირი – 120კ., (496 ს.).

ცილორი – 73კ., (323 ს.).

ჯამი: 630 კომლი, 2585 სული.

ზემოთ დასახელებულ სოფელთაგან 1949 წელს ნაესაკაოს სას. საბჭოში დარჩენილია მხოლოდ ორი: ნაესაკაო და გამოდმა კოდორი. ეს ვითარება დღემდე შენარჩუნებული (კოდორი პირველს საბოლოოდ დაერქვა გამოდმა კოდორი). 1996 წელს ნაესაკაოს თემის საკრებულოს ამ ორ სოფელში მკვიდრობს 76 გვარის მატარებელი 450 კომლი. თემის მასშტაბით მრავალკომლიანი გვარებია: კუჭუხიძე – 83კ., მიმინოშვილი – 55კ. (ძირითადად გამოდმა კოდორში), ქვილითაია – 41კ. (ძირითადად ნაესაკაოში), კუცია – 29კ. (ძირითადად გამოდმა კოდორში), ესაკია – 23კ. (მთლიანად ნაესაკაოში), კიხირია – 17კ. (მთლიანად გამოდმა კოდორ-

ში), ჩანავა, ჭანტურია – 12-12კ., კაჭარავა, კვიციანი – 10-10კ. (ძირითადად გამოღმა კოდორში). სათანადო ცნობას ხელს აწერენ ნაესაკაოს თ/ს გამგეობის თავმჯდომარე და მდივანი.

ნაშსაპო

ნაესაკაო – სოფელი და სოფსაბჭოს ცენტრი აბაშის რ-ში, ოდიშის დაბლობზე. ზ.დ. 15 მ, ქ. აბაშიდან 4,5კმ (ქსე, 7). დავაზუსტოთ: ნაესაკაო მდებარეობს მდ. ნოდელის მარჯვ. მხარეს, თბილის-ზუგდიდის სარკინიგზო მაგისტრალის მარცხ. მხარეს. ესაზღვრება: ჩრდ-ით – კვათანა, ჩრდ-დას-ით – მეორე ეწერი, აღმ-ით – ტყვირი, რიონისაგან აშორებს გამოღმა კოდორი. არაოფიციალური ვარიანტია **ნაესაკუ**. გ. ელიავა ასახელებს ნაესაკუ და საესაკიო ვარიანტებს და იქვეა მინიშნებული, რომ ტოპონიმისათვის ამოსავალია გვარი ესაკია (ელიავა, 1977, გვ. 52).

ადრეულ საეკლესიო-სამართლებრივ ძეგლებში ნაესაკაო არ ჩანს. 1838 წელს სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიათა ჩამონათვალში დასტურდება ნაესაკაოს წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც იდგა მდ. რიონის მარჯვ. მხარეს. სწორედ მას (ამჟამად ნაეკლესიარია) უწოდებენ ჯეგეხანგარამს (იხ. მეორე ნაწილში).

ოიკონომისათვის ამოსავალია გვარი ესაკია. სოფელში ამ გვარს ატარებს 23 კომლი. მათ უბანს, სოფლის ცენტრსა და სანაკაშისო შუა, კიდევ ეწოდება საესაკიო. მაშ რატომ დაერქვა სოფელს ნაესაკაო? – გადმოცემით, ესაკიებს ერთმანეთი დაუხოცავთ. ცოცხლად გადარჩენილა ორიოდე წარმომადგენელი ამ გვარისა. მაშინ დარქმევი ნაესაკუ, რაც თავდაპირველი ფორმა ჩანს დღევანდელი ნაესაკაოსი (დროთა განმავლობაში ესაკიები გამრავლებულან და მათ უბანს საესაკიო დარქმევი. ასეთი შემთხვევა სამეგრელოს ტოპონიმიაში სხვა გვარებთანაცაა დაფიქსირებული).

ორიოდე სიტყვა ნა- პრეფიქსთან დაკავშირებით: ნაესა-
კაო-სათვის ამოსავალია პირსახელი ესაკი, ან გვარსახელი
ესაკია. ნა- პრეფიქსი -ია, -აია, -უა დაბოლოებასთან მოით-
ხოვს -უ სუფიქსს: გაბუნია ნაგაბუნუ, ჩხაპელია ნაჩ-
ხაპელუ, პატარაია ნაპატარუ, პერტაია ნაპერტუ, ცა-
ნავა ნაცანუ, ლაგვილავა ნალაგვილუ, ჭკადუა
ნაჭკადუ, კიტესქუა ნაკიტესქუ და ა.შ. ამასთანავე -ავა
დაბოლოებიანი გვარსახელი ნა- პრეფიქსის დართვისას
გამოაფლენს -ავ ან -აო ბოლოკიდურს: ჩილაჩავა ნაჩი-
ლაჩაო (ლიტ. ფორმა: ნაჩილაჩაო), ხურცილავა ნახურ-
ცილაო (ლიტ. ფორმა: ნახურცილაო)... მაშასადამე, ფორმა
ნაესაკაო უნდა მოეცა **ესაკაია**-ს, მაგრამ ასეთი გვარი არ
დასტურდება. იშვიათად იჩენს თავს ნაესაკოვო ფორმაც:
მოსახლეობის 1886 წლის აღწერის მასალებში (... 1893)
დასტურდება , მაგრამ საბჭოთა პერიოდში გამო-
ცემული ყველა „დაყოფის“ ცნობარში (და დღესაც. იხ. ქსე,
3) გაბატონებულია „ნაესაკაო“.

1996 წელს ნაესაკაოში მკვიდრობს 57 გვარის მატარე-
ბელი 275 კომლი. კომლმრავალი გვარებია: კუჭუხიძე –
80კ., ქვილითაია – 39კ., ესაკია – 23კ., კაჭარავა და ჭანტუ-
რია – 10-10კ., გაბელაია – 9კ. საუბნო სახელები წარმოქ-
მნილა როგორც ამ კომლმრავალ (საკუჭუხიო, საქვილი-
თაო, საესაკიო), ისე კომლმცირე გვართაგანაც.

2002 წელს ნაესაკაოში აღინუსხა 795 მუდმივი მოსახ-
ლე (კაცი – 366, ქალი – 429). ტოპონიმური მასალა ჩაწერი-
ლია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

გაბელაია შალვა ესტატეს ძე, 81 წ.

კუჭუხიძე ვანო გიორგის ძე, 80 წ.

კუჭუხიძე ჯემალ ვლადიმერის ძე, 38 წ.

გიგინეიშვილი დავით ზოსიმეს ძე, 63 წ.

ქვილითაია აკაკი ამბაკოს ძე, 76 წ.

ქვილითაია მიხეილ პეტრეს ძე, 75 წ.

ცოშია ფილიპე ესტატეს ძე, 81 წ.

გამოღმა კოდორი

გამოღმა კოდორი – სოფელი აბაშის რ-ნის ნაესაკაოს სას. საბჭოში, მდ. რიონის მარჯვ. ნაპირას. ზ.დ. 14 მ, ქ. აბაშიდან 5კმ, ნაესაკაოდან 3კმ (ქსე, 2). დაზუსტება: გამოღმა კოდორი მდებარეობს ნაესაკაოსა და რიონს შუა. აღმ-ით ესაზღვრება ტყვირი და ცილორი. უწინ ოფიციალური, დღეს კი ადგ. ვარიანტია პირველი კოდორი.

XIX ს-ის 40-იან წლებში კოდორი ერთი სოფელია საჭილაოს მაზრაში. 1886 წელსაც კოდორი ისევ ერთი სოფელია, ოღონდ ამჯერად ნაესაკაოს სოფლის საზოგადოებაში (მოსახლეობა: 236 კომლი, 1237 სული). მაგრამ 4 ათეული წლის შემდეგ, მდ. რიონის კალაპოტის ცვლილების შედეგად კოდორი ორ ნაწილად გაიყო: კოდორი პირველი (მდ. რიონის მარჯვ. ნაპირას) დარჩა ნაესაკაოს სას. საბჭოში 91 კომლით (750 სული), ხოლო კოდორი მეორე (100კ., 391 ს.) აღმოჩნდა მდ. რიონის მარცხ. ნაპირას. შემდგომში ამ სოფლებს ეწოდათ გამოღმა კოდორი და გაღმა კოდორი. მაგრამ საქმე ისაა, რომ უფრო ადრეც იყო ცნობილი „გამოღმა კოდორი“ და „გაღმა კოდორი“. 1753 წელს შედგენილ „წყალობის წიგნში“ დასახელებულია „გამოღმა კოდორი“ (გაბრიელ ჭყონდიდელი აღნიშნავს, რომ რობას მცხოვრები სამი გლეხი „მიქელაძეებმან არ დააყენეს და წამოვიყვანეთ და გამოღმა კოდორში დავსახლეთ“ (იხ. ქსდ, III, გვ. 737). ხოლო „კოდორის გაღმართი“ კიდევ უფრო ადრეა დადასტურებული: ბეჟან დადიანის მიერ 1714 წელს შედგენილი „შეწირულობის წიგნი“ გვაუწყებს, რომ ანჯელი და „კოდორა გაღმართი“ ჭილაიებს ძველთაგანვე შეუწირავთ საჭყონდიდლოსათვის (კაკაბაძე, I, 1921, გვ. 113).

გადმოცემით, რიონი ფიჩორში ჩაედინებოდა. „ნარიონალი“ სწორედ იმ ვითარებას გამოხატავს, როცა რიონი იქ უკვე აღარ მიედინება. ი. კეკელია ხაზს უსვამს გამოთქმულ მოსაზრებას, რომ კოდორი ორ ნაწილად უნდა გაყოფილიყო XVII-XVIII სს-ში, როცა სოფლის სამხრეთით მდინარე რიონს კალაპოტი ხელოვნურად (არხით) შეუცვა-

ლეს (იხ. კეკელია, 2011, გვ. 38). სწორედ ამის შემდეგ განიხილა ჭყონდიდელის „შეწირულობის წიგნში“ დასახელებული ადგილი „გამოდმა კოდორი“.

უკ ფრანსუა გამბა 1822 წლის 19-20 ივნისის სამოგზაურო ჩანაწერებში რამდენჯერმე ასახელებს კოდორს: „კოდორში მდინარის მარჯვ. მხარეს განლაგებული დაახლოებით სამოცი სახლი დაითვლება. ეს ადგილი საკმაოდ მაღალია და ჰავაც ჯანსაღია. ამ ორი სიკეთის გამო კოდორს დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ვაჭრობისათვის“ (გამბა, 1987, გვ. 143). „კოდორის ზოგიერთი ვაჭარი თურქებთან ვაჭრობს“ (იქვე, გვ. 142). და სხვ. საერთოდ კი, კოდორი ხშირად ასრულებდა რიონზე ორპირისაკენ მოცურავე გემების ნავსადგურის როლს.

კოდორი სამეგრელოს ტოპონიმიაში ყოველთვის წყლისპირა ბექობს მიემართება. კ. კაჭარავას ასეთი განმარტებანი ჩაუწერია: კოდორი იგივეა, რაც კოდმე, ე.ი. მდინარის ხაბო, მაღალი ნაპირი (კაჭარავა, 2004, გვ. 8).

საეჭვო არაა, რომ სვან. **კადარ**, **კადარ**, „ხმელი, მშრალი ადგილი; ხმელეთი“ (სვან. ლექსიკონი, 2000, გვ. 340) იგივეა, რაც მეგრ. **კადარი**, ე.ი. მზისკენ მიქცეული ფერდობი (ასეთი ფერდები, ჩვეულებრივ, არის მშრალი, ქვიანი, უნაყოფო). ბგერათშესატყვისობა სვან. -ა: მეგრ. -ო არ დასტურდება. მაშასადამე, კადარი, კადარა იგივე არაა, რაც კოდორი, მაგრამ კოდორ სიტყვას აქვს ერთი რიგი მნიშვნელობისა, რასაც **კოდმე** სიტყვა შეიცავს, თუმცა მასალობრივი დამთხვევა არ დასტურდება: აღ. ქობალია – „**კოდორი – კლდოვანი**“. შდრ. ი ჩანტლაძე: „**კოდორი** „წყლის შემანტიკას შეიცავს და არა „მთის, ფერდობის ან ხმელეთისას“ (ჩანტლაძე, 2012, გვ. 229).

1996 წელს გამოდმა კოდორში აღინუსხა 32 გვარის მატარებელი 175 კომლი. კომლმრავალი გვარებია: მიმინოშვილი – 53კ., კუცია – 28კ., კიხირია – 17კ., გეგეჭკორი – 12კ., კვირკველია – 10კ., ჩაგანავა, მანავაძე, დიხამინჯია, მესხია – 5-5 კ. სოფელში გვართავან წარმოქმნილი საუბნო სახელებია: საკვირკველიო, საჩაჩუო, სამიმინოშვილო//სამიმინოსქუო, საკუციო, საჩხაიძო, საკიხირიო (ამჟა-

მად სახნავებია. კიზირიები რიონის შიშით გადასახლდნენ სოფ. ძიგურში).

2002 წელს გამოდმა კოდორში აღინუსხა 481 მუდმივი მოსახლე. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

დიხამინჯია ივანე გიორგის ძე, 73 წ.

კვირკველია მიტროფანე მიხეილის ძე, 78 წ.

კიზირია იასონ ვასილის ძე, 69 წ.

კუცია ალიოშა შამშეს ძე, 60 წ.

მიმინოშვილი გრიშა დიმიტრის ძე, 69 წ.

მიმინოშვილი ერმალო კალისტრატეს ძე, 78 წ.

ჩაგინავა გიორგი ბიქტორის ძე, 75 წ.

ნორიოს თემის საკრებულო

ნორიოს თემის საკრებულო აღმ.-ტერიტ. ერთეულია აბაშის რ-ნში, მდ. ნოდელასა და ქ. აბაშას შუა, თბილის-სოხუმის სარკინიგზო და საავტ. მაგისტრალზე. შედის სოფლები: ნორიო (ც.), აბაშისპირი, მაცხოვრისკარი, საბოკუჩავო, საგვაზავო.

1930 წელს ნორიო აბაშის სას. საბჭოში შედის, შემდგომ კი შეიქმნა ნორიოს სას. საბჭო და იგი დღესაც ფუნქციონირებს როგორც ნორიოს თემის საკრებულო, რომელშიც ზემოთ დასახელებული ხუთივე სოფელია გაერთიანებული. 1996 წელს ამ სოფლებში მკვიდრობს 134 გვარის მატარებელი 868 კომლი. თემის მასშტაბით მრავალკომლიანი გვარებია: გვაზავა – 147კ., ბოკუჩავა – 142კ., ჭანტურია – 126კ., თოფურია – 87კ., ჩოჩია – 71კ., ჩაჩავა – 37კ., სიმონია – 19კ., გაბელია – 9კ., ჯანჯღავა – 7კ., გერენავა, მიმინოშვილი – 6-6კ., ესიავა, კვახაჯელიძე, კუჭუხიძე – 5-5კ. დანარჩენ გვართა უმეტესობა წარმოდგენილია თითო-ორი კომლით. სათანადო ცნობას ხელს აწერენ ნორიოს თემის გამგებელი ზ. ჯიქია და ცნობის შემდგენელი გ. ბოკუჩავა.

2002 წელს ჩატარებულმა საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო ეროვნულმა აღწერამ გამოავლინა, რომ ნორიოს თემის 5 სოფელში 2502 მუდმივი მოსახლეა (კაცი – 1167, ქალი – 1335).

ნორიოს თ/ს-ს ყველა სოფელში მეგზურობას მიწევდა კოლმეურნეობის მოღარე-მოანგარიშე პატიკო ვასილის ძე ჩოჩია (56 წ.).

ნორიო

ნორიო – სოფელი და სას. საბჭოს ცენტრი აბაშის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე. ზ.დ. 25 მ, ქ. აბაშიდან 1კმ (ქსე, 7). დაზუსტება: ნორიო მდებარეობს თბილის-სოხუმის სარკინიგზო და საავტომობილო ტრასის მარცხ. მხარეს. ესაზღვრება აღმ-ით – ქ. აბაშა, სამხრ-ით – აბაშისპირი, დას-ით – სუჯუნა.

ნორიომ საკმაოდ გვიან მიიღო სოფლის სტატუსი, კერძოდ, საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემაში ნორიო დასახელებულია აბაშის სას. საბჭოს სოფლად (სხვა 12 სოფელთან ერთად). შემდგომში შეიქმნა ნორიოს სას. საბჭო ცენტრით სოფ. ნორიოში.

პირველი, ვინც შეეცადა **ნორიო** სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის გარკვევას, იყო გ. ელიავა: „**ნორიო** – ნარიონალი“ (ელიავა, 1977, გვ. 35). ნორიოში ადგილის სახელად დაფიქსირებულ ნარნასაც გ. ელიავა განმარტავს როგორც „ნარიონალს“ და ამ ვარაუდს განამტკიცებს რესპოდენტის ფრაზით „უძველესი კალაპოტი რიონისა“ (იქვე, გვ. 36). ამ ვარაუდს დადებითად გამოუხმაურა დ. ჭითანავა. იგი აღნიშნავს, რომ ქ. აბაშასთან ახლოს მდებარე „**ნორიო**“ „შესაძლოა „ნარიონალს“ ნიშნავდეს. შესაძლოა რიონის ნაწილიც ამ ადგილას მიედინებოდა კიდევ“ (ჭითანავა, 2000, გვ. 51).

შენიშვნა: რიონსა და ნორიოს შუა მიედინება მდ. ნოდელა. მეორე მხრივ, ნორიო ათი მეტრით მაღლაა რიონისპირიდან. ცრუ ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშია კ. ჰანის

„განმარტება“: „ – ნორი „ “. (ჰანი, 1909, გვ. 112). საინტერესოა ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდის ენციკლოპედია „აბაშა“: **ნორი** ეწოდება მარცვლის გადასაწოდებელ მოწყობილობას. „მარცვლეულის წარმოება ფართოდ იყო გავრცელებული ახლო-მახლო სოფლებში. შეიძლება სოფელს ამის გამოც ეწოდა ნორი“ (აბაშა, 2010, გვ. 58).

ქართველური ენებისა და დიალექტთა ლექსიკონებიდან ნორი მხოლოდ აღ. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ შეტანილი: „**ნორი**, **ნორია** – წყნარი, მშვიდი, მდორე; სუსტი ქარი; წყლის მიქცევა, ნაწყლვევი“ (ქობალია, 2010, გვ. 525).

ურიგო არ იქნება იმის გახსენებაც, რომ ნურია არაბულ ენაშიც მოწყობილობაა, ოღონდ წყლის ასამაღლებელი: იგი აღმა (ფერდობზე) აწვდის წყალს ბორბლისებური მოწყობილობით. შდ.: **ნორი** – **სოფელი** გარეკახეთში, იაღნოს ქედის მთისწინეთში და ტბა ქ. ბათუმში.

1996 წელს ნორიოს თემის სოფ. ნორიოში მკვიდრობდა 33 გვარის მატარებელი 108 კომლი. მრავალკომლიანობით გამოირჩევა: ჩოჩია – 32კ., გვაზავა – 15კ., ჩაჩავა – 14კ. დანარჩენი გვარები წარმოდგენილია თითო-ორი კომლით.

2002 წელს სოფ. ნორიოს მუდმივ მოსახლეთა რაოდენობა შეადგენდა 352 სულს (კაცი – 159, ქალი – 193). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ჩაჩავა მიხეილ ალექსანდრეს ძე, 76 წ.

ჩაჩავა ჟორა სანდროს ძე, 58 წ.

ჩაჩავა შალვა (გუდუ) დიმიტრის ძე, 77 წ.

ჩოჩია პატიკო ვასილის ძე, 56 წ.

აბაშისპირი

აბაშისპირი (ყოფ. საჩოჩიო) – სოფელი აბაშის რ-ნის ნორიოს სას. საბჭოში. ზ.დ. 20 მ, ქ. აბაშიდან 1,5 კმ (ქსე, I). დასუსტება: აბაშისპირი მდებარეობს მდ. აბაშის მარცხ.

ნაპირზე. ესაზღვრება: აღმ-ით – ქ. აბაშა, დას-ით – მდ. აბაშა. ჩრდ-ით – ნორიო, სამხრ.-დას-ით – მეორე ეწერი.

სოფლის წარმოშობის ისტორია ასეთია: 1938 წლისათვის საჩოჩიოში ააშენეს 8-წლიანი სკოლა, მაგრამ სახელი „საჩოჩიო“ დაიწუნეს და დაარქვეს აბაშისპირის 8-წლიანი სკოლა. შემდეგ კი აბაშისპირი სოფლის სახელად იქცა. 1949 წელს გამოცემულ „საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის“ ცნობარით აბაშისპირი უკვე სოფლის ოფიციალური სტატუსის მქონე დასახლებული პუნქტია ნორიოს სას. საბჭოში, ხოლო საჩოჩიო დარჩა აბაშისპირის ერთადერთ საგვარეულო უბნად, სადაც ცხოვრობს 38 კომლი.

1996 წელს აბაშისპირში მკვიდრობდა 32 გვარის მატარებელი 129 კომლი. კომლმრავალი გვარებია: ჩოჩია – 38კ., გვაზავა – 23კ., ჩაჩავა – 19კ. დანარჩენი გვარები ქმნიან თითო-ორ კომლს. 2002 წელს კი აბაშისპირში დაფიქსირდა 356 მუდმივი მოსახლე (კაცი – 170, ქალი – 186). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ჩაჩავა ჟორა სანდროს ძე, 52 წ.

ჩაჩავა შალვა (გუდუ) დიმიტრის ძე, 77 წ.

მაცხოვრისკარი (მანცხვარკარი)

მანცხვარკარი – სოფელი აბაშის რ-ნის ნორიოს თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშასა და ქ. აბაშას შუა. საბჭოთა პერიოდში ერქვა განათლებისკარი (//განკარი). როგორც ცნობილია, თავად-აზნაურთა სახელგვარები და რელიგიური შინაარსის შემცველი ტოპონიმები კომპარტიის იდეოლოგიისათვის მისაღები სახელებით შეცვალეს. ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით ხანდაზმულნი იხსენებენ: „სოფლის საერთო კრებაზე ა. ჭ-მ გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭიროა მანცხვარკარი შეიცვალოს სხვა სახელით. მისმა შეიღმა, კომკავშირელმა, წამოაყენა კონკრეტული წინადადება, სოფელს დარქმეოდა განათლებისკარი. ასეც დაადგინეს. შემდგომში ამასთან

დაკავშირებით შეიქმნა ორსტრიქონიანი ლექსი: „როცა ავ-
დარია, მანცხვარკარია, როცა დარია, განათლებისკარია“.
საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 16 ნოემბრის ბრძა-
ნებულებით აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ განათლე-
ბისკარს ეწოდა „მაცხოვრისკარი“ (მეგრ. მანცხვარკარი).
გადმოცემით, მაცხოვრისკარის თავდაპირველი სახელწო-
დება ყოფილა ჭვირიში (იხ. II ნაწილში).

ოდიშ-ლენჩხუმის დაგით დადიანისეული დაყოფის თა-
ნახმად, მე-19 ს-ის ორმოციან წლებში „მაცხოვარ-კარი,
ანუ კაპანა“ სოფელია სუჯუნის მაზრაში. 1886 წელს კი სე-
ნაკის მაზრის აბაშის უბნის კვათანის სოფლის საზოგა-
დოებაში 8 სოფელია. მათ შორისაა მაცხოვარისკარიც:

კვათანა (კ.) – 173 კომლი, 941 სული.

კაპანა – 130 კომლი, 729 სული.

მაცხოვარის-კარი – 117 კომლი, 701 სული.

ნოლა-ხაში – 175 კომლი, 947 სული.

რობა – 19 კომლი, 106 სული.

საკაჭარავო – 127 კომლი, 664 სული.

საჩიუო – 139 კომლი, 877 სული.

ჯამი: 875 კომლი, 4966 სული.

1930 წელს კი „მაცხოვრის-კარი“ სხვა 12 სოფელთან
ერთად შედის აბაშის სას. საბჭოში:

აბაშა ახალი (კ.) – 100კ., 431 ს.

კვათანა დიდი – 307კ., 941 ს.

კვათანა პატარა – 182კ., 799 ს.

კაპანა – 143კ., 597 ს.

მაცხოვრის კარი – 205კ., 974 ს.

ნორიო – 107კ., 523 ს.

ნოლა – 81კ., 361 ს.

საბოკუჩაო – 104კ., 485 ს.

საკაჭარაო – 299კ., 1232 ს.

საგვაზაო – 159კ., 733 ს.

საჩოჩიო – 118კ., 612 ს.

საძველაიო – 52კ., 218 ს.

ხაში – 170კ., 767 ს.

ჯამი: 2027 კომლი, 8673 სული.

ამავე პერიოდში შექმნილია ძველი აბაშის სას. საბჭოთა ორი სოფელი: აბაშა ძველი და კადარი. საბოლოოდ კი შეიქმნა ნორიოს სას. საბჭო, რომელშიც 1987 წელს შედიოდა 5 სოფელი: ნორიო (ც.), აბაშისპირი, განათლებისკარი, საბოკუჩავო, საგვაზავო (როგორც ზემოთ ითქვა, 2010 წელს განათლებისკარს დაუბრუნდა ისტორიული სახელი მაცხოვრისკარი).

1996 წელს განათლებისკარში (დღევანდელი მაცხოვრისკარი) მკვიდრობს 46 გვარის მატარებელი 270 კომლი. კომლმრავალი გვარებია: ჭანტურია – 107კ., თოფურია – 82კ., სიმონია – 16კ.

მაცხოვრისკარის მაცხოვრის ეკლესია დასახელებულია სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიათა შორის (1838 წ.). „მაცხოვრის სახელობის ეკლესია“ გვხვდება 1846, 1864, 1873, 1870 წლების საეკლესიო საბუთებში (ჭითანავა, 2010, გვ. 61, 67, 77).

2002 წლის აღწერით განათლებისკარში (ე.ი. მაცხოვრისკარში) მუდმივი მოსახლეობა 770-ს აღწევდა. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

თოფურია მაკარ რომანის ძე, 77 წ.

თოფურია რამინ აქვსენტის ძე, 62 წ.

ჭანტურია სილოვან გახუს ძე, 83 წ.

საბოკუჩავო

საბოკუჩავო – სოფელი აბაშის რ-ნის ნორიოს სოფ. საბჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 16 მ, ქ. აბაშიდან 6კმ (ქსე, 8). დაზუსტება: სოფელი საბოკუჩავო მდებარეობს მდ. აბაშის ორივე ნაპირზე. აბაშის მარჯვ. მხარეს მდებარე ბოკუჩავების უბანს უწოდებენ მეღვინე საბოკუჩოს, ხოლო მარცხ. მხარეს მდებარეს – მოღვინე საბოკუჩოს. დას-ით ესაზღვრება საგვაზავო.

საბოკუჩავო ანთროპოლოკონიშია: ამოსავალია მრავალრიცხოვანი გვარი ბოკუჩა (2588 სული საქ-ში. 294-ე ადგილი). აბაშის რ-ნში ცხოვრობს ამ გვარის მატარებელი 637 სული (IX ადგილი რ-ნში). გვარისათვის ამოსავალი ჩანს პირსახელ ბოკის კინობით-მოფერებითი ფორმა ბოკუჩა (ცხადია, 2000, გვ. 62). საერთოდ, ამ სოფელში 96 კომლი ცხოვრობს. მათგან გვარ ბოკუჩავას ატარებს 71 კომლი. ი. კეკელიას აზრით, „ბოკუჩა უნდა გავიაზროთ როგორც პირვნების ფიზიკური მახასიათებლის მიხედვით შერჩეული მეტსახელი ბორკუჩა (ბოკუჩა), რაც ნიშნავს „კანჭშავს ან შაფუჩას; ცუდი ფეხისა და ავი განზრახვის მქონეს“ (კეკელია, 2011, გვ. 58). შდრ. აღ. ქობალია: „ბოკუჩა – ტანმოკლე, ჩაფსკენილი“.

გვარი ბოკუჩავა დასტურდება 1742-1750 წლებში შედგენილ „სათავადო წიგნში“ (კაკაბაძე, I, გვ. 163). 1873 წელს საბოკუჩავოში ერთი ეკლესია ყოფილა (ჭითანავა, 2010, გვ. 76). 1886 წელს შედიოდა აბაშის უბნის სუჯუნის სოფლის საზოგადოებაში (მოსახლეობა 61კ., 333 ს.), ხოლო 1930 წელს „საბოკუჩაო“ ფორმით – აბაშის სას. საბჭოში (104კ., 485 ს.). 1949 წელს „საბოკუჩაო“ ნორიოს სას. საბჭოშია გაერთიანებული. მაგრამ საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის 1987 წლის გამოცემაში უკვე „საბოკუჩავო“ ფორმაა წარმოდგენილი და სოფელს დღესაც ასე ეწოდება. ხოლო საბოკუჩა და საბოკუჩაო სოფლის სახელწოდების ადგილობრივ, არაოფიციალურ ფორმად დარჩა.

2002 წელს ჩატარებული ეროვნული საყოველთაო აღწერის თანახმად, ნორიოს თემის საკრებულოს სოფ. საბოკუჩავოში 440 მუდმივი მოსახლეა დაფიქსირებული. ტოპონიმიური მასალა ჩაწერილია 1984 წლის 4 ოქტომბერს. რესპოდენტები იყვნენ:

ბოკუჩავა ჟორა ბეგის ძე, 62 წ.

ბოკუჩავა სერგო ანდრიას ძე, 57 წ.

გერენავა სევერიანე პაელებს ძე, 67 წ.

საგვაზავო

საგვაზავო – სოფელი აბაშის რ-ნის ნორიოს სოფსაბ-ჭოში, მდ. აბაშის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 16 მ, ქ. აბაშიდან 3 კმ (ქსე, 8). დამატებითი ინფორმაცია: საგვაზავო მდებარე-ობს რკინიგზის მაგისტრალის გვერდით, ესაზღვრება ნო-რიო, აბაშისპირი და საბოკუჩავო.

საგვაზავო, როგორც სოფელი, პირველად დასტურდე-ბა 1886 წლის აღწერის მასალებში (... 1893), კერძოდ, სენაკის მაზრის აბაშის უბნის სუჯუნის სოფლის საზოგა-დოებაში (მოსახლეობა: 114კ., 707 ს.). საბჭოთა საქართვე-ლოს პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფით ეს სოფელი „საგვა-ზაო“ ფორმით აბაშის (იგულისხმება ახალი აბაშა) სას. საბჭოს შემადგენლობაშია (მოსახლეობა: 159კ., 733 ს.). 1949 წელს „საგვაზაო“ ნორიოს ადმ.-ტერიტ. ერთეულში შედის, მაგრამ საბოლოოდ დამკვიდრდა ფორმა საგვაზავო. 1996 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის თანახმად, სა-ქართველოში ცხოვრობს 2226 სული გვაზავა (364-ე ადგი-ლი), მათგან აბაშის რ-ნში – 690 მოსახლე (მე-13 ადგილი რ-ნში). ამავე პერიოდში ნორიოს თ/ს-ში მკვიდრობს 147 კომლი გვაზავა, მათგან საგვაზაოში – 106კ. საერთოდ კი, XX ს-ის დამლევს საგვაზავოში ცხოვრობს 42 გვარის მა-ტარებელი 170 კომლი. მათგან, გვაზავების გარდა, მრავალრიცხოვანია ბოკუჩავა – 27კ. და ჭანტურია – 18კ.

გადმოცემით, საგვაზავოში მცხოვრები გვაზავების წი-ნაპრები გადმოსულან მარტვილის რ-ნის სოფ. ნაგვაზუდან (ოფიც. ნაგვაზავო). გვაზა, გვაძა სამეგრელოში გავრცელე-ბული პირსახელებია. საეკლესიო გლეხი გვაზაა (ცაიშს მცხოვრები ვამიწეუ გვაზაა) დასახელებულია „საცაიშლო გამოსავლის დაუთარში“ (1616-1621 წწ. იხ. ქსდ, III, გვ. 448).

2002 წლის ეროვნული აღწერის მონაცემებით, საგვა-ზავოში აღნუსხულია 584 მუდმივი მოსახლე (კაცი – 268, ქალი – 316). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბოკუჩავა ილიკო თემრაზის ძე, 85 წ.

გვაზავა ვალიკო აკაკის ძე, 61 წ.
ჭანტურია მიშა არსენას ძე, 75 წ.

ონტოფოს თემის საკრებულო

ონტოფოს თემის საკრებულო აღმ.-ტერიტ. ერთეულია აბაშის რ-ნში, მდ. ნოდელის ორივე მხარეს, ძველი აბაშისა და მარტვილის რ-ნის საზღვარს შუა, აბაშა-მარტვილის საავტ. გზაზე. შედის სოფლები: პირველი ონტოფო (ც.), ეწერი და მეორე ონტოფო. ჩრდ.-აღმ-ით ესაზღვრება სამიქას თ/ს, ხოლო ჩრდ.-დას-ით – სუფიეთის თ/ს.

1886 წლისათვის სენაკის მაზრის აბაშის ოლქში (საბოქაულოში) შექმნილია აბაშა-ონტოფოს სოფლის საზოგადოება, რომელშიც გაერთიანებულია:

აბაშა (ც.) – 285კ. (1814 ს.).

გულუხეთი – 79კ. (426 ს.).

კოდორი – 58კ. (319 ს.).

ონტოფო – 265კ. (1750 ს.).

სამიქავო – 125კ. (658 ს.).

ჯამი: 812კომლი, 4967 სული.

(შენიშვნა: სოფ. აბაშაში იგულისხმება დღევანდელი ძველი აბაშა).

საბჭოთა საქართველოს პირველი აღმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში (1930 წ. გამოცემა) სენაკის მაზრის აბაშის რ-ნში შექმნილია ონტოფოს სას. საბჭო, რომელშიც შევიდა ეწერი (100კ., 458 ს.), ონტოფო პირველი (171კ., 825 ს.) და ონტოფო მეორე (174კ., 810 ს.). მაშასადამე, ამ სამ სოფელში მკვიდრობს 445 კომლი (2085 ს.). სხვა სოფლები, რომლებიც 1886 წელს შედიოდა აბაშა-ონტოფოს სოფლის საზოგადოებაში, გადანაწილდა სამ სხვა სას. საბჭოში (სამიქას, აბაშისა და გეზათ-გულუხეთისა).

1996 წელს ონტოფოს თემის საკრებულოში მკვიდრობს 66 გვარის მატარებელი 416 კომლი. თემის მასშტაბით ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია ნადარეიშვილი – 182კ. (ძირითადად პირველ ონტოფოსა და მეორე ონტოფოში).

სხვა გვარებიდან შეიძლება დავასახელოთ: გოჩოლეიშვილი – 30კ. (ეწერში), დავითაია – 28კ. (ეწერში), კაკულია – 16კ., გადელია – 9კ. (მეორე ონტოფოში); ფორცხალავა, მემიშიში, ბჟალავა – 8-8კ. თსუ-ში გამოგზავნილ ცნობას ხელს აწერს ონტოფოს გამგეობის თავმჯდომარე მ. დავითაია.

2002 წელს ონტოფოს თემის საკრებულოს სამ სოფელში აღინუსხა 859 მუდმივი მოსახლე (კაცი – 404, ქალი – 455). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1986 წლის სექტემბერში. რესპოდენტები თემის სამივე სოფელში:

ბოკერია გრიშა იონას ძე, 66 წ.

ბჟალავა ალექსანდრე მიხეილის ძე, 73 წ.

გადელია მალაქია ალექსანდრეს ძე, 69 წ.

დოდელია აკაკი ევგენის ძე, 67 წ.

ნადარეიშვილი ბესარიონ ბურდღუს ძე, 96 წ.

ნადარეიშვილი ივლიანე ალექსანდრეს ძე, 77 წ.

ნადარეიშვილი მიხეილ (გვაჩი) პავლეს ძე, 68 წ.

ონტოფო

ონტოფო – აბაშის რ-ნის სოფლების – პირველი ონტოფოსა და მეორე ონტოფოს ძველი სახელწოდებაა (ქსე, 7). იგი პირველად დასახელებულია თ. ბერაძის მიერ შედგენილ „XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე“. ბარბარესკარში (დღევანდელი პირველი ონტოფო) მდგარა წმ. ბარბარეს ეკლესია. სწორედ ამ ეკლესიის ხატის წარწერაში, რაც ე. თაყაიშვილის მიერ 1762 წლით არის დათარიღებული, მოხსენიებულია „**ონტოფელი** დეკანოზი“.

ოფიციალურ დოკუმენტაციაში (ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარებში) ძირითადად გვხვდება ფორმა ონტოფო: 1. სოფელი ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის ცნობარში (შედის სუჯუნის მაზრაში); 2. სოფელი 1886 წლის აღწერის ცნობარში (შედის აბაშა-ონტოფოს სოფლის საზოგადოებაში); 3. საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში (1930 წ. ონტოფო შედის აბაშის რ-ნის

ონტოფოს სას. საბჭოში) და სხვ. XIX ს-ის საეკლესიო დოკუმენტებშიც „ონტოფო“ დასტურდება (იხ. ჭითანავა, 2010, გვ. გვ: 58, 63, 67, 77, 484), თ. ბერაძის მიერ შედგენილ „XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზეც“ „ონტოფოა“ აღნიშნული. მაგრამ XIX ს-ის საისტორიო წყაროებში **ონტოფუ** ვარიანტიცაა დაფიქსირებული, კერძოდ 1830 წლის „წყალობის წიგნში“, აგრეთვე 1810 და 1838 წლებში შედგენილ ნასყიდობის წიგნებში და სხვ. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ი. კეკელია ასკვნის: „ამჟამინდელი ადგილობრივი ვარიანტი ონტოფუ ფაქტობრივად უწინდელი ოფიციალური სახელწოდება ყოფილა“ (იხ. ვრცლად, კეკელია, 2011, გვ. 52-54). სამეგრელოსა და სამურზაყანოში დასტურდება ტოპონიმები ოტოფუ და ოტოფუე, ხოლო ქვემო იმერეთში – ონტოფი, ონტოფო.

საერთოდ, პირველი, ვინც განმარტა ტოფი როგორც თევზის სახელწოდება და დაასახელა ოტოფა, ონტოფა, ონტოფუ, ონტოფო როგორც სოფელი, იყო ი. ყიფშიძე (ყიფშიძე, 1994, გვ. 534).

გ. ელიავა გვაწვდის ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მონაზრებას ონტოფოს ამოსავალ ფუძესთან დაკავშირებით: ა. „ოტოფუ (სატოფო), ადგილი მდინარესთან. ტოფუ ქორჭილის ტიპის ბრტყელი, ელიფსის ფორმის თევზია. იზრდება 20 სანტიმეტრამდე... ხორცი ძალიან გემრიელი აქვს. აქედანაა ტოპონიმი ონტოფუ ან თავდაპირველი ოტოფუ“ (ელიავა, 1977, გვ. 80). იხ. აგრეთვე: „ონტოფო (სატოფო), სოფ. ა) „ონტოფოშია ვიდათია, ტოფუეფიშ ოტოფუშია ვიდათია“. ტოფი თევზია კობრის ფორმისა. მრავლდება დამდგარ ტბაში“; ბ) (რესპოდენტზე დაყრდნობით) „ბალახი ყოფილა აქ ტოფური და იმიტომ შეერქვა სოფელს ონტოფო. **ოტოფური** ადგილი. საერთოდ ამ სოფელს საჭყონდიდოს ეძახიან“ (ელიავა, 1997, გვ. 15). გ. ელიავა „მეგრულ-ქართულ ლექსიკონშიც“ ხაზგასმით აყალიბებს ტოფ-ლექსემის ორ მნიშვნელობას: „**ტოფი**– 1. ერთგვარი ბალახი; 2. **თევზი**“ (ელიავა, 1997, გვ. 299).

რომელია სწორი ფორმა – ონტოფო თუ ონტოფუ? – ამის გასარკვევად მივმართოთ მეგრულის ლექსიკონებსა

და სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა სალექსიკონო მასალებს.

მეგრულში იშვიათია მოდელი **ო + არს. სახელი + ო.** წარმოვადგენთ ყველა დაფიქსირებულ დერივატს: შქერი „შქერი“ **ოშქერო** „საშქერე“ (ელიავა, 1977, გვ. 127); ღუმე „ღომი“ (მარცვლეული) **ოღუმო** „საღომე (ყანა“) (იქვე, გვ. 127); ჭინუ „წნელი“ **ოჭინო** „საწნელი“ (იქვე, გვ. 128); ჟღები „ჭენჭყო, ჭონჭყო“ **ოჟღებო** „ჭაობიანი ადგილი“ (ქაჯაია, III, გვ. 440); ჟინი „ზეციერი, ზენაარი; უზენაესი“ **ოჟინო** „საზეციურო, საზენაარო, შესახელებული“ (ქობალია, 2010, გვ. 540); ღოღო (მცენარეა ერთგვარი) **ოღვალო** – „ღვალოს ადგილი“ (იქვე, გვ. 149); ცხოციხი „ცოციხი, ჭიის დასაბმელი საგველა“ **ოცხოცხო** „საცოცხე“ (იქვე, გვ. 554). ქვემო იმერეთის ტოპონიმიაში გვხვდება: **ონტოფო** – ვენახი სოფ. ფერსათში („საქართველოს ტოპონიმია“, III, გვ. 235); **ონწარო** – სახნავი სოფ. იანეთში (იქვე, გვ. 235), ოსხაპო – ხევი კინჩხაფერდში (იქვე, გვ. 238) და სხვ. მეგრულის ლექსიკონებსა და სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებებში პრეფიქსთან უფრო ხშირია ზმნური ფუძე და სწორედ ასეთ შემთხვევაში დასტურდება ბოლოკიდური -უ. მაშასადამე, ჩვეულებრივი და პროდუქტიული **ო + ზმნური ფუძე + უ** (დასტურდება ორასამდე დერივატში.

ი. ყიფშიძე (ყიფშიძე, 1994): კუმა „კვამლი“ **კუმავა** „კმევა“ **ოკუმავუ** „საკმეველი“ (გვ. 262); ბონუა „ბანაობა“ **ობონუ** „დასაბანი“ (გვ. 206); გორუა „ძებნა“ **ოგორუ** „საძებნი, საძიებო“ (გვ. 219); გურავა „სწავლება“ **ოგურავუ** „სასწავლო“ (გვ. 220); კათავა „შერევა, შეზავება, შედინება“ **ოკათავუ** „ხერთვისი; წყალთშესართავი“ (გვ. 453); (დო)კირუა „დაბბა“ **ოკირუუ** – „რაც უნდა დააბან; სადაც უნდა დააბან“ (გვ. 463) და სხვ. მრ.

გ. ელიავა (1997): ულა „სვლა, სიარული“ **ოლუ** „გზა, გასასვლელი“ (გვ. 255); (დო)ნჯირა „დაწოლა“ **ონჯირუ** „დასაწოლი“ (გვ. 256); რთავა „ბრუნვა, ტრიალი“ **ორთავუ** „გზაჯვარედინი; გზათგასაყარი“ (გვ. 257); ცუ-

მა//ციმა „თევზის გასვლა ქვირითის დასაყრელად“
ოცუმუ/ოციმუ ქვირითის საყრელი ადგილი“ (გვ. 259); ჭი-
ნახუა „ყურძნის ჭყლეტა“ **ოჭინახუ** „საწნახელი“ (გვ.
259) და სხვ.

აღ. ქობალია (ქობალია, 2010): ბარგუა „მარგვლა“
ობარგუ – „სამარგლავი ადგილი“ (გვ. 529); ბარუა „ბარვა“
ობარუ „საბარავი“ (გვ. 530); ბირა „მღერა **ობირუ** „სა-
სიმღერო“; ზაღება „შეპირება, სურვება, აღთქმა, ქადაგე-
ბა“ **ოზაღუ** „საკულტო ადგილი, მსხვერპლშეწირვის
ადგილი“ (გვ. 533); ზაპუა, ზეპუა „მაგრად ცემა; „ჯოხით
ცემა“ **ოზაპუ** „სადაც თექას თელავენ“ (გვ. 533); (დო)ხო-
ჯუა – „დაბრძანება“ **ოზოჯუ** „ტახტი, საბრძანისი“ (გვ.
534); თანაფა „თენება“ **ოთანაფუ** „სათევი ადგილი“ (გვ.
534); თასუა „თესვა“ **ოთასუ** „სათესარი“ (გვ. 534); თირა
„თოვა; ცვლა“ **ოთირუ** „სათოვლო; საცვლელი“ (გვ.
534); თხორუა „დამარხვა“ **ოთხორუ** „სამარხი; საფლავი“
(გვ. 535); ინაღუა „შინაყმობა; ყმური სამსახური“ **ოინა-
ღუ** „სამსახური, მსახურების ადგილი; საშინაყმო, საყმო“
(გვ. 535); ოკოწიმუა „წყალთა შეერთება, შერწყმა“ **ოკო-
წიმუ** „წყალთშესართავი, შედინების, შეერთების ადგილი;
ხერთვისი“ (გვ. 536); ოკითხუ „სამისნო; განსაკითხავი; სა-
კითხი“, **ოკირუ** „მისაბმელი (ნავისა), საბმური (ძროხისა)“,
ოლაწაფუ – „სათამაშო ადგილი“ და სხვ. მრ.

ა. ქაჯაია (ქაჯაია, I, II, III): ბირა „მღერა“ **ობირუ**
„სიმღერა; სასიმღერო“; (ნ)გარა „ტირილი“ **ო(ნ)გარუ**
„ტირილი, სატირალი; მიცვალებული“; გორუა „ძებნა“
ოგორუ „საძებნი“; ჯიმოლუა „(და)მარილება“ **ოჯიმოლუ**
„სამარილე“; ჯინა „ცქერა, ყურება **ოჯინუ** „სახედი; სა-
ყურებელი; მონადირის ჩასაფრების ადგილი“; (დო)ნჯირა
„(და)წოლა“ **ოჯირუ(უ)** „საწოლი; დასაწოლი ადგილი“;
(დო)ხორუა „დასახლება“ **ოხორუ(უ)** „სამოსახლო“; მო-
ჭირინაფა „მოდწევა, მოწვედენა, მოწვედომა“ **ოჭირინაფუ**
„თვალსაწიერი“; შაყარუა „თავმოყრა“ **ოშაყარუ** „შესა-
ყარი; თავშეყრის ადგილი“; ფარჩხაფი – „ტყიდან ნადირის
გამორეკვა ჩასაფრებულ მონადირეთა მიმართულებით“

ოფა(რ)ჩნაფუ „სარეკი; ტყე, საიდანაც ნადირს გამორეკენ“; ტახუა „ტეხვა“ **ოტანუ** „სატეხი (სადურგლო იარადი); საჭრეთელი“; რულა „რბენა“ **ორულუ** „სარბენი“ და სხვ.

არაა იშვიათი ო+არს. სახელი+უ. დავასახელებთ: კიფი „კანაფი“ **ოკიფუ** – „საკანაფე“ (ქაჯაია, III, გვ. 431); კუნთხუ „კუთხე“ **ოკუნთხუ** „კუთხის გასაზომი; დასაკუთხი ხელსაწყო; გონიო“ (ქობალია, 2010, გვ. 537) და სხვ.

რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიაში? – სამურზაყანოს ტოპონიმიაში ო-ო კონფიქსები არ ჩანს, ხოლო ო-უ დასტურდება მხოლოდ რამდენიმე მიკროტოპონიმში: შაყარუა „თავმოყრა“ **ოშაყარუ** „თავშესაყარი ადგილი“ (ერქვა ადგილს სოფ. რეფიეწერში. აქ იყო სოფლის მოსახლეობის თავშეყრისა და გართობა-თამაშობათა ადგილი); ხარკალი „ხრიგინი“ **ოხარკალუ** „სახრიგინო“ (მთა, სათანჯოს ქვაცვენია კალთა სოფ. ოცარცეში); ხოსუა „ხოსვა“ **ოხოსუ** „სახოსავი“ (აღმართი სოფ. დიხაზურგაში. ასვლა მხოლოდ ხოსვით შეიძლებოდა) დაჭუა „კრეჭა“ **ოდაჭუ** „საკრეჭი (ადგილი)“; ბურთუა „ბურთაობა“ **ობურთუ** „საბურთაო“; კათაფა „შერევა, შერთვა“ **ოკათაფუ** „წყალთშესართავი; ხერთვისი“; ყაყალი „ყიყინი“ **ოყაყალუ** „საყიყინო“; ხარხაფი „თევზის გამოსდენა დარანიდან“ **ოხარხაფუ** „თევზის გამოსადენი დარანი“ და სხვ.

სამურზაყანოს ტოპონიმიაში, ჩვეულებრივ, გავრცელებულია ასეთი კონფიქსები: ო-ე, ო-აია. მაგალითები: ჩხომი „თევზი“ **ოჩხომე** „სათევზე“; ბინეხი „ვენახი **ობინახე** „სავენახე“; ბორია „ქარი“ **ობორიე** „საქარე“... გვიმარა „გვიმრა“ **ოგვიმარე** „გვიმრნარი“; ბარხალი „ბრახუნი; ბრაგუნი; წყლის ჩხრიალი“ **ობარხალაია** „ჩხრიალა“; ქვაქვალი „კუნტრუმი; კოხტად და მსუბუქად სიარული“ **ოქვაქვალაია** „საკუნტრუმი, კუნტრუმა“ (დელეა სოფ. სუკში); ცაღუა „თიბვა“ **ოცაღუე** „სათიბარი“ და სხვ.

სამეგრელოს ტოპონიმია გვიდასტურებს ასეთ ო-ე სუფიქსიან დერივატებს: ბამბე „ბამბა“ **ობამბე** „საბამბე“ (ეწოდება ვენახს, სადაც უწინ ბამბა ეთესა); ბარბალე „წმ.

ბარბარე“ **ობარბაღე** „ურთხლისძირი ვაკე ბორცვზე, სადაც ახლაც მიდიან სალოცავად მოხუცები“ და სხვ. **კარჩხუა** „თეგზის მიერ ქვირითის დაყრა“ **ოკარჩხუე** „საქვირითე (ადგილი)“; კოტო „ქოთან“ **ოკოტუე** „საქოთანე“; ლონტყუა „ლაფაობა; ლაფში გორაობა“ **ოლონტყუე** – „სალაფაო“; ნახუა – „რეცხვა“ **ონახუე** „სარეცხის ადგილი“; ჟვაბუ „გომბეშო“ **ოჟვაბუე** „საგომბეშო“ და სხვ.

დასკვნა: ორივე სწორი ფორმაა – ონტოფოც და ონტოფუც (ნ ჩანართია), ოღონდ ონტოფოსათვის ამოსავალია არსებითი სახელი (ტოფი **ოტოფო** „ტოფის სამყოფელი“), ხოლო ონტოფუსათვის – ზმნური ფორმა (ტოფუა „ქვირითის დაყრა“ **ოტოფუ** „ტოფის საქვირითე ადგილი“).

და ბოლოს, „ონტოფუ“ ფიგურირებს ერთ ხალხურ ლექსშიც:

„ონტოფუსგ ტოფი ხე დო წყარიპიც – კოკობე,
ცირა მუსგ ოსვისვინა, ეგებასგ მოკოდე“

(შენიშვნა: **კოკობე** „კაკაბი“ (ბგერათშესატყვისობა ქართ. ა : მეგრ. ო); **ოსვისვინა** „მღუმარებ“).

პირველი ონტოფო

პირველი ონტოფო (ყოფ. ბარბაღესკარი) – სოფელი და ონტოფოს სას. საბჭოს ცენტრი აბაშის რ-ნში, მდ. ნოდელის ნაპირას. ზ.დ. 38 მ, ქ. აბაშიდან 8კმ (ქსე, 8). დაზუსტება: პირველი ონტოფო ძირითადად მდ. ნოდელის მარჯვ. მხარესაა გაშლილი, ცენტრი კი ზუსტად ცუდღარსა და ნოდელას შუა მდებარეობს. ესაა ისტორიული ბარბაღესკარი. ესაზღვრება: ძველი აბაშა, გეზათი, გულუხეთი, სამიქაო, მაიდანის, ეწერი.

პირველ ონტოფოს თავდაპირველად ერქვა „ონტოფო პირველი“. საქ. სსრ პირველი აღმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარი (1930 წ.) გვაუწყებს, რომ ონტოფო პირველში ცხოვრობს 171 კომლი (810 სული). შემდგომში პოსტპოზიცია შეცვალა პრეპოზიციამ (მსაზღვრელი მოექცა საზღვულის

წინ). ეს თანმიმდევრობა საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც ქართული თანამედროვე ტოპონიმურ-ენობრივი ნორმა.

1996 წელს ონტოფოს თემის სოფ. პირველ ონტოფოში მკვიდრობდა 19 გვარის მატარებელი 116 კომლი. მათგან მრავალკომლიანია გვარი ნადარეიშვილი (74 კომლი), აგრეთვე: ბჟალავა – 8კ., თოფურია – 7კ.

2002 წელს ჩატარებული საყოველთაო ეროვნული აღწერის ცნობარში აღნიშნულია, რომ პირველ ონტოფოში მკვიდრობს 314 მუდმივი მოსახლე (კაცი – 142, ქალი – 172). სოფლის ტოპონიმია აღინუსხა 1986 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბჟალავა ალექსანდრე მიხეილის ძე, 73 წ.

ნადარეიშვილი ივლიანე ალექსანდრეს ძე, 77 წ.

ნადარეიშვილი მიხეილ პავლეს ძე, 63 წ.

ნადარეიშვილი ბესარიონ ბურდღუს ძე, 96 წ.

მეორე ონტოფო

მეორე ონტოფო – სოფელი აბაშის რ-ნის ონტოფოს სას. საბჭოში, მდ. ნოდელის ნაპირას. ზ.დ. 40 მ, ქ. აბაშიდან 6კმ, პირველი ონტოფოდან 1,5კმ (ქსე, 3). დავაზუსტოთ: სოფელი მდებარეობს მდ. ნოდელის მარჯვენა ნაპირას. ესაზღვრება: ნოლა-ხაში, ძველი აბაშა, გეხათი.

საქ. სსრ. ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემის მიხედვით, აბაშის რ-ნის ონტოფოს სას. საბჭოში შედიოდა ონტოფო მეორეც (174 კომლი, 810 სული), რომელსაც შემდგომში ეწოდა მეორე ონტოფო.

1996 წელს აბაშის რ-ნის ონტოფოს თემის საკრებულოს სოფ. მეორე ონტოფოში მკვიდრობდა 40 გვარის მატარებელი 216 კომლი. სოფელში ყველა გვარზე მრავალრიცხოვანია ნადარეიშვილი (107კ.). სხვა გვართაგან ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს კაკულია (16კ.); გადელია (9კ.); ფირცხალავა – 8კ.

2002 წელს მეორე ონტოფოში აღინუსხა 311 მუდმივი მოსახლე (კაცი – 149, ქალი – 162). სოფლის ტოპონიმია ჩაწერილია 1986 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

გადელია მაღაქია აღექსანდრეს ძე, 69 წ.

თავალავაძე მაღაქია (პაჭუ) პავლეს ძე, 69 წ.

ნადარეიშივილი ბესარიონ ბურდღუს ძე, 96 წ.

ბოკერია გრიშა იონას ძე, 66 წ.

ეწერი

ეწერი – სოფელი აბაშის რ-ნის ონტოფოს სოფსაბჭოში, ოდიშის დაბლობზე. ზ.დ. 45 მ, ქ. აბაშიდან 8კმ, პირველი ონტოფოდან 1კმ (ქსე, 4). დაზუსტება: სოფელი ეწერი მდებარეობს მდ. ნოდელის მარჯვ. ნაპირზე, სუფიეთსა და პირველ ონტოფოს შუა. კვეთს აბაშა-მარტვილის საავტ. გზა და ცუდდარი.

ქართულში ეწერი მუავე ნიადაგის საერთო სახელია. ვითარდება ჩარეცხვითი წყლის რეჟიმის პირობებში, როდესაც მოსული ნალექი ჭარბობს აორთქლებას... ეწერ ნიადაგზე მოჰყავთ სელი, მარცვლეული, ბოსტნეული... დას. საქართველოს სუბტროპიკული ზონის ეწერ ნიადაგზე გაშენებულია ჩაი, ციტრუსები, მოჰყავთ სიმინდი და სხვ. ეწერი ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდისათვის აუცილებელია ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება, სახნავი ფენის გაღრმავება, ჭარბი ტენის მოცილება, გაკირიანება (ქსე, 4, გვ. 259). დას. საქართველოში (გურია, იმერეთი, სამეგრელო) მრავალ სოფელს ეწოდება „ეწერი“ ან „ენწერი“. მიკროტოპონიმიაში კი ბევრად უფრო ხშირია ეს ტოპოლექსემა.

ეწერ სიტყვის მეგრული ვარიანტია ენწერი. სალექსიკონო განმარტებანი ასეთია: „**ენწერი, ეწერი** – ა. მცირე დაბალი ტყე, ქვიშიანი; ბ. რამდენიმე სოფლის სახელწოდება სამეგრელოში“ (ყიფშიძე, 1994, გვ. 231). ო. ქაჯაია: „**ენწერი** – ეწერი, მაღალი, მწირი და მცირემოსავლიანი ადგილი“ (ქაჯაია, I, გვ. 553). აღ. ქობალია: „ენწერი – ეწერი,

მცირე ბუჩქნარით, ახალამოწვერილი ტყით დაფარული ველი; უნაყოფო მიწა“ (ქობალია, 2010, გვ. 282). (ქვემო იმერეთში ასზე მეტ გეოგრაფიულ თუ სამეურნეო ობიექტს ეწოდება ეწერი ან იგი წარმოადგენს ერთ-ერთ კომპონენტს). შდრ. ა. ფაილოძე: „ეწერი, ჩვენი დაკვირვებით, წითელმიწა, შამბნარით დაფარული სერია, უხნავი და არანოყიერი. დას. საქართველოში ოცამდეა“ (ფაილოძე, II, 2011, გვ. 145).

ეწერი, როგორც სოფელი, დასახელებულია ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეულ დაყოფაში (შედის სუჯუნის თემში. დაბეჯითებით ძნელი სათქმელია, რომელი ეწერი იგულისხმება – ონტოფოს თემისა თუ ნაესაკაოს თემისა).

1930 წლის ცნობარის მიხედვით, ონტოფოს სას. საბჭოს სოფ. ეწერში მკვიდრობს 100 კომლი (458 სული), 1996 წლისათვის ეწერში ცხოვრობს 27 გვარის მატარებელი 77 კომლი. მათგან მრავალკომლიანია: გოჩოლეიშვილი – 30კ., დავითაია – 28კ.

2002 წელს ონტოფოს თ/ს სოფ ეწერში აღინუსხა 234 მუდმივი მოსახლე (კაცი – 113, ქალი – 121). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1986 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

დოდელია აკაკი ევგენის ძე, 67 წ.

ნადარეიშვილი მიხეილ პავლეს ძე, 63 წ.

პირველი მაისის თემის საკრებულო

პირველი მაისის თემის საკრებულო მდებარეობს სოფ. მარნის სამხრ-ით, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ადგილობრივი ტერიტორიული ერთეული სახელწოდებით „პირველი მაისის სოფ. საბჭო“ შეიქმნა 1937 წელს მარნის სოფ. საბჭოს ერთი ნაწილის ხარჯზე. კერძოდ, მასში შევიდა პირველი მაისი (ყოფ. საჭილაო), გაუწყინარი, თხმელარი და ქვიშანჭალა (ეს სოფლები შედიოდა მარნის სოფ. საბჭოში).

1996 წელს პირველი მაისის საკრებულოს ოთხივე სოფელში მკვიდრობდა 172 გვარის მატარებელი 717 კომლი (2111 სული). თემის მასშტაბით მრავალკომლიანი გვარებია: გოგიშვილი – 43კ., დუნდუა – 41კ., ხონელიძე – 37., გრიგოლია – 36კ., ბარათელი – 23კ., ახობაძე – 21კ., ქუნთელია – 18კ., შალამბერიძე – 16კ., ვერულაშვილი, ნინუა – 15-15კ., კომახიძე, ფუტკარაძე – 14-14კ., თურქია, სურგულაძე – 13-13კ., გოთოშია, სტურუა, ტალიკაძე – 12-12კ.

პირველი მაისი

პირველი მაისი (ყოფ. საჭილაო) – სოფელი აბაშის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას, ზ.დ. 13 მ, ქ. აბაშიდან 9კმ (ქსე, 8). დაზუსტება: პირველი მაისი უწინდელი მარნის ნაწილია სარკინიგზო და საავტ. მაგისტრალის სამხრ-ით, გაუწყინარამდე, ცხენისწყალსა და სოფ. თხმელარს შუა. საბჭოთა პერიოდში ეწოდებოდა გამოდმა საჭილაო და შედიოდა მარნის სოფსაბჭოში. რესპ: „ერთმა მგზავრმა იკითხა თურმე, ეს რომელი სადგურია? უთხრეს, მარანიო. მე საჭილაო მეგონაო. იგივეაო, დაამშვიდეს“.

საჭილაო იყო მცირე დასახლებული პუნქტი – საჭილაოს საფეოდალოს ცენტრი მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე. ცნობილი ისტორიული ფაქტია „საჭილაოს შეთანხმება 1804“, რომლითაც იმერეთის მეფე სოლომონ II და სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი შეთანხმდნენ, ლეჩხუმის საკითხთან დაკავშირებით დამორჩილებოდნენ რუსეთის მეფის გადაწყვეტილებას (ეს შეთანხმება მხოლოდ ფორმალური აღმოჩნდა).

გ. ელიავას რესპოდენტი აღნიშნავს: „1937 წელს მარანი ორ ნაწილად გაიყო და ერთი ნაწილის ცენტრს დაერქვა პირველი მაისი. აქაური იყო უტუ თოდუა. უტუ მიქავას ლაშქარში ბევრი იყო აქედან წასული მებრძოლი“ (ელიავა, 1977, გვ. 48). შემდგომში კი შეიქმნა პირველი მაისის სოფსაბჭო (იხ. „საჭილაო“ წიგნის II ნაწილში).

1996 წელს სოფ. პირველ მაისში მკვიდრობდა 53 გვარის მატარებელი 208 კომლი (651 სული). კომლმრავლობით გამოირჩევა: გოგიშვილი – 27კ. (96 ს.), ხონელიძე – 30კ. (106 ს.), ტალიკაძე – 11კ. (31 ს.), კომახიძე – 10კ. (44 ს.), ქუნთელია – 10კ. (29 ს.), ძიძიგური – 10კ. (32 ს.), ნინუა – 9კ. (26 ს.), სტურუა – 9კ. (36 ს.).

2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, სოფ. პირველ მაისში ცხოვრობს 650 მუდმივი მოსახლე (კაცი – 284, ქალი – 366). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

გიგინეიშვილი რევაზ სანდროს ძე, 55 წ.
გოგიშვილი სერგო თომას ძე, 84 წ.
კალანდაძე აკაკი ყარამანის ძე, 83 წ.
კვერხელიძე გიორგი ბიჭორის ძე, 66 წ.
ლასარეიშვილი ბორის ისაკის ძე, 48 წ.
სტურუა კარლო ბათლომეს ძე, 58 წ.
შათირიშვილი მურმან ლუარსაბის ძე, 49 წ.

გაუწყინარი

გაუწყინარი – სოფელი აბაშის რ-ნის პირველი მაისის სოფსაბჭოში, მდ. ცხენისწყლის შესართავთან. ზ.დ. 20 მ, ქ. აბაშიდან 13კმ, მარნიდან 4კმ (ქსე, 3). დაზუსტება: სოფელი გაუწყინარი მდებარეობს მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას, პირველ მაისსა (ჩრდ-ით) და ქვიშანჭალას (სამხრ-ით) შუა. გაუწყინარის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით გ. ელიავა აღნიშნავს: „სოფელი ცხენისწყლის გაყოფებაზე მდებარეობს, ქოლობნიდან რიონამდე. მას **გაუწყინარს** ეძახოდნენ 1937 წლამდე და შედიოდა მარნის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში. 1937 წელს გამოეყო მარანს, შეიქმნა ახალი საბჭო და პირველი მაისი ეწოდა... სამხრეთ-აღმოსავლეთით, რიონისა და ცხენისწყლის შესართავის ახლოს ისტორიული **ორპირია**, ყოფილი სანავსადგურო ქალაქი, ერთ-ერთი ეკონომიკური ცენტრი რიონისპირეთში. აქამდე ამოდიოდნენ დიდი გემები ფოთიდან.

მოსახლეობა უფრო მეტად იმერლები არიან. მეტყველებენ იმერულ კილოზე“ (ელიავა, 1977, გვ. 47).

1886 წლის კომლობრივი აღწერის ცნობარში (... 1893) სოფელი შედის მარნის სოფლის საზოგადოებაში „გაუწყინარი“ ფორმით (101კ., 560 ს.). XIX ს-ის საეკლესიო საბუთებში გვხვდება როგორც გაუწყინარი, ისე გოუწყინარი ვარიანტები: 1846 წელს შედგენილ №634 საქმეში დასახელებულია საჭილაოს გაუწყინარის წმ. გიორგის ეკლესია (ჭითანავა, 2010, გვ. 61). მაგრამ 1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებში მდ. ცხენისწყლის გასწვრივ მდებარე ეკლესიათა შორის აღნიშნულია: „**გოუწყინარი** – 1 ეკლესია“, ხოლო 1886 წლის კომლობრივი აღწერის ცნობარში – (101კ., 175 ს.). საქ. სსრ ადმ. ტერიტ. დაყოფის ცნობარში (1930 წლის გამოცემა) მარნის სას. საბჭოს 6 სოფელს შორის დასახელებულია **გაუწყინარი** (150კ., 682 ს.), რაც საბოლოოდ დამკვიდრდა ოფიციალურ ფორმად სოფლის სახელწოდებისა.

1996 წელს პირველი მაისის თემის საკრებულოს სოფ. გაუწყინარში ცხოვრობს 79 გვარის მატარებელი 200 კომლი (616 სული). შედარებით მრავალკომლიანი გვარებია: გოთოშია – 12კ., თურქია – 12კ., სურგულაძე – 12კ., ჯანაშია, რატიანი – 7-7კ., ხაჟოშია, შუბლაძე, რურუა – 6-6კ.

გაუწყინარის (თუ გოუწყინარის) სემანტიკა და მოტივაცია ჯერ-ჯერობით არაა დადგენილი. კ. ჰანის „ეტიმოლოგია“ ჭეშმარიტებისგან ძალზე შორს დგას: „გაუარა“+**ცინვა** „გაღიმება“ = გაუღიმარი, გაუცინარი, მოსაწყენი“ (ჰანი, 1909, გვ. 39). გ. ელიავა გაუწყინარის ეტიმოლოგია-მოტივაციასთან დაკავშირებით ეყრდნობა ინფორმატორისეულ გადმოცემას: „მოსახლეობა უწყინარი, კეთილი და მუშა ხალხი იყო“ (ელიავა, 1977, გვ. 48).

2002 წელს პირველი მაისის თემის საკრებულოს სოფ. გაუწყინარში აღინუსხა 756 მუდმივი მოსახლე (კაცი – 368, ქალი – 388). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

არველაძე ივანე გალაქტიონის ძე, 63 წ.

სურგულაძე მექი ვარდენის ძე, 78 წ.

ჩარგეიშვილი აკაკი სევერიანის ძე, 77 წ.

თხმელარი

თხმელარი – სოფელი აბაშის რ-ნის პირველი მაისის სოფსაბჭოში, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, ზ.დ. 15 მ, ქ. აბაშიდან 6კმ, სოფ. პირველი მაისიდან 2კმ (ქსე, 5). დაზუსტება: თხმელარი მდებარეობს სოფ. პირველ მაისსა და ცილორს შუა, სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების სამხრ-ით. სოფლის სახნავეები რიონისპირამდე აღწევს.

თხმელარმა სოფლის სტატუსი მიიღო XIX ს-ის ბოლო მეოთხედში. 1886 წელს ჩატარებული კომლობრივი აღწერის ცნობარის თანახმად, თხმელარი შედის სენაკის მაზრის აბაშის უბნის მარნის სოფლის საზოგადოებაში (31 კომლი, 151 სული). 1930 წელსაც თხმელარი ისევ მარნის აღმ.-ტერიტ. ერთეულშია, ოღონდ მნიშვნელოვნად გაზრდილი მოსახლეობით (79 კომლი, 364 სული). შემდეგ კი, როგორც ცნობილია, შეიქმნა პირველი მაისის სას. საბჭო და თხმელარიც იქ აღმოჩნდა.

ტოპონიმის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა: ქართ. თხმელა+ნარი თხმელნარი თხმელარი.

1996 წლის 2 აგვისტოს ცნობით, რომელიც პირველი მაისის თემის საკრებულოს თავმჯდომარის მიერაა ხელმოწერილი (და ინახება თსუ ქართველური „ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში“), თხმელარში აღინუსხა 36 გვარის მატარებელი 155 კომლი (455 სული). კომლმრავალი გვარებია: დუნდუა – 34კ., ახოზაძე – 19კ., ბარათელი – 18კ., გოგიშვილი – 10კ., ხონელიძე – 7კ.

2002 წელს თხმელარის მოსახლეობის სულადობა შეადგენს 392 სულს (კაცი – 180, ქალი – 212). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბარათელი აბესალომ სარდიონის ძე, 44 წ.

ბარათელი ბონდო პავლეს ძე, 60 წ.

დუნდუა გრიშა იაკიმეს ძე, 65 წ.
კიკალეიშვილი მეფლედ გერმანეს ძე, 42 წ.
კორძაია მიტუშა მიხეილის ძე, 62 წ.
ჯღამაძე კოლია ალექსანდრეს ძე, 72 წ.

ქვიშანჭალა

ქვიშანჭალა (ყოფ. ორპირი) – სოფელი აბაშის რ-ნის პირველი მაისის სოფსაბჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირას, ზ.დ. 20 მ, ქ. აბაშიდან 12კმ (ქსე, 10). დაზუსტება: სოფელი მდებარეობს გაუწყინარის სამხრ-ით 4-5 კმ-ზე, რიონ-ცხენისწყლის შესართავთან. შდრ.: „ქვიშანჭალას XIX ს-ში, როდესაც რიონი სანაოსნოდ გამოიყენებოდა, ორპირს ეძახდნენ“ (ბერაძე, მაისია, 2004, გვ. 15).

ოდიშ-ლენხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის თანახმად, ქვიშანჭალა საჭილაოს მაზრაში შედის, ხოლო 1886 წელს – მარნის სოფლის საზოგადოებაშია (56 კომლი, 298 სული). ამასთანავე, ორპირი (აგრეთვე: ილორი მესამე, ნაფალაური, ნაჩხატაური და სანავარდო) შედის ილორის თემის საკრებულოში. 1930 წლისათვის „ქვიშანჭალა“ მარნის სას. საბჭოშია გაერთიანებული (69კ., 337 ს). 1937 წლიდან კი იგი აბაშის რ-ნის ახლადშექმნილ პირველი მაისის სას. საბჭოში მოექცა.

თ. ბერაძე და გ. ცქიტიშვილი XIX ს-ის პირველი ნახევრის იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ საზღვრებზე მსჯელობისას ასახელებენ ქვიშანჭალასაც (სიგკ, IV, 1971, გვ. 42). XIX ს-ში ქვიშანჭალაში, სასაფლაოსთან, მდგარა წმ. გიორგის სახელობის ქვის ეკლესია. აქ, ნაეკლესიარზე, ახალი სალოცავი ააგეს.

ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით კ. ჰანის მოსაზრება სემანტიკური თვალსაზრისით მისაღებია („: ჰანი, 1909, გვ. 78), თუმცა საჭიროებს ენობრივ-ფონეტიკურ დასაბუთებას (ნ ბგერასთან დაკავშირებით).

1996 წელს ქვიშანჭალაში მკვიდრობდა 49 გვარის მატარებელი 154 კომლი. მათგან მრავალკომლიანი გვარებია: გრიგოლია – 35კ., ვერულაშვილი – 15კ., შალამბერიძე – 13კ., ფუტკარაძე – 5კ.

2002 წელს პირველი მაისის თემის საკრებულოს სოფ. ქვიშანჭალაში აღინუსხა 168 სული (კაცი – 83, ქალი – 85) მუდმივი მოსახლე. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ვერულაშვილი გედევან ნიკოლოზის ძე, 17 წ.

ტაბაღუა შოთა ბიქტორის ძე, 65 წ.

P.S. ქსე-ს მე-10 ტომი გვაუწყებს, რომ ქვიშანჭალა ყოფილი ორპირია, მაგრამ მოსახლეობის 1886 წლის აღწერის ცნობარში (... 1893) ორპირი და ქვიშანჭალა სხვადასხვა სოფლებად და წარმოდგენილი: ორპირი ილორის სოფლის საზოგადოებაში (17კ., 55 ს.), ხოლო ქვიშანჭალა – მარნის სოფლის საზოგადოებაში (56კ., 298 ს.).

სამიქაოს თემის საკრებულო

სამიქაოს თემის საკრებულო ადმ.-ტერიტ. ერთეულია აბაშის რ-ნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მდ. ცხენისწყალსა და სეფიეთს შუა. ჩრდ-ით ესაზღვრება მარტვილის რ-ნი, ხოლო სამხრ-ით – გეზათის თ/ს. შედის ორი სოფელი – სამიქაო (ც.) და მაიდანო. ამ შემადგენლობით სას. საბჭო პირველად გამოჩნდა საქ. სსრ ადმ.-ტერიტ დაყოფის 1930 წლის გამოცემაში. 1996 წელს სამიქაოს თემის საკრებულოში მკვიდრობს 118 გვარის მატარებელი 720 კომლი. თემის მასშტაბით კომლმრავალი გვარებია: მიქაძე – 137კ., ჯანგველაძე – 82კ., ჩორგოლაშვილი – 44კ., ვეკუა – 33კ., ლოხოშვილი – 29კ., ჯოჯუა – 27კ., კაჭარავა, კვანტალიანი – 24-24კ., დარცმელიძე – 19კ., ქობულია – 18კ., ბაახია, თაკვარელია, იმედაშვილი, ქორდუბაძე – 15-15კ. 2002 წელს სამიქაოს თემის საკრებულოს ორივე სოფელში ცხოვრობს 1812 მუდმივი მოსახლე (კაცი – 860, ქალი – 952). (სათანადო

ცნობას ხელს აწერენ სამიქაოს გამგეობის თავმჯდომარე მ. ბოკერია და მდივანი ლ. ჟორჟოლიანი).

სამიქაო

სამიქაო – სოფელი სოფსაბჭოს ცენტრი აბაშის რ-ნში, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე, ზ.დ. 50 მ, ქ. აბაშიდან 12კმ (ქსე, 9). ესაზღვრება: ჩრდ-ით – მაიდანის, დას-ით – სეფიეთი, სამხრ-ით – გულუხეთი. იყოფა ორ ნაწილად: ზედა სამიქაო, ქვედა სამიქაო. ოდიშ-ლენჩხუმის დავით დიდიანიშვილი დაყოფის (XIX ს-ის 40-იანი წლები) თანახმად, სამიქაო სოფელია სუჯუნის მაზრაში, ხოლო 1886 წელს შედის აბაშა-ონტოფოს სოფლის საზოგადოებაში (125 კომლი, 658 სული). საბჭოთა საქართველოს პირველი წლებიდანვე იქმნება სამიქაოს სას. საბჭო (იხ. „დაყოფა“ 1930 წ.) ორი სოფლით – მაიდანის (327 კომლი, 1527 სული) და სამიქაო (341 კომლი, 1586 სული). ამგვარი დაყოფა დღესაც ძალაშია. 2002 წლის აღწერის მასალების მიხედვით, სამიქაოს მუდმივ მოსახლეთა რაოდენობა აღწევდა 726-ს, ხოლო მაიდანისა – 1086 სულს.

სამიქაო ანთროპოლოგიკონიშია. ამოსავალია გვარი მიქაძე (აღგ. ვარიანტი: მიქავა, მიქაია). 1996 წელს სამიქაოსა და მაიდანში, მდ. კოვზას ორივე ნაპირას, ცხოვრობდა 147 კომლი მიქაძე. სწორედ აქ ეწოდება უბანს მიქაძეები, მიქაძეების ქუჩა. 1995 წლის 1 თებერვალს ჩატარებული სულადობრივი აღწერის თანახმად, ჩვენს ქვეყანაში 4950 სული მიქაძე ცხოვრობს (81-ე ადგილი საქართველოში). საკუთრივ აბაშის რ-ნში კი აღინუსხა 791 სული მიქაძე (მე-6 ადგილი რ-ნში). მიქაძეები კომპაქტურად ცხოვრობენ როგორც სამიქაოში, ისე ქოლობანში, ძველ სენაკში, ქ. აბაშაში, პირველ მაისში. 1657-1660 წწ. წყალობის წიგნში ნახსენები არიან „მიქაძე მიხილია და მისი შვილები“ (ქსმ, III, გვ. 532), მიქაძეები თავადები იყვნენ და ფლობდნენ მამულებსა და ყმა-გლეხებს აბაშის, სენაკისა და ხობის რ-ნებში. მიქა, მიქია გურია-იმერეთსა და სამეგრელოში გავრცე-

ლებული პირსახელებია (შდრ. გვარები: მიქავა, მიქაია, მიქანაძე, მიქანძე, მიქაუტაძე (-უტა მოფერებითი ელფერის გამომხატველია), მიქელაძე, მიქელია, მიქია და ა.შ. (საერთოდ, ქართ. მიქა ძვ. ებრ. მიქაელი). კ. ჰანი აღნიშნავს, რომ სამიქაოსათვის ამოსავალია საკუთარი სახელი (ჰანი, 1909, გვ. 124).

სამიქაოს ცენტრში, სასაფლაოსთან, დგას სამრეკლო, რომელიც კოშკს უფრო წააგავს და XVI-XVII საუკუნეებისა უნდა იყოს. აქვე მდგარა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია. გაზეთ „დროების“ 1874 წლის ერთ-ერთი ნომერი გვაუწყებს, რომ სამიქაო, სადაც უმეტესწილად მიქაძეები ცხოვრობენ, მდებარეობს ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, სოფ. ბანძის მახლობლად. 1899 წელს კი გაზეთ „კვალის“ ერთ-ერთ ნომერში აღნიშნულია: „სამიქაო მდებარეობს დ. ხონის პირდაპირ დასავლეთით, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სწორედ იქ, სადაც არის საზღვარი იმერეთსა და სამეგრელოს შუა... ამიტომ ამ სოფლის ერთი ნაწილი ეკუთვნის ქუთაისის მაზრას და მეორე – სენაკისას. პირველები თავის თავს იმერლებად უწოდებენ და მეორენი – მეგრელებათ (ოდიშლებათ)“ (იხ. ვრცლად: ჭითანავა, 2010, გვ. 502-503). ზემოთ დასახელებული წმ. გიორგის ეკლესია რამდენიმეგზის არის დადასტურებული XIX ს-ის საეკლესიო საბუთებში. საერთოდ კი, სამეგრელო-იმერეთის საზღვარია მდ. ნოდელა.

სამიქაოში აღინიშნებოდა ელიობა 2 (20) აგვისტოს, კოცონს აჩაღებდნენ მინდორში, კლეფხერის ძირას. ამიტომაც ამ მინდორს ეწოდება კლეფხერისძირი//კლეფხერიშ-ჯინჯი.

1996 წელს სამიქაოში მკვიდრობდა 64 გვარის მატარებელი 308 კომლი. კომლმრავალი გვარებია: მიქაძე – 53კ., ჩორგოლაშვილი – 42კ., კვანტალიანი – 24კ., კაჭარავა – 19კ., დარცმელიძე – 19კ., ქურდუბაძე – 15კ., ცოტაძე – 12კ., ანჯაფარიძე – 11კ., კარანაძე – 11კ... ეს გვარები ქმნიან უბნებს: კაჭარავები//კაჭარავების უბანი//საკაჭარაო, დარცმელიძეები//დარცმელიძეების უბანი//დარცმელიძეების ქუჩა, კვანტალიანები//კვანტალიანების ქუჩა, ქურდობაძეები, მი-

ქაძეები//მიქაძეების ქუნა, ჩორგოლაშვილები//ჩორგოლაშვილების ქუნა.

ჩორგოლაშვილების ჯგუფური მეტსახელება (იმერულად კილი, ანუ საგინებელი): **მეჩიტი** (წინაპარი ჩიტების მოყვარული იყო); **კონჩხა** (კონჩხა ჯოხია ერთგვარი, „ძველს“ სულ ჯოხი ნაჭირება ხელთ; კორომი, ძუნწი (არაფერს მოგცემდა); კვარია, დამწვარა (იგივეა, რაც დამწვარი, ე.ი. ძუნწი); უანგირა (თურმე უანგი ესვა სახეზე).

2002 წელს სამიქაოში აღინუსხა 726 მუდმივი მსახილე (კაცი – 334, ქალი – 392). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1986 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

- გეგეშიძე ალექსანდრე ანდრიას ძე, 63 წ.
- დარცმელიძე მიხეილ რომანოზის ძე 71 წ.
- დარცმელიძე პლატონ მიხეილის ძე, 80 წ.
- კაჭარავა გრიგოლ კირილეს ძე, 58 წ.
- კაჭარავა ლიუდმიკი სამსონის ძე, 58 წ.
- მადლაკელიძე აბელ სევერიანის ძე, 73 წ.
- მელიქიძე ტიტოკო დომენტის ძე, 59 წ.
- მიქაძე იორამ გიორგის ძე, 61 წ.
- მიქაძე კალისტრატე სერგის ძე, 65 წ.
- მიქაძე პართენ დავითის ძე, 99 წ.
- რუსია ალექსანდრე (ბარდლა) ნიკოლოზის ძე, 75 წ.
- ყურუა ვალდია გრიგოლის ძე, 36 წ.
- ჩორგოლაშვილი აკაკი ბესარიონის ძე, 80 წ.
- ჩორგოლაშვილი ალექსი ტარას ძე, 78 წ.
- ჩორგოლაშვილი ოთარ ალექსანდრეს ძე, 53 წ.
- ჩორგოლაშვილი შოთა ალექსანდრეს ძე, 73 წ.
- ცოტაძე გრიგოლ ლაზარეს ძე, 63 წ.
- ცხადაძე მამია ანთიმოზის ძე, 62 წ.
- ხაჯალია საშა თომას ძე, 62 წ.

მაიღანი

მაიღანი – სოფელი აბაშის რ-ნის სამიქაოს სოფსაბ-ტოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხა-

რეს, ზ.დ. 70 მ, ქ. აბაშიდან 16კმ (ქსე, 6). დაზუსტება: მაი-
დანი მოქცეულია სოფ. ონლიასა (მარტვილის რ-ნი) და
სამიქაოს შუა. ჩრდ.-დას-ით ჩაუვლის მდ. ნოდელა. სოფე-
ლი იყოფა ორ ნაწილად: ზედა მაიდანი (ჩრდ.-აღმ-ითი ნა-
წილი) და ქვემო მაიდანი (სოფლის ცენტრიდან სოფ. სამი-
ქაომდე).

მაიდანი, როგორც სოფელი, პირველად გამოჩნდა საქ.
სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემაში: აბაშის
რ-ნის ახლადშექმნილ სამიქაოს საბჭოში შევიდა საკუთ-
რივ სამიქაო (კ.) – 327კ. (1527 ს.) და მაიდანი – 341კ. (1586
ს.). ეს ვითარება დღემდე უცვლელია.

ტოპოლექსემა მაიდან-ის ეტიმოლოგიისათვის: 1. ს.-
საბა: „**მეედანი, მეიდანი** სხვათა ენაა. ქართულად **მერე** და
მინდორი და **ფორე** ჰქვიან“; 2. „სხვათა ენა“, რაც დ. ჩუბი-
ნაშიელმა ასე დააზუსტა: „არაბული“. 3. ა. ბალიშივილი: „მა-
იდანი – არაბული სიტყვაა“ (ბალიშივილი, 2010, გვ. 23). სიტ-
ყვა ფართოდ იყო გაგრცვლებული ძველ აღმოსავლეთში.
ქსე გვამცნობს: „**მოედანი** – სხვადასხვა სახის შენობებით,
ნაგებობებით შემოფარგლული ღია, განაშენიანებისაგან
თავისუფალი, არქიტექტურულად ორგანიზებული სივრცე,
რომელიც შედის ქალაქის სივრცეთა საერთო სისტემაში.
პირველ მოედნებს საფუძვლად დაედო კრეტის, ეგვიპტის,
ბაბილონის, სირიის სასახლეთა და სატაძრო კომპლექ-
სთა საზეიმო ეზოები“ (იხ. სრულად და ვრცლად: ქსე, 7,
გვ. 63-64).

ქართულში მაიდანი, მოედანი შემოსულია სამი მთა-
ვარი მნიშვნელობით: 1. შენობებით შემოფარგლული ფარ-
თო და სწორი ადგილი ქალაქში ან სოფლად; 2. ფართო
და ვაკე ადგილი; 3. სავარჯიშო, სათამაშო, სააღლუმო და
მისთ. ასპარეზი (ქველ, V). რა ვითარებაა ამ მხრივ ძველ
ქართულ ენასა და ქართველურ ენათა ლექსიკონებში? მაე-
დანი, მოედანი განმარტებული აქვთ ს.-საბას, დ. და ნ. ჩუ-
ბინაშიელებს. თუმცა ი. აბულაძისა და ზ. სარჯველაძის
ლექსიკონებში, რომლებიც ემყარება ძველი ქართული ენის
წერილობით წყაროებს (დაბეჭდილსა თუ ხელნაწერს), ზე-

მთი ადნიშნული სიტყვები არ ჩანს. „ვეფხისტყაოსანში“ კი დაფიქსირებულია „მოედანი“:

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,

მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა“.

სიტყვა **მაიდან** შესულია რუსულ ენაშიც. არაბულ-რუსულ ლექსიკონში არაბული „მაიდან“ განმარტებულია როგორც: 1) „...“ ; 2) „...“ (ბარნოვი, 1957, გვ. 988). მაგრამ დამატებით არის შესასწავლი ფონეტიკური პროცესები, რომლებმაც არაბული „**მაიდან**“ სიტყვის ვარიანტად ქართულში დაამკვიდრა „მოედანი“ (სხვა ვარიანტი მეტ-ნაკლებად ახსნადია: მაიდან მაიდანნი მეიდანნი მეედანი მეედანი). ა. ბალიშვილი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა მაიდან სიტყვის გავრცელების პროცესი ზანურში, ასკვნის: „არაბიზმი მეგრულ-ლაზურისათვის მეორად ნასესხობას წარმოადგენს: მეგრულში ითვლება ქართულიდან შესულად, ლაზურში კი თურქულის გზით არის მოხვედრილი, ან შესაძლოა მეგრულ-ლაზურის ტერიტორიულ გათიშულობამდეც დასტურდებოდა“ (ბალიშვილი, 2010, გვ. 23). **შენიშვნა:** „სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებებში“ მრავალგან არის დასახელებული მაიდანნი, მეედანი, მეედანი, მოედანი... ნათქვამია, რომ ეს ლექსიკური ერთეული ადმოსავლური მაიდან სიტყვის ქართული ვარიანტებია (იხ. ცხადაია, 2004, გვ. 79; 2008, გვ. 211).

გ. ელიავას „გეგეჭკორისა და აბაშის რაიონების ტოპონიმიაში“ ადგილის სახელებად დაფიქსირებულია მაიდანნი, მეედანი, მეედანი და მათი საერთო მნიშვნელობა ასეთია: „საბურთაო და საჯარო ადგილი“; „შეკრება-ჯარობის, ჯირითისა და გართობის ადგილი“.

საერთოდ, გურია-იმერეთსა, რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელო-სამურზაყანოში ორ ათეულზე მეტ გეოგრაფიულ ობიექტს (როგორც სოფელს, ისე ვაკე-მოედანს, საასპარეზო მინდორს და სხვ.) ეწოდება მაიდანნი, მეედანი, მეედანი, მეედანი. სამიქაოს თემის სოფ. მაიდანის სახელწოდების

მოტივაციასთან დაკავშირებით რესპოდენტები აღნიშნავენ: „ძველთაგანვე ყოფილა ღია ვაკე, მინდორი, საბურთაო“.

1996 წელს აბაშის რ-ნის სამიქაოს თემის სოფელ მაიდანში მკვიდრობდა 74 გვარის მატარებელი 296 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: მიქაძე – 84კ., ჯანგველაძე – 79კ., ვეკუა – 33კ., ლოხოშვილი – 29კ., ჯოჯუა – 26კ., ქობულია – 16კ., თაკვარელია – 15კ., ბაახია – 15კ., კვიციანი – 8კ., ბალათურია – 7კ. ამ გვარების შესაბამისად სოფლის უბნების სახელებია: ბაახიების ქუჩა, ბალათურიების ქუჩა, თაკვარელიების ქუჩა, ვეკუების ქუჩა, ქობულიები და სხვ.

2002 წელს სამიქაოს თემის საკრებულოს სოფელ მაიდანში აღინუსხა 1086 მუდმივი მოსახლე (კაცი – 526, ქალი – 560). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1986 წლის 3-4 სექტემბერს. რესპოდენტები იყვნენ:

- დოხნაძე ოთარ არტემის ძე, 58 წ.
- ვეკუა დომენტი ნიკოლოზის ძე, 82 წ.
- ვეკუა რეზო გრიგოლის ძე, 51 წ.
- ვეკუა სერაპიონ ირაკლის ძე, 73 წ.
- თაკვარელია მიხეილ ილის ძე, 77 წ.
- იქმოდეიშვილი ივანე რომანოზის ძე, 78 წ.
- კვიციანი პოლიექტი ბახვას ძე, 80 წ.
- ლოხოშვილი კიმოთე ეფრემის ძე, 85 წ.
- ლოხოშვილი მიხეილ ანტონის ძე, 78 წ.
- მიქაძე ვალდია გიორგის ძე, 63 წ.
- მიქაძე იასონ იაკობის ძე, 74 წ.
- მიქაძე იპოლიტე ილიას ძე, 69 წ.
- ღვანია პლატონ ანდრიას ძე, 65 წ.
- ცერცვაძე კონსტანტინე (კაისა) სამსონის ძე, 71 წ.
- ჯანგველაძე შუქრი ბარნაბას ძე, 51 წ.

სეფიეთის სოფლის საკრებულო

სეფიეთის ადგილობრივი ადმ.-ტერიტ. ერთეული პირველად დაფიქსირდა 1886 წელს ჩატარებული კომლობრივი

აღწერის ცნობარში (... 1893) სეფიეთის სოფლის საზოგადოების სახელწოდებით. მასში გაერთიანებული იყო ორი სოფელი – სეფიეთი (ც.) და ორქა (მოსახლეობის საერთო რაოდენობა 234 კომლი, 1569 სული). 1930 წლისათვის ორქა ვედიდკარის საბჭოშია, ხოლო სეფიეთი ერთადერთი სოფელია სეფიეთის სას. საბჭოში (მოსახლეობა 362 კომლი, 1623 სული).

2002 წელს ჩატარებული აღწერის ცნობარიც გვიდასტურებს, რომ სეფიეთის სოფლის საკრებულოში ერთადერთი სოფელი საკუთრივ სეფიეთია (1114 სული: კაცი – 525, ქალი – 529).

სეფიეთი

სეფიეთი – სოფელი და ადგილობრივი ადმ.-ტერიტ. ერთეული აბაშის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე. ზ.დ. 50 მ, ქ. აბაშიდან 12კმ. ჩრდ-ით ესაზღვრება სოფ. ორქა და მახათი (მარტვილის რ-ნი), სამხრ-ით – ეწერი (ონტოფოს თ/ს), აღმ-ით – სამიქაოს თ/ს. მდ. აბაშის მარცხ. ნაპირზე აღმართულია შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – სამნავიანი ბაზილიკა. მრავალჯერადი გადაკეთების შედეგად მას თავდაპირველი იერი დაუკარგავს, მაგრამ შემორჩენილია გვიან ჩაშენებული ფილები V-VI საუკუნეების ძველი ბერძნული წარწერით. დღემდე მოღწეულ მხატვრობის ფრაგმენტებზე გვხვდება ისტორიულ პირთა, ადგილობრივ ფეოდალთა პორტრეტები. ნუსხახუცურ და ასომთავრულ წარწერებში მათი სახელებიცაა მოხსენიებული. ამ სოფელში 1931 წელს აღმოჩნდა რომაული ვერცხლის მონეტები, რომელსაც სეფიეთის განძი უწოდეს (ქსძ, 9, გვ. 304).

XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე, რომელიც თ. ბერაძემ შეადგინა, მდ. აბაშის მარცხ. ნაპირზე, აბაშის ჩრდ-ით, ეკლესიის პირობითი ნიშნის ქვეშ არის წარწერა „სეფიათი“. გიულდენშტედტმა ხონის ბაზრობაზე გაცნობილ რესპოდენტზე დაერდნობით შეადგინა სამეგრე-

ლოს სოფლების სია, რომელშიც 30-ე ნომრად დასახელებულია **საპატეი**, რასაც სქოლიოში მთარგმნელი დაურთავს: „სეფიეთი?“ (გიულდ., 1962, გვ. 323). სეფიეთი დასახელებულია დავით დადიანის მიერ შედგენილ „წყალობის წიგნში“ (იხ. „მხარეთმცოდნე“, 2011, გვ. 56. იხ. უფრო ვრცლად: კეკელია, 2011, გვ. 62-67).

ზემოთ დასახელებული შუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკა სეფიეთის სასაფლაოსთან მდგარი მთავარანგელოზთა ეკლესიაა, იგი მრავალგზის არის დასახელებული XIX ს-ის საეკლესიო საბუთებსა და აღწერილობებში (ჭითანავა, 2010, გვ. 52, 484 და სხვ.). ე. თაყაიშვილი მას ასე ახასიათებს: „უძველესთაგანი ეკლესიაა სამეგრელოში“ (იხ. ვრცლად: თაყაიშვილი, 1914, გვ. 33-38). ოდიშ-ლენხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფით (1842 წ.) სოფ. სეფიეთი შედის სუჯუნის მაზრაში. 1886 წელს სეფიეთი (229კ., 1293 ს.) და ორქა შედის სენაკის მაზრის აბაშის უბანში. 1930 წლისათვის კი სეფიეთი (362კ., 1623 ს.) სეფიეთის სას. საბჭოში ერთადერთი სოფელია.

სეფიეთი ანთროპოტოპონიმი ჩანს. კოლხეთში გავრცელებულია პირსახელები სეფა, სეფე, სეფია, ხოლო სიტყვათწარმოებითი სუფიქსი -ეთ ადმ. სამეგრელოს ტოპონიმიაში გავრცელებულია ქვემოიმერულიდან და ძირითადად მარტვილისა და აბაშის რ-ნების ტოპონიმიაში დასტურდება. არაა გამორიცხული, „სეფიეთი“ მომდინარეობდეს ამ სოფლის პირველი მოსახლის – სეფე ონიგავას სახელიდან (გადმოცემის მიხედვით). ამ შემთხვევაში ტოპონიმის წარმოქმნის გზა ასეთი იქნება: სეფე სეფე-ათი (სეფეს შთამომავლობა) სეფიათი.

სეფიეთს ესაზღვრება მუხურჩა, გეჯეთი, ონტოფო, სამიქაო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცუღლარის არხი სწორედ სეფიეთში გამოეყოფა ნოდელას.

1996 წელს სუფიეთში მკვიდრობდა 64 გვარის მატარებელი 440 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: ლაბარტყავა – 61კ., ონიგავა – 54კ., რურუა – 54კ., მაკალათია – 29კ., მელია – 25 კ., ნოდია – 23კ., ღვანია – 17კ., ხაბეიშვილი – 16კ., ძველია – 15კ., ბაღათურია – 10კ., გოგონაია –

9კ. (ცნობას ხელს აწერენ სეფიეთის გამგებელი გ. ბაღათურია და მდივანი ი. ნადარეიშვილი). შესაბამისი მიკროანთროპოლოგიკონიშნებია: საღაბარტყაო, საღვანო, საოჩიგაო, საძველაო. ამასთან ერთად აღვნიშნავთ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს: 1. სეფიეთში ნაპოვნია ორი ფილა ბერძნული წარწერებით, რომელთაც მკვლევრები ათარიღებენ VI-VII საუკუნეებით; 2. სეფიეთი, საეკლესიო სოფელი, ეკუთვნოდა ჭყონდიდის ეკლესიას; 3. საისტორიო წყაროებში დასტურდება ვარიანტი „სეფეთი“. **შენიშვნა:** იხ. სეფიეთის ზოგადი ისტორიული და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა: კეკელია, სეფიეთის ტოპონიმია, ქუთაისი, 2011, გვ. 6-17).

2002 წელს სუფიეთში მკვიდრობდა 1114 მუდმივი მოსახლე (კაცი – 525, ქალი – 589). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1986 წლის 4-5 სექტემბერს. რესპოდენტები იყვნენ:

- ღაბარტყავა კარლო სოლომონის ძე, 68 წ.
- მაკალათია ალექსანდრე (ჭიჭიკო) ამბაკოს ძე, 76 წ.
- მაკალათია კონსტანტინე (კოკოშკა) ოლიფანტეს ძე, 47 წ.
- მაკალათია სპირიდონ ილიას ძე, 62 წ.
- მელია ვაჟა სევერიანის ძე, 49 წ.
- მელია პახუმი იოსების ძე, 73 წ.
- ონიგავა ვილგემ ფილიპეს ძე, 54 წ.
- რურუა ამირან სანდროს ძე, 57 წ.
- რურუა სევასტი (ჭიჭიკო) დავითის ძე, 65 წ.
- რურუა სერგო ანდრიას ძე, 52 წ.
- რურუა შოთა ვლადიმერის ძე, 67 წ.
- რუხაძე ოთარ გაიოზის ძე, 64 წ.

სუჯუნის თემის საკრებულო

სუჯუნის თემის საკრებულო ადგილობრივი ადმ.-ტერიტ. ერთეულია აბაშის რ-ნის დას. ნაწილში, სენაკის რ-ნის საზღვართან (საბჭოთა პერიოდში ეწოდებოდა სუჯუ-

ნის სას. საბჭო). შედის სოფლები: სუჯუნა (ც.), მეორე ეწერი, პირველი ეწერი, წალიკარი. 1886 წლის კომლობრივი აღწერის ცნობარში დასახელებულია „სუჯუნის სოფლის საზოგადოება“, რომელშიც შედის 4 სოფელი და 1 დაბა:

ზანათი – 235კ. (1344 ს.)

საბოკუნაო – 61კ. (333 ს.)

საგვაზავო – 114კ. (707 ს.)

სუჯუნა (სოფ.) – 332კ. (1708 ს.)

სუჯუნა (დაბა, ცენტრი) – 79კ. (510 ს.)

ჯამი: 821 კომლი, 4602 სული.

საქ. სსრ აღმ.-ტერიტ. დაყოფის (1930 წ. გამოცემა) მიხედვით, ახლადშექმდილი სუჯუნის სას. საბჭოს შემადგენლობა მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. მასში 9 სოფელია გაერთიანებული: ეწერი პირველი, ეწერი მეორე, ზანათი გამოღმა, ზანათი გაღმა, ზანათი შუა, სანოდიო, სახოსტარიო, სუჯუნა (ც.) და წალიკარი. ამ ცხრა სოფელში მკვიდრობს 1346 კომლი (6141 სული). 1949 წლისათვის კი სუჯუნის სას. საბჭოში მხოლოდ 4 სოფელია: სუჯუნა (ც.), პირველი ეწერი, მეორე ეწერი, წალიკარი (ამასთანავე, შექმნილია ზანათის სას. საბჭო ორი სოფლით: გაღმა ზანათი (ც.) და გამოღმა ზანათი. ხოლო ზანათი პირველი, ზანათი მეორე და ზანათი შუა დაიყო ორ სოფლად, სანოდიო და სახოსტარიო კი სუჯუნის უბნებად იქცა).

1996 წელს სუჯუნის თემში მკვიდრობდა 110 გვარის მატარებელი 776 კომლი თემის მასშტაბით ყველაზე კომლმრავალი გვარებია: ნოღია – 70კ. (მთლიანად სოფ. სუჯუნაში), კუცია, ხოსტარია – 58-58კ., გუგუშვილი – 56კ., მიმინოშვილი – 48კ. (მთლიანად სოფ. სუჯუნაში), კუპრეიშვილი – 22კ., ბესელია, თოფურია, რუსია, გამზარდია – 19-19კ., გაბუნია, მადნარაძე – 17-17კ., მატკავა, ბაღათურია, ჭედია – 15-15კ., ჭანტურია – 14კ., წულაია – 12კ., ბარკალაია – 11კ. (სათანადო ცნობას ხელს აწერს სუჯუნის თემის გამგებელი გ. ლაბარტკავა).

2002 წელს ჩატარებული საყოველთაო ეროვნული აღწერის ცნობარში სუჯუნის თემის საკრებულო მოიცავს

იმავე 4 სოფელს და მათში მუდმივ მოსახლეთა რაოდენობა აღწევს 2320 სულს (კაცი – 1093, ქალი – 1227).

სუჯუნა

სუჯუნა – სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრი აბაშის რ-ნში, მდ. აბაშის ნაპირას. ზ.დ. 15 მ, ქ. აბაშიდან 5კმ (ქსე, 9). ადგ. ვარიანტია სუჯინა (იხ. ვრცლად: კეკელია, 2011, გვ. 67-72). დეკანოზმა კონსტანტინე კაჭარავამ სუჯუნას ვრცელი მონოგრაფია უძღვნა, სადაც ნათქვამია: „მე-16 საუკუნემდე სოფ. სუჯუნა საფეოდალო საჭილას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა.. ამისი დასტურია ის, რომ სუჯუნაში ერთ დიდ საყანე მასივს „ნაჭილაუ“, ანუ თავად ჭილაძის ნაქონი ჰქვია“ (დეკანოზი კონსტანტინე, 2009, გვ. 23). შემდგომში კი სუჯუნა ჭყონდიდელთა ერთ-ერთ რეზიდენციად ქცეულა (იქვე, გვ. 25).

სუჯუნა ისტორიული სოფელია. იგი აღნიშნულია თ. ბერაძის მიერ შედგენილ „XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე“ (იხ. „ძეგლის მეგობარი, კრებული ოცდამეათე, თბ., 1970). სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესია მრავალგზის არის დასახელებული XVII-XIX საუკუნეების საეკლესიო საბუთებში. 1646 წლის ვერცხლის ხატის მხედრულ წარწერაში ამოკითხულია „სუჯუნის ეკლესია“ (საერთოდ, სუჯუნის ხატ-სიწმინდენი ლევან II დადიანის საკუთრება იყო). წმინდა გიორგი სუჯუნისა მოიხსენიება საეკლესიო-სამართლებრივ ძეგლებში: 1. „ცაგერის ტაძრის ეკლესიის ამოყვანის შესახებ“ (1675-1680 წწ.); 2. გაბრიელ ჭყონდიდელის „შეწირულობის წიგნში“ (1704-1714); 3. ბეჟან დადიანის მიერ სუჯუნის ეკლესიისათვის მიწების შეწირულების წიგნში, რასაც 1717 წლით ათარიღებენ (იხ. მხარეთმცოდნე, II, გვ. 45-47). წიგნში „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ ს. მაკალათია აღნიშნავს: „სუჯუნა საზამთრო სადგომი იყო ჭყონდიდელებისა და პირველი დაბა სამეგრელოში“.

სუჯუნის ცენტრში მდგარი წმ. გიორგის ტაძარი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზეა აგებული. 1770 წელს დაწერილი სიგელის მიხედვით, მიტროპოლიტმა გრიგოლმა დაიხსნა გასაყიდად გამზადებული რამდენიმე ებრაული ოჯახი, დაასახლა ისინი სუჯუნის ეკლესიიდან სულ რაღაც 100 მეტრში და დაუწესა გადასახადი – ხუთი მარჩილის სანთელ-საკმეველი. XVIII საუკუნიდანვე მოყოლებული, ბანძიდან, კულაშიდან... გადმოსული ისრაელაშვილები, მიხელაშვილები, ხუბელაშვილები, გაგულაშვილები... დასახლდნენ და მკვიდრადაც მოიკიდეს ფეხი, პატივისცემაც დაიმსახურეს თავიანთი ენერგიული და პატიოსანი შრომით (დეკანოზი კონსტანტინე, 2009, გვ. 39-43). XIX ს-ის შუა წლებში ებრაელ ვაჭრებს დიდი კაპიტალური ბრუნვა და აღებ-მიცემობა ჰქონდათ. გახსნეს დუქნები და აქტიურად ვაჭრობდნენ სტამბულონ (ძირითადად მიჰქონდათ აბრეშუმი), ჰქონდათ სინაგოგაც, დააარსეს სიონისტური ორგანიზაცია „კატიბა“... მაგრამ XX ს-ის დამლევისათვის სუჯუნა ებრაელებისაგან დაიცალა. ისინი გაემგზავრნენ ისტორიულ სამშობლოში – ისრაელში.

გადმოცემით, სუჯუნის წმ. გიორგის ტაძარში წმინდა გიორგის ყური ყოფილა ჩატანებული, ზოგნი კი იმასაც ამბობენ, ამ ეკლესიაში წმინდა გიორგის სხვა ნაწილებიც იყო დავანებულიო. სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიაში ყოველ წელს 23 აპრილს (ძვ. სტილით) აღინიშნებოდა „გერგობა“. წინა საღამოს კი იყო „გობირუა – შემომღერება; ეკლესიის გარშემოვლა გალობით“; დაეწყობოდნენ სამ რიგად, წინ წაიმძღვარებდნენ ეკლესიის დროშას და იძახდნენ: „რეისაო, კირია რეისა, რეისაო, კირია რეისა“... ამის მერე დაიშლებოდნენ, დროშას მღვდელი წაიღებდა. ამ რიტუალს ეწოდებოდა „სუნჯობა ონჯუა“. შემდგომ დღეებში იმართებოდა ჯარიანობა და პირუტყვით ვაჭრობა. ყოველივე ეს გრძელდებოდა სამ დღეს (იხ. ვრცლად: ელიავა, 1977, გვ. 53; დეკანოზი კონსტანტინე, 2009; ჭითანავა, 2010, გვ. 486-490).

სუჯუნის წმ. გიორგის სახელობის ხატი სასწაულმოქმედად იყო მიჩნეული. ხალხში დღემდეა შემორჩენილი

ორი ფრაზეოლოგიური ერთეული: „სუჯუნა მის უტიბუნი, ღუმუ თისგ აციინა“ (სუჯუნა ვისაც წყალობს, ფეტიცი მას მოუვაო“; „ოხვამეკარსუჯინა, უჯგუშის მუს უჯინა“ (სალოცავო სუჯინა, უკეთესს რას ვუმზირო).

გიულდენშტედტი სამეგრელოს სოფლებს შორის ასახელებს: „სუჯუნა – სოფელი დიდი ეკლესიით, აგრეთვე ეპისკოპოსის კუთვნილი“ (გიულდ... 1962, გვ. 323). ეკატერინე დადიანის მდივანი და მისი შვილების აღმზრდელი კ. ბოროზდინი აღნიშნავს, რომ სუჯუნის სასწაულმოქმედ ხატს მეგრელები მფარველად თვლიდნენ და მასთან შესაწირავი მიჰქონდათ.

სუჯუნა ხშირად მოიხსენიება XIX ს-ის საისტორიო-საეკლესიო საბუთებში. ოდიშ-ლენჩხუმის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის (XIX ს-ის 40-იანი წლები) ცნობარში დასახელებულია სუჯუნა და სუჯუნის მახრა. 1886 წელს ჩატარებული კომლობრივი აღწერის მონაცემებით (... 1893) სუჯუნის სოფლის საზოგადოებაში ორი სუჯუნაა დასახელებული: სოფელი სუჯუნა (332 კომლი, 1708 სული) და დაბა სუჯუნა (79 კომლი, 510 სული). საქ. სსრ პირველი ადმ.- ტერიტ. დაყოფის (გამოცა 1930 წ.) თანახმად, სუჯუნის სას. საბჭოში წარმოდგენილია 9 სოფელი და მათ შორისაა სოფ სუჯუნა, სადაც ცხოვრობს 191 კომლი, 911 სული (მათ შორის ქართველი – 407, ებრაელი – 409).

ეტიმოლოგიისათვის: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტ შორენა ჭანტურიას 1965 წლის ივნისში ჩაუწერია რამდენიმე გადმოცემა: 1. ახალგაზრდა ქალ-ვაჟისათვის მაშინ მოუკრავთ თვალი, როცა ერთმანეთს კოცნიდნენ. ერთს დასცდენია: „სუ, ჯუნა“ (ჩუმად, კოცნა), სხვა ვარიანტით, „სუ, ჯინა“ (ჩუმად, ყურება); 2. ქადაგს ხალხისათვის მკაცრი ტონით მიუმართავს: „სუ, რჩქილა“ (ჩუმად, სმენა. ე. ი. სიჩუმე, სმენა); დროთა განმავლობაში „სუ, ჯინა“ სუჯუნად გადაკეთებულა; 3. „სუ“ თათრულად წყალია, ხოლო „ჯუნა“ – „ცუდი“. მაშასადამე, სუჯუნა ნიშნავს „ცუდ წყალს“ (წერილი ინახება „ქართველური ონომასტიკის ს/ს ცენტრის არქივში). გ. ელიავას რესპოდენტი ასე

განმარტავს: „სუჯუნა – წყალი დამდგარი: **სუ** – წყალი, **ჯუნა** – დამდგარი“. აქვეა ნათქვამი: ოდესღაც სუჯუნა შეიძლება დაჭაობებული ადგილი იყო, მაგრამ გაჭრეს არხი, ამოაშრეს იგი და არხში რიონის წყალი ჩაუშვეს სამდინარო ტბასთან კავშირის დასამყარებლად (ელიავა, 1971, გვ. 13; იხ. აგრეთვე: ელიავა, 1997, გვ. 58). დეკანოზ კონსტანტინე კაჭარავას გამოურკვევია, რომ **სუდურ** მართლაც თურქულია და ნიშნავს არა ჩამდგარ წყალს, არამედ „წყალო, გაჩუმდი“. მკვლევარი აღნიშნავს: „სუდურის“ „სუჯუნად“ გადაქცევა მეტად საეჭვოა“, „ჩვენი მოსაზრებით, ტოპონიმი „სუჯუნა“ თავისი გრამატიკული წყობით ორ ნაწილად იყოფა: „სუჯ“ ფუძედ და „უნა“, იგივე „ონა“ სუფიქსად“ (დეკანოზი კონსტანტინე, 2009, გვ. 8). ამ მოსაზრებას ორი ათეული წლით წინ უსწრებს ზ. ჭუმბურიძის მეცნიერული მსჯელობა, რომ სახელწოდება სუჯუნაში „წარმოდგენილია **სურო** სიტყვის ძველი კოლხური შესატყვისი **სუჯ**-ი, რომელიც დღეს მეგრულში აღარ გვხვდება და მხოლოდ ჭანურ კილოშია დაცული. ამ ფუძეს დართული აქვს უ-ნა (/ონა=ქართ. ოვან) სუფიქსები. ამრიგად, **სუჯუნა** (სუჯ-ონა) ნიშნავს „სუროიანს“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 505). გამოთქმულია მოსაზრება, რომ, რადგანაც მეგრულში სუროს მნიშვნელობით გამოიყენება მხოლოდ **სურუ//ცურუ** ლექსემები, ხალი **სუნჯი** ცვარ-ნამს აღნიშნავს, სუჯონა (სოფელი აბაშის რ-ნში და წარწერა არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“) უნდა აღნიშნავდეს „**ცვარნამიან, ნესტიან ადგილს**“ (იხ. ცხადაია, 1999, გვ. 98-99). შდრ. ო. ქაჯაია: „**სუნჯი** იგივეა, რაც სუნდი, ცუნჯი – ცვარი, ნამი“ (ქაჯაია, II, გვ. 618). ი. კეკელია, ეყრდნობა რა აღ. ქობალიას განმარტებას „**სუნჯა** – სელის ნათესი“ (თუმცა იქვე: „**სუნჯი** – ცვარი, ნამი; თრთვილი“ – პ.ც.), სვამს კითხვას: „ხომ არ ნიშნავს **სუჯონა** სასელეს, სელის სათეს ადგილს“ (კეკელია, 2011, გვ. 74).

XX ს-ის მეორე ნახევარში სუჯუნის სოფსაბჭოში ორი სამეურნეო დანაყოფი იყო: სუჯუნის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა (სოფ. სუჯუნაში. ტერიტორია – 3398 ჰა) და სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა

(პირველი ეწერი, მეორე ეწერი, წალიკარი. ტერიტორია 1111 ჰა).

1996 წელს სოფ. სუჯუნაში მკვიდრობდა 79 გვარის მატარებელი 524 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: ნოდია – 70კ., ხოშტარია – 57კ., მიმინოშვილი (//მიმინოსქუა) – 48კ., რუსია – 18კ., კუცია, გამზარდია – 16-16კ., ბაღათურია – 14კ., თოფურია, მატკავა – 13-13., გვაზავა, საბაშვილი(//საბასქუა) – 10-10კ.

2002 წელს სოფ. სუჯუნაში მკვიდრობდა 1336 მუდმივი მოსახლე (კაცი – 633, ქალი – 703). ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ბესელია მიხეილ (მიშა) ალექსანდრეს ძე, 76 წ.

მიმინოშვილი იასონ ამბაკოს ძე, 73 წ.

ნოდია ვლადიმერ არსენის ძე, 65 წ.

ჭიჭინავა მიხეილ ეგგენის ძე, 79 წ.

ხოშტარია კონდრა გიორგის ძე, 71 წ.

ხოშტარია ხარიტონ ანთიმოზის ძე, 73 წ.

ეწერი

ეწერი დღეს ორ სოფლადაა წარმოდგენილი აბაშის რ-ნის სუჯუნის თემის საკრებულოში (პირველი ეწერი, მეორე ეწერი), მაგრამ ისტორიულად ერთი სოფელი იყო. დავით დადიანის მიერ 1842 წელს განხორციელებული ოდიშ-ლენხუშის 8 მაზრად დაყოფის ცნობარის მიხედვით, სუჯუნის მაზრაში დასახელებულია სოფელი ეწერი. 1886 წლის კამერალური აღწერის მონაცემებითაც ეწერი ერთი სოფელია (ნაესაკაოს სოფლის საზოგადოებაში. მოსახლეობა: 907 კომლი, 1189 სული). მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე ეწერი ორ სოფლად დაიყო და ორივე შევიდა სუჯუნის სას. საბჭოში (სხვა 7 სოფელთან ერთად)

როგორც ეწერი პირველი (158კ., 669 ს.) და ეწერი მეორე (118კ., 510 ს.).

„ეწერ“ სიტყვის ენციკლოპედიური განმარტება მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ეწერი არის მწირი მიწა წითელი ფერისა, ლებიან-ნესტიანი, ისლოვანი ან ბუჩქნარიანი წყალგაუმტარი ფენის თავზე... ნიადაგის გაეწრებას და გაღებებას იწვევს წყლის სიჭარბე. ასეთ მიწაზე შენდება ჩაი, ციტრუსები, ითესება სელი, მოჰყავთ მარცვლეული, ბოსტნეული (ქსე, 4, გვ. 259-260).

როგორია სხვა ლექსიკონთა განმარტებანი? 1. **ს.-საბა:** „ეწერი – ისლოვან-გვიმრიანი, ტყე ველოვანი“; **დ. ჩუბინაშვილი:** „ეწერი – მცირე ბუჩქი, მორჩილი ტყე, მცირე ჭალა;

“, **ნ. ჩუბინაშვილი:** „ეწერი – ხშირი ჭალა ველოვან-ისლოვანი“ (ეწერი შეიძლება დაერქვას ჭალას მხოლოდ გარკვეული გადააზრების შემდეგ. პ. ც.); **ი. ყიფშიძე:** „ენწერი, ეწერი –

“, **ო. ქაჯაია:** „ენწერი – ეწერი; მაღალი, მწირი და მცირემოსავლიანი ადგილი“; **ალ. ქობალია:** „ენწერი – ეწერი; მცირე ბუჩქნარით, ახალამოწვერილი ტყით დაფარული ველი; უნაყოფო მიწა“; **ი. კეკელიასა და დ. ბუაღაევს** დასკვნა ასეთია: „ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ეწერი აღნიშნავს წყლიან მაღლობს, მწირ, მოუსავლიან, უნაყოფო მიწას“ (კეკელია, ბუაღაევა, „ქ.ო.“, IV, გვ. 119).

ჩვენი დაკვირვებით, ეწერი ზოგადად და ყველგან აღნიშნავს უნაყოფო, მწირ, წითელ მიწას, რომლის ქვედა ფენა, როგორც წესი, წარმოადგენს მეღჭვილს, ე.ი. წყალგაუმტარ ფენას, რაც იწვევს ზედაპირის დანესტიანებას ან დაჭაობებას. ამასთანავე, მთიან სამეგრელოში ეწერი შედარებით მშრალი ნიადაგია მაღლობზე, ხოლო ვაკე სამეგრელოში – ვაკე, რომელიც, ჩვეულებრივ, ჭაობნარია (ეწერსიტყვასთან დაკავშირებით რესპოდენტთა განმარტებანი იხ.: ცხადაია, I, გვ. 37; ცხადაია, IV, გვ. 135).

სუჯუნის ადმ.-ტერიტ. ერთეული საბოლოოდ ასე დაკომპლექტდა: სუჯუნა, მეორე ეწერი, პირველი ეწერი, წალიკარი.

ქსე-ს მონაცემები ასეთია:

პირველი ეწერი – სოფ. აბაშის რ-ნის სუჯუნის სოფსაბჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. რიონის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 10 მ, ქ. აბაშიდან 5კმ, მეორე ეწერიდან 1კმ (ქსე, 8). დაზუსტება: პირველი ეწერი ესაზღვრება აღმ-ით მეორე ეწერს, ჩრდ-ით – წალიკარს.

მეორე ეწერი – სოფელი აბაშის რ-ნის სუჯუნის სოფსაბჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. რიონის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 12 მ, ქ. აბაშიდან 4კმ (ქსე, 6). დაზუსტება: მეორე ეწერი მდებარეობს აბაშისპირსა და ნაესაკაოს შუა. დას-ით ესაზღვრება პირველი ეწერი.

1996 წელს პირველ ეწერსა და მეორე ეწერში მკვიდრობს 21 გვარის მატარებელი 191 კომლი. კომლმრავალი გვარებია: გუგუშვილი – 56კ., კუცია – 42კ., კუპრეიშვილი – 19კ., გაბუნია – 17კ., მალნარაძე, ბესელია, ჯიქია, ხურცილავა, ბარკალაია – 11-11კ., ჭანტურია – 9კ.

2002 წელს სუჯუნის თემის საკრებულოს სოფ. მეორე ეწერში აღინუსხა 256, ხოლო პირველ ეწერში – 480 მუდმივი მისახლე. ამ ორი სოფლის ტოპონიმური მასალა აღწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

გუგუშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე, 72 წ.

გუგუშვილი ოთარ ვლადიმერის ძე, 65 წ.

გუგუშვილი ქიშვარდი შარვანის ძე, 78 წ.

გუგუშვილი ხუტა (ანთიმოზ) ლავრენტის ძე, 73 წ.

კუცია აკაკი ივანეს ძე, 85 წ.

მალნარაძე ვანო ბაგრატის ძე, 67 წ.

ტოტონია მაკარ იოსების ძე, 68 წ.

წალიკარი

წალიკარი – სოფელი აბაშის რ-ნის სუჯუნის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. რიონის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 10 მ, ქ. აბაშიდან 5,5კმ (ქსე, 11). დაზუსტება: წალიკარი მდებარეობს სუჯუნასა და პირველ ეწერს შუა, დას-ით ესაზღვრება აბაშისპირი.

სოფელი წალიკარი ოდიშ-ლენჩხუმის დავით დადიანი-სეული დაყოფის (1842 წ.) თანახმად, შედის საჭილაოს მახრაში. 1886 წელს ჩატარებული კომლობრივი აღწერის ცნობარი (1893 წ.) კი გვაუწყებს, რომ წალიკარი (71კ., 380 ს.) ნაესაკაოს სოფლის საზოგადოებაშია გაერთიანებული ხუთ სხვა სოფელთან ერთად. საქართველოს პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის (გამოცა 1930 წ.) თანახმად, წალიკარი სუჯუნის სას. საბჭოში გაერთიანებული 8 სოფლიდან ერთ-ერთია (62კ., 266 ს.). საბოლოოდ სუჯუნის ადმ.-ტერიტ. ერთეულში 4 სოფელი დარჩა: სუჯუნა (ც.), ეწერი პირველი, ეწერი მეორე, წალიკარი.

გ. ელიავა ორგან ასახელებს „წალიკარს“ 1. **წალიკარი** – სოფელი (სუჯუნის სასოფლო საბჭოს ტოპონიმთა ჩამონათვალში). (ელიავა, 1977, გვ. 55); 2. „წალიკარი „ადგილი, სადაც ადრე ხალხი სახლებულა. ახლა შიშველი ადგილია“ (ზანათის სას. საბჭოს ტოპონიმურ მასალაში, ელიავა, 1977, გვ. 58), დასტურდება **წაიკარი** ფორმაც (ქაბაშისა და მისი შემოგარენის ტოპონიმთა ჩამონათვალში). ელიავა, 1977, გვ. 37).

სოფლის დასახლების ადგილის ცვლილებასთან დაკავშირებით თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი შორენა ჭანტურია 1965 წელს ახალი ქართული ენის კათედრაზე წარმოდგენილ ტოპონიმურ მასალებში წერდა: „სოფელი წალიკარი გაშენებული ყოფილა უშუალოდ მდ. რიონის მარჯვ. ნაპირას (მარცხ. მხარესაა ანჯერი). წყალმოვარდნისაგან დასაცავად ჯებირი აღუმართავთ და კარიც გაუკეთებიათ. სწორედ მას დარქმევია წყარიშკარი, საიდანაც შემდგომში წარმოქმნილა ფორმა წალიკარი“. დაახლოებით ასეთივე გადმოცემა ჩაუწერია სტუდენტ სვეტლანა კუციასაც 1961 წელს.

რესპოდენტთა გადმოცემით, 1921 წელს წყალდიდობას წაუღეკავს რიონისპირა სოფელი წალიკარი და მისი მცხოვრებნი – ხელაიები, კუციები, გუგუშვილები, აბსარიძეები, ცომაიები, დოლიძეები... უფრო ჩრდ-ით, სუჯუნის სიახლოვეს გადაბარგებულან. რიონისპირებში კიდევაც მიუთითებენ ნაეკლესიარ ადგილს. შდრ.: 1838 წელს შედგენილ

სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიათა შორის დასახელებულია წალიკარის წმ. გიორგის ეკლესია (ჭითანავა, 2010, გვ. 58; იხ. იქვე, 77-ე გვერდზე: „წალიკარი – 1 ეკლესია“). აქ ხის ეკლესია მდგარა. ჟაკ ფრანსუა გამბა 1822 წლის 4 (16) ივნისს სადგურ რიონსკაიადან გემით აპყლია მდინარეს და მიუღწევია წალიკარამდე. მეორე დღეს კი, დილის ოთხ საათზე, დაუტოვებით წალიკარი და თერთმეტ საათზე ჩასულან კოდორში (გამბა, 1987, გვ. 141).

ეტიმოლოგიისათვის: სახელწოდება წალიკარის წარმოშობასთან დაკავშირებით დეკანოზი კონსტანტინე ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: ლაზური სიტყვა წალენი „ქვემო, ქვედა“ ადრე მეგრულშიც უნდა ყოფილიყო ცნობილი. დღესაც სამეგრელოში წალენბორია და წალიკონი აღნიშნავს ქვენა ქარს. მაშასადამე, წალენკარი უნდა გავიგოთ როგორც „ქვემო მიდამო, ქვედა მხარე“: „წალიკარი“ სუჯუნის სამხრეთით, მდ. რიონის ნაპირას მდებარე სოფელი იყო, სუჯუნის ქვემო მიდამოდ მოიაზრებოდა და სავარაუდოდ ამიტომაც შეერქვა ეს სახელი (დეკანოზი კონსტანტინე, 2010, გვ. 10). (შდრ. არნ. ჩიქობავა: წალენჯიხა „ქვემო ციხე“ წენდისა). კ. ჰანის „ეტიმოლოგია“, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, აქაც ცრუ ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშია: „ – – ცალი „

„ (ჰანი, 1909, გვ. 1490. მისაღები იქნებოდა კ. კეკელიას განმარტება, რომ წალიკარი (წალიკნარი წალიკა) „იგივეა, რაც „საწალიკე“, „ადგილი, სადაც მრავლად ხარობს მცენარე წალიკა“ (კეკელია, 2011, გვ. 85), მაგრამ სიტყვა წალიკა (ბალახია ერთგვარი) მეგრულში არაა გავრცელებული (შდრ. ა. მაყაშვილი: წალიკა – მეგრ. სარდაკია, სანდრაკია). ქეგლ-ისა და აღ. დღონტის „სიტყვის კონის“ მიხედვით, სიტყვა წალიკა გავრცელებულია ქართლურ, გურულ, იმერულ დიალექტებში (შდრ. რაჭა-იმერეთის გამყოფ ქედზე საძოვარს ეწოდება საწალიკე).

1996 წელს წალიკარში მკვიდრობდა 18 გვარის მატარებელი 70 კომლი. შედარებით კომლმრავალი გვარებია: საჯაია, ჭედია – 11-11კ., ხელია – 9კ., წულაია – 8კ.

2002 წელს წალიკარში აღინუსხა 248 მუდმივი მოსახლე ორივე სქესისა. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ხელია პროკობი (გუგულა) დიმიტრის ძე, 73 წ.

ხელია სარდიონ დიმიტრის ძე, 62 წ.

ტყვირის თემის საკრებულო

„საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ მეხუთე გამოცემის (1987 წ.) მიხედვით, ტყვირი და ცილორი შედის ქოლობნის სას. საბჭოში, მაგრამ შემდეგ შეიქმნა ტყვირის თემის საკრებულო ორი სოფლით – ტყვირი (ც.) და ცილორი. იგი მდებარეობს სამტრედიის-ზუგდიდის სარკინიგზო და საავტ. ტრასის მარცხ. (დასავლეთ) მხარეს. ჩრდ.-დას-ით ესაზღვრება ნაესაკაოს თ/ს, ხოლო აღმ-ით – პირველი მაისის თ/ს.

2002 წელს ტყვირის თემის საკრებულოს ორივე სოფელში მკვიდრობს 1312 მუდმივი მოსახლე (კაცი – 622, ქალი – 690). თსუ-ს ახალი ენის კათედრაზე გამოგზავნილ სათანადო ცნობას ხელს აწერენ ტყვირის თ/ს-ს გამგებელი თ. ლასარეიშვილი და მდივანი ა. ცანავა.

ტყვირი

ტყვირი – სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრი ოდიშის დაბლობზე, მდ. ნოღელის მარცხ ნაპირას, სარკინიგზო და საავტ. მაგისტრალსა და ცილორს შუა. სამხრ.-აღმ-ით ესაზღვრება სოფ. თხმელარი, ჩრდ-ით – სოფ. ბულვანი, აღმ-ით – სოფ. მარანი. ზ.დ. 17 მ, ქ. აბაშიდან 6 კმ. სოფლის ხანდაზმულებს ახსოვთ, რომ ტყვირი იყო მდ. რიონისპირა სოფელი და XX ს-ის 20-იანი წლების წყალდიდობის გამო გადმოინაცვლა მდ. ნოღელის მარცხ. ნაპირას, ვაკე-შემადღებაზე. სოფლის მახლობლად აღმართულია მაცხოვრის გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც XV ს-ში უნ-

და იყოს აშენებული (სოფლის ამ ნაწილს ეწოდება ჯვეში ტყვირი „ძველი ტყვირი“).

ტყვირი არაერთგზის გვხვდება გვიანდელი შუა საუკუნეების საისტორიო-საეკლესიო ძეგლებში. 1732 წელს შედგენილ „შეწირულების წიგნში“ აღნიშნულია: „ტყვირის მონასტერი თორმეტის მოსახლე კაცით მეფემ ალექსანდრემ თავის მეუღლის დადიანის ქალის ნიშანშიდ შესწირა...“ (ქსდ, III, გვ. 716). იგივეა ნათქვამი 1733 წლის 16 ოქტომბერს შედგენილ „შეწირულების სიგელშიც“ (ქსდ, III, გვ. 730-731. იხ. იქვე, გვ. 734). XVIII ს-ის პირველ ნახევარშივე (დაახლოებით) შედგენილ „შეწირულების წიგნში“ კათალიკოსი გრიგოლ ღორთქიფანიძე ადავლენს ასეთ ლოცვას: „დიდება შენდა, დიდება შენდა და კუაღად დიდება და მადლობა შენდა ღმრთივ-შვენიერსა მას გაზრახვასა უფალს იესო ქრისტე, ღმერთს ჩვენს მაცხოვარს ტყვირისაო“ (ქსდ, III, გვ. 769).

ტყვირი დატანილია ტიმოთე გაბაშვილის „დასავლეთ საქართველოს რუკაზე“ (1737 წ.), ვახუშტი ბატონიშვილის რუკებზე და თ. ბერაძის მიერ შედგენილ „XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე“ (იხ. „ძველის მეგობარი“, კრებული ოცდამეერთე, თბ., 1970). ვახუშტის საისტორიო-საგეოგრაფიო ნაშრომში კი აღნიშნულია: „რიონს, ტყვირს მთერთვის ჩრდილოეთიდანვე ცხენისწყალი“ (ვახუშტი, 1973, გვ. 747-748).

ტყვირის ეკლესიის აშენების თარიღსა და გარემოებაზე მსჯელობს ექვთიმე თაყაიშვილი: „სოფელი ტყვირი მდებარეობს რიონის პირად, ვაკეზე, შვიდი ვერსის მანძილზე სადგურ აბაშიდან. ეკლესია ტყვირისა პატარაა, მაგრამ ლამაზი, გუმბათიანი, ნაშენია ქვით და აგურით... ამბობენ, სახელწოდება ტყვირი იმიტომ დაერქვა, რომ ეს ეკლესია ძველად მთლად იყო დახურული ტყვიითა, მაგრამ ეს საეჭვოა. ჩვენ ქვემოთ წარწერიდან დავინახავთ, რომ სახელი სოფლისა იმ დროსაც, როდესაც ეკლესიას აშენებდნენ, ტყვირი ყოფილა... ეკლესიის აშენება კი, ჩვენის აზრით, ეკუთვნის XIV საუკუნის დასასრულს ან XV-ს დასაწყისს. ჩანს, რომ ტყვირის ეკლესია აშენებული ყოფილა

ჭილაძეების მიერ და იმათ სამარხავად გამხდარა“ (თაყაიშვილი, 1914, გვ. 2-19). ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია ამ ეკლესიის აღმშენებელი ქველი ჭილაძე და მისი ძმები. სხვათა შორის, რესპოდენტებიც მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ „ჭილაქ გაშენუა ოხვამე დო ტყვია ქათუდუა თუდო“. ტყვირი რამდენიმეჯისაა დასახელებული ს. კაკაბაძის „დასავლეთ საქართველოს ეკლესიის საბუთების“ I წიგნში (ტფ., 1921).

ტყვირის ეკლესიის ნუსხახუცურ წარწერებში დასახელებულია ვარიანტი „მტყუვირი“ („მაცხოვრისა მტყუვირისა საყდრისა აღმაშენებლსა ქუველისა ჭილაძესა შეუნდევს ღმერთმან“). ი. კეკელია, დეკანოზ კონსტანტინეს ვარაუდს, რომ ტყვირს უწინ უნდა რქმეოდა **მტყოვირი**, იგივე ტყობირი, ასე უპასუხებს: „წერილობით წყაროებსა და ტაძრის ეპიგრაფიკულ წარწერებში სოფლისა და ტაძრის სახელწოდებად გვხვდება „ტყვირი“ ან „მტყუვირი“ და არა პატივცემული მკვლევრის თვალსაზრისის დასასაბუთებლად სასურველი „მტყოვირი“ ან „ტყობირი“ ფორმა (კეკელია, 2011, გვ. 77).

ტყვირის ეკლესიასთან დაკავშირებით გ. ელიავა გვამცნობს, რომ „ტყვირიშ ოხვამე“ არის „ძველთაძველი სალოცავი. აქ ყოფილა გვირაბი, რომლითაც რიონში ჩადიოდნენ თურმე“ (ელიავა, 1977, გვ. 46). (გვირაბთან დაკავშირებით ამგვარი გადმოცემები ჩვენც არაერთგზის მოგვისმენია). პროფ. ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისით, ტყვირი „ტყვა“ (ტკვა) „კიბე“ სიტყვისაგან ჩანს მიღებული და „კიბესავით დამრეცს“, „კიბულას“ უნდა ნიშნავდეს“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 508). ამასთან დაკავშირებით ი. კეკელია შენიშნავს: ტყვირი ვაკეზუა გაშენებული და კიბისებური დამრეცი რელიეფი არ ახასიათებს (კეკელია, 2011, გვ. 77).

ძნელი დასაჯერებელია აღ. ქობალიას განმარტება: „**ტყვირი** – გადაბარდული, ტკუცი ტყე (იხ. რტყილი)“, ხოლო **რტყილი** ასეა განმარტებული: „შეზრდილი, ჩაწნული, შეტკუცებული, მიტყუპებული; ცოცხალი ხეების მესერი; ტყირპი“ (ქობალია, 2010, გვ. 574, 606). როგორც ჩანს, ამ ვარაუდს ეყრდნობა ი. კეკელიაც: „შესაძლებელია სოფლის

სახელწოდება ტყვირის სემანტიკაც ტყის, ეკალ-ბარდის მნიშვნელობას უკავშირდებოდეს“. მაგრამ ამ შემთხვევაში როგორ ავსხნათ ტყვირ-ში -ვ თანხმოვანი. ხომ ცნობილია, რომ ბგერა-ფონემის მთავარი დანიშნულებაა ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ცვლა.

1996 წელს სოფ. ტყვირში აღირიცხა 42 გვარის მატარებელი 191 კომლი. კომლმრავალი გვარებია: მიგინეიშვილი – 61კ., თედორაძე – 34კ., ულენტი, ხარებავა – 9-9კ. 2002 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით კი ტყვირის თემის საკრებულოს სოფ. ტყვირში აღნუსხულია 682 მუდმივი მოსახლე.

სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

გალდავა ნიკოლოზ მაქსიმეს ძე, 58 წ.

კაჭარავა ისაკ სამსონის ძე, 70 წ.

პიტავა გივი სარდიონის ძე, 56 წ.

სოლომონია პარმენ ანთიმოზის ძე, 72 წ.

ჩაჩავა მამანტი ვარლამის ძე, 72 წ.

ძიძიგური მიტროფანე სიმონის ძე, 62 წ.

ხარებავა ვასილ სევერიანის ძე, 61 წ.

ცილორი

ცილორი – სოფელი აბაშის რ-ნის ტყვირის თემის საკრებულოში, მდ. ნოდელის მარცხ. ნაპირას. ზ.დ 14 მ, ქ. აბაშიდან 6,5 კმ, ქლობნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 2კმ, ტყვირიდან 0,5კმ. ესაზღვრება: აღმ-ით – ტყვირი, ჩრდ.-დას-ით ნაესაკაო და გამოდმა კოდორი, სამხრ.-აღმ-ით – თხმელარი. სახნავ-სათესები აღწევს მდ. რიონამდე. სოფლის ხანდაზმულებს ახსოვდათ, რომ ცილორი (ისევე, როგორც ტყვირი) მდებარეობდა მდ. რიონის მარჯვ. ნაპირას, დღევანდელი ცილორის დასახლებიდან 2-3 კმ-ზე. მაგრამ მდინარის ხშირი ადიდების გამო მოსახლეობამ გა-

დაწვევითა გადასახლება ჩრდ-ით, ნაესაკაოსა და თხმელარს შუა მდებარე ტერიტორიაზე, რუშეს მარჯვ. მხარეს, სადაც თავისუფალი მიწები იყო.

ცილორი (იგულისხმება უწინდელი რიონისპირა ცილორი) ცნობილია შუა საუკუნეების კარტოგრაფიულ წყაროებში, როგორცაა იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკა“ (ნეაპოლი, 1654 წ.) და პარიზის ეროვნულ მუზეუმში დაცული რუკა „კოლხეთი, დღევანდელი სამეგრელო“ (1654 წ.). ორივე რუკაზე აბაშა-ცხენისწყლის შუამდინარეთში ეკლესიის გამოსახულების თავზე არსებული წარწერა Tsilors, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ცნობილი ცილორია. ოდიშ-ლენჩხუმის 8 მაზრად დაყოფის ცნობარის (1842 წ.) მიხედვით, ცილორი სოფელია საჭილაოს მაზრაში. 1886 წელს კი ეს სოფელი 35 კომლით (191 სული) გაერთიანებულია „ნაესაკაოს“ სოფლის საზოგადოებაში (ისევე როგორც საკუთრივ ნაესაკაო, კოდორი, წალიკარი, შუაქალაქი და ეწერი). საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფით (გამოიცა 1930 წ.) ცილორი (მოსახლეობა – 73 კომლი, 323 სული) ისევე „ნაესაკაოს“ ადგილობრივ ადმ.-ტერიტ. ორგანოშია გაერთიანებული ტყვირთან ერთად. შემდგომში ცილორი ქალობნის სას. საბჭოშია, მაგრამ XX ს-ის ბოლო ათწლეულში შეიქმნა ტყვირის თემის საკრებულო საკუთრივ ტყვირისა და ცილორის შემადგენლობით.

უწინდელი ცილორის წმ. გიორგის ეკლესია არაერთგზისაა დასახელებული სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიათა ჩამონათვალში: 1838 წელს (ფორმით: წილორის წმ. გიორგი), 1846 წელს, 1873 წელს (ფორმით: წილოსი) და სხვ. (იხ. ჭითანავა, 2010, გვ., გვ.: 38, 63, 77, 519).

გ. ელიავა ძალზე მოკლე ინფორმაციით კმაყოფილება: „ცილორი – ძველი სოფელი“ (ელიავა, 1977, გვ. 52). სახელწოდების ხალხური ეტიმოლოგიები გადმოცემული აქვს ი. კეკელიას. იქვეა გაანალიზებული კ. კაჭარავას მოსაზრება, რომ სოფელი ცილორი ყოველთვის სადავო და საცილო ყოფილა სამეგრელოსა და იმერეთს შორის. ბოლოს ი. კეკელია ასკვნის: „ლიკონიმ „ცილორის“ ამოსავა-

ლი უნდა იყოს ბოტან. თელის მეგრული შესატყვისი **ცვ, ცი(ი)**. ცილარი, ჩვენი აზრით, იგივეა, რაც „თელიანი, თელის ნარგაობა“ (კეკელია, 2011, გვ. 82). შდრ. აღ ქობალია: „ცილარი – თელიანი, თელის ნარგაობა; ცვილა სიმინდის ყანა“ (ქობალია, 2010, გვ. 684). იქვეა განმარტებული: „**ცვილა** – ცვილისფერი... ცვილა სიმინდის ჯიშია“. როგორც მინიმუმი, ამგვარი მსჯელობისათვის აუცილებელია თუნდაც ერთი მაგალითი, სადაც მცენარის სახელწოდებას - ორ სუფიქსი დაერთვის.

1996 წელს ცილარში სახლობდა 45 გვარის მატარებელი 186 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: გვალია – 34კ., ლასარეიშივილი – (ადგ. ვარიანტი: ლასარესქუა) – 16კ., მიგინეიშივილი – 14კ., ფიფია – 12კ., ტყვაცირია – 9კ., ქვილითაია, არველაძე – 8-8კ., ლივარგიშივილი – 7კ. თსუ ახალი ქართული ენის კათედრაზე წარმოდგენილ სათანადო ცნობას ხელს აწერენ ტყვირის გამგებელი თ. ლასარეიშივილი და მდივანი გ. ცომაია.

2002 წელს კი სოფ. ცილარის მუდმივ მოსახლეთა რაოდენობა აღწევდა 630 სულს. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

- გვალია იროდი (ჯაბა) იაგორის ძე, 79 წ.
- მიგინეიშივილი მიხეილ პავლეს ძე, 81 წ.
- მიმინოშივილი გურამ აპალონის ძე, 43 წ.
- ხარებავა ვასილ სევერიანის ძე, 61 წ.

ქოლობნის თემის საკრებულო

ქოლობნის თემის საკრებულო აღმ.-ტერიტ. ერთეულია აბაშის რ-ნში, მდ. ცხენისწყალსა და მდ. ნოდელას შუა, ჩრდ-ით ესაზღვრება გეზათის თ/ს, სამხრ-ით – მარნის თ/ს, დას-ით – ქ. აბაშა. შედის ოთხი სოფელი: ქოლობანი (ც.), ბუღვანი, გუგუნაყათი, პატარა გეზათი. 1886 წელს გუგუნაყათი ერთი სოფელია მარნის სოფლის საზოგადოებაში. მაგრამ ოცი წლის შემდეგ გუგუნაყათი უკვე ორ სოფლადაა წარმოდგენილი: ერთი მარნის სას. საბჭოში დარჩა, მეორე კი ქოლობნის სას. საბჭოში მოექცა. ამ ოიკონიმებს

სადიფერენციო ნიშანი (გრამატიკული ან ლექსიკოლოგიური) არ მოეპოვება. ადგილობრივ მეტყველებაში მოისმენ: ქოლობნის გუგუნაყათი, მარნის გუგუნაყათი. საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემის მიხედვით, ქოლობნის სას. საბჭოში ოთხივე ზემოთ დასახელებული სოფელი შედის, მაგრამ 1987 წელს ქოლობნის სას. საბჭოში ამ ოთხი სოფლის გარდა შედის ტყვირი და ცილორი (1930 წელს ტყვირი და ცილორი ნაესაკაოს სას. საბჭოშია გაერთიანებული, ხოლო საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1949 წლის გამოცემის მიხედვით, შექმნილია ტყვირის სას. საბჭო ორი სოფლით – ტყვირი და ცილორი). 1987 წელს ორივე ეს სოფელი ქოლობნის სას. საბჭოს შემადგენლობაშია. XX ს-ის დამლევისათვის აბაშის რ-ნში ისევ ცალკეა გამოყოფილი ტყვირის თემის საკრებულო.

2002 წელს ქოლობნის თემის საკრებულოს ოთხივე სოფელში 1391 მუდმივი მოსახლე აღინუსხა.

ქოლობანი

ქოლობანი – სოფელი და ქოლობნის თემის საკრებულოს ცენტრი აბაშის რ-ნში, მდ. ნოდელის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 25 მ, ქ. აბაშიდან 7კმ, ქოლობნის რკინიგზის სადგურიდან (ერქვა არგვანი) 2,5კმ. ჩრდ-ით ესაზღვრება პატარა გეზათი, სამხრ-ით – (ქოლობნის) გუგუნაყათი.

გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წლის აგვისტოში მოიარა იმერეთი და სამეგრელოს ადმ. ნაწილი, ცხენისწყალთან დაკავშირებით წერს: „ორი წლის წინათ მან ბევრი სოფელი წაღეკა თავის აღმოსავლეთ ნაპირზე – ქოლობანი, გულუხეთი და სხვ. მრ. ბევრ ადგილას ის ტოტეზად მიედინება“ (გიულდ., 1962, გვ. 155). აქვეა აღნიშნული, რომ ცხენისწყალი „მთიდან გამოსვლის შემდეგ, დაბლობზე ქმნის საზღვარს იმერეთსა და სამეგრელოს შორის“, ხოლო სამიქელაძოს „უკავია დაბლობი მდ. ცხენისწყალსა, გუბსა და რიონს შორის და შედის სამიქელაძოში, მოიცავს სოფლებს: ჯიხაიში, ჭაგანი, ქვიტირი, მადლაკი, კუ-

ლაში, იღორი, ეწერი, სამტრედია, ქვიშანჭაღა, ხონი, მათ-
ხოჯი და სხვ. ამ სოფლების „მოსახლეობა იმერლებია“
(იქვე, გვ. 307). ვახუშტის რუკაზეც ქოლობანი ცხენის-
წყლის მარცხ. მხარესაა. ყოველივე ეს გვაგვარაულებინებს,
რომ ქოლობანი (//კოლობანი) თავდაპირველად მდ. ცხენის-
წყლის მარცხ. ნაპირზე მდებარეობდა, მაგრამ ხშირი
წყალდიდობის გამო სოფელმა მდ. ცხენისწყლის მარჯვ.
ნაპირზე გადაინაცვლა, სადაც მდინარის ადიდება ვერა-
ფერს დააკლებდა.

ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ: ქოლობანი ქოლოშ
უბანი „ქოლოს უბანი“. როგორც ვხედავთ გეოგრაფიული
სახელწოდება ჰიბრიდულია: ქოლო „კოდი“ მხოლოდ მეგ-
რულშია გავრცელებული ამ მნიშვნელობით, უბანი კი სა-
ლიტერატურო ქართული სიტყვაა და იმერული დიალექტის
გზით შემოდწეული მეგრულ ტოპონიმიში. როგორც ცნო-
ბილია, ცხენისწყალ-ნოდელას შუა გეოგრაფიულ სახელ-
წოდებათა დიდი ნაწილი ენობრივი ინტერფერენციის ნი-
შანს ატარებს.

ქოლო თავდაპირველად ი. ყიფშიძის „მეგრულ-რუსულ
ლექსიკონში“ განმარტებული: „ქოლო “. „რუსულ-
ქართულ ლექსიკონში“ კი -ს ქართულ სინონიმად და-
სახელებულია „კასრი (თავლია)“, რაც უფრო ზუსტია (მაგ-
რამ არასრული). ო. ქაჯაიას მიხედვით, ქოლო არის „გეჯა,
კასრი“ (აქვეა წარმოდგენილი დ. ფიფიასეული განმარტება:
„ქოლო – წყარო“) და სათანადო მეგრულ კონტექსტს ასე
თარგმნის: „ქოლო არის ხის დიდი ჭურჭელი ფქვილის,
დერდილის ჩასაყრელი (შესანახი)“. (ქაჯაია, III, გვ. 150).
ქოლო სიტყვის მნიშვნელობას კიდევ უფრო აზუსტებს ალ.
ქობალია: „ქოლო – კოდი, კოდის წყალი“; „ქოლოწყუ –
კოდის წყალი (ჭაობში ამოსული წყარო, რომელსაც ლიამ-
პლისაგან იცავენ კოდის ჩადგმით)“. შდრ. სამურზაყანოში
დაფიქსირებულ „ქოლოშ წყურგილთან“ წარმოდგენილია
ასეთი განმარტება: „ქოლო მეგრულში ეწოდება წყაროში
ჩადგმულ ხის გულამოდებულ მორს. საჭიროა წყლის სუფ-
თად შესანახად, განსაკუთრებით, ჭუჭყიან ადგილებში“
(ცხადია, ჯოჯუა, 2003, გვ. 186). „სამეგრელოს გეოგრაფი-

ულ სახელწოდებათა“ სერიაში უფრო დაზუსტებულია: „ქოლო გულამოდებული მორია, რომელსაც წყაროში დგამენ, რათა წყალი სუფთა და აუმღვრეველი იყოს. საამისოდ ეძებენ ფულუროიან ხეს – მუხას, ხურმას, თხმელას... ხდებოდა ჭა-წყაროს კედლების ამოშენება-ამოპირკეთებაც, ან ჭურის (ოთხკუთხად შეკრული ჯარგვალი) ჩადგმა. ამჟამად ბეტონის კოდსაც ამზადებენ. რადგანაც ქოლო, როგორც წესი, წყალში დგას, სიტყვამ ზოგადად „წყაროს“ მნიშვნელობაც მიიღო“ (ამიტომ შეკითხვა, **თქვან კუნთხუს ქოლო ქოიღუნანო?** ამას ნიშნავს: „თქვენს კუთხეში წყარო გაქვო?“). (ცხადაია, 2004, გვ. 177. იხ. აგრეთვე: ცხადაია, 2008, გვ. 386-387). ბანაურ-მარტვილური თქმის ზონაში დ

ე. კერძოდ: ქოლოში//ქოლოში (იხ. ცხადაია, 2010, გვ. 177; ცხადაია, 2012, გვ. 597). შდრ. გ. ელიავა: „ქოლობანი (ჩასაქოლი?) – სოფ. „აქ, მიწაში, პალო ყოფილა ჩასობილი, სადაც სათემოს ჩასაქოლი კაცი მოჰყავდათ ქვით ჩასაქოლად. ქოლობანი – ჩაქოლვის ადგილი“ (ელიავა, 1977, გვ. 41). „ქოლოში, კოლოში – „მწარე ვახის ჯიშის დობილო ყოფილა აქ“ (ელიავა, 1977, გვ. 135. შენიშვნა: ბრჭყალებში მოქცეულია რესპოდენტისეული ინფორმაცია).

ქოლობანში ყველაზე დიდი რელიგიური დღესასწაული იყო მარიობა, რასაც აღნიშნავდნენ 28 აგვისტოს წინა ან მომდევნო დღეს. შდრ. ქოლობანში მე-19 საუკუნეში დაფიქსირებულია მხოლოდ მაცხოვრის ეკლესია. ეს ეკლესია იდგა ქოლობნის ძველ ცენტრთან, მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე (ჭითანავა, გვ. 58, 69, 485).

საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემის ჩვენებით, სოფ. ქოლობანში მკვიდრობდა 164 კომლი (674 სული). 1996 წელს ქოლობანში ცხოვრობდა 55 გვარის მატარებელი 208 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: მიქაძე – 63კ., რუსია, ცაგურია – 13-13კ., გეგეშიძე – 9კ., შენგელია, დოლიძე, ცხვიტარია – 8-8კ. 2002 წელს კი ქოლობნის მუდმივ მოსახლეთა რაოდენობა აღწევდა 747 სულს (კაცი – 353, ქალი – 394). სოფლის ტოპონიმია ჩაწერილია 1985 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

აბულაძე აკაკი ფილიპეს ძე, 78 წ.

აბულაძე გორგასლან ფილიპეს ძე, 62 წ.
მიქაძე გალაქტიონ ამბაკოს ძე, 75 წ.
მიქაძე ჟორა იონას ძე, 61 წ.
მიქაძე ხუტა შადვას ძე, 43 წ.
შუბლაძე ვახტანგ ემელიანეს ძე, 62 წ.
ცაგურიძე აკაკი ნესტორის ძე, 68 წ.

ბულვანი

ბულვანი – სოფელი აბაშის რ-ნის ქოლობნის სას. საბჭოში, კოლხეთის დაბლობზე, ზ.დ. 28 მ, ქ. აბაშიდან 5კმ, ქოლობნიდან 3,5კმ (ქსე, 8). დამატებითი ინფორმაცია: ბულვანი მდებარეობს სარკინიგზო და საავტ. მაგისტრალის ორივე მხარეს, მარანსა და ნასელარას შუა. ესაზღვრება: ჩრდ-ით – ქოლობანი და (მარნის) გუგუნაყათი, სამხრ-ით – ტყვირი.

ბულვანი, როგორც სოფლის სტატუსის მქონე დასახლებული პუნქტი, ოფიციალურად პირველად გამოჩნდა 1886 წლის კამერალური აღწერის ცნობარში (... 1893). იგი მარნის სოფლის საზოგადოებაშია (მოსახლეობა: 9 კომლი, 59 სული). „დაყოფის“ 1930 წლის გამოცემის მიხედვით, ბულვანი (72 კომლი, 257 სული) ქოლობნის სას. საბჭოშია.

ბულვანი თავიდანვე მცირე დასახლებული პუნქტი იყო და ეკლესია, როგორც ჩანს, აქ არც ყოფილა: დ. ჭითანავა სენაკის მაზრის (მდ. ცხენისწყლის გასწვრივ მდებარე) ეკლესიათა ჩამონათვალში აღნიშნავს: „**ბულუცანი** – ეკლესია არ არის“ (ჭითანავა, 2010, გვ. 77). ი. კეკელიას ვარაუდით, ეს ბულუცანი „ბულვანის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს“ (კეკელია, 2011, გვ. 17).

ბულვანში საოჯახო-სამეტყველო ენა უმეტესად ქართულია. ზ. ჭუმბურიძის ეტიმოლოგია: „**ბული** მეგრულად იგივეა, რაც ბალი. ასე რომ, ბულვანი ნიშნავს „ბლოვანს“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 437). ბულვანი ენობრივი ინტერფერენციის (ორენოვნების, შერეული მეტყველების) შედეგია:

მეგრ. ბული (ქართ. ბალი) სიტყვას დართვია რთული ქართული სუფიქსი -ოვან, რაც გამოხატავს რაიმე ნიშან-თვისების ერთობლიობას, ადგილისათვის დამახასიათებელ თავისებურებას, მცენარეთა კრებითობას. მაშასადამე, ბულვანი (ბულოვანი) იგივეა, რაც ბალნარი, ბალმრავალი ადგილი (შდრ. იმერეთის ტოპონიმიში: მეწყერვანი, თეთრვანი, ლაქაშვანი, ბალახვანი, ვენახვანი, ჭერეხვანი, ნაბრინჯვანი...).

საჭიროდ ვთვლით, შევეხთ ერთ გარემოებასაც: პ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ დაფიქსირებულია კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის ერთი ასეთი კონკრეტული ფაქტი: „ქართ. ბალ- ბალ-ი: მეგრ. ბულ- ბულ-ი „ბალი“: ლაზ. ბულ- ბულ-ი „ბალი“. აქვეა დაკონკრეტება: „მეგრული ბულ- და ლაზური ბულ- კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ ბალ- ძირს“ (ქეელ, 2000, გვ. 92). მაგრამ კანონზომიერი ბგერათშესატყვისობა (ქართ. ა : მეგრ. ო) მოგვეცემდა *ბოლ ფორმას. რამდენიმე მაგალითი: ქართ. კაც-: მეგრ. კონ-, ქართ. ბარკ-ალი: მეგრ. ბორკ-, ქართ. ბან : მეგრ. ბონ „ბანს“, ქართ. ფარ- „ფარავს“ : მეგრ. ფორ- (ფორუნსჲ „ფარავს“, ქართ. დარ : მეგრ. დორ- (დორჲ „ღარი“) და მრ. სხვ. მაგრამ რატომ გვაქვს ასეთი ფაქტები: ქართ. ბარწ- (ბერწი) : მეგრ. ბურჭ- („ბერწი“): ქართ. მაყუ- (მაყუ-ალი) : მეგრ. მუყ-ი „მაყვალი“, ქართ. მამა : მეგრ. მუმა „მამა“, ქართ. მახუ „მაჩვი“ : მეგრ. მუნჩქე-ი „მაჩვი და სხვ. როგორც აღნიშნულია, კანონზომიერი ბგერათშესატყვისობით წარმოქმნილი ო ფონეტიკური პროცესის (ე.წ. გადაბგერება: ლაბიალური ფონემის უშუალო მეზობლობისას) შედეგად გვაძლევს უ ხმოვანს.

1996 წელს სოფელ ბულვანში ცხოვრობდა 64 გვარის მატარებელი 143 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: მიქაძე, ახობაძე, ცანავა – 17-17კ, გოგავა – 15კ, რუსია – 6კ, შუბლაძე, გვაზავა – 5-5კ.

2002 წელს ქოლობნის თემის საკრებულოს სოფ. ბულვანში მკვიდრობდა 228 მუდმივი მისახლე (კაცი – 113, ქა-

ლი – 115). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

გაგუა გრიგოლ სარდიონის ძე, 55 წ.

მიგინეიშვილი შოთა იაკობის ძე, 66 წ.

შუბლაძე ვახტანგ ემელიანეს ძე, 63 წ.

ცანავა ვალერიან ბესარიონის ძე, 82 წ.

ცომია გურამ აპალონის ძე, 44 წ.

გუგუნაყათი

გუგუნაყათი – სოფელი აბაშის რ-ნის ქლობნის სოფ-საბჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას. ზ.დ. 30 მ, ქ. აბაშიდან 8კმ, ქლობნის რკინიგზის სადგურიდან 3კმ (ქსე, 3). დაზუსტება: გუგუნაყათი მდებარეობს მარნის გუგუნაყათსა და პატარა გეხათს შუა. ადგ. ვარიანტი: გუგუნაყათი.

გადმოცემით, გუგუნაყათში ცხოვრობდნენ გუგუნაყები. ისინი ჭილაძეების აზნაურები იყვნენ და 1904 წელს ფლობდნენ მამულებს ნობულევში, გოდოვანში, ნოღაში, ხორ-შში. როგორც ცნობილია, მეგრულში -ათ (ქართულში კი -თი) დაერთვის ანთროპონიმს (ძირითადად, გვარსახელს) და წარმოიქმნება შთამომავლობის ჯგუფური სახელი, რომელიც სემანტიკური ონიმიზაციის გზით იქცა ანთროპონიმიკონიმად (უფრო დაწვრილებით ის. მარნის თემის სოფ. გუგუნაყათი).

1996 წელს ქლობნის თემის საკრებულოს სოფ. გუგუნაყათში მკვიდრობდა 20 გვარის მატარებელი 67 კომლი. კომლმრავალი გვარებია: ლეჟავა – 13კ., ბოხუა – 8კ., მიქაძე, გეგელია – 6-6კ., რუსია – 5კ.

2002 წელს ქლობნის თემის საკრებულოს სოფ. გუგუნაყათში ცხოვრობდა 305 მუდმივი მოსახლე ორივე სქესისა. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის 14 ოქტომბერს. რესპოდენტები იყვნენ:

ახობაძე ტიტეო ოლიფანტეს ძე, 51 წ.

ლეჟავა გრიგოლ ილიკოს ძე, 74 წ.

სიგუა გელა ვლადიმერის ძე, 58 წ.

P.S. გუგუნაყათში, როგორც კი საზამთრო შემოვა, აღინიშნება ტილიფობა, თუმცა კი, საერთოდ, ტილიფობა//ტილიფიმოფენა სულიწმინდის მოფენის დღესასწაულია.

პატარა გეზათი

პატარა გეზათი – სოფელი აბაშის რ-ნის ქლობნის სოფსაბჭოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას. ზ.დ. 30 მ, ქ. აბაშიდან 7კმ, ქლობნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 4კმ, სოფ. ქლობნიდან 0,7 კმ (ქსე, 6). დაზუსტება: პატარა გეზათი სოფელია მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე მდებარე ორ სოფელს – გუგუნაყათსა და ქლობანს შუა. პატარა გეზათი გეზათისაგან გამოყოფილია ქლობნის ვიწრო ზოლით, რომელიც მდ. ცხენისწყლამდე გადის. გადმოცემით, 1914 წლის წყალდიდობისას ცხენისწყლისპირა გეზათის მოსახლეობის ერთი ნაწილი აქ დასახლებულა, ერთგვარად დაშორებია ძირითად (დიდ) გეზათს და სახელად ამიტომაც დარქმევიან პატარა გეზათი. მთელი სოფელი ერთ ქუჩას წარმოადგენს.

ხალხური მოტივაციაა: ახალი საცხოვრებელი ადგილის საძიებლად ქობულაძეებს გურიიდან აქეთ აუღიათ გეზი. გ. ელიავას რესპოდენტი დარწმუნებულია: ქობულაძეებს აქეთკენ აუღიათ გეზი. ასე წავიდეთ გეზათაო. ამიტომ შერქმევიან ამ ადგილს გეზათი (ელიავა, 1977, გვ. 19). დაახლოებით ამგვარია ი. კეკელიას მიერ მოძიებული ხალხური მოტივაციაც: „ამ ტერიტორიაზე თურქ დამპყრობელთა ლაშქარს გზა შეშლია, ცხენისწყლის ნაპირებთან გეზი ათჯერ არევიათ და, თითქოს, აქედან წარმოიშვა სახელწოდება გეზათი“ (კეკელია, 2011, გვ. 20). კ. ჰანი, ამოდის რა ქართული სიტყვა გეზის მნიშვნელობიდან („მიმართულება“), განმარტავს: „ – . გეზი = “ (ჰანი, 1909, გვ. 35). შდრ. გ. ელიავას მეორე რესპოდენტის (გ. ნადარეიშვილის) ვარაუდით, „აქ გეზას გვარი სახლებულა.

ამიტომ ადგილისათვის გეზას უბანი – გეზათი უწოდებიათ“ (ელიავა, 1977, გვ. 20). მართალია, პირსახელი გეზა ქართულ სინამდვილეში არ დასტურდება (ჯერჯერობით მაინც), მაგრამ სავარაუდოა, რომ გეზათი მართლაც ნიშნავდეს გეზას ოჯახს, გეზას შთამომავლობას. ჯგუფურ ანთროპონიმს (შტოგვარს) ადვილად გამოუცვლია სემანტიკური რკალი და მიკროლიკონიმად გადაქცეულა.

გეზათი და პატარა გეზათი, როგორც სოფლის სტატუსის მქონე დასახლებული პუნქტები, პირველად გამოჩნდა ს.ა. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემაში: გეზათი გეზათ-გულუხეთის სას. საბჭოში (მოსახლეობა: 197 კ., 893 ს.), ხოლო გეზათი პატარა – ქოლობნის სას. საბჭოში (52 კ., 207 ს.). ამასთანავე, 1870 წელს საჭილაოს თემში ფუნქციონირებს გეზათის თევდორე ტირონის ეკლესია (ჭითანავა, 2010, გვ. 485). პატარა გეზათში კი მიუთითებენ სასაფლაოს, სადაც იდგა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია.

1996 წელს პატარა გეზათში მკვიდრობდა 13 გვარის მატარებელი 57 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: ახობაძე – 17 კ., კაპანაძე – 11 კ., შენგელია – 8 კ., ტაბიძე – 5 კ. 2002 წელს კი პატარა გეზათში აღინუსხა მხოლოდ 211 მუდმივი მოსახლე ორივე სქესისა. ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1986 წლის სექტემბერში. რესპოდენტები იყვნენ:

ახობაძე ტიტუკო ოლიფანტეს ძე, 51 წ.

ნიკურაძე თენგიზ ბაგრატის ძე, 59 წ.

სიგუა გელა ვლადიმერის ძე, 58 წ.

ბველი აბაშის სოფლის საკრებულო

ბველი აბაშა – სოფელი და სოფლის საკრებულოს ცენტრი ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის ორივე ნაპირას. ხ.დ. 30 მ, ქ. აბაშიდან 5 კმ. ესაზღვრება: აღმ-ით – ქოლობნის თემის საკრებულო, ჩრდ.-აღმ-ით – ონტოფოს თ/ს, სეფიეთის თ/ს, სამხრ-ით – მაცხოვრისკარი (ნორიოს თ/ს).

სამეგრელოს ეპარქიის 1838 წლის საარქივო მასალების თანახმად, სოფ. აბაშაში (იგულისხმება დღევანდელი ბველი აბაშა) დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია,

რომელიც სხვა საეკლესიო საბუთებშიც არის დასახელებული (ჭითანავა, 2010, გვ.49, 58, 62). ოდიშ-ლენხუშის დავით დადიანისეული ადმ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით, აბაშა სოფელია სუჯუნის მაზრაში, 1886 წელს კი სენაკის მაზრაში შექმნილია აბაშის უბანი (საბოქაულო), ხოლო აბაშის უბანში – აბაშა-ონტოფოს სოფლის საზოგადოება 5 სოფლით:

აბაშა (კ.) – 285კ. (1814 ს.)

გულუხეთი – 79კ. (426 ს.)

კოდორი – 58კ (319 ს.)

ონტოფო – 265კ. (1750 ს.)

სამიქავო – 125კ. (658 ს.)

ჯამი: 812 კომლი, 4967 სული.

(შენიშვნა: ზემოთ დასახელებულ ყველა შენობებში იგულისხმება დღევანდელი ძველი აბაშა, რომელსაც 1923 წლამდე ერქვა „აბაშა“, ხოლო სარკინგზო სადგურ აბაშის გარშემო შექმნილ დასახლებას „ახალი აბაშა“ ეწოდა).

საქ. სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის (გამოიცა 1930 წ.) მიხედვით, უკვე შექმნილია ძველი აბაშის სას. საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია ორი სოფელი – აბაშა ძველი (340კ., 1474 ს.) და კადარი (81კ., 377 ს.). (ჯამი: 421 კომლი, 1811 სული). ეს ორი სოფელი 1949 წელსაც ძველი აბაშის სას. საბჭოში შედის, მაგრამ შემდგომში ამ სას. საბჭოს ჩამოსცილდა სოფ. კადარი. 2002 წელს ჩატარებული პირველი საყოველთაო აღწერის თანახმად, ძველი აბაშის სოფლის საკრებულოს ერთადერთ სოფელ ძველ აბაშაში მკვიდრობს 1091 მუდმივი მოსახლე ორივე სქესისა.

ისტორიულ სოფელ აბაშას ეპითეტი „ძველი“ დასჭირდა მას შემდეგ, რაც 1871-72 წლებში ფოთი-თბილისის სარკინგზო მაგისტრალზე, კვათანაში, აშენდა რკინგზის სადგური და მის გარშემო დასახლებას ეწოდა ახალი აბაშა (შდრ. ახალი სენაკი). დროთა განმავლობაში „ახალ აბაშას“ ჩამოსცილდა საიდენტიფიკაციო ეპითეტი „ახალი“ („ძველ აბაშას“ კი შერჩა მსაზღვრელ-საზღვრული კონსტრუქცია).

გ. ელიავა ძველი აბაშის სას. საბჭოს ტოპონიმთა შორის ასახელებს: „აბაშა – მდინარის და ადგილის სახელწოდება“ და იქვე დაამატებს რესპოდენტის გადმოცემას: „აქ დაბანაკებული მურვან ყრუს ერთ-ერთი ლაშქრის – აბაშების მთელი ბანაკი წყალს წაუღია. ამის შემდეგ ამ ადგილსა და მდინარეს აბაშა შერქმევია. ამბავი მომხდარა ძალიან დიდი ხნის წინათ“ (ელიავა, 1977, გვ. 32).

ჰიდრონიმი აბაშა და გადმოცემა მურვან ყრუს ლაშქრობასთან დაკავშირებით გვხვდება ჯუანშერის საისტორიო თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. სწორედ მას ეყრდნობა ვახუშტი, როცა წერს, რომ ცხენისწყლის „დასავლით დის მდინარე აბაშა, პირველ სხვს სახელით წოდებული, შემდგომად, მოიქცა რა ანაკოფიიდან მურვან ყრუ, აქ დაბანაკებულთა მოაშთო ამან პჩ აბაში და მიერთგან იწოდა აბაშა“ (ვახუშტი, 1973, გვ. 776). ამის გარდა, ვახუშტი მდინარის სახელწოდებას იყენებს შხევის ციხის ადგილმდებარეობის აღსაწერად: „ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირხედ და ტეხურის დასავლის კიდეხედ არს **შხეთს** ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“ (იქვე, გვ. 777).

როგორია ჰიდრონიმ აბაშისა და ოიკონიმ აბაშის (დღევანდელი ძველი აბაშა) ქრონოლოგიური ურთიერთმართება? მრავალი ქვეყნის ისტორია ადასტურებს, რომ, ჩვეულებრივად, უწინდელია მდინარის სახელი, რომელიც გადადის მდინარისპირას წარმოქმნილ დასახლებულ პუნქტზე. მართალია, აბაშა (დღევანდელი ძველი აბაშა) მდ. აბაშის ნაპირზეა გაშლილი, მაგრამ როგორ წარმოიქმნა აბაშა (დღევანდელი ზემო აბაშა და ქვემო აბაშა) სამტრედიის რ-ნში, მდ. რიონის მარცხ. მხარეს, საჯავახოს აღმით?

ოიკონიმი აბაშა (იგულისხმება დღევანდელი ძველი აბაშა) დასახელებულია თ. ბერაძის მიერ შედგენილ „XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე“. XIX ს-ის წყაროებში კი (ედუარდ აიხვალდისა და ჟაკ ფრანსუა გამბას „მოგზაურობები“ და საეკლესიო აღწერის საბუთები) რამდენიმეგზის არის დადასტურებული აბაშის წმ. გიორ-

ვის სახელობის ეკლესია (ზოგ საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ.: კეკელია, 2011, გვ. 10-17)).

ძველი აბაშა შედგება ოთხი მთავარი უბნისაგან: შუა სოფელი, საკუპრაო, საქოიაუო, საკორძახიო. ძველ აბაშაში შემოდის ნასოფლარი კადარი, სდაც დგას XIV ს-ის მაცხოვრის ეკლესია, აგურით ნაგები (რაც იშვიათია სამეგრელოში), ამჟამად ნახევრად დანგრეულია (აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს).

1996 წელს ძველ აბაშაში მკვიდრობდა 67 გვარის მატარებელი 457 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: ქოიავა – 104კ., კორძახია – 35კ., ჭანტურია – 31კ., ჯალალანია – 30კ., პერტენავა – 28კ., ნოდია – 20კ., კუპრავა – 18კ., გვილავა – 12კ., თოფურია – 10კ., გრიგოლია, მელია, რუბენია, ცოძია – 9-9კ. სათანადო ცნობას ხელს აწერენ ძველი აბაშის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ჭანტურია და მდივანი თ. ჯალალანია.

ძველი აბაშის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1985 წლის 8-10 ოქტომბერს. ამ პერიოდში ძველი აბაშის სოფსაბჭოს თავმჯდომარის – შოთა ქოიავას მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სოფელში ცხოვრობდა 400 კომლი (1220 სული), ტერიტორია იყო 1450 ჰა. მანვე შემირჩია მეგზურები (რომელთა დახმარებით დავიარე სოფელი და ჩავიწერე ტოპონიმია). რესპოდენტები იყვნენ:

ბჟალავა გოგიტა პარმენის ძე, 56 წ.

გრიგოლია ჯემალ ვარლამის ძე, 54 წ.

დუნდუა კოტე ამროზის ძე, 54 წ.

კორძაია ვლადიმერ ოქროპირის ძე, 72 წ.

კორძაია მარიამ ივანეს ას., 82 წ.

კუპრავა გრიგოლ მელიტონის ძე, 85 წ.

კუცია აკაკი ნესტორის ძე, 70 წ.

ქოიავა ვალიკო იაგორის ძე, 73 წ.

ჭანტურია პოლიკარპე იაგორას ძე, 62 წ.

დაბოლოს: ძველ აბაშაში დაიბადა ცნობილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია.

წყემის თემის საკრებულო

წყემის თემის საკრებულო ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულია აბაშის რ-ნში, მდ. აბაშასა და სენაკის რ-ნის საზღვარს (ს. გეჯეთი) შუა. აღმ-ით ესაზღვრება ონტოფოსა და ძველი აბაშის თემები, სამხრ.-დას-ით – ზანათის თ/ს.

საქ. სსრ პირველი აღმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის (გამოცა 1930 წ.) მიხედვით, წყემის სას. საბჭოში შედის ორი სოფელი: წყემი (კ.) – 218 კ. (1056 ს.) და ძიგური – 20 კ. (78 ს.). აქედან მოყოლებული, ეს ვითარება არ შეცვლილა. 2002 წელს აბაშის რ-ნის წყემის თემის საკრებულოში აღირიცხა 800 მუდმივი მოსახლე ორივე სქესისა, მათგან წყემში – 525 ს., ძიგურში – 475 ს.

წყემი

წყემი – სოფელი აბაშის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირას, სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: წყემი, ძიგური). ზ.დ. 43 მ, აბაშიდან 8კმ (ქსე, II, გვ. 364).

დავით დადანის მიერ ოდიშ-ლენჩხუმის რვა მაზრად დაყოფის ცნობარში (მე-19 ს-ის 40-იანი წლები) სოფ. წყემი შედის სუჯუნის მაზრაში. ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის (1886 წ.) მასალების მიხედვით, წყემი ნაქალაქევის უბნის გეჯეთის სოფლის საზოგადოებაშია გაერთიანებული (გეჯეთი – 283 კომლი, 1512 სული; წყემი – 128 კომლი, 698 სული). 1930 წელს კი წყემი (218 კომლი, 1056 სული) და ძიგური (20 კომლი, 76 სული) შედის აბაშის რაიონში. ეს ვითარება დღემდეა მოღწეული.

წყემი დასახელებულია 1717 წელს შედგენილ „შეწირულების წიგნში“, სადაც ნათქვამია: „გეჯეთისა და წყემის საზღვარს აქეთ და სუღირს აქეთ აბაშის წყლამდის...“ (მხარეთმცოდნე, II, 2011, გვ. 47). წყემის წმ. გიორგისა და ბარბარეს სახელობის ეკლესიები დასახელებულია 1838

წელს შედგენილ სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიებს შორის (ჭითანავა, 2010, გვ. 60). წყემის წმ. ბარბარეს ეკლესია დასახელებულია 1864 წლის ეკლესიათა აღწერის საბუთშიც (იქვე, გვ. 72). XX საუკუნეში კი ბარბარეს ეკლესია ნაეკლესიარად იქცა (იქვე, გვ. 496), მაგრამ XXI ს-ში აღადგინეს.

1996 წელს სოფ. წყემში მკვიდრობს 51 გვარის მატარებელი 321 კომლი. კომლმრავალი გვარებია: ჯაღალღონია – 48კ., კუპრეიშივილი – 41კ., კილასონია – 21კ., რატიანი – 11კ., ფუტკარაძე – 10კ., თუნგია – 6. თსუ-ს ახალი ქართული ენის კათედრაზე გამოგზავნილ სათანადო ცნობას ხელს აწერენ წყემის თ/ს გამგეობის თავმჯდომარე გ. ბირკაია და აპარატის ხელმძღვანელი ა. კუპრეიშივილი.

წყემის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით გ. ელიავას კორესპონდენტის ინფორმაცია ერთგვარად გაუგებარია: „ოდესღაც ღრმა ტყე ყოფილა. იგი გაუჩეხიათ მდინარის პირამდე. ამიტომ მას წყემი დაერქვა“ (ელიავა, 1977, გვ. 33). აღ. ქობალია „მეგრულ ლექსიკონში“ განმარტავს: „წყი – წყავი“; „წყემი – წყავიანი; წყელიანი, დაჭაობებული ადგილი; წყემიშ ორქი – ჭაობის ხაში“ (დაზუსტება: მეგრ. ორქი ქართ. ორთქლი). ი. კეკელია, რომელსაც მოჰყავს ზემოთ ჩამოყვანილი განმარტებანი, აღნიშნავს: „დასაშვებია ოიკონიმის მნიშვნელობის სხვაგვარი განმარტებაც: „წყემი – წყავნარი, წყავიანი ადგილია. წყეი, წყელი, წყი(ი), წყივი, წყილი, წყოვი სამეგრელოში იგივეა, რაც წყავი“ (ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით მითითებულია აღ. მაყაშვილი და აღ. ქობალია).

2002 წელს წყემის თ/ს სოფ. წყემში აღინუსხა 525 მუდმივი მოსახლე (მათგან 251 კაცი და 274 ქალი). სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

არჩაია არსენა უშანგის ძე, 65 წ.

გეგენავა სამსონ მაქსიმეს ძე, 89 წ.

გოგია მიხეილ ივანეს ძე, 77 წ.

თუნგია ალექსანდრე აკაკის ძე, 68 წ.

კილასონია პლატონ ილარიონის ძე, 82 წ.

კუპრეიშვილი აკაკი მაქსიმეს ძე, 68 წ.
კუპრეიშვილი იასონ ონისიმეს ძე, 72 წ.
კუპრეიშვილი სამსონ ერისტუს ძე, 84 წ.
მელია თენგიზ ნიკოლოზის ძე, 64 წ.
ქავთარაძე ნიკოლოზ სოფრომის ძე, 78 წ.
ჯაღალღონია სარდიონ ლუკას ძე, 77 წ.

ძიგური

ძიგური – სოფელი აბაშის რ-ნის წყემის სოფსაბჭო-ში, მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირას, ზ.დ. 25 მ, ქ. აბაშიდან 6კმ, წყემიდან 3კმ (ქსე, 11). დამატებითი ინფორმაცია: ძიგური მდებარეობს სენაკის რ-ნის საზღვართან, სარკინიგზო ტრასასა და სოფ. გაღმა ზანათს შუა. ჩრდ.-დას-ით ესაზღვრება საოდიშარიო (სენაკის რ-ნი), სამხრ.-დას-ით – გაღმა ზანათი, ხოლო სამხრ-აღმ-ით – საგვაზავო.

ძიგური პატარა, მაგრამ ისტორიული სოფელია. იგი პირველად XVII ს-ში მოიხსენიება: 1640 წლის 27 აპრილს სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანს ძიგურის სასახლეში მიუწვევია რუსეთის ელჩები ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარევი, შეჰგებებია მათ სასახლიდან ერთნახევარ „ვერსზე“ პატრიარქის, მიტროპოლიტისა და ეპისკოპოსების, აგრეთვე 500 ცხენოსნის თანხლებით და წასძღვია სტუმრებს (ელჩობა, 1888, გვ. 331-332). ამის გარდა, Zicuri „ძიგური“ აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის რუკაზე და, მასზე დაყრდნობით, თ. ბერაძის „XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზეც“.

საქ. სსრ პირველი აღმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის (1930 წ.) თანახმად ძიგური მოსახლეთა რაოდენობით ძალზე მცირერცხოვანი სოფელია (20კ., 76 ს.). აბაშის რაიონში შექმნილია ძიგურის სას. საბჭო სოფლებით ძიგური და წყემი. 2002 წელსაც ძიგური წყემის თემის საკრებულოშია. ამასთანავე შეინიშნება სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა შობადობისა და ჩამოსახლების ხარჯზე

(სას. საბჭოს ტერიტორიაზე აღინუსხა ორივე სქესის 275 მუდმივი მოსახლე).

გ. ელიავა წყემის თემის ტოპონიმთა შორის ორჯერ ასახელებს ძიგურს: 1. „ძიგური – სოფ. ხშირად იტყვიან ძიგირი (ეკალი)“; 2. „ძიგური – უბანი“ (ელიავა, 1977, გვ. 32). რასაც მოსდევს რესპოდენტისეული ინფორმაცია: „მუხისა და რცხილის ტყე ყოფილა. ეკლიანი, ტყიანი, ჩირგვიანი. აქ პირველად ჩოჩიები დასახლებულან, შემდეგ კიზირიები, ბოკუჩავეები, სულ 10 კომლია. აქ იცოდნენ დღესასწაული კაპუნობა“ (იქვე, გვ. 35). მკვლევარი ზანათის სას. საბჭოში ასახელებს: „ძიგირი (ეკალი) გაუვალი ტყე იყო“ (სახელდებული ობიექტი არაა მითითებული. იხ. იქვე, გვ. 57, გვ. 62).

მეგრულში ძიგირი, ძიგური აღნიშნავს ეკალს, ეკალ-ლიჭს, ეკალბარდს. არაა იშვიათი ძიგურე ფორმაც. აღ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ დასახელებულია გურული ვარიანტი „ძიგურაც“. აღ. ქობალიას განმარტებით, ძიგური ჩირგვიანს აღნიშნავს. ფიტონომენი ძიგური ადვილად გადაიქცეოდა იმ ადგილის სახელად, სადაც იგი ხარობს. მაგრამ, მეორე მხრივ, თეორიულად შესაძლებელია ძიგური ანთროპოლიკონიმი იყოს: ო. ქაჯაია გამოყოფს, მეგრულში -ურ სუფიქსის სამ ფუნქციას: აღნიშნავს სადაურობა-წარმომავლობასა და თვისებას; **აწარმოებს** ტოპონიმებს, რომელთა ამოსავალი ფუძეა სახელები ან გვარები. ამ მესამე ფუნქციასთან დაკავშირებით დასახელებულია თითქმის ათამდე მაგალითი და მითითებულია ჩემი წიგნი „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი)“ (თბ., 1985), სადაც დასახელებულია 30-მდე -ურ სუფიქსიანი მიკროტოპონიმი და გაკეთებულია დასკვნა, რომ „ჯნაშური შეიძლება ნიშნავდეს „ჯანაშიასი, ჯანაშიასეული, ჯანაშიას საკუთრება, ჯანაშიასგან მომდინარე“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ -ურ გამოხატავს **კუთვნილებასაც და კუთვნილებითს წარმომავლობასაც**“ (ცხადია, 1985, გვ. 81). ყოველივე აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული: ძიგუა (გვარსახელი) ძიგური „რაც ძიგუას ეკუთვნოდა“ (შდრ. ძიგუასეული „რაც ძიგუას ეკუთვნის“). ძიგუა საქართველოში მცირერიცხოვანი გვარია – 677 სული (ძირითა-

დად ზუგდიდსა და სამტრედიის რ-ნებში. სხვა დასახლებული პუნქტი, ამ გვარისგან წარმოქმნილი, არაა დაფიქსირებული).

1996 წელს ძიგურში მკვიდრობდა 30 გვარის მატარებელი 71 კომლი. კომლმრავალი გვარი მხოლოდ რამდენიმეა: კიზირია – 15კ., გვილავა, გეგენავა, ნაროუშვილი, ჯაღაღონია – 5-5კ. (ცნობას ხელს აწერენ წყემის გამგეობის თავმჯდომარე გ. ბირკაია და აპარატის ხელმძღვანელი ა. კუპრეიშვილი).

ძიგურის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1984 წლის ოქტომბერში. რესპოდენტები იყვნენ:

კიზირია ლავრენტი დუტუს ძე, 89 წ.

კუპრეიშვილი იასონ ონისიმეს ძე, 72 წ.

ჯაღაღონია მიტროფანე გრიგოლის ძე, 78 წ.

ნაწილი მეორე

(ტოპონიმთა სია)

— ა —

აბანოპიჯი – სახნავი ნოღელის მარცხ. მხარეს, საკაჭარაოში. ამჟამად აბანო აქ აღარსადაა (აბაშა).

აბაშა – მდინარე კოლხეთში, ტეხურის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 66 კმ. აუზის ფართი 370 კმ². იწყება ასხის კირქვეული მასივის სამხრ. კალთებიდან. მის სათავეს ქმნის მდინარეები რაჩხისწყალი და ტობი, რომლებიც ერთდება სოფ. ბაღდის ზემოთ (ზ.დ. 325 მ). სოფ. გაჭყედილთან აჩენს 50-70 მ სიღრმის ვიწრო კანიონს (სიგანე 4-5 მ). ამ ადგილზეა აგებული აბჰესი (ქსე, D). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ასეთი ვარაუდები: 1. სტრაბონის მიერ დასახელებული **გლაგოსი** იგივე მდ. აბაშაა; 2. მდ. აბაშის თავდაპირველი სახელწოდება **კათარის წყალი** უნდა ყოფილიყო (იხ. ვრცლად: კეკელია, 2011, გვ. 18-20). (მარტვილის რ-ნი, აბაშის რ-ნი).

აბაშა – ქალაქი, აბაშის რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცენტრი. ესაზღვრება: დას-ით – ნორიო, ჩრდ-ით – მაცხოვრისკარი, სამხრ-ით – მდ. ნოღელა. გადმოცემა: თათრებთან ომში ერთ მეგრულს თათრების სარდალი მოუკლავს და მისი თავი, ისარზე წამოცმული, ამ სიტყვებით მიურომეგია სამეგრელოს მთავრისათვის: „აი, ბაშ!“ (თათრ. ბაშ „თავი“). **შენიშვნა**: გადმოცემა 1965 წელს ჩაუწერია თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტ შორენა ჭანტურიას (აბაშა).

აბაშა – ერქვა დღევანდელ ძველ აბაშას (იხ.). საერთოდ, სახელდების კანონზომიერების მიხედვით, დიდი მდინარისა (შედარებით დიდი მდინარისა) და მის ნაპირას გაშენებული სოფლის, ქალაქის... სახელწოდებათა იდენტურობისას, უპირველესია (წინანდელია) ჰიდრონიმი.

აბაშაპიჯი – ჭაღა, სახნავები აბაშის ნაპირზე (გაღმა ზანათი, გამოღმა ზანათი, ძიგური).

აბაშისპირი – სოფელი (ყოფ. საჩოჩიო) ქ. აბაშასა (კვათანის უბანი) და სოფ. სახომტარიოს შუა (სუჯუნის თ/ს). ჩრდ-ით ესაზღვრება სოფ. ნორიო. 1986 წელს აბაშისპირში მკვიდრობს 38 კომლი ჩოჩია. 1938 წელს ააშენეს „აბაშისპირის 8-წლიანი სკოლა“. მერე აბაშისპირი სოფლის სახელად იქცა (აბაშის რ-ნი). იხ. საჩოჩიო.

აეროდრომი – მინდორი მდ. აბაშასა და ზანას შუა, სადაც „დიდი სამამულო ომის“ წლებში დროებითი აეროდრომი იყო მოწყობილი (ძველი აბაშა).

ავალიანი – სახნავი ნასერაღას მარცხ. მხარეს, რკინიგზასა და საავტ. ტრასას შუა. ავალიანი გვარსახელია (ბულვანი).

ავალიანიშ მუხური – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს (აბაშა).

ავქსენტის წყარო – წყარო კოვზასა და წყაროს შუა (გულუხეთი).

აკაციის ტყე/ხაჯალიების ტყე – ტყე ნოდელასა და შავდელეს შუა (სამიქაო).

აკაციის ხიდი – ბოგირი. გადებული იყო კატოს წყაროზე (გულუხეთი).

აკაციონა – ჩაის ფართობი სოფ. ვედიდკარის საზღვართან (სეფიეთი).

ალანური/ანალური – სახნავი სამეღიოში, ნახაჯუს გვერდით. რა თქმა უნდა: ალანია (გვარსახელია) → ალანური „რაც უწინ ალანიას ეკუთვნოდა“ → ანალური (წყეში).

ალექსანდრეს გორე – საძოვარი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (გულუხეთი).

ამანაძეების ტბა – მორევი-საბანაო დიდ კოვზაზე. ამანაძე ძალზე მცირერიცხოვანი გვარია საქართველოში – სულ 38 სული (ამათგან აბაშის რ-ნში – 20 სული). (მაიდანო).

ამბაკოს ნაეზვარი – სახნავი ნოდელის ნაპირას (გეზათი).

ამტონიწყარო – წყარო. იგივე ანტონის წყარო (სამიქაო).

ანალური – სახნავი. იგივე ალანური (წყეში).

ანდრეშ კარე – სახნავი ანჯერში (გაღმა კოდორი).

ანდრიის ნაწისქვილარი – მინდორი კოვხას ნაპირას.
ანდრია პირსახელია (გულუხეთი).

ანტონის შემოკავებული – სახნავი ფაღავას მიწებთან (მარანი).

ანტონის წყარო//ამტონიწყარო – წყარო დაკელაში (სამიქაო).

ანტოშ ნაცალა – სახნავი ხუბუანოდველთან, რიონის მარჯვ. მხარეს. **ნაცალა** „ნათიბი; ნაკაფი“ (სუჯუნა).

ანჯელი – ფართო ველი. იგივე ანჯერი (კეთილარი).

ანჯელის ნაეკლესვარი – მრგვალი ბორცვი ანჯერში (კეთილარი).

ანჯერი//ანჯელი – ფართო ველი რიონსა და ფიხორს შუა, სამტრედიის რ-ნის საზღვრიდან სირიაჩქონამდე. უწინ ყოფილა გაუვალი ტყე. ანჯერი, ანჯელი მაღალი ბალახია. კონტექსტი: „ანჯერს აშარენია საქონელი“. შდრ. აღ. ქობა-ლია: „ანჯერი – მდიდარი საძოვარი ადგილი; მაღალი, ამ-ძღავრებული, ატეხილი ბალახი“; ო. ქაჯაია: „ანჯერი – კარგი ბალახი; მაღალბალახიანი ადგილი“ (კეთილარი, გაღმა კოდორი).

არგვანი – ვაკე-საძოვარი რუშის მარცხ. ნაპირას. წვი-მისას იტბორებოდა და ჭაობდებოდა. აქვეა 2-3 მ სიღრმის ჭა, საიდანაც წყალი ამოდის. **არგვანი** (ყოველგვარი დიდი ჭურჭელი), როგორც მეტაფორულ-ოროგრაფიული ნომენი, აღნიშნავს ქვევრივით ჩავარდნილ ადგილს. უწინ არგვანი ერქვა გაჩერებასაც რკნიგზის ტრასაზე. შემდეგ დაერქვა ქოლობანი (ქოლობანი, მარანჭალა). დასახელებულია არ-გუანი ფორმით (მარანთან ერთად) სოლომონ II-ის „წყა-ლობის წიგნში“ (კაკაბაძე, II, 1921, გვ. 142). შდრ.: „არგუანი – 1. დიდი, ძველი ხელუხლებელი ტყე; 2. მდინარის დიდი მორევი სალი კლდეებით“ (ჭანტურია, 1996, გვ. 226).

არველაძის ტყე – ტყე კოვხას მარჯვ. მხარეს (გულუ-ხეთი).

არტეშ ჭალა – ჭალა აბაშის ნაპირას, საუჩანეიშვი-ლოში (გამოდმა ზანათი).

ასათიანების ჭალა – სახნავი ცხენისწყლის ჭალაში (მარანჭალა).

ატამარა//ატამონა – ერქვა ტყეს დანტკურას ნაპირებზე, სეფიეთისა და ონტოფოს საზღვრებთან. აქ ატამი ხარობდა (ძველი აბაშა).

ატამაჯინჯი „ატმისძირი“ – საძოვარი ნოღელის მარცხ. მხარეს (ეწერი).

ატამონა – ტყე. იგივე ატამარა (ძველი აბაშა).

ატამურა – სახნავი ნაცხენიწყლოს მარჯვ. რიყეში, პ. გეზათის საზღვარზე. გადმოცემით, აქ ხარობდა ველური ატამი (გეზათი).

ატუას ფართობი – სახნავი ბოხუების უბნის განაპირას (მარანჭალა).

ატუასეული – სახნავი რუშისპირებში. ატუა პირსახელია (გუგუნაყათი).

ახალნოღელა – ნოღელის არხი რიონის შესართავთან (გამოდმა კოდორი, ნაესაკაო).

ახალსოფელი – უბანი სოფ. სუჯუნის საზღვართან. XX ს. 30-იან წლებში აბაშისპირეთის მცხოვრებნი, მდინარის ადიდებისაგან შეწუხებულ-დაზარალებულნი, აქ გადმოსახლებულან და უბნისათვის ახალსოფელი დაურქმევიათ (გამოდმა ზანათი).

ახალსოფელიშ ობერგული – სახნავი. იგივე ობერგული (გამოდმა ზანათი).

ახალფართობი – საძოვარი შავღელეს მარცხ. მხარეს. სოფ. ონტოფომ გადასცა სოფ. სამიქაოს XX ს-ის მეორე ნახევარში და ამიტომაც ახალფართობი (სამიქაო).

– ბ –

ბა(ა)ხიების ქუჩა – უბანი კოვზას მარცხ. მხარეს. ბაახია მცირერიცხოვანი გვარია, სულ 59 სული საქართველოში. მაიდანში მკვიდრობს 15 კომლი (მაიდანნი).

ბაახიას ზღვაურა – ტბორი. იგივე ფილ(ი)პიას ზღვაურა (გაუწყინარი).

ბაბუესქუაშ კარე – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს. ბაბუესქუა ნადარეიშვილების ერთ-ერთი შტოს სახელია (ონტოვო).

ბადალეების წყარო – წყარო მიქაძეებში. ბადალეები მიქაძეების ერთ-ერთი შტოგვარია. ამ გვარის სხვა მეტსახელებია (კილებია): ჩითა (უყვარდა კარტის თამაში); ფრიალი (მარჯვე კაცი იყო); ბაღლო (მსუქან ბავშვს უწოდებენ); კუდო (ეშმაკი კაცი იყო); კვათანი, კვალი და სხვ. (სამიქაო).

ბაკარიაღელე/უნა ღელე – უნა ღელის მონაკვეთი სოფ. წყემის საზღვართან. ბაკარია, იგივე ბაძგარია, არის ბირკა (მანცხვარკარი).

ბაკური – სახნავი კაცობურსა და სამარღანოს შუა (კეთილარი).

ბალიძირი „ბლისძირი“ – ტყე ნოდელის მარცხ. მხარეს (მაიღანი).

ბალხიდე – სახნავი კოვზას მარჯვ. ნაპირზე. წაქცეული ბალი ხიდივით იყო გადებული ღელეზე და ზედ გადადიოდნენ (სამიქაო).

ბანკი/ბანკიშ დისა – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს (აბაშა).

ბანკის ადგილი – საძოვარი. იგივე დანჩარა (მარანი).

ბანკის მამული – სახნავი. იგივე დანჩარა (თხმელარი).

ბანკიშ დისა – 1. საძოვარი. იგივე ბანკი; 2. სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს, საკიზირიოში, საბოკუჩავოს საზღვართან (აბაშა, გაღმა ზანათი).

ბანკიშ მინდორი – 1. მინდორი ძიგურში, აბაშის მარჯვ. მხარეს; 2. მინდორი საკიზირიოში, რკინიგზის ხაზთან (გაღმა გეზათი, ძიგური).

ბანძავეების ჭალა – სახნავი ტეხურისწყლის ჭალაში. ბანძავა მცირერიცხოვანი გვარია. ძირითადად სამტრედიის რაიონშია გავრცელებული. რესპ.: „ბანძავეები ცხოვრობენ გაღმა, სოფ. ხუნჯულაურში“. (გუგუნაყაი).

ბანძღიშ ნოხორი – სახნავი სანოდლოში. ბანძღი ქარდავას ნასახლარია (გაღმა ზანათი).

ბარბალეკარი – ნაეკლესიარი, სასაფლაო სოფლის ცენტრში. აქ აღინიშნებოდა წმ. ბარბალეს დღესასწაული 4 (17) დეკემბერს. ბარბალე//ბარბარე წარმართული დროის მზის მითოსური ღვთაება, თანაც მრავალფუნქციიანი... დას. საქართველოში იგი ფეხობის, ბრძნილობის, კუნხობის დღედ ითვლება. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ბარბალეს ასტრალური კულტი შეცვალა აღმოსავლური წმ. დიდმოწამე ბარბარეს ხატებამ (IV ს.). ქრისტიანული წმინდა ბარბალეც მრავალფუნქციიანია (იხ. ვრცლად: ქელ, თბ., 2009, გვ. 21; ქობალია, თბ., 2010, გვ. 56; მაკალათია, თბ., 1980, გვ. 57; ბარდაველიძე, თბ., 1946, გვ. 35). ბარბარეკარი პირველი ონტოფოს უწინდელი სახელწოდებაა. ბარბარეკარის ეკლესიის ხატის წარწერა ექვთიმე თაყაიშვილმა დაათარიდა 1762 წლით (ონტოფო).

ბარდლების რიყე – საძოვარი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას (მაიდანნი).

ბარდლების ყანა – სახნავი დიდოჩეში. რესპ.: „ბარდალა ჯანგველაძეების კილია: ბარდალობდნენ მათი წინაპრები. კილი მეტსახელია“; **ბარდალი** „გაუგებარი ლაპარაკი“ (მაიდანნი).

ბარცხიმი – სახნავი რუშიპირში, გუგუნაყათის საზღვართან. ბარცხი იგივეა, რაც ჯაგი, ბაძგი, ეკალი, ჩირგენარი. ა. მაყაშვილი: „**ბარცხი** – ბაძგი“; აღ. ქობალია: „ბარცხი – ჯაგი, ეკლიანი ჩირგვი (იგივეა, რაც ბაძგი)“. (ქოლობანი).

ბატაიის ნაფხარი – სახნავი წახარების მარჯვ. მხარეს (სამიქაო).

ბაქვინჯი – მორევი და მიმდებარე ჭალა-სახნავები ზანისა და მდ. აბაშის შესართავთან. რესპ.: „წყარიშ სიტომბაშენ ჯოხოდღ“; „ბაქვინჯი ტობაწყარიშ სახელი რდღ“ (მანცხვარკარი, ძველი აბაშა).

ბაღათურიების ქუჩა – უბანი ზედა მაიდანში, სადაც ცხოვრობს ბაღათურიათა 7 კომლი. სპარსულ სიტყვა ბაღათურს („გოლიათი, მამაცი, რაინდი“) მოუცია ვარიანტები: ბაჰადურ (თურქულში) და ბაღათური (ქართულში). (მაიდანნი).

ბაღათურიეფიშ დისხა – სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს (სეფიეთი).

ბაღიშ ეხო – სახნავი საკორძახიოში. ბაღი: 1. ბაღი (ხეხილნარი, ყვაველნარი); 2. ხულა; 3. ბედელი (ძველი აბაშა).

ბაწური – სახნავი მარაგანისა და აბაშის შესართავთან. აქვეა საღობი//პალური (გაღმა ზანათი).

ბახვიაშ ნაცალა – სახნავი სანოდოში, ცუდღარის მარცხ. ნაპირზე. **ნაცალა** – 1. ნათიბ; 2. ნაკაფი (სუჯუნა).

ბახვაის ღარდო – ტყე, ტბორი ჭალაში, ხაბოს ძირას. რესპ.: „ღარდო არის დამდგარი წყალი“. შდრ. „სიტყვის კონა“: „ღარდა – ნაპირი, ღარი, ხრამი, ღრმა ხრამი ან ძნელად ჩასასვლელი, ძნელად მისადგომი ადგილი“ (გუგუნაყათი).

ბახვაჭალა – ჭალა-სახნავები შავლელის მარჯვ. მხარეს, რიონჭალასთან (გაუწყინარი).

ბახვაჭალა – რიონის ჭალა ტყემაღას შესართავთან (თხმელარი).

ბახსქუაშ კოდ(გ)მე – დაღმართი, რომლითაც გზა ჩადის ნოდელაში. რესპ.: „ბახსქუა გვარ ბახუშვილის არაოფიციალური ვარიანტია“. ალბათ იგულისხმება მცირერიცხოვანი გვარი ბაღუშვილი, რომელიც გავრცელებულია სამეგრელოში (სენაკი – 83 სული, აბაშა – 19 სული). აღ. ქობალია: „კოდმე – წყალქვეშა ღრმული კლდეში, კბოდე, კლდოვანი ნაპირი ან ხევის კლდოვანი ძირი; წყლის კალაპოტი“; ო. ქაჯაია: „კოდე, კოდმე, კოდუმე – მდინარის მაღალი ნაპირი, კბოდე“ (ონტოფო).

ბებური – სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს, საკორძახიოში. ბებია (გვარსახელი) → ბებური (ძველი აბაშა).

ბეგდაბალი – საძოვარი, ბეგის ნაწილი ნოდელის მარცხ. მხარეს (ონტოფო).

ბეგები – 1. სახნავები ნოდელასა და კოვზას შუა (გულუხეთი); 2. სახნავები. იგივე ბეგი (სამიქაო, გულუხეთი).

ბეგი – 1. ტყე ნოდელის მარცხ. ნაპირზე. იყოფა: ბეგდაბალი, ბეგმაღალი (ონტოფო); 2. ტყე, საძოვრები (250 ჰა) ნოდელასა და კოვზას შუა. შემადგენელი ადგილია.

ხალხ. ეტიმოლოგია: „თათრების ჯარის უფროსი ბეგი აქ დაბანაკებულა და ცხენისწყალზე ვერ გასულა“ (გეზათი); 3. საძოვრები შავდელესა და დიდკოვზას შუა (მაიდანო).

ბეგი/ბეგები – სახნავეები კოვზას მარჯვ. ნაპირიდან ნოდელამდე, ქურდაძეებსა და მიქაძეებს შუა. რესპ.: „ბეგი არის მწირი, მოუსავლიანი და ცოტათი შემადღებული ადგილი“. აღ. ქობალია: „ბეგი – ბეკი, შემადღებული ადგილი ვაკეში“; გ. ელიავა: „ბეგი – კბოდე, ფლატე“ (სამიქაო).

ბეგმაღალი – საძოვარი, ბეგის ნაწილი ნოდელის მარცხ. მხარეს. იხ. ბეგი (ონტოფო).

ბეკოიაშ პალოტი – ტბორი ნოტეხში. პალოტი ← რუს. „ჭაობი“ (გამოდმა ზანათი).

ბეჟღეთი – მიკროუბანი, საკუჭუხიძეს ნაწილი. რესპ.: „ბეჟას ეკუთვნოდა“ (ნაესაკაო).

ბერელიხეშ ნოხორი – სახნავეი ძველი აბაშის საზღვართან. ხე/ფხე „ასული, ქალი“ დაერთვის გამოსოვილი ქალის გვარს. მაშასადამე, ბერელიხე „ბერელიას ასული“. ამჟამად ეს გვარი სამეგრელოში არ დასტურდება (ონტოფო).

ბერეხე/ბერეხეშ თხორილი – არხი, რომელიც ჭიჭე ტობლოს დაშრობის მიზნით გაუთხრია ბერეხეს, მაგრამ ვერ აზუსტებენ, ბერეხე გვარია თუ სახელი (ცილორი).

ბერეხეშ თხორილი – არხი. იგივე ბერეხე (ცილორი).

ბერიახო – სახნავეი ნატყევარზე, ნაცხენიწყლოს მარცხ. მხარეს გეზათისა და ქოლობნის საზღვარზე (გეზათი, ქოლობანი).

ბერიშ დიხა „ბერის მიწა“ – სახნავეი შუა ქალაქში (ნაესაკაო).

ბერნაყანები – სახნავეი რუშისპირსა და თელიების უბანს შუა (მარანჭაღლა).

ბერწულიშჯინჯი „ბროწეულისძირი“ – საძოვარი მდ. აბაშის მარცხ. მხარეს (ძველი აბაშა).

ბესაიის ტყე – ტყე ოჩარულში (სამიქაო).

ბესარიონიშ ტყა – ტყე ნაჭილაუსთან (გაღმა კოდორი).

ბესაშ ნოხორი – სახნავეი ვახანაში (აბაშა).

ბესოს ბეგი – საძოვარი ბეგებში (გულუხეთი).

ბზიეფიშ დიხა – სახნავი რიონის მარცხ. მხარეს. ბზიავა მცირერიცხოვანი გვარსახელია (173 სული საქართველოში. მათგან 73 აბაშის რ-ნში). (გალმა კოდორი).

ბიაძირები//ბიაძირი – სახნავები კოვზას ნაპირას, სოფ. ონოდიის საზღვართან. ბია „კომში (ხე)“. (მაიდანნი).

ბიაძირი – სახნავი. იგივე ბიაძირები (მაიდანნი).

ბიკენტის ტყე – ტყე ოჩარულში (სამიქაო).

ბიტუშ ნაკარუ – მინდორი კოდორეში (გამოღმა ზანათი).

ბიქტორიშ დიხა – სახნავი სათოფუროში (აბაშა).

ბიძლაშ ნოხორი – სახნავი სადანელიოში. ბიძლა პირსახელია (გალმა ზანათი).

ბოგანოების ქუჩა – უბანი ზედა მაიდანში. რესპ.: „სხვადასხვა კუთხიდან გამოქცეული უსწავლელი და გაუნათლებელი ხალხი ცხოვრობდა აქ. ტყე იყო და თავს აფარებდნენ. ბოგანოები მათი მეტსახელია“. შდრ. ს.-საბა: „ბოგანო – ა. უაგარაკო გლეხი; ბ. ყანის ჭია“; უაგარაკო გლეხი კი უშიწაწყლოა; ქეგლ-ი ეყრდნობა ი. ჭყონიას განმარტებას: „ბოგანო – ყოველ ქონებას მოკლებული“ (იხ. ქეგლ, I, გვ. 1080). (მაიდანნი).

ბოგაშდული „ბოგირისთავი“ – მორევი ნოღელაზე, ხიდთან (ონტოფო).

ბოგაში – სახნავი ნოღელის მარცხ. მხარეს, ჭითა წყაროსთან. ბოგა „ხიდბოგირი; ბოგურა“ (აბაშა, ბულვანი).

ბოგვერა//ბოგვერონი – სახნავი ნოღელის მარცხ. მხარეს, მაიდნის საზღვართან. ბოგვერი ბალახია ერთგვარი, კერძოდ, ურო (სამიქაო, ონტოფო).

ბოგვერონი – საძოვარი. იგივე ბოგვერი (სამიქაო, ონტოფო).

ბოგვი//ბოგვის ჭალა – საძოვარი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, ჭალაში, პატარა გეზათის საზღვართან. ბოგვი, ბოგვერი ბალახია ერთგვარი. იხ. მაყაშვილი: „**ურო** – ... მეგრ.: გაჯაჯა, ჩე ტყა, ჩე ოდიარე, ბოგვერი“ (გუგუნაყათი, პატარა გეზათი).

ბოგვის ჭალა – სახნავი. იგივე ბოგვი (პატარა გეზათი, გუგუნაყათი).

ბოგირა – სახნავი. იგივე ბოგირები (ქვიშანჭალა).

ბოგირები//ბოგირა – სახნავი შაველელის ნაპირზე, კაპეტების გვერდით, გაუწყინარის საზღვართან (ქვიშანჭალა).

ბოგორონი – ტყე ანჯერში. ბოგორი (← ბოგვერი) მცენარეა ერთგვარი. იგივე ურო (კეთილარი).

ბოკერიანოსორი – საძოვარი. ნოღელის მარცხ. მხარეს. ბოკერია გვარსახელია. 1996 წელს ონტოფოში მკვიდრობს სამიოდე კომლი ამ გვარისა (ონტოფო).

ბოკერიას საცეხველი – მინდორი კოვზას ნაპირას. ბოკერიას აქ, კოვზაზე, გამართული ჰქონია ღომის საცეხველი (გეზათი).

ბოკერიების ნამოსახლარი – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (გეზათი).

ბოკერიების ნამოსახლი – სახნავი რუშისპირებში (გუგუნაყათი).

ბოკერიების წყარო – წყარო, შაველელის სათავე (სამიქაო).

ბოშანამოსახლი – სახნავი დიდოქეში (მაიდანი).

ბოცვაძნების მინდორი – მინდორი გოგიშვილების უბანში (მარანი).

ბოხუას ტყე – ტყე ცხენისწყლის ჭალაში (გუგუნაყათი).

ბოხუები – უბანი. იგივე ბოხუების უბანი (გუგუნაყათი, მარანჭალა).

ბოხუების ნამოსახლი – სახნავი პ. გეზათის საზღვართან (გუგუნაყათი).

ბოხუების უბანი – უბანი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, გუგუნაყათის საზღვართან. მარნის თემში ცხოვრობს ბოხუების 23 კომლი. გვარის წარმოქმნის გზა: ბოხო „მსხვილი, მკვრივი“ → ბოხო (მეტსახელი) → ბოხოა → ბოხუა (მარანჭალა, გუგუნაყათი).

ბოხუების ჭალა – სახნავი ცხენისწყლის ჭალაში (გუგუნაყათი).

ბოხური – სახნავი რკინიგზის ხაზის სამხრ-ით. სუფიქსი -ურ დართვია ანთროპონიმს – გვარს (ბოხუა) ან პირსახელს (ბოხი) და წარმოქმნილი სახელი აღნიშნავს, თუ ვის ეკუთვნოდა ეს ობიექტი წარსულში (საბოკუნავო).

ბოხური/ბოხურობა – სახნავი ძიგურში, უჩადალის მარცხ. მხარეს. ბოხუა (გვარსახელი) → ბოხური „ბოხუას კუთვნილი“ → ბოხურობა „ბოხუას კუთვნილი სახნავეები“ (გაღმა ზანათი).

ბოხურობა – სახნავი. იგივე ბოხური (გაღმა ზანათი).

ბუალაში ნაკარუ – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს. ბუალავა გვარსახელია. ონტოფოში მკვიდრობს ამ გვარის მქონე 8 კომლი. ბუალა „მზიანი, ნათელი“ ეპონიმის მეტსახელი ჩანს (ონტოფო).

ბუველეები – თუთნარი ქვედა მაიდანში. ბუველი ბუოლაა (მაიდანი).

ბუველიძირი „თუთისძირი“ – სახნავი შავდელის ნაპირას (მაიდანი).

ბრუნავი – მორევი ცხენისწყლის ორი ტოტის შესართავთან. დასავლურქართულ დიალექტებში ბრუნავი, ბრუნაო აღნიშნავს მორევს, სადაც წყალი ბრუნავს, ტრიალებს (გულუხეთი).

ბრუნაო – მორევი ცხენისწყალზე. რესპ.: „ამ მორევში წყალი ბრუნავს, ტრიალებს. ამიტომაც ბრუნაო“ (სამიქაო).

ბუიშჯინჯი „ბლისძირი“ – ერქვა ორ მორევს მდ. აბაშაზე, სუღირთან. აკონკრეტებენ: დიდი ბუიშჯინჯი, ჭიჭე ბუიშჯინჯი (ძველი აბაშა).

ბუიჯინჯი „ბლისძირი“ – წყარო, ტბორი მდ. აბაშასა და უჩა დელეს შუა (წყემი).

ბუკეში ტყა/სოლომონიშ ტყა – ნატყევეარი სალაბარტყაოში. ბუკე შვილს ერქვა, სოლომონი – მამას (სეფიეთი).

ბუკნარი – სახნავი კოვზას მარცხ. მხარეს. ბუკი გადაჭრილი ხის ძირია, მიწაში ჩარჩენილი. ი. ყოფშიძე: „ბუკი – 1. ჯირკი, კუნძი, ხის მორი, რომელსაც შუაცეცხლის თავთან დებენ; 2. სკა“ (სამიქაო).

ბულვანი „ბალნარა“ – სოფელი ქოლობანსა და ტყვირს შუა, ნასერალასა და სოფ. მარანს შუა, რკინიგზის

ორივე მხარეს. ოიკონიმი ენობრივი ინტერფერენციის (ორენოვანების) ნიმუშია: მეგრ. ბულ- + ქართ. -ოვან (აბაშის რნი).

ბულიშჯინჯი „ბლისძირი“ – საძოვარი ნოდელის მარჯვ. მხარეს (ონტოფო, ეწერი).

ბულონა „ბალნარი“ – საძოვარი სოფ. სამიქასოს საზღვართან (ონტოფო).

ბულონი „ბალნარი“ – სახნავი საახობადოში, ტურაკეს აღმ-ით (გამოდმა ზანათი).

ბურდღუის ტყე – ტყე შავდელის მარცხ. მხარეს (მაიდანი).

ბურსულაიაშ დაბალი – დელე-ტბორი ნარნეს მარცხ. ნაპირზე (კეთილარი).

ბურსულაიაშ ნაკარუ – სახნავი ანჯერში, დადიანომერში. ბურსულაია მცირერიცხოვანი გვარსახელია, სულ 126 სული საქართველოში, ძირითადად სენაკის, ჩხოროწყუსა და აბაშის რ-ნებში. გვარისათვის ამოსავალია მეტსახელი ბურსულა „მოჩხუბარი, შფოთისთავი, შარიანი“ (კეთილარი).

ბურღალა – ჩქერი, საბანაო მდ. კოვზახე. რესპ.: „წისკვილის წყალი გადმოდოდა და ჩქეფდა“. აღ. ქობალიას „მეგრული დექსიკონის“ მიხედვით, ბურღა ბუერაა (თეთრყვავილა მცენარე ჭაობისა) და თევზის ჯიშიც (გულუხეთი).

ბუჭუმ წყარო – წყარო-ნაკადული კოვზას მარცხ. ნაპირზე. ბუჭუმ პირსახელია (გეზათი).

ბუხუმ ეშაღობირი „ბუხუს შემოდობილი“ – სახნავი ნოდელასა და შავდელეს შუა. ბუხუ პირსახელია (აბაშა).

ბუხუმ ჭალე – სახნავი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე (აბაშა).

ბუხუმ ჭორთი – ტყე უჩადელეს მარჯვ. მხარეს. ჭორთი ნორჩი, ახალამონაყარი ხეა (აღ. ქობალია). (აბაშა).

– გ –

გაბელაიაშ დისა – ტყე ნაკრძალში (წყემი).

გაბეჩიაშ ნაკარუ – მინდორი კოდორეში (გამოდმა ზანათი).

გაბრიის ტყე – ტყე ტყურებში (მაიდან).

გაბუნიას თხილები – სახნავი კოვზას მარჯვ. მხარეს (გულუხეთი).

გაბუნიას კახური – საძოვარი. იგივე კახური (გულუხეთი).

გაბუნიას ნაწისქვილარი – მინდორი კოვზას ნაპირას (გულუხეთი).

გაბუნიას ყანები – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (გულუხეთი).

გაბუნების ფონი – ერქვა ფონს კოვზაზე (გულუხეთი).

გაგუაზიარი – სახნავი ნასერალას მარცხ. მხარეს. გაგუას (გვარსახელია) ჰქონია საზიაროდ, სანაწილოდ (ბულვანი).

გაგუანოხორი – სახნავი სადანელიოში, აბაშის მარჯვ. მხარეს. გაგუა გვარსახელია (გაღმა ზანათი).

გადათხრილისთავი – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას, ონოდიის საზღვართან, სადაც არხის სათავეა გადათხრილი. „გადათხრილი“ სწორედ ამ არხს გულისხმობს (მაიდან).

გაინოხორი – საძოვარი ფულუეშში. რესპ.: „გაი აქ მოსახლე კაცს ერქვა“ (წყემი).

გალენკოდორე „გარეკოდორე“ – სახნავი სადღამოს ნაპირზე, დინახალენკოდორის პირდაპირ, კოდორობაში (გაღმა კოდორი).

გამოდმა ზანათი – სოფელი აბაშა-ტყეხურის მარცხ. მხარეს (აბაშის რ-ნი).

გამოდმა ილორი//მეორე ილორი – ერქვა სოფელ ილორის (სამტრედიის რ.) ნაწილს ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ამჟამად აქ ორი სოფელია: მარანჭალა და პ. მაისი. ამ ორ სოფელს შუაა სოფ. მარანი. რესპ. ვ. თელია (80 წ.): „მეორე ილორი ერქვა დღევანდელ მარანჭალას. მე ვსწავლობდი მეორე ილორის საშ. სკოლაში, რაც ახლაც დგას რკინიგზის ხაზის გაღმა. ნანწარაულს ერქვა პირველი

იღორი და დაარქვეს პირველი მაისი. სოფ. იღორი არის გაღმა, ცხენისწყლის მარცხ. მხარეს, სამტრედიის რაიონში“ (მარანჭალა).

გამოღმა კოდორი – სოფელი რიონის მარჯვ. მხარეს, რიონსა და ნაესაკაოს შუა. აღმ-ით სწვდება კვათანამდე, დას-ით ესაზღვრება ტყვირი და ცილორი (აბაშის რ-ნი).

გამოღმა კოპიტნარა – სახნავი რუშის მარცხ. ნაპირას (მარანი).

გამოღმა საჭილაო – ერქვა სოფელს ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ამჟამად აქ ორი სოფელია – მარანი და პირველი მაისი“ (პირველი მაისი, მარანი).

გამოღმა ჭალა – სახნავი. იგივე მოლენჭალა (ძველი აბაშა).

განათლებისკარი//განკარი – დაერქვა სოფ. მანცხვარკარს 1936 წელს (იხ. მანცხვარკარი).

განაკე(ბი) „შემონაკავები“ – სახნავი მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს, სულირთან (ძველი აბაშა).

განკარი – სოფელი. იგივე განათლებისკარი (მანცხვარკარი).

გარსევანის საისლე – საძოვარი არგვანში (მარანჭალა).

გასხაპურე – იხ. გასხაპური (კეთილარი).

გასხაპური//გასხაპურე „გასახტომი“ – სახნავი ფიჩორის მარჯვ. მხარეს, ნოდო-ხაშის კარესთან. აქ იყო არხზე გასახტომი (კეთილარი, გაღმა კოდორი).

გაუწყინარი – სოფელი შავღელის, ანუ ნაცხენწყარის, ორივე ნაპირას, ქვიშანჭალასა და პირველ მაისს შუა. წვდება რიონის ჭალამდე. რიონს გაღმა არის სოფ. ქორეისუბანი. ხალხ. ეტიმოლოგია: „უწყინარი და მშრომელი ხალხი ცხოვრობს. ამიტომ დარქმევია“. გადმოცემით, გაუწყინარის ძირითად ნაწილს ერქვა ღელპირი (იხ.), მაგრამ რატომღაც ეს სახელი არ მოეწონათ და ახალგამოყოფილ სოფელს გაუწყინარი უწოდეს. იშვიათი ვარიანტი: გოუწყინარი (პირველი მაისის თ/ს).

გაღმა ზანათი – სოფელი მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირას, ზანათის თემის საკრებულოში (აბაშის რ-ნი).

გაღმა კოდორი – სოფელი რიონის მარცხ. მხარეს, ყოფილი მეორე კოდორი. რესპ.: „კოდორი ერთი სოფელი ყოფილა. მაშინ რიონი ფიხორს ერთოდა, მაგრამ გურულებს ეს მდინარე ახალ კალაპოტში გადაუგდიათ, რასაც კოდორი ორად გაუყვია“ (კეთილარის თ/ს, აბაშის რ-ნი).

გაღმა კოპიტნარა – სახნავი რუშის მარჯვ. ნაპირას (მარანი).

გაღმა საბოკუჩავო – სოფლის ნაწილი მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს (საბოკუჩავო).

გაღმა ჭალა – სახნავი. იგივე მეღენჭალე (ძველი აბაშა).

გაღმართი – ზოგადად ასე უწოდებდნენ რიონსა და ფიხორს შორის მდებარე ტერიტორიას რიონის მარჯვ. მხარეს მცხოვრებნი. 1560 წელს კაცია დადიანის მიერ შედგენილ „შეწირულების წიგნში“ აღნიშნულია, რომ „გაღმართის“ ადგილები კოდორა, ცხეპიჯი, კუკუთი, სამარდნაო და ანჯელი ძველთაგან ჭილაძის ყოფილიყო და ჭილაძისთვისვე შეუწირავთ“ (კაკაბაძე, II, 1921, გვ. 13).

გახუფშიარები – ბუჩქნარი სოფ. ონოდიის საზღვარზე. გახუ პირსახელია. **ფშიარი** – შეფოთლილი, ნორჩი თხმელნარი. შდრ. აღ. ქობალია: „ფშიარი – ფოთლოვანი“; ო. ქაჯაია: „შიარი, შვიარი – შამხნარი; ჩქოლნარი“ (მაიდანო).

გაჯინარა – ჩირგვნარი სოფ. მაიდნის საზღვართან, ბეგსა და ნოდელის მარცხ. ნაპირს შუა (სამიქაო).

გეგეშიძისოული – სახნავი რუშიპირებში. იმერულ დიალექტში ანთროპონიმის ნათეს. ბრ. + -ეულ აღნიშნავს მიწის, ტყის უწინდელ პატრონს (გუგუნაყათი).

გეგეჭკორიშ ფონი – ფონი, მორვეი მდ. აბაშაზე. გვარი ფართოდაა გავრცელებული მარტვილისა და ზუგდიდის რაიონებში. სემანტიკა: გეგე „წმინდა გიორგი“ + ჭკორი „ყმა, მონა“ → გეგეჭკორი „წმინდა გიორგის ყმა“, ე.ი. საეკლესიო ყმა. გვარი დასახელებულია XVIII ს-ის პირველი ნახევრის საეკლესიო საბუთში. ერთი ნაწილი აზნაურები იყვნენ (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 67-68). (მანცხვარკარი).

გედენიაშ ნაჭკვრა „გედენიას განაჭკერი“ – ერქვა გზას ნოდელის მარჯვ. ნაპირზე, მახათსა და ონტოფოს შუა. გედევან კაჭარავა XX ს. 30-იან წლებში აქ რამის მეურნეობის დირექტორი ყოფილა და ეს გზაც მას გაუყვანია (სეფიეთი).

გედერული – სახნავი ნასოფლარ კვათანის საზღვარზე (მეორე ეწერი, აბაშისპირი).

გეზათი – სოფელი. პირველმოსახლეები ყოფილან ბოკერია და მიქელაძე. ხალხ. ეტიმოლოგია: „რობაში ესახლნენ ჭილაიები. მათგან 10 კაცი წამოსულა, რათა დაეთვალიერებინათ ადგილები კოვზასა, ნოდელასა და ცხენისწყალს შუა. ერთი ადგილი მოსწონებიათ, სწორედ მას უწოდეს „გეზი ათი“ → გეზათი“; „თათრები მოდიოდნენ და იძახოდნენ: გეზ, გეზ (გავეცალოთ, ცხენები იხრჩობიანო)“. გ. ელიავას ერთ-ერთი რესპოდენტი ირწმუნება: „აქ გეზას გვარი სახლებულა. ამიტომ ადგილისათვის გეზას უბანი – გეზათი უწოდებიათ“. იმერულში -ათ სუფიქსი ხშირად გეხვდება მიკროანთროპოლოკონიშიაში (ელიავა, 1977, გვ. 20). (აბაშის რ-ნი).

გეზათიშ დიხა – სახნავი ფიჩორის მარჯვ. მხარეს. ამუშავებდა სოფ. გეზათი (კეთილარი).

გეზათიშ ჩაი – ჩაის ფართობი ნოდელის მარჯვ. მხარეს. ამუშავებდა სოფ. გეზათი (სეფიეთი).

გერასიმეშ ნაკარუ – სახნავი თელაფონში (კეთილარი).

გეჯეთიშ ტყა – ტყე სოფ. გეჯეთის (სენაკის რ-ნი) საზღვართან (ძველი აბაშა).

გვადაის ნაეზვარი – ერქვა სახნავს. დაფარა ცხენისწყლის ტბორმა (ქლობანი).

გვაზავების ტყე – ტყე ქლობნის გუგუნაყათის საზღვართან. გვაზავა აბაშისა და მარტვილის რ-ნებში ფართოდ გავრცელებული გვარია. დასახელებულია XVII ს-ის დავთარში (ქსძ, III, გვ. 448). (გუგუნაყათი).

გვაზავნების ნამოსახლი – სახნავი პატარა გეზათის საზღვართან (გუგუნაყათი).

გვალური – სახნავი (50 ჰა) ცუდღარის ნაპირებზე. გადმოცემა: „გვალო ლურს მეჩიაო დუდი“, – უკითხავს ერთს მეორისთვის. სავარაუდლოა: გვალა (გვარსახელი) → გვალური „გვალისეული“ (ძველი აბაშა, ონტოფო).

გვატილიაშ ნამოსახლარი – ბუჩქნარი ჭითადეეს მარცხ. მხარეს. გვატილია პირსახელია (სეფიეთი).

გვატნამოსახლი – სახნავი იქმოდეიშვილების უბანში. გვატი კაცის სახელია (მაიდანი).

გვაჯიაშ ტყა – ტყე სალაბარტყაოში. რესპოდენტთა მტკიცებით, გვაჯია გვარახელი იყო. მაგრამ დღეს არ დასტურდება (შდრ. გვარები: გვაჯავა, გვაჯაია). გვაჯა, გვაჯი, გვაჯია შეიძლება ყოფილიყო დაბალი ტანის, დაგვაჯული კაცის ეპითეტი და, ამდენად, მეტსახელიც (სეფიეთი).

გიგინეიშვილების ნაწისქვილარი – მინდორი კოვზას ნაპირას (გულუხეთი).

გიგინეიშვილების უბანი//საგიგინეიშვილო – უბანი შავდელეს მარცხ. მხარეს. გვარსახელი გიგინეიშვილი ფართოდაა გავრცელებული გურიასა და იმერეთში. გვხვდება სამეგრელოშიც: პ. მაისში მკვიდრობს 25 კომლი. გვარისათვის ამოსავალია ზმნური ფორმა გიგინე (შდრ. მიგინეიშვილი) ან სვანური პირსახელები გიგენ, გიგინა. გვარი დამოწმებულია მე-18 ს-ის საისტორიო წყაროში (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 71). (ქვიშანჭალა).

გიგინეიშვილების ფონი – ერქვა ფონს კოვზაზე (გულუხეთი).

გიგოიაშ ნოხორი – სახნავი საპერტენაში (აბაშა).

გიგოს გადათხრილი – არხი, საზღვარი გურიასთან. გაუთხრია გულეიკარის მფლობელს – გიგო დიდიას. გაედინება დიდ ნარინეში, ანუ გრუზობაში. ერთოდა ფინორს (გულეიკარი).

გიგოშ ნაქობალუ – სახნავი ნარნეს მარცხ. მხარეს (გულეიკარი).

გიგოშ სააგურე – ბორცვი ნარნეს მარცხ. მხარეს (გულეიკარი).

გინძე ცვანა „გრძელი ყანა“ – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს (ონტოფო).

გიორგის თხმელები – სახნავი არგვანში (მარანჭალა).

გიორგის ნაეზუარი – სახნავი ვეკუების უბანში (მაიდანნი).

გიორგის შემოკავებული – სახნავი ფაღავას მიწებთან (მარანი).

გიორგის წყარო – წყარო წყვიას ნაპირას (გეზათი).

გიორგიშ დინა – სახნავი რიონის მარჯვ. მხარეს (პირველი ეწერი).

გიორგიშ ეშადობირი „გიორგის შემოდლობილი“ – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს (აბაშა).

გიოციმუ – საძოვარი. იგივე გიოცუმუ (ონტოფო).

გიოცუმუ/გიოციმუ/გიოცუნუ – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ნადირი ეცემოდა ბევრი“. აღ. ქობალია: „ციმა, ცემა, ცუმა – დაცვენა, შესევა, დაკარგვა (ჩხომიშ ციმა „თევზის მასობრივად გასვლა ქვირითის დასაყრელად“). გიოცუნუ „დასასობი“, „რასაც ასობენ“ (ონტოფო).

გიოცუნუ – საძოვარი. იგივე გიოცუმუ (ონტოფო).

გიძე მიდორი „გრძელი მინდორი“ – სახნავი აბაშის მარჯვ. ნაპირზე, თემრახიშ წაკორტის გვერდთ (გაღმა ხანათი).

გლახუის ნამოსახლი – სახნავი წახარების მარჯვ. მხარეს (სამიქათ).

გლახუის ტყე – ერქვა ტყეს ბეგში (მაიდანნი).

გოგავნების უბანი – გოგავების უბანი კოვზასა და წყვიას შუა. რესპ.: „გოგავები მოსულან ჭიათურიდან. ძველები იქ დადიოდნენ“ (გეზათი).

გოგაშელი „გოგას საზიარო“ – საძოვარი სოფ. გეზათის საზღვარზე (ონტოფო).

გოგიშვილების უბანი – უბანი პ. მაისის საზღვართან, რკინიგზის ხაზის გაყოლებაზე. გოგიშვილები მრავლად ცხოვრობენ სამტრედიისა და აბაშის რ-ნებში (მარანი).

გოთოშიაშ ნოხორო – სახნავი საღვანიოში. გოთი (პირსახელი) → გოთოში „გოთოს შთამომავალი“ → გოთოშია (გვარსახელი). (სეფიეთი).

გოთოშიების სალაქაშო – სახნავი ქვიშანჭალის საზღვართან. ჯიშასულის გვერდით. გოთოშია გვარია. **სალაქაშო** – ლაქაშებიანი ადგილი (გაუწყინარი).

გოკირილი „გადახიდული; შეკრული“ – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს (ონტოფო).

გორეები – სახნავები ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „გორე საზღვარია სახნავებს შორის, მიწაა ამალღებული და შეზინული. ზედ შეიძლება იყოს ნარგავები“. შდრ. ი. ყიფშიძე: „გორე – გორაკი, პატარა მთა“ (გულუხეთი).

გოტიაშ ნოხორო//დობირა – სახნავი ნაცხენწყარუს მარცხ. მხარეს. გოტია პირსახელია (ცილორი).

გოუწყინარი – სოფელი. იგივე გაუწყინარი (აბაშის რ-ნი).

გოშახ(ებ)ი – ერქვა ტყეს: დანაწილებული ჰქონდათ. ამიტომაა გოშახები (გაუწყინარი).

გოშახები – ნატყევარი. იგივე გოშახი (ქვიშანჭალა).

გოშახი//საბალახო//გოშახები – ნატყევარი კაპეტებთან, გაუწყინარისა და ქვიშანჭალის საზღვარზე. რესპ.: ა. გოშახს მიწები იყო; ბ. გოშახი უნდა იყოს იგივე, რაც **გინოხ** „გაღმა, გადაღმა, იმ მხარეს, იქით“; „გოშახები იმიტომ დაერქვა, რომ ბევრს ჰქონდა დანაწილებული“ (ო. ქაჯაია). შდრ. აღ. ქობალია: „გოშახი – ყაჩაღების თავშესაფარი ადგილი; გაუვალი“ (ქვიშანჭალა, გაუწყინარი).

გოწოლხევი – დეღე ტყემალას მარჯვ. ნაპირას, გაუწყინარის საზღვართან. რესპ.: „უწინ აქ ტყე ყოფილა, ხევი აღარსად ჩანს“ (თხმელარი).

გოჭკირილი//ნაჭკირა – გზის მონაკვეთი ცენტრალურ მაგისტრალზე. ჭკირუა „ჭრა“ → გოჭკირილი „გაჭრილი“. ნაჭკირა „განაჭერი“ (ონტოფო).

გოხორგილი „გადახერგილი“ – 1. საძოვარი ნოდელის მარცხ. ნაპირას. **ხორგი** „მსხვილი ქვა-ლოლი“ → **გოხორგუა** „გახერგვა, შემოხორგვა“ → **გოხორგილი** „გახერ-

გილი; ქვა-ლოდის ხერგილი დედეზე“. შდრ. აღ. ქობალია: „**გოხორგუა** – შემოხორგვა; **გოხორგილი** – შემოხორგილი“ (ონტოფო); 2. საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს, ცუდღარის სათავესთან. აქ, ნოდელაზე, არის გოხორგილი – ქვის ჯებირები, რომელმაც წყალი გადაუშვა ცუდღარში (ეწერი).

გოხორგილიშდუდი – მორევი და ცუდღარის სათავე ნოდელაზე, ქვის ჯებირთან (ეწერი).

გოჯოუკა(ნ) – სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს. გოჯო კაცის სახელია. სახელდებული ობიექტი მისი სახლის უკან მდებარეობს (მაიდანნი).

გრიგოლ(ა)ური – სახნავი სალაქაშოსთან. გრიგოლა პირსახელია ან გვარსახელი (← გრიგოლავა). (გაუწყინარი).

გრიგოლიები/გრიგოლიების კუთხე – უბანი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, სოფ. პირველი მაისის საზღვართან. გვარსახელი გრიგოლია დასტურდება XVII ს-ის საეკლესიო საბუთებში (პაღ, I, 72; ქსმ, III, 424). პირველი მაისის თემში XX ს. დამლევს მკვიდრობდა 36 კომლი გრიგოლია (ქვიშანჭალა).

გრიგოლიების კუთხე – უბანი. იგივე გრიგოლიები (ქვიშანჭალა)

გრიგოლის წყარო – წყარო შავდელის მარცხ. მხარეს (მაიდანნი).

გრუზრიბა//დიდი ნარ(ი)ნე – ტბორი ჯაპანის (ხოხატაურის რ.) საზღვარზე. ამ ტბორმა დაფარა ნოჯიხენი (გულეიკარი).

გუგეთი – სახნავი მდ. აბაშის მარცხ. ჭალაში (მანცხვარკარი).

გუგუნაყათი – სოფელი მარანჭალასა და ქლობნის გუგუნაყათს შუა. რესპ.: „აქაური ხალხი არის ნაკათი, ე.ი. ნაყარი, ნარევი, ნაერთი, ნაგროვები, ამიტომ დარქმევია“ (მარნის თ/ს).

გუგუნაყათი – სოფელი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, მარნის გუგუნაყათსა და პატარა გეხათს შუა (ქლობნის თ/ს).

გუგუნაყათის ჭალა – სახნავი ცხენისწყლის ჭალაში, სოფ. გუგუნაყათის საზღვართან (პატარა გეზათი).

გუგუნაყათი – სახელწოდება „გუგუნაყათის“ არაოფიც. ვარიანტი (გუგუნაყათი).

გულუნიაშ დისა – საძოვარი შაველის მარცხ. მხარეს. გულუნია პირსახელია (აბაშა).

გულუნიაშ ნოხორი – სახნავი ობერგულეში (გამოდმა კოდორი).

გულუნიაშ ჭველონა – ბუჩქნარი წყურგულეს ნაპირას. ჭველონა – ნორჩი ტყე, ახალამონაყარი (← **ჭველა** – ნორჩი თხმელა). (აბაშა).

გულური/ჟიპიჯი – სახნავი ტეხურისა და აბაშის შესართავთან. გულა (პირსახელი) ან გულავა (გვარსახელი) → გულური „გულას საკუთრება“ (პირსახელი გულა დამოწმებულია წყისის წარწერაში (VII ს.). იხ. აგრეთვე: პალ, I, გვ. 728); ჟიპიჯი „ორპირი, ხერთვისი“ (გადმა ზანათი).

გულუშ ნოხორი – სახნავი ჭანიორში (სუჯუნა).

გულაის ტყე – ტყე თბილიპირში (სამიქაო).

გულეიკარი – სოფელი აბაშის რ-ნის კეთილარის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. რიონის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 15 მ, აბაშიდან 42 კმ, საჯავახოს რკინიგზის სადგურიდან 4 კმ. ძირითადად ცხოვრობენ გურიიდან გადმოსულები – კეკელიძეები, თევზაძეები, სურმავეები, გოჩოლეიშვილები... ამიტომაც სოფელში საოჯახო სალაპარაკო ენა ქართულია (და არა მეგრული). XIX ს-ში „გულეიკარი“ იყო სოფლის საზოგადოების ცენტრი. შედიოდა 5 სოფელი: გულეიკარი (ვ.), ქორეისუბანი, ტოლები, ტყვირი, კეთილა. გულეიკარშივე იყო სამკლასიანი სკოლა. სოფელში ტარდებოდა რელიგიური დღესასწაული გულეიკარობა (აბაშის რ-ნი).

გულეიკარის ეკლესია/გულეიერის ეკლესია – ეკლესია ფართო ბორცვზე, რომელიც ხელოვნური ჩანს. სოფელს თავდაპირველად ერქვა გულეელი. გულეელის წმინდა გიორგის ეკლესიის აშენების შემდეგ სოფელს ეწოდა გულეელისკარი (ქსე, ტ. 3). საისტ. წყაროებში პირველად მოიხსენიება 1628 წელს. აგებული უნდა იყოს გვიანდელ

ფეოდალურ ხანაში უფრო ძველი ეკლესიის ადგილზე (ქსე, 3). გადმოცემა: „ამ ეკლესიაში ჩაუკეტეს სამივე კარი მურვან ყრუს და ხმალი გააგდებინეს. პირობა დადო, გამიშვით და აქაურობას დავტოვებო. მართლაც დატოვა. აქ ახლომახლო სოფლებიდან მოდიოდნენ შესაწირავით“ (გულეიკარი).

გულეიკარიშ რჩქონი – ტყე, კუნძული რიონზე (გულეიკარი).

გულეიკარიშ ჭალე – დასახლ. უბანი. იგივე ჭალის კუთხე (გულეიკარი).

გულეიკარჭალა – ჭალა რიონის მარცხ. ნაპირას (კეთილარი).

გულუაკარი – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. გულუა გვარსახელია (მაიდან).

გულუას დამბა – საბანაო ცხენისწყალზე (მაიდან).

გულუას რიყე – საძოვარი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე (მაიდან).

გულუხეთი – სოფელი ცხენისწყალსა და ნოდელას შუა. ესაზღვრება სამიქაოსა და გეზათს. ხალხ. ეტიმოლოგიები: **ა.** თამარ მეფეს გამოუვლია და აქ შეუსვენია. პატივი უციათ. უთქვამს, „რა გულუხვი ხალხი ყოფილაო“; **ბ.** „კნიაზს წყალი უთხოვია. ღვინო მიურომევიათ. უთქვამს „გულუხეთი ერქვასო“ (აბაშის რ-ნი).

გულხეთიშ ჩაი – ჩაის ფართობი ნოდელის მარჯვ. მხარეს. ამუშავებდა სოფ. გულუხეთი (→ გულხეთი). (სეფითი).

გუშაშ ნოსორი – სახნავი ობერგულეში (გამოდმა კოდორი).

გემოთხორილი „გათხორილი“ – სახნავი ცუდღარსა და რიონს შუა. აქ ცუდღარი არხით შეუერთეს რიონს (სუჯუნა).

გძელეკლიანი/კლეფჩერი – სახნავი შავდელესა და კოვზას შუა. აქ ხარობს კლეფჩერი (მაიდან).

გძელფონი/სტეფანეს წყარო – ნაკადული. გაივლის ჭანჭახის წყაროებს და შემდეგ უერთდება კოვზას მარჯვ. მხრიდან. იწყება მიქაძეებში (სამიქაო).

დაბალი – 1. სახნავი გულეიკარის ეკლესიიდან რიონისპირამდე (გულეიკარი); 2. სახნავი, ჩადაბლებული ადგილი საჯაღალღონიში. **დაბალი** ოროგრაფიული ტერმინია, აღნიშნავს დაბალ ვაკეს, დაცემულ ადგილს, ჭალას (წყემი).

დაბალია – საძოვარი სოფლის დას. ნაწილში (საბოკუჩავო).

დაბალკოდარა – ჭალა, საძოვრები ნოდელის მარცხ. ნაპირზე, კოდარას გაგრძელება. ჭაობნარია. რესპ.: „კოდარა საერთოდ არის დაუსახლებელი ჭალები“ (გუხათი).

დაბალნაფაცხენი – სახნავი რიონის მარჯვ. ნაპირზე. იხ. ნაფაცხენი (ტყვირი).

დაბალონი – სახნავი შავდელის მარცხ. მხარეს, მამულონს ქვემოთ. **დაბალონი** – დაბალი ადგილები (მაიდანი).

დაბალტყა//პატონსქუაშ ტყა//ნაკრძალი – ტყე-ნაკრძალი სოფლის აღმ. ნაწილში (წყემი).

დაბალჭალე – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს (ონტოფო).

დაბლაჭალა – სახნავები ცხენისწყლის ჭალაში, მაღლაჭალის ქვემოთ (მდინარის დინების მიხედვით). (პირველი მაისი).

დადიაშ დოხორე – სახნავი. იგივე კოკიშ დოხორე (წყემი).

დადიაშ ნახარდანუ – სახნავი. იგივე ნახარდანუ (სეფიეთი).

დავითაიაშ ნოხორი – სახნავი სოფ. ძვ. აბაშის საზღვართან. დავითაია გვარსახელია (ონტოფო).

დავითის ფშიარები – საძოვარი რიყეში. (ფ)შიარი „ნორჩი თხმელის ტყე; ჩქოლნარი“ (სამიქაო).

დავითიშ ნოდისე – სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს (აბაშა).

დათაიის ტყე – ტყე ბეგებში (გულუხეთი).

დათაშ დისა – სახნავი რიონის მარჯვ. მხარეს (პირველი ეწერი).

დაკელა – საძოვარი კოვზას მარჯვ. მხარეს, სოფ. ონტოფოს საზღვართან (სამიქაო).

დაკელის წყარო – წყარო დაკელაში (სამიქაო).

დამბაძგა „დამბისპირი“ – სახნავი მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირზე (საბოკუჩავო).

დანიელიშ დაბალი – სახნავი ანჯერში (კეთილარი, გაღმა კოდორი).

დარცმელიების ქუჩა – უბანი კოვზას ნაპირას, ზედა მაიდანში. ამ უბანში მკვიდრობს 5 კომლი დარცმელია. შდრ. სამიქაოში ცხოვრობს 19 კომლი დარცმელიძე (მაიდანნი).

დარცმელიების ცხილნარი – ტყე ტეურებში (მაიდანნი).

დარცმელიძეები//დარცმელიძეების უბანი//დარცმელიძეების ქუჩა – უბანი წახარების მარცხ. მხარეს. ცხოვრობენ დარცმელიძეები. რესპ.: „ჩვენში ცხოვრობენ დარცმელიძეები, 20-მდე კომლი იქნება. გვერდით კი, მაიდანში – დარცმელიები და მათს უბანსაც ასევე ეწოდება“ (სამიქაო).

დარცმელიძეების ნაეზვარი//დარცმელიძეების ნამოსახლი – სახნავი წახარების ნაპირას (სამიქაო).

დარცმელიძეების ნამოსახლი – სახნავი. იგივე დარცმელიძეების ნაეზვარი (სამიქაო).

დარცმელიძეების უბანი – უბანი. იგივე დარცმელიძეები (სამიქაო).

დარცმელიძეების ქუჩა – უბანი. იგივე დარცმელიძეები (სამიქაო).

დესიაშ ნოხორი – საძოვარი საჭატურიოში. დესია ქალის სახელია (მანცხვარკარი).

დიახონი „დაღმართი; ჩადაბლება“ – 1. სახნავი სოფ. გეჯეთის საზღვარზე, სათუნგიოში (წყემი); 2. ვაკე-ჩაღმართი ზანის მარცხ. მხარეს. შდრ. აღ. ქობალია: „დილახონი – ჩაქანებული ადგილი“ (სეფიეთი).

დიდბოგაშდუდი – სახნავი დიდი ნარნეს ნაპირას, ჟიპიჯსა და რგვალნარნეს შუა. დიდი ბოგა „დიდი ბოგირი“ ნარნეზე ყოფილა გაღებულნი (კეთილარი).

დიდიანომერი//დიდიეფიშ ნომერი – სახნავი ანჯერში, წვედება ფიჩორამდე. დიდიას ნაკვეთი იყო. ნომერი სწორედ ამ ნაკვეთს აღნიშნავს. გვარი დიდია დოკუმენტურად დასტურდება XVI ს-დან. შდრ. ქვემო იმერეთში გავრცელებული გვარი დიდიე (კეთილარი).

დიდიანომერიშ ნაოსხამუ – მცირე ბორცვი, მიწაზე-ნული ნარნეს მარცხ. მხარეს. გარშემოვლებულია თხრილით (კეთილარი).

დიდიას ნამოსახლარი//დიდიაშ ანჯერი – საკარმიდამოები სოფლის ცენტრალურ ნაწილში (გულეიკარი).

დიდიაშ ანჯერი – საკარმიდამოები. იგივე დიდიას ნამოსახლი (გულეიკარი).

დიდი ბუეელები – სახნავი კოვზას ნაპირას. ბუეელა იმერულ დიალექტში აღნიშნავს ბუოლას (მაიდანს).

დიდი ბუიშჯინჯი – მორევი მდ. აბაშაზე. იხ. ბუიშჯინჯი (ძველი აბაშა).

დიდი კვათანა – უბანი. კვათანის ძირითადი ნაწილი ჭიჭე კვათანიდან სოფ. ნაესაკოვომდე. 1931 წელს დაარსდა დიდი კვათანის კოლმეურნეობა „თანხმობა“. იხ. კვათანა (აბაშა).

დიდი კოვზა – დეღე, კოვზას მარჯვ. მდგენელი (მაიდანს).

დიდი ნარ(ი)ნე – ტბორი. იგივე გრუზობა (გულეიკარი).

დიდ(ი)ოჩე – სახნავი კოვზას ორივე მხარეს. ოჩე „საბატონო, სადადიანო ყანა“ (მაიდანს).

დიდი საქოიავო – ქოიავების უბანი ზანის მარცხ. მხარეს, სოფ. ონტოფოს საზღვართან. შდრ. საქოიავო (ძველი აბაშა).

დიდი ტობოლო – 1. ნატბევი ჭიჭე ტობოლოს აღმ-ით 1,5 კმ-ზე (ცილორი); 2. ტბა. იგივე ტობოლო (ბულვანი).

დიდი ტყე – ტყე კოვზას მარჯვ. მხარეს (გულუხეთი).

დიდი წყაროთავი – სახნავი, წყაროთავის ნაწილი (მაიდანს).

დიდი ხარდანი – საძოვარი კოვზასა და ნოდელას შუა, ნამარილევის გვერდით. **ხარდანი** „მაღალი სარების

თავზე გადებულ ლატანზე აშვებული ვაზი; ვაზის ჯიში“ (სამიქაო).

დიდიეფიშ ნომერი – სახნავი. იგივე დადიანომერი (კერთილარი).

დიდნო(ც)ონი „დიდი ნაყანევი“ – ტყე რიონსა და სოფლის დასახლებას შუა, ნოცონში (პირველი ეწერი).

დიდობერგული – სახნავი, ობერგულის ნაწილი (ონტოფო).

დიდრიყე – საძოვარი, რიყის ნაწილი (მაიდან).

დიდფართობი – 1. სახნავი ქოლობნის საზღვართან (გეზათი); 2. სახნავი ლობირში (თხმელარი).

დიდცვანა – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს (აბაშა).

დიდცხენისწყალი – მდ. ცხენისწყლის ძირითადი დინება. ნოდელაში გადმოვარდნილ ცხენისწყლის ტოტს კი ერქვა ჭიჭე ცხენწყარი (ნაესაკაო).

დიკაბრუ(ლ)ეში „ჩასარბენი“ – მორევი მდ. აბაშაზე. რესპ.: „დიკაბრულარი რდგ ფერდიშე დო წყარს ქოდირგზნდეს დუც“ (ფერდობიდან ჩამოსარბენი იყო და წყალში დურთავდნენ თავს); „ონდლე დროს დიკირულედეს დო საქონელს წყარს ჩანდეს“ (შუადრეზე ჩაირბენდნენ და საქონელს წყალს ასმევდნენ). (გამოდმა ზანათი).

დინახალენკოდორე „შიგნითა კოდორე“ – სახნავი სადღამოს ნაპირას, ვალენკოდორეს პირდაპირ, კოდორობაში (გადმა კოდორი).

დიხა[ბ]ზუკა – ბორცვი, სასაფლაო რკინიგზასა და საავტ. ტრასას შუა. (ბ)ზუკა „შემადლება“, დიხაშ ბზუკა → დიხაბზუკა „მიწაზვინული. მიწის ბორცვი“ (ბულვანი).

დიხაზუგე – შემადლება, საძოვარი საჯალაღონიოში, ნაკრძალის გვერდით. დიხაზურგა „ბორცვი; მიწაზვინული“. რესპ.: „რუსეფს გინურთუმუნა დო ჩექმეფი უხეკუნა“ (წყემი).

დიხაზურგა „მიწის ბორცვი“ – მცირე მრგვალი ბორცვი ტყემალას მარჯვ. ნაპირას, რიონიდან 2 კმ-ზე (თხმელარი).

დინახურგე – 1. ბორცვი საიობაიოში, ნოდელის მარჯვ. მხარეს. გადმოცემით, ჯარის ფეხის ნაფხეკია. სინამდვილეში დინახურგა მიწაზვინულია. კოლხეთში ბევრგან გვხვდება (აბაშა); 2. ბორცვი უზა დელეს მარჯვ. მხარეს, წიფრონიშ ბოგასთან (სუჯუნა).

დინახურგე/მინდორიშ დინახურგა – სახნავი ცუდლარის მარჯვ. მხარეს. ერთგან 2 მ. სიმაღლის ბორცვია. ამიტომ დარქმევიან (გამოდმა ზანათი).

დინახურგე/ტყაშ დინახურგა – ბორცვი ცუდლარის მარჯვ. მხარეს, წყურგულეს სამხრ-ით. სიმაღლე ორი მეტრი (გამოდმა ზანათი).

დინახიტა – სახნავი. იგივე დინახიტოე (სუჯუნა, წალიკარი).

დინახიტოე/დინახიტა „მიწაწითელი“ – სახნავ-საძოვრები რიონის მარჯვ. მხარეს, სოფლის დას. ნაწილში (წალიკარი, სუჯუნა).

დობერა – 1. ვაკე-სახნავი სათუნგიოში. რესპ.: „დაბალი ადგილია და არ ვიცი, რატომ ჰქვია დობერა“ (წყემი); 2. საძოვარი საკიხირიოში, ოდნავ დაქანებულ ვაკეზე (ძიგური); 3. ორგან ეწოდება ობიექტს ერთ სოფელში: ა. სახნავი ცუდლარის მარჯვ. მხარეს; ბ. მცირე შემადგენლობა ნოდელის მარჯვ. მხარეს. რესპ.: ა. „სოფლის გარე ნაკვეთებს ეწოდება დობერა“; ბ. „დობერა რე კოც ეხოთ ინუძუნ თინა“; გ. „დობირას უძახენა ეხოთ, სამოსახლო ადგილს“. ო. ქაჯაია: „დობერა – 1. დობირა, პატარა ეული გორაკი; 2. „დობილო; ვაკე ადგილი“. აღ. ქობალია: „დობერა – ბარი, დაბლობი, ნაყოფიერი მიწა (ეწრის ანტონიმი), წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე, სავენახე; მალღარი, ხეზე ასაშვები ვაზი“ (ძველი აბაშა).

დობერაშ დინახ – სახნავი ღანჯონასა და 8-წლიან სკოლას შუა (აბაშისპირი).

დობირა – 1. სახნავი სოფლის დასახლებულ ნაწილში. რესპ.: „დობირა ჰქვია სახნავს სოფლის შიგნით“. შდრ. გურულში: „დობირა, დობერა – საუკეთესო ნიადაგი (ვაზის გასაშენებლად)“. (გაღმა კოდორი); 2. სახნავი. იგივე გოტაიაშ ნოხორი (ცილორი).

დობირა//საცომიო – ცომიების უბანი კაპანაში, ნოღელის მარჯვ. ნაპირას (აბაშა).

დობირო – 1. სახნავი ცუდღარის მარცხ. მხარეს, საჯვანიოში. გურულში: „დობირო – ვაკე ადგილი, სადაც ვახია ხეებზე აშვებული“. შდრ. იმერულში: „დობილო – ჩავარდნილი ადგილი, ჩვეულებრივ, მდინარის პირას“ (ონტოფო); 2. სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „დობიროა დაბალი, შემოკავებული ადგილი“ (გულუხეთი); 3. სახნავი რუშა და ჯანელიძეების უბანს შუა. რესპ.: „დობირო ეზოს გარეთ, მოშორებით მდებარე ნაკვეთია“ (მარანი). სწორედ ეს დობირო არის დასახელებული „დობილო“ ფორმით (ხონის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირულ ძმებს სანაძეებს სოლომონ II უბოძებს დობილოს ბრელიძის ფონზე, ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირის ჭალაში) (კაკაბაძე, II, ტფ., 1921); 4. სახნავი სოფ. მანცხვარკარის საზღვართან. რესპოდენტები: 1. „იყო ლენჯყი ისლითა და მცენარით. ასეთ ადგილს ეწოდება დობირო“; 2. „დობიროა შემოკავებული-შემოღობილი თხილნარი ან ისლნარი, წაკორტი კი შემოღობილი საძოვარია“ (საბოკუჩავო); 5. სახნავი დიდკოვზას მარჯვ. ვაკეზე (მაიდანის) და სხვ.

დობირობა – სახნავები ცუდღარის მარცხ. მხარეს, სოფ. ონტოფოს საზღვართან. -ობა ამ შემთხვევაში კონკრეტულ სიმრავლეს გამოხატავს (ძველი აბაშა).

დონდუების უბანი – უბანი. იგივე დუნდუების უბანი (მარანი).

დონონუ – უბანი. იგივე დონონური (გაღმა ზანათი).

დორხველდისა – სახნავი ნოღელის მარჯვ. ნაპირას.

დორხველი – საკუთარი, არასახიარო (კეთილარი).

დო(ფ)ონური//დონონუ//შქაუბანი – უბანი ტეხურწყარის მარჯვ. მხარეს, სადაც იგი ერთვის მარაგანს. ცხოვრობს 20 კომლი. რესპ.: „ოფიციალურად იწერება დონონური, მაგრამ ვამბობთ დონონუ. გადმოსცემენ, რომ დონონუა გვარია. ვინც დონონურში ცხოვრობს, უწოდებენ დონონარეფს“ (გაღმა ზანათი).

დოხვირი „მომწყედული“ – ერქვა გაუვალ ტყეს ნოდელის მარჯვ. მხარეს, სოფ. მახათის საზღვართან (სეფიეთი).

დოხორეკარი – უბანი, მეორე ონტოფოს ძირითადი ნაწილი საავტ. მაგისტრალის ორივე მხარეს. დოხორე თავადის სასახლეა. აქ დადიანის საზაფხულო რეზიდენცია ყოფილა. რესპ.: „თავადის სახლი ქოხიცი რომ ყოფილიყო, მაინც დოხორეს იტყოდნენ“ (ონტოფო).

დოხორეფონი „სასახლის ფონი“ – ფონი ნოდელაზე, ოჩეს აღმ-ით (ნაესაკაო); აქვე, მდინარის გაღმა, დოხორეფონი სახნავს ეწოდება (ცილორი).

დოხორეჩაი – ჩაის ფართობი კოკიშ დოხორესთან (წყემი).

დუნდუების უბანი//დონდუების უბანი – უბანი შოსეს ორივე მხარეს. გვარი დონდუა ძირითადად აბაშისა და სამტრედიის რაიონებშია გავრცელებული, სოფ. მარანში კი წარმოდგენილია 105 კომლით. გამოთქმული მოსაზრებით, ამოსავალია თურქული ზმნა დონდუ „მობრუნდი“ (გურგენიძე, ჯიქია, 1994). გვარის ვარიანტია დონდუა. იმერეთში გავრცელებულია პირსახელები დუნდუ, დუნდული (მარანი).

დუტულოს შემოკავებული – ტყე ტეურებში. დუტულო კაცის სახელია (მაიდანი).

დუტუშ თხუმულონი – ტყე ჭითა დელეს მარცხ. მხარეს. თხუმუ „თხმელა“ → თხუმულონი „თხმელნარი“ (სეფიეთი).

დუქანკარი – გზათგასაყარი. იგივე ნადუქანი (გულეიკარი).

დუქანკარი//თარანგილოზი – სასაფლაო მეორე ონტოფოში. თარანგილოზი ← მთავარანგელოზი (ონტოფო).

დუცვეთები – საძოვარი. იგივე. დუცვეთი (მარანი).

დუცვეთი//დუცვეთები – საძოვარი რუშის მარცხ. ნაპირას (მარანი).

დღიბუ – საძოვარი საესიოში. რესპ.: „წყარი გედგდგ. ათეშ გურშენი დღიბუ ქიგიოდვეს, ოდღვაბაია რდგ, დაბა-

ლი“. შდრ. აღ. ქობალია: „**დღეებუ** – ჭაობიანი, ლაფიანი ადგილი“ (მანცხვარკარი).

– ე –

ევეგეს წყარო – წყარო-ნაკადული წყვიას ნაპირას. ევგე ← ევგენი (გულუხეთი).

ევეგეშ ნოღიხგ – 1. სახნავი ნოღელის მარცხ. მხარეს (აბაშა); 2. სახნავი სოფ. ნორიოს საზღვართან (აბაშისპირი).

ეზოლობა „ეზოები“ – 1. სახნავები სოფ. მარნის საზღვარზე. ეზოების ჩამონატრებია (პირველი მაისი); 2. ტყე. იგივე ნაეზვარები (გეზათი).

ეკალი – ერქვა სოფელს (ეკალე ფორმით) საჭილაოს მახრაში. ოდიშ-ლენხუმის ადმ.-ტერიტ. დაყოფის (1842 წ.) მიხედვით, 1886 წელს ეკალი (12 კომლი, 38 სული) შედის მარნის სოფლის საზოგადოებაში. საბჭოთა პერიოდის ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში კი ეს სოფელი არ ჩანს. ამჟამად სახნავებია სამტრედიის რ-ნის სოფ. ქორეისუბანში, რიონის ორ ტოტს, ანუ ნარიონალებს შუა. ვარაუდი: ა. ქართ. **ეკალი** „ქაცვი“, ეკალა „ეკალდიტი“; ბ. მეგრ. ეკალი „აღმართი, ასასვლელი“. სოფელი ეკალი აღნიშნულია თ. ბერაძის მიერ შედგენილ „XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე“ (გულეიკარი).

ეკალის პარონი – ბორანი რიონზე. გადიოდა სოფ. ტყვირში. რუს. паром „ბორანი“ → მეგრ. პარომი//პარონი (გულეიკარი).

ეკლარა//ეკლარები – სახნავი რუშის მარცხ. ნაპირას. ეკლარა ← ეკლნარა (მარანი).

ეკლარები – სახნავი. იგივე ეკლარა (მარანი).

ეკლესიმიდორი – მინდორი საქაჯაიაში, ქალობნის ეკლესიასთან (ქალობანი).

ელაგირდე „წაგრძელებული“ – საძოვარი რიონის მარჯვ. ნაპირზე. გირძე „გრძელი“ → ელაგირძე „წაგრძელებული რაიმეს გვერდით“ → ელაგირდე (წალიკარი).

ელიაბოგა „ელიას ბოგირი“ – დედე, ცუდღარის მარცხ. შენაკადი სანოდოში. ბოგირი ელიავას გაუკეთებია (სუჯუნა).

ელიავას მიღორი – მინდორი კოვხას მარჯვ. მხარეს (სამიქაო).

ელიავაშ ნოხორი – სახნავი საკუჭუხიძეოში (ნაესაკაო).

ელიზბარის ნაყანვარი – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (გულუხეთი).

ელიზბარის წყარო – წყარო აკაციის ტყის გვერდით (სამიქაო).

ელიზბარიშ ნოხორი – სახნავი. საპერტენაში (აბაშა).

ეპიშ ნოხორი – სახნავი სანადარეიშვილოში. ეპი ← ეპიფანე (ონტოფო).

ერმინეშ ნოხორი – სახნავი კაპანაში (აბაშა).

ერუსტეშ ნოხორი – სახნავი ჭანიორში (სუჯუნა).

ერუსტეშ შანი – ჭაობი. იგივე ტიტულიშ შანი (სუჯუნა).

ესაიას საისლე – საძოვარი არგვანში. ესაია პირსახელია (მარანჭალა).

ესაკეთი – ერქვა სოფელს მეღიაშ შანის ორივე ნაპირზე, სამიმინოსქუსა და სამაკალათოს შუა. ამოსავალია გვარი ესაკია (გამოდმა ზანათი).

ესაკეთიშ ოხვამე – ნაეკლესიარი, სასაფლაო ესაკეთში. ეკლესიაში ესვენა იოანე ნათლისმცემლის ხატი. საეკლესიო საბუთებში დასახელებულია სოფელ ესაკეთის ნათლისმცემლის ეკლესია (1830 წ. იხ. ჭითანავა, 1010, გვ. 484; იხ. აგრეთვე: გვ. 514). (გამოდმა ზანათი).

ესიაფონი – მორევი, ფონი ნოდელაზე (ონტოფო).

ესიაშ დაბალი – საძოვარი, ჩადაბლება ნარნეს მარჯვ. მხარეს. ესია პირსახელია (გაღმა კოდორი).

ესტატიაშ ნაკარუ – სახნავი კვათანაში, ნაესაკაოს საზღვართან (ქ. აბაშა).

ეუფანეშ დიხა – სახნავი ობერგულეში (გამოდმა კოდორი).

ეგრემიას წყარო – წყარო ბეგებში, ნოდელის მარცხ. მხარეს (მაიდანნი).

ეგრემიაშ მაღალი – სახნავი შემადღებაზე, ცუდღარ-სა და რიონს შუა (სუჯუნა).

ექვთიმეს თელა – საჩრდილობელი ხე დიდკოვზასა და შავღელეს შუა (მაიდანნი).

ექვთიმის თელისძირი – სახნავი შავღელის ნაპირას (მაიდანნი).

ექთუმეს ჭალა – სახნავი ცხენისწყლის ჭალაში (მარანჭალა).

ექთუმის ნაეზვარი – სახნავი პ. გეზათის საზღვართან (გუგუნაყათი).

ეწერი – 1. სოფელი ნოდელის მარჯვ. ნაპირას, სოფ. სეფიეთსა და პირველ ონტოფოს შუა. კვეთს ცუდღარი (აბაშის რ-ნი); 2. სახნავები (70 ჰა) სოფ. გულუხეთის საზღვართან, ნაცხენწყლოს მარჯვ. ნაპირზე (გეზათი); 3. სახნავი წყვიასა და ცხენისწყალს შუა. რესპ.: „ეწერი უნაყოფო, მწირი მიწაა“ (გულუხეთი).

ეწერობა – მინდორი ჩადაბლებულ ადგილას, წყურგილეწყარის მარცხ. მხარეს, წიმატყალის პირდაპირ. -ობა აქ კონკრეტულ სიმრავლეს აღნიშნავს (წყემი).

- ვ -

ვა[ს]წყარო – წყარო თბილისპირში (სამიქაო).

ვასილიაშელი „ვასილიას ზიარი“ – სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს. **შელი** – ზიარი, წილი, სამესამედო, სამეოთხედო, სანახევრო. **საშელო** – საზიარო (სახნავი, ტყე, ვენახი...). (სეფიეთი).

ვასილიშ წყურგილი – წყარო. იგივე ვერხონაშ წყურგილი (სეფიეთი).

ვასკოშ ნოხორი – სახნავი ვახანაში (აბაშა).

ვაშნარა – სახნავი პერტიანამოსახლთან. ვაშლი → ვაშლნარა → ვაშნარა (მაიდანნი).

ვაჩეშვილების უბანი – უბანი სოფლის საშ. სკოლასთან. ვაჩე პირსახელია. გვარი ვაჩეშვილი ძირითადად

გურიასა და იმერეთშია გავრცელებული. მარანში ცხოვრობს ამ გვარის 21 კომლი (მარანი).

ვახანა – უბანი ნოდლოში, ნოდელის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ვახანიაშ ნანოხორგ ცოფე“; „აქაურ კაცს ვახანიხე მოუყვანია ცოლად ძველი სენაკიდან“ (აბაშა).

ვახანაშ ფართობი – სახნავი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე (აბაშა).

ვედომოსტი – გზა, რომელიც მიემართებოდა აბაშიდან მეორე ეწრისა და რიონის გავლით ანჯერამდე. რუს. ведомость „უწყისი“ → მეგრ. ვედომოსტი (სუჯუნა, მეორე ეწერი).

ვეკუების ქუჩა – უბანი დიდკოვზას მარცხ. მხარეს. ვეკუა საქართველოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია. სამეგრელოში ძირითადად ჩხოროწყუსა და ზუგდიდის რ-ნებში ცხოვრობენ. აქაური ვეკუების წინაპარი გოჯოგია ვეკუა ახუთიდან მოსულა. 1996 წელს მაიდანში ცხოვრობდა 33 კომლი ამ გვარისა. მათი ჯგუფური მეტსახელია დეჯიშ მატკვალარი („ღორის მწველავი“). გადმოცემა: სადამოს ღორები რომ დაბრუნდნენ, მამას შვილებისათვის უყვირია, გოჭები არ შეუშვათო. მეზობლებს გაპკვირვებიათ, ხომ არ წველითო (მაიდან).

ვერხიშჯინჯი „ვერხვისძირი“ – საჩრდილობელი ხე. იგივე ლადიმიაშ ვეხი (გამოდმა ზანათი).

ვერხონა „ვერხენარი“ – სახნავი. ნოდელის მარჯვ. მხარეს, სალაბარტყაოში, მუხურჩის (მარტვილის რ-ნი) საზღვარზე (სეფიეთი).

ვერხონაშ წყურგილი//ვახილიშ წყურგილი – წყარო ვერხონაში, სოფ. მუხურჩის საზღვარზე (სეფიეთი).

– ზ –

ზაბარზანიშ გინადგემა „ზარბაზნის დანადგამი“ – შემადლება სკურეს მარცხ. მხარეს. რესპ.: „სუმი ზუგუ რე დო ართის თაში უძახენა“ (წყემი).

ზამთარაძეების ჭალა – სახნავი ცხენისწყლის ჭალაში. ძირითადი ნაწილი ამ გვარისა ცხოვრობს სამტრედიის რ-ნში. დასტურდება აბაშის რაიონშიც (მარნის თემში – 8

კომლი). გვარი ზამთარაძე და ზამთარასძე გვხვდება XVI ს-ის საბუთებში (პაღ., II, გვ. 204). ამოსავალია პირსახელი ან მეტსახელი ზამთარა (გუგუნაყაოთი).

ზანა – მდინარე. გაედინება სეფიეთიდან, გაივლის სოფ. ძველი აბაშის ცენტრის დას-ით და უერთდება მდ. აბაშას მარცხ. მხრიდან სოფ. მანცხვარკარის (განათლებლისკარის) საზღვართან. მდინარის სიგრძე 5 კმ-მდე. ზანა ზოგადად აღნიშნავს წყალს, მდინარეს. კოლხეთში რამდენიმე მდინარე ატარებს ამ სახელს. შდრ. აღ ქობალია: „**ზანა** – ზანა; წყალი; ვაკე, ბარი; წყლისპირა ბარი“ (სეფიეთი, ძველი აბაშა).

ზანათეშ ნოხორი – ტყე ობერგულეში. ზანათე ჩაჩავას ნასახლარია (გამოდმა კოდორი).

ზანათიშ ჩაი – ჩაის ფართობი ნოტეხში, სოფლის აღმ. ნაწილში. რესპ.: „წყემის ტერიტორიაა, მაგრამ საკრეფად აქვს ზანათს“ (წყემი).

ზანგური – სახნავები აბაშის მარჯვ. მხარეს. სემანტიკა და მოტივაცია გასარკვევია (სეფიეთი).

ზარანდიების ნამოსახლი – ერქვა საძოვარს. დაფარა სატბორემ (ქოლობანი).

ზარნალა – ტყე შავღელის ნაპირას, მახათის საზღვართან. რესპ.: „ზარი იგივე ქაჭი უნდა იყოს, ე.ი. ეკლიანი მცენარე კურკოვანი ნაყოფით. იყენებენ ღობის გასამაგრებლად“. მეგრულის ლექსიკონებში „ზარი“ ამ მნიშვნელობით არაა დაფიქსირებული (მაიდანი).

ზედა მაიდანი – სოფლის აღმ. ნაწილი ცენტრიდან სოფ. ონოლისკენ (მაიდანი).

ზემო ხეთიშ ფართობი – სახნავი ქორისუბნის საზღვართან. ზემო ხეთს (ჩოხატაურის რ.) აქ ჰქონია საძოვარი (გულეიკარი).

ზუგა – ბორცვი, უბანი კვათანის საზღვართან. აღ. ქობალია: „ზუგა, ზურგა – ბორცვი, გორაკი, ქედი, მიწაზვინული... ციხე-სიმაგრე შემადლებაზე“ (ნაესაკაო).

ზუგუ – შემადლება ჩაის ფართობით მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს, წყემის საზღვართან, სუღირს ზემოთ. რესპ.: „ზუგუ, ზუგა ზურგაა, ე.ი. შემადლება, ბორცვი, მი-

წაზვინული“. შდრ. აღ. ქობალია: „ზუგუ – ბორცვი“ (ძველი აბაშა).

ზუგუ/ცხაცხუჯინჯი – შემაღლებული მინდორი, საძოვარი წყურგულეწყარის მარჯვ. მხარეს, საჯალალონიოში. ამავე უბანშია დიხაზუგეც (წყემი).

ზურაშ წისქვილი – წისქვილი ცუდღარზე. ზურა ← ზურაბი (ონტოფო).

ზურგი – მცირე შემაღლება, ტყე საგუგუსქუს განაპირას. ზურგი, როგორც ოროგრაფიული ნომენი, აღნიშნავს დაბალ ბორცვს (პირველი ეწერი).

– თ –

თაკვარაიაშ პალოტი//თაკვარელიაშ პალოტი – ტბორი აბაშის მარცხ. მხარეს საახობაძოსა და საუჩანეიშვილოს შუა. თაკვარაია გვარ თაკვარელიას აღგ. ვარიანტია (გამოდმა ზანათი).

თაკვარელიაშ პალოტი – ტბორი. იგივე თაკვარაიაშ პალოტი (გამოდმა გეზათი).

თაკვარელიების უბანი – უბანი. იგივე თაკვარელიების ქუჩა (მაიდანი).

თაკვარელიების ქუჩა//თაკვარელიების უბანი – უბანი დიდ კოვზას მარცხ. მხარეს. თაკვარელიები ყოფილან გვარად საყვარელიძეები ზესტაფონიდან, წინაპრები კიდევ დადიოდნენ იქ. ვ. თოფურია: უთუოდ ლენხუმის ძველი სახეწოდება თაკვერი-სგან არის წარმომდგარი. სამეგრელოს ზოგ სოფელში დღემდე დაცული გვარი თაკვარელია ← თაკვარელიანი (თოფურია, 1961, გვ. 482). (მაიდანი).

თამარიის თხილები – სახნავი შავღელეს მარცხ. მხარეს. უწინ ტყე ყოფილა (გაუწყინარი).

თარანგილოზი – 1. ნაეკლესიარი, სასაფლაო კვათანის ცენტრში (აბაშა); 2. სასაფლაო. იგივე დუქნკარი (ონტოფო); 3. ნაეკლესიარი ლაჯონაში (გამოდმა კოდორი).

თარანგილოზი//თარანგილოზიშ ოხვამე – ნაეკლესიარი, სასაფლაო ცუდღარის მარცხ. ნაპირას, სოფლის ცენტრის დას. ნაწილში. თარანგილოზი მთავარანგელოზია (ნორიო).

თარანგილოზიშ ოხვამე – ნაეკლესიარი, სასაფლაო. იგივე თარანგილოზი (ნორიო).

თარაშიას წყარო – წყარო-ნაკადული კოვზას მარცხ. მხარეს. გადმოცემით, აქ ესახლა თარაში (პირსახელია). (გეზათი).

თბილი – ღელე, ნოდელის მარცხ. შენაკადი ბოგვერასთან. მოედინება მაიდნიდან (სამიქაო).

თბილიპირი – სახნავი თბილის მარჯვ. მხარეს (სამიქაო).

თეთრქვები – საბანაო ცხენისწყალზე (სამიქაო).

თელაფონი – სახნავი ფიჩორის მარჯვ. მხარეს (კეთილარი, გაღმა კოდორი).

თელაშჯინჯი – სახნავი მოჭვირში (კეთილარი).

თელაჯინჯი „თელისძირი“ – 1. სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს, ცუდღარის ორივე ნაპირას, პირველი ონტოფოს საზღვარზე (ეწერი); 2. სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს, საღვანოში. სიტყვა თელა მეგრულში იშვიათად გამოიყენება. მას ცვლის ცვ (მაყაშვილი, 1991, გვ. 31). (სეფიეთი).

თელიები//თელიების უბანი – უბანი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე, ბოხუების უბანსა და პიტაგების უბანს შუა. თელი „ცოცხალი, ჯანსაღი“ კოლხეთში პირსახელია (ქსს, 1986). შდრ. თელიაშვილი XVI ს-ის საბუთში (პალ, II, გვ. 309). (მარანჭალა).

თელიების ჭალა – სახნავი ცხენისწყლის ჭალაში (მარანჭალა, გუგუნაყათი).

თელიეფიშ ნოხორი – სახნავი სოფლის განაპირას, ნარნეს მარჯვ. ნაპირზე, ჟიპიჯსა და ჩეჩონას შუა (კეთილარი).

თელისძირი – სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს (მაიდანი).

თელონი „თელნარი“ – სახნავი ფიჩორსა და რგვალნარნეს შუა (კეთილარი, გაღმა კოდორი); 2. სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს (სეფიეთი).

თემრაზიშ წაკორტი – სახნავი მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირზე. რესპ.: „წაკორტი არის შემოკავებული ტყე ან სახნა-

ვი ოჯახისა“. ქართ. წალკოტი → მეგრ. წაკორტი (გაღმა ზანათი).

თომასის ჩავაკებუღი – მინდორი ღობირში. იხ. ჩავაკებუღი (თხმელარი).

თომას ტბა – საბანაო ნოდელაზე. ტბის გვერდით თომას ჰქონია ყანა (სამიქაო).

თონთიეფიში ნოხორი//თონთუეფიში ნოხორი – საძოვარი სოფ. ნორიოს საზღვართან (აბაშისპირი).

თონთუანამოსახლი – სახნავი რიყიპირში (მაიდანნი).

თონთუეფიში ნოხორი – საძოვარი. იგივე თონთიეფიში ნოხორი (აბაშისპირი).

თორღუაში ნოხორი – სახნავი ობერგულეში (გამოდმა კოდორი).

თოფურიანამოსახლი – სახნავი კოვზას ნაპირას (მაიდანნი).

თოფურიაში ტყა – ერქვა ტყეს ნოდელის მარჯვ. მხარეს (სეფიეთი).

თოფურიეფიში ოისგრე – სახნავი სათოფურიოში (აბაშა).

თურქიში ნორინი//თურქიში ნოხორი – სახნავი ხაშში. ნორინი „ნამყოფი; ადგილი, სადაც ცხოვრობდა“ (გამოდმა ზანათი).

თურქიში ნოხორი – სახნავი. იგივე თურქიში ნორინი (გამოდმა ზანათი).

თხილაგანის ფართობი – სახნავი, რომელიც ეკუთვნოდა თხილაგანს (სოფელია ჩოხატაურის რ-ნში). (გულეიკარი).

თხინა – ერქვა ტყეს ანჯერში. ამჟამად სახნავია. თხირი „თხილი“ → თხირონა „თხილნარი“ → თხინა (კეთილარი).

თხირინე – საძოვარი სოფ. ნაესაკაოს საზღვართან (აბაშა).

თხირნა//თხირნე – სახნავები ტყირის ეკლესიასა და შქამანგარს შუა. უწინ დასახლ. უბანი ყოფილა. რესპ.: „კილს უძახდეს, კუნთხუშ დიხა რდგ“. თხირი „თხილი“ → თხირონა „თხილნარი“ → თხირნა (ტყვირი).

თხირნე – სახნავები. იგივე თხირნა (ტყვირი).

თხირნეშ დალე – დელე. იგივე თხირნეშ დელე (სუჯუნა).

თხირნეშ დელე/თხირნეშ დალე – დელე, რიონის მარჯვ. შენაკადი. გაივლიდა ევრემიაშ მაღალს (სუჯუნა).

თხირონა „თხილნარი“ – საძოვარი. ნოდელის მარჯვ. მხარეს (აბაშა).

თხმელარი – სოფელი პირველ მაისსა და ტყვირს შუა, რიონის მარჯვ. მხარეს. (პირველი მაისის თ/ს).

თხომულონი „თხმელნარი“ – ჩაის ფართობი ნატყე-ვარზე, უნა დელეს მარჯვ. მხარეს, ნაკრძალთან (წყემი).

თხუმუშჯინჯი „თხემლისძირი“ – სახნავი მდ. ნოდელას ჭალაში (ძველი აბაშა).

– 0 –

იასონის წყარო – წყარო კაჭარავეების უბანში (სამიქაო).

ივანაშენი – სახნავი ცუდღარსა და რიონს შუა. **ნაშენი** აღნიშნავს განაშენიანებულ ადგილს, ვენახიან-ხეხილიანს. ივა ← ივანე (სუჯუნა).

ივანე ნათისცემერი – სასაფლაო და ნაეკლესიარი საქობალიოში. ზანათის ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია დასახელებულია სუჯუნის ოლქის ეკლესიათა შორის (1870 წ.). (გალმა ზანათი).

ივანეშ მუხური – სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს. იხ. მუხურე, მუხური (გალმა ზანათი).

ივანეშ რჩქონი – ფონი მდ. აბაშაზე. რესპ.: „რჩქონი აქ ფონს ჰქვია. ორივე ერთია“. იხ. რჩქონი (გალმა ზანათი).

ივლიანეს ნამოსახლი – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (გულუხეთი).

იზღორეს ნიგოზისძირი – სახნავი შავდელის მარცხ. მხარეს. ნიგოზისძირი „ნიგეზისძირი“ (მაიდანნი).

ილი(ი)კოშ ნაცალა – სახნავი ცუდღარის მარცხ. მხარეს. **ნაცალა** – 1. ნაკაფი; 2. ნათიბი (სუჯუნა).

ილარიონის წყარო – წყარო კოვზასა და წყაროს შუა (გულუხეთი).

ილიაშ ნოხორი – სახნავი ობერგულეში (გამოდმა კოდორი).

ილორი მეორე – ერქვა სოფელს ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას. 1886 წელს შედიოდა მარნის სოფლის საზოგადოებაში (იყო ამ ადმ.-ტერიტ. ერთეულის ცენტრი. მოსახლეობა 277 კომლი, 1536 სულ). 1930 წელს კი ილორი მეორე (442 კომლი, 2103 სული) სოფელია მარნის სას. საბჭოში. ამის შემდეგ ილორი მეორე დარჩა სოფლის სტატუსის გარეშე (აბაშის რ-ნი).

ილორი პირველი – ერქვა სოფელს ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას და ესაზღვრებოდა ილორი მეორეს. კონკრეტულად: ილორი პირველი 1886 წელს შედიოდა „მარნის თემის საზოგადოებაში (273 კომლი, 1485 სული), ხოლო 1930 წელს – ილორის სას. საბჭოში (288 კომლი, 1287 სული). ილორი ნასოფლარია სამტრედიის რ-ნის ჩრდ.-დას. ნაწილში, ცხენისწყლის მარცხ. ნაპირას (აბაშის რ-ნი).

იმედაშვილების ნამოსახლი – საძოვარი რიყეში, ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (სამიქაო).

იობაძის ბეგი – საძოვარი ბეგში (გულუხეთი).

იობური – სახნავი უჩა დალის მარჯვ. მხარეს, სოფ. მანცხვარკარის საზღვართან. როგორც ჩანს: იობაია (გვარი) → იობური „იობას კუთვნილი წარსულში“. იობაია მცირერიცხოვანი გვარია (40 სული 2002 წელს). (ძიგური).

იონაშ წისქვილი – წისქვილი ცუდღარზე (ონტოფო).

იოსების ნაწისქვილარი – სახნავი ჭალაში (გუგუნაყაო).

იოსებიშ ნოხორი – სახნავი. საპერტენაში (აბაშა).

იოსელიანეფიშ ნოხორი – სახნავი საიობაიოში (აბაშა).

იოსელიანის ნამოსახლი – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (სამიქაო).

იოსეშ დაბალი – საძოვარი ნარნეს მარჯვ. ნაპირზე (კეთილარი).

ირაკლიშ დაბალი – სახნავი ნოღელისა და უჩა დელის შესართავთან (აბაშა).

ირაკლიშ ნაკარუ – ტყე ტურაკეში, ოლაქაშესთან (გამოდმა ზანათი).

ირინის ნამოსახლი – საძოვარი ონტოფოს საზღვართან (გეზათი).

იქმოდეიშვილების ქუჩა/მოთოთი – უბანი კოვზას მარჯვ. მხარეს. ცხოვრობენ იქმოდეიშვილები. რესპ.: „ჩვენი წინაპრები მოსულან კინჩხიდან. გვარად ჯანელიძეები ვყოფილვართ. აქაურ გამსახურდიებს შეურქმევიათ იქმოდეიშვილი, ანუ იქიდან მოდენილის შვილები. იქმოდეიშვილის კილია მოთოთი“. გვარი იქმოდეიშვილი საქართველოში სხვაგან არ დასტურდება (მაიდან).

იქმოდეიშვილის რიყე – საძოვარი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას (მაიდან).

- კ -

კადარი – 1. ერქვა სოფელს მდინარე აბაშის ნაპირას, „შიდ-ვერსზედ სადგურ აბაშიდან. აქ დაცულია ძველი ეკლესია“ (თაყაიშვილი, 1914). დღეს აქ, 4-5 კმ რადიუსში, მოსახლეობა აღარაა. გადასახლდნენ 1947 წ. ამჟამად სახნავებია სოფ. ძველი აბაშის საზღვართან (სეფიეთი); 2. ერქვა დასახლ. უბანს ზანის ორივე ნაპირას. ამჟამად ნასახლარებია. სახელწოდება სადღეისოდ შემორჩა შემადღებას ზანის მარცხ. ნაპირზე. კადარი საერთოდ მზისკენ მიქცეული ფერდობია. აკ. ჭანტურია: „კადარი – კლდის ფერდი“. ფაქტია: ქართ. **კედელი** : მეგრ. **კადარი**. შდრ. აღ. ქობალია: „კადარი – კლდოვანი ადგილი, ქვიანი ფერდობი; კენჭიანი, კუდარო; უვენახო, უნაყოფო მთიანი ან წყლისპირა ქვიანი ადგილი; მზვარე, მზიანი ადგილი, მთის სამხრეთი კალთა“; ო. ქაჯაია: „კადარი – მზისკენ მიქცეული ფერდობი, მზიანი მხარე“ (ძველი აბაშა).

კადარიშ ოხვამე – ნაეკლესიარი კადარში. „კადარიშ ოხვამე ძველთაძველი ეკლესიაა კადარის ცენტრში“ (ელიავა, 1977, გვ. 28). „კადარის ეკლესია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია პირველ რიგში იმ მხრივ, რომ XIII-XIV საუკუნეების აგურის ეკლესია სამეგრელოში არ არის შემორჩენილი“ (ჭითანავა, 2010, გვ. 498). (ძველი აბაშა).

კადარიშ ჩაი – ჩაის ფართობი საკუპრეიშვილოში. რესპ.: „ჩაი წყემის ტერიტორიაზე იყო, მაგრამ მოსაკრეფად ჰქონდა სოფ. კადარს“ (წყემი).

კადარიშ წყურგილე – წყარო ზანის მარჯვ. მხარეს, თუმცა კადარი (შემადლება) ზანის მარცხ. მხარესაა (ძველი აბაშა).

კაისას ტყე – ტყე შავღელის მარცხ. მხარეს. კაისა კონსტანტინეს მეორე სახელია (მაიდან).

კაკიაშ საღობი – დღე, რუშეს მონაკვეთი. გაედინება ნოღიდან. კაკიას აქ გამართული ჰქონდა საღობი – თევზის საჭერი გიდლისებური ნაღობი მახე (ტყვირი).

კაკულიანაყანევი – სახნავი დიდკოვზასა და შავღელეს შუა. კაკულია გვარსახელია (მაიდან).

კაკულიაშელი „კაკულიასელი“ – სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს. **შელი** „ზიარი, საზიარო“ (იგულისხმება სამესამედო, სანახევრო და ა.შ.). (სეფიეთი).

კალამონა – საძოვარი ნოღელის მარჯვ. მხარეს. აღ. ქობალია: „კალამონა – ლერწმიანი, ბამბუკოვანი“ (ეწერი, სეფიეთი).

კალამონაშ წისქვილი – წისქვილი ნოღელაზე, კალამონასთან (სეფიეთი).

კალეს ტყე – ტყე წყვიას მარჯვ. მხარეს (გეზათი).

კაპანა – ყოფილი სოფელი ნოდო-ხაშსა და მანცხვარკარს შუა. ბოკუჩავეების უბანში, სასაფლაოსთან, იდგა წმინდა ბარბარეს სახელობის ხის ეკლესია. ამჟამად ქ. აბაშის უბანია. აღ. ქობალია: „**კაპანი** – მთის კლდოვანი ფერდი... ქვა-ღორღიანი ნიადაგი, ვიწრო, ძნელად სავალი გზა; კლდის ბილიკი...“ (აბაშა).

კაპანაშ სათოფურიო – უბანი. იგივე სათოფურიო (აბაშა).

კაპანაშ ჭალე – სახნავი ნოღელას მარცხ. მხარეს, კაპანის საზღვართან (ძველი აბაშა).

კაპანაძეების უბანი – დასახლ. უბანი (პატარა გეზათი).

კაპეტები – 1. სახნავი სოფ. გაუწყინარის საზღვართან. რესპ.: „კაპეტი ეწოდება ტყე-ნაკაფს. აქ უწინ მუხნარი

ყოფილა“; „კაპეტი საერთოდ ყველაზე ნაყოფიერი მიწაა“. აღ. ქობალია: „**კაპეტი** – კაპუეტი, მაგარი (გადატ.); ძნელად დასამუშავებელი, ნასვენნი, მაგრამ ნოციერი მიწაა (იგივეა, რაც კაბეტი...)“; ო. ქაჯაია: „**კაბეტი** – ახო, დაუმუშავებელი მიწა“. შდრ. იმერ. „კაპეტი – დიდი ხნის დაუმუშავებელი მიწა; ნატყვევარი მიწა, ყამირი“ (ქვიშანჭალა); 2. სახნავი ბეგსა და ნოღელას შუა. კაპეტი ნიშნავს: ა. ყამირი, დაუმუშავებელი მიწა; ბ. სახნავი ტყე-ნაკაფზე (სამიქაო); 3. სახნავი ბეგსა და ნოღელას შუა. რესპ.: „ყამირ ან ტყენაკაფ მიწებს ჰქვია კაპეტი“ (მაიდანნი).

კაპეტი – სახნავი ჯიბლამნების ქუჩის გვერდით. რესპ.: „ყველა კაპეტი არის ტყე ან ლეზი, ე.ი. ტყე-ნაკაფი“ (გეზათი).

კარე „მწვემსის ბინა“ – საძოვარი ნოღელის მარცხ. მხარეს (ონტოფო).

კართხული – სახნავი საჭატურიოში, რაც კვათანაშია. კართხიას ნასახლარად ითვლება. კართხია სულ 27 სულია საქართველოში (→ კართხული „კართხიასეული“). (აბაშა).

კარანაძეების ნამოსახლარი – საძოვარი კოვზას მარჯვ. ნაპირზე (სამიქაო).

კარობა – გზისპირა ბალი ქვედა მაიდანში. რესპ.: „კარობა ეწოდება ბირუას, საღამოს ხალხის თავშეყრის ადგილს. ყველა უბანს თავისი კარობა აქვს. ჩვენც, იქმოდეიშივლებს, ჩვენი კარობა გვაქვს“ (მაიდანნი).

კატოს წყარო – წყარო-ნაკადული, ნოღელის მარჯვ. შენაკადი (გულუხეთი).

კატუშას ბეგი – საძოვარი ბეგებში (გულუხეთი).

კაციაფონი – ფონი რიონზე. კაცია ჩაგანავას აქ ბორანი ჰქონდა გამართული ღრმა წყალზე, თავთხელად მერე იქცა (კეთილარი).

კაციაფონი – ფონი რიონზე. გადიოდა გაღმა კოდორში. კაცია პირსახელია (გამოდმა კოდორი).

კაციეშ ფონი – ერქვა ფონს რიონზე (მეორე ეწერი).

კაცობური – სახნავები რიონის მარცხ. მხარეს (120 ჰა-მდე), ნარიონალის ნაპირზე. ეკუთვნოდა სირიანქონს,

მაგრამ ამუშავებდა სუჯუნის კოლმეურნეობა. აქ იყო კაცობურის სამონადირეო ნაკრძალი. ხალხ. ეტიმოლოგია: აქ გურულებს გამოუვლიათ. ტრიალი მინდორი ყოფილა. შორს რაღაც ხე შეუნიშნავთ და უკითხავთ, რა ხეაო. მეგრელს პასუხი გაუცია: „კაცო, ბული“ („კაცო, ბალი“). აქედან წარმოიქმნა კაცობური. როგორც ცნობილია, ქართულში კაცობა პირსახელია (შდრ. მეგრულში კოჩობა). მისგანაა წარმოქმნილი გვარი კაცობაშვილი (მხოლოდ 135 სული საქართველოში). მაშასადამე, კაცობა (პირსახელი ან გვარის ფუძე) → კაცობური „კაცობასეული; კაცობას კუთვნილი წარსულში“ (კეთილარი, გაღმა კოდორი).

კაჭანოხორი – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს. კაჭა „ფეხმრუდე“ მეტსახელია, პირსახელად გადაქცეული (ონტოფო).

კაჭარაეების ნამოსახლი – სახნავი მაღალმიწაში (სამიქაო).

კაჭარაეების უბანი – უბანი. იგივე კაჭარეები (სამიქაო).

კაჭარეები//კაჭარაეების უბანი//საკაჭარაო – უბანი სოფ. გულუხეთის საზღვართან. კაჭარავა საქართველოში მრავალრიცხოვანი გვარია (3108 სული). გვარის ძირძველი სამკვიდრო უნდა იყოს აბაშა (160 კომლი). ამოსავალია პირსახელი კაჭარა. ვარაუდობენ, რომ კაჭარაა მომდინარეობს XVII-XVIII სს. სვანეთის საისტ. ძეგლებში დაფიქსირებული კაჭარანისაგან (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 51-102). (სამიქაო).

კაჭარული – სახნავი მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს. ჯაპანამდე. აქ კაჭარავას ჰქონია მიწა. კაჭარული სწორედ კაჭარავას ნაქონს აღნიშნავს (მანცხვარკარი).

კახური/გაბუნიას კახური – საძოვარი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ნაწილი წაიღო წყაღმა (გულუხეთი).

კეთილარი – სოფელი რიონის მარცხ. ნაპირას, გულეიკარსა და გაღმა კოდორს შუა (აბაშის რ-ნი).

კეთილარიში რჩქონი – კუნძული რიონზე (კეთილარი).

კეკელური – საძოვარი. ნოდელის მარცხ. მხარეს. კეკელია (გვარსახელია) → კეკელური „ის, რაც კეკელიას ეკუთვნოდა“ (ონტოფო).

კეკელურიშ წყურგულე – ნაკადული, ტობაწყურგულეს ზემო წელი (ონტოფო).

კეკუცარის მინდორი – საძოვარი აკაციის ტყეში (სამიქაო).

კეჭეხი/ჭერეხი – სახნავეები მდ. აბაშის მარცხ. ჭალაში, ხიდთან. **კეჭეხი** ქვიან-კენჭოვანი ადგილია, ხოლო **ჭერეხი** – ქვაწვრილი; თევზის ჯიშიცაა ასეთი (აღ. ქობალია). (საბოკუჩაყო).

კეჭინარა – სახნავი წყვიის მარცხ. მხარეს. შდრ. იმერ. „**კეჭინარა** – ქვიანი ადგილი. საყანედ ცუდია. ნ. კენჭნარი“ (ვ. ბერიძე). (ვულუხეთი).

კვადაცონა – საძოვარი კვათანაში, ნოდელის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „**კვადაცა** ტირიფის მსგავსი ხეა, უეკლო, მაგარი მერქანი აქვს. მისგან თლიან ტაბიკებს“. შდრ.: ა. მაყაშიელი. „**ქაცვი** *онлепиха*... მეგრ. **კვადაცი**, **კუდაცია**“ (აბაშა).

კვადაცონი – სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს, გეჯეთის საზღვართან. რესპ.: „**კვადაცი/კვადაცა** – ქაცვისნაირი მცენარეა ერთგვარი, იზრდება მდინარისპირებზე“. შდრ. აღ. ქობალია: „**კვადაცონი** – ქაცვიანი, ეკალნარი“ (სეფიეთი).

კვათანა – ერქვა სოფელს, ამჟამად ქ. აბაშის ნაწილია რკინიგზის ხაზიდან სოფ. ნაესაკაომდე. იყოფა: დიდი კვათანა და პატარა კვათანა. რესპოდენტები ამ სახელწოდებას უკავშირებენ კვათარს, რაც მეგრულში აღნიშნავს ტყის ქათამს. მას შემდეგ, რაც აბაშის რ-ნი გამოეყო სენაკის რ-ნს, კვათანას ეწოდა ახალი აბაშა და იგი იქცა აბაშის რ-ნის ერთ-ერთი ადმ.-ტერიტ. ერთეულის ცენტრად. კვათანის მთავარანგელოზისა და წმინდა გიორგის ეკლესიები მოხსენიებულია 1846 წლის ეკლესიათა ჩამონათვალში (ჭითანავა, 2010, გვ. 61, ხოლო ჯვარცმის ეკლესია – 1855 წლის საბუთში (იქვე, გვ. 65). (აბაშა).

კვათანაშ კარე – სახნავი ნაჭილას გვერდით (გაღმა კოდორი).

კვათანაშ სათოფურიო – უბანი. იგივე სათოფურიო (აბაშა).

კვანტალიანები//კვანტალიანების ქუჩა – უბანი სოფლის ცენტრსა და ცხენისწყალს შუა. ცხოვრობენ კვანტალიანები. კვანტალიანი მრავალრიცხოვანი გვარია (2330 სული). ძირითადად ცხოვრობენ სამტრედიის, მარტვილის, ზუგდიდის რაიონებში. კვატია ოფიციალური ვარიანტია ქვ. იმერეთში (124 სული). (სამიქაო).

კვანტალიანების ნამოსახლი – სახნავი რიყეში (სამიქაო).

კვანტალიანების ქუჩა – უბანი. იგივე კვანტალიანები (სამიქაო).

კვანჭალური – საძოვარი. იგივე კონჭალური (ოხმელარი).

კვატატინამოსახლი – სახნავი იქმოდეიშვილების უბანში. კვატატი მამაკაცის სახელია (მაიღანი).

კვაწახურები – სახნავი. იგივე კოწახური (მაიღანი).

კვეკვეციაწყარო – წყარო შაველის მარცხ. მხარეს. კვეკვეცია მცირერიცხოვანი გვარია (მაიღანი).

კვირკველების ტყე – ტყე ღიდკოვზას ნაპირას (მაიღანი).

კიბაბული – სახნავი შუა ქალაქში, ნასოფლარ კვათანის საზღვარზე (ნაესაკაო, აბაშა).

კიბირიაშ ფონი – ფონი ზანაზე. რესპ.: „კიბირია გვარია“ (სეფიეთი).

კიბორჩხალა – ნაკადული, ნოდელის მარცხ. შენაკადი. ზემო წელზე ეწოდება „სამქუმ წყურგულე“ (ონტოფო).

კიზირიაშ ეშადობილი – ბუჩქნარი ონგერესთან, ანჯერში. ეშადობილი „შემოდობილი“ (გაღმა კოდორი).

კიზირიეფიშ ნოხორი – სახნავი მანიშორში (გამოდმა კოდორი).

კიკაბიძის ნაქონი – ტყე შაველესა და კოვზას შუა (გულუხეთი).

კიკინაშ დიხა – სახნავი კაპანაში (აბაშა).

კილასონიაშ პალატი – ტბორი კოდორეში (გამოდმა ზანათი).

კირიეშ ტობა – მორევი ზანაზე, ნაკვახირუსთან (სეფიეთი).

კირილეს ნაყანვარი – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (გულუხეთი).

კირილეს ტყე – ტყე წყალპირში (ქოლობანი).

კირკალა – სახნავები რიონის ჭალაში, სოფ. გაუწყინარის საზღვართან. რესპ.: „კირკალა იგივეა, რაც მეგრული კურკანტელა, ეკალს ასხია და ამ ეკალსაც ასევე უწოდებენ“. შდრ. აღ. ქობალია: „კირკატელა, კირკანტელა (ბ.მარტე) – კურკანტელა; ეკალიჭის ნაყოფი“ (ქვიშანჭალა).

კირლეშ ნაისირი – სახნავი ობერგულეში (გამოდმა კოდორი).

კირცხალია(შ)კარი – სახნავი კოდორეში. კირცხალია (გვარსახელი) ← კირცხალი – ფიცარი და კერკეტი კაცის ეპითეტი (გამოდმა ზანათი).

კირცხანოტეხი – სახნავი ფიხორის მარჯვ. მხარეს. აღ. ქობალია: „კირციხი (კერციხე) – სეტყვა; ქვიან-ლიჭიანი; ფიცხი, ფიცხელი, ძნელად დასამუშავებელი ნიადაგი, კრი-ახი“. ო. ქაჯაია: „**კირციხი, კერციხე** – სეტყვა, ხოშკაკალი“. იქნებ: კირცხა (პირსახელი) + ნოტეხი (განცალკევებული ყანა, ტყე). (გაღმა კოდორი).

კლეფჩერი – სახნავი. იგივე გძელეკლიანი (მაიდანნი).

კლეფჩერი/ქაჯეკალა – მინდორი რიყეში, სადაც ელიობაც იმართებოდა ძვ. სტილით 20 აგვისტოს. რესპ.: „აქ კლეფჩერი დგას, ეკლიანი ხეა. ქაჯეკალასაც უწოდებენ“. შდრ. „ქაჯისცოცხი – ხის გვერდითი ტოტები, არანორმალური სიუხვით გამოყრილი“ (ქეგლ, VII, გვ. 278). იშვიათი ვარიანტები: კლეფჩერისძირი, კლეფჩერიშჯინჯი (სამიქაო).

კლეფჩერისძირი – მინდორი. იგივე კლეფჩერი (სამიქაო).

კლეფჩერიშჯინჯი – მინდორი. იგივე კლეფჩერი (სამიქაო).

კლიმენტის შემოკავებული – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (გულუხეთი).

კობზა – მდინარე. იგივე კოვზა (მაიდანის, გულუხეთი, სამიქაო, გეზათი, აბაშა...)

კოდარა – 1. დასახლ. უბანი ქ. აბაშის საზღვართან და წყვიას ორივე მხარეს (გეზათი, აბაშა); 2. საძოვარი, მცირე დაფერდება უჩა ღალის მარჯვ. მხარეს (პირველი მაისი); 3. სახნავები. იგივე კოდორე (ონტოფო, გეზათი).

კოდარის ნაწისქვილარი – მინდორი კოვზას ნაპირას (გეზათი).

კოდმე – ბექი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე. **კოდმე** – კბოდე, მდინარის კლდოვანი ფლატე (მაიდანის).

კოდმე(ლი) – ბექობი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე (გუგუნაყათი).

კოდორა//კოდორე – სახნავი ანჯერში, რიონის მარცხ. მხარეს. აღ. ქობალია: „**კოდორი** – კლდოვანი“. რესპ.: „კოდორა ქართულია, კოდორე – მეგრული“ (გაღმა კოდორი).

კოდორე – 1. სახნავი ტეხურისა და რიონის შესართავს შიგნით. უწინ ყოფილა უღრანი ტყე, მუხნარი, სადაც გარეულ ღორსაც ხშირად მოინადირებდნენ ხოლმე. კოდორი სიტყვის ეტიმოლოგიას სპეციალური სტატია მიუძღვნა ი. ჩანტლაძემ. მისი მოსაზრება ასეთია: „**კოდორი** სვანური **კადარ** („მშრალი, ხმელი ადგილი, ხმელეთი“) სიტყვის „ზანიზებული“ ფორმა კი არ უნდა იყოს, როგორც ფიქრობს თ. მიბზუანი, არამედ საერთოქართველური *-**კად** ძირის ამსახველი, რომელიც, აღბათ „წყალს“ აღნიშნავდა თავის დროზე, ოღონდ ისეთ წყალს, მზის გულზე მდებარე მთისძირა გორაკ-ფერდობებიდან რომ იღებდა სათავეს“ (ჩანტლაძე, 2012, გვ. 209). (გამოღმა ზანათი); 2. სახნავი ტეხურისა და რიონის შესართავთან არსებულ სამკუთხედში. გაღმაა ისულა და ძონძირი. უწინ აქ უღრანი ტყე ყოფილა (სუჯუნა); 3. ვაკე-საძოვრები ცუდღარის მარცხ. მხარეს, სოფ. ონტოფოს საზღვართან. აღ. ქობალია: „**კოდორი** – კლდოვანი“; ო. ქაჯაია: „**კოდორე** – კოდალა“ (ძველი აბაშა) და სხვ.

კოდორე/კოდორა – სახნავეები ონტოფოსა და გეზათის საზღვარზე. გეზათში ეწოდება კოდარა, ხოლო ონტოფოში – კოდარე. რესპ.: „კოდარა ქართული ფორმაა, კოდორე კი – მეგრული“ (ონტოფო, გეზათი).

კოდორემ ოღური – ნაგზაური. გადიოდა გეზათში, ნოდელის გაღმა. უღა „სვლა“ → ოღური „სავალი, გზა“ (აბაშა).

კოდორიშ რჩქონი – ტყე, კუნძული რიონზე (გაღმა კოდორი).

კოდორობა – სახნავეები ფიჩორის მარჯვ. მხარეს, ანჯერში, სადაც უწინ ხალხი ესახლა. აქ შემოდის ტიფონი-აშ დაბალი, მესხიაშ დაბალი, გალენკოდორე, დინახალენკოდორე, საღლამო და სხვ. კოდორობა მრ. რიცხვის ფორმაა (გაღმა კოდორი).

კოდორქალაქი – ეწოდა გამოდმა (პირველ) კოდორს (რიონისა და ცხენისწყლის ძველ შესართავთან) ორი გარემოების გათვალისწინებით: 1. აქამდე ამოდიოდა სავაჭრო გემი ფოთიდან (დატვირთული იყო ორივე მიმართულებით, კერძოდ, ფოთში გაჰქონდა სიმინდი); 2. ამან გამოიწვია ვაჭრობის ინტენსიურობა, რასაც სჭირდებოდა დუქნები და ბაზრობა. ამიტომ ეწოდა ქალაქი მდინარისპირა სოფელს (საბუღუა, 1972).

კოდოფონი – ტყე, საძოვარი ოჩარულის წყაროსთან (სამიქაო).

კოვზა//კოვზა – მდინარე, ნოდელის მარცხ. შენაკადი ნოდო-ხაშის ტერიტორიაზე. სწორედ ამ დელეში გადმოემვა ცხენისწყლის ტოტი. რესპ.: „უფრო ადრე კი ცხენისწყალი ხშირად გადმოდიოდა სოფ. მაიდნის ტერიტორიაზე და ჩაედინებოდა ნოდელაში“. „კოვზას უერთდებოდა ცხენისწყლის არხი. შემდეგ კი აქ ცხენისწყალმა გადმოხეთქა. საერთოდ ცხენისწყალი ხშირად გადმოხეთქავდა ხოლმე მაიდნის ტერიტორიაზე და ჩადიოდა ნოდელაში. ნოდელის მარჯვ. ნაპირი მაღალია და აჩერებდა“. ხალხ. ეტიმოლოგიები: ა. ბატონმა საჭმელი კოვზით ჭამა; ბ. მცირე წყალი მოდიოდა და კოვზით ამოჰქონდათ. აქვს ორი მთავარი მდგენელი: წყაროსთავის კოვზა და ონოდის კოვზა, აქე-

დან რამდენიმე წყარო ქ. აბაშაშია გაყვანილი. იქმნება რამდენიმე მცირე ნაკადულისაგან, რომლებზეც წისქვილებია გამართული. მოედინება სოფ. მაიდნიდან, გაივლის სამიქაოს (შავდელესა და კაჭარავეებს შუა), შემდეგ გულუხეთს, გეზათს, ნოღა-ხაშს... აღ. ქობალია: „კობზა (კგზზ) მცენარეა ერთგვარი, ბზისმაგვარი ბუჩქი. მაგარი შტო აქვს“ (მაიდანის, სამიქაო, გულუხეთი, ნოღა-ხაში, გეზათი, აბაშა და სხვ.).

კოვზიპირები – სახნავები კოვზას ნაპირას (გულუხეთი).

კოვზიპირი – სახნავი კოვზას მარჯვ. ნაპირზე (მაიდანის).

კოკაიაში მუხური – სახნავი, რომელიც შეჭრილია მდ. აბაშის რკალში ნახევარკუნძულივით (გაღმა ზანათი).

კოკის ჭალა – სახნავი რიონის მარჯვ. ნაპირზე (მარანი).

კოკიშ დოხორე//დადიაშ დოხორე – სახნავი საჯალაღონისში, დისახურგასთან. კოკი დადიანის ნასახლარია (წყემი).

კოკიშ ნოხორი – ტყე ობერგულეში. კოკი პირსახელია (გამოდმა კოდორი).

კოკიშ წისქვილი – ნაწისქვილარი წისქვილიშ ტეხურზე (მანცხვარკარი).

კოკ(ი)ჭალე – ჭალა რიონისა და ნოდელის შესართავთან. სწორედ აქ დგას გამოდმა კოდორის წმ. გიორგს ეკლესია. ვარაუდი: ა. კოკი პირსახელია; ბ. კოკი აღნიშნავს: კუნძულს, ნახევარკუნძულს, წყალთშესართავს; ჭალაკს (გამოდმა კოდორი, ტყვირი).

კოკუჭალე – სახნავი რიონსა და ღარდეს შუა. კოკუ აღნიშნავს პატარას, ტანმცირეს, ჩიას, მოკაკულს, კიკნას (ასეთი ეპითეტური სიტყვა პირის მეტსახელადაც იქცევა). (წალიკარი).

კოლაშ ჭორთი – ბუჩქნარი ობერგულთან, ახალსოფლის განაპირას. აქვეა პარმენიშ ჭორთიც. ჭორთი ახალამონაყარი თხემელნარია (გამოდმა ზანათი).

კოლიის დაბალი – სახნავი რიყეში. კოლია (პირსახელი) → კოლიის (ნათეს. ბრუნვა იმერულში). (მაიდანნი).

კონჭალური//კვანჭალური – საძოვარი ტყემაღლას მარჯვ. ნაპირზე, კუტაეწრის პირდაპირ. ვარაუდი: **კვანჭალი** (იმერ.) „კოჭლობით სიარული“ → **კვანჭალი** (მეგრ.) – „მარდად და კოჭლობით სიარული“ (**მიკვანჭალე** – მარდად და კოჭლობით მიდის) → **კვანჭალა** – კოჭლი და მარდად მოსიარულე → **კვანჭალა** (მეტსახელი) → **კვანჭალური** „კვანჭალას კუთვნილი“ (ვა → ო ცნობილი ფონეტიკური პროცესია). (თხმელარი).

კოპიტნარა „იფნარი“ – სახნავი (90 ჰა) ტყემაღლას მარჯვ. მხარეს, სოფლის დას. ნაწილში. ქართ. იფანი... იმერულ-გურული „კოპიტი“, მეგრ. „ლანჯი“ (ა. მაყაშვილი). (თხმელარი).

კორკონჯიის ნამოსახლი – სახნავი წყალპირში. რესპ.: „როგორც „ძველები“ გადმოსცემდნენ, აქ კორკონჯია ესახლა, მაგრამ არ ვიცით, პირის სახელია თუ გვარია“ (ქოლობანი).

კორცხელონი – ერქვა ტყეს საცლომაიოში. რესპ. ა. ცლომაია (85 წლის): „ათაქი თინწკმა კორცხელი ნოჩე, ვითოხუთი დღას ნოკვათუენა ართი ჭყონს, ქედონთხაფე დო აბაშას ხოლო ქედუხარზალუაფუ“. კორცხელი, კორჩხელი ეკალდიჭია. აღ. ქობალია: „კორცხელი – მოკვერცხილი, თავკვერა (მთა); გუმბათოვანი (ტაძარი); მაგარი, ფიცხელი ნიადაგი“. შდრ. მისივე: „კორჩხელი – ეკალ-დიჭი; ჩახლართულტოტებიანი ხე; ჯავნარი...“ (აბაშა).

კორძახიაშ ნაცალა „კორძახიას ნაკაფი“ – სახნავი სანოდოში (სუჯუნა).

კოსტაიას ნამოსახლი – სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს (ქოლობანი).

კოსტაის ფშიარები – ტყე შავდელის ნაპირას (მაიდანნი).

კოსტანტილეს წყარო – წყარო მამულონში (მაიდანნი).

კოსტას წყარო – წყარო კოვხასა და წყაროს შუა (გულუხეთი).

კოტორული – მინდორი რიყეში, ცხენისწყლის ნაკა-
ლაპოტართან. მაღალმიწის ნაწილია. სიტყვა „კოტორს“
სალიტერატურო ქართულსა და ქართულის დიალექტებში
მრავალი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მეგრულში აღნიშნავს
მხოლოდ ტანმოკლე, დაბალ კაცს და ამ მნიშვნელობით
მეტსახელადაც შეიძლება ქცეულიყო (სამიქაო).

კოლური – სახნავეები სარურუოში. კოლუა (გვარსახე-
ლი) → კოლური „ის, რაც ეკუთვნოდა კოლუას“. ამოსავალი
შეიძლება იყოს პირსახელი კოლაც (სეფიეთი).

კოჩნოდველი – 1. სახნავი კოდორეში. ნიშნავს: „კო-
ჩოს ნადები (ყანა)“. (გამოდმა ზანათი); 2. ტყე რიონის
მარჯვ. ნაპირზე, მდინარის რკალში. არხმა შუა გაყო. კოჩო
პირსახელია; **ნოდველი** – ყანად ნადები, ნაყანევი (სუჯუნა).

კოწახური//კვაწახურები – სახნავი კოვზას მარცხ.
მხარეს. კოწახური კენკროვანი მცენარეა, ეკლიანი. იზრდე-
ბა ველად. ნაყოფი იჭმევა. რაჭული ვარიანტია კვაწახური,
მეგრული – კორწოხული. შდრ. ა. მაყაშვილი: „ჩვეულებრი-
ვი კოწახური... მეგრ. კორწოხული“. აღ. ქობალია: „კორწო-
ხული – კოწახური; ტყემალივით მჟავე, უკმეხი, მკვახე
(სიტყვა)“. (მაიდან).

კოწიაშ ნოხორი – სახნავი რკინიგზის ხაზთან (საბო-
კუჩავო).

კოხნარიშ ფართობი – სახნავი ქორისუბნის საზღვარ-
თან. კოხნარი სოფელია ჩოხატაურის რ-ში (გულეიკარი).

კუკულური – ღელე, არხი. იგივე ნაკუკულგ (სუჯუნა).

კუკუნიაშ ნაწისქვილუ – მინდორი ზანის ნაპირას. კუ-
კუნია კაცის სახელია (სეფიეთი).

კურდღელია – სახნავი შავღელის მარჯვ. მხარეს,
უდანოსა და ბახვაჭალას შუა. რესპ.: „უღრანი ტყე-მუხნარი
იყო და კურდღელი იცოდა“ (გაუწყინარი).

კუტაეწერი „მოკლე ეწერი“ – 1930 წელს „კუტა-ეწე-
რი“ იყო სოფელი (107 კომლი, 479 სული) მარნის სას. საბ-
ჭოში. ამჟამად უბანია ტყემალასა და გაუწყინარს შუა
(პირველი მაისი).

კუციაშ კარე – სახნავი თელაფონთან (კეთილარი).

კუციაშ უკახაღე „კუციასუკან“ – მორვეი აბაშაზე, ზანის შესართავთან. კუცია გვარსახელია (ძველი აბაშა).

კუციაშ ფონი – ფონი რიონზე (კეთილარი).

კუციეფიშ ნოხორი – სახნავი მანიშორში (გამოდმა კოდორი).

კუჭაგების ნამოსახლარი – ერქვა საძოვარს. დაფარა სატბორემ (ქოლობანი).

– ლ –

ლაღიმიაშ ვეხი//ვერხიშჯინჯი – საჩრდილობელი ხე ტურაკეში. ვე(რ)ხი ვერხვია. ლაღიმია ← ვლაღიმერი (გამოდმა ზანათი).

ლავერენტიშ მაღალი – სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს (აბაშა).

ლავერენტიშ ნოხორი – სახნავი კაპანაში (აბაშა).

ლანჯონა „კოპიტნარი“ – სახნავი სოფ. ველიდკარის საზღვართან (სეფიეთი).

ლარვენტიაშ ნოხორი – მინდორი სახოშტარიოში. ლარვენიტი ← ლავერენტი. ქართულიდან (და ნებისმიერი სხვა ენიდან) შემოსულ საზოგადო თუ საკუთარ სახელში რ აუცილებლად გადადის წინა თანხმოვნის წინ (სუჯუნა).

ლარმოლა – სახნავი. იგივე. ნარმოლა (მარანი, თხმე-ლარი).

ლასარესქუაღეფიშ ნოხორი – სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს. ლასარესქუა ლასარეიშვილის (16 კომლი სოფელში) არაოფიც. ვარიანტია (ცილორი).

ლაქაშონა – ტყე-ჭაობი. იგივე ოლაქაშე (გამოდმა ზანათი).

ლაჯონა „კოპიტნარი“ – 1. საძოვარი დაჭუს ნაპირას, ნაესაკაოს საზღვართან (აბაშა); 2. სახნავი სოფ. მუორე ეწერის საზღვართან, სადაც დაჭუ და ნოდელა ერთვიან რიონს (გამოდმა კოდორი); 3. სახნავი სოფ. სახოშტარიოს საზღვართან (აბაშისპირი).

ლევა(ნიშ)ნოხორი – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს, სანადარეიშვილოში (ონტოფო).

ღევანიშ ოისირე – ბუჩქნარი ნოდელასა და ჭითა ღელეს შუა. ოისირე „საისლე“ (სეფიეთი).

ღევარსამის შემოკავებული – სახნავი მაღალმიწასთან. ესაზღვრება გულუხეთს (სამიქაო).

ღეონტიშ წყურვილი – წყარო შქაიფონში (სეფიეთი).

ღეოს ფონი – მორევი ცხენისწყალზე. ღეოს აქ ფონი ჰგონებია და გადასვლა მოუნდომებია. იხრჩობოდა და გადაარჩინეს (გეზათი).

ღეოს წყარო – წყარო-ნაკადული გოგავენების უბანში, ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი (გეზათი).

ღეუავები//ღეუავების უბანი – უბანი ქოლობნის გუგუნაქათის საზღვართან. ცხოვრობენ ღეუავები. მათი ძირითადი განსახლების რეგიონია იმერეთი. რესპ.: „ჯიხაიშიდან ჩამოსულა ორი ძმა – ღასია და ბასია. ჩვენ მისი შთამომავლები ვართ“ (გუგუნაქათი).

ღეფონი//ღელ(ვ)ფონი//ღუღფონი – ბუჩქნარი ნარნეს მარცხ. ნაპირას, ანჯეღამდე. რესპ.: „ფონი აქ არ არის, მაგრამ „ღეფონი“ კი იხრდება“. **ღეფონი, ღიფონი** – ღაფანია, ხოლო ღუღფონი – ღელვის ფონი (გულეიკარი).

ღეფსური – ერქვა სახნავს ბექობზე, ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. წაიღო წყალმა. სავარაუდოა: ღეფსაია (გვარსახელი) → ღეფსური „რაც უწინ ღეფსაიას ეკუთვნოდა“ (მარანჭალა).

ღეფსურის საბო – ფლატე ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე და მორევი ამ ფლატის ძირას (მარანჭალა).

ღელ(ვ)ფონი – ბუჩქნარი. იგივე ღეფონი (გულეიკარი).

ღეხვირი – სახნავი იქმოდეიშვილების უბნის განაპირას (მაიდანი).

ღოღლუაშ მუხურე – სახნავი. იგივე ნარამუა (ცილორი).

ღომნოსორი – მინდორი სახომტარიოში, ცუდღარის მარცხ. მხარეს. აღმ-ით ესაზღვრება ნორიო, დას-ით – წაღიკარი. ღომინ გუგუშვილის ნასახლარი ყოფილა (სუჯუნა, ნორიო).

ლორთქიფანიძის ფართობი – სახნავი. იგივე ნავენახარი (ქვიშანჭალა).

ლორთქიფანიძის შამოკაგებული – სახნავი გომახში (გაუწყინარი).

ლოჩოშვილები – მიკროუბანი. წინაპრები გელათიდან ჩამოსულან. პიროვნება ძირითადად აღინიშნება კილით, რაც საოჯახო სახელია: რაჯაბი (შავი იყო), კავჩხა (კავი დაჩხა, რომ ვერ ააწყო), ქვახეთქელა (თავზე ბრტყელი ქვა დასცემია და გატეხილა), მეტყულია (ტყულის თქმა ყვარების), კაბუცა და სხვ

ლუკაშ კარე – სახნავი სოფლის დასახლების შემოგარენში (გაღმა კოდორი).

ლულონა „ლეღვნარი“ – სახნავი ნოტეხის გაგრძელებაზე, მდ. აბაშის მარცხ. ნაპირზე (გამოდმა ზანათი).

ლულფონი – ბუჩქნარი. იგივე ლეფონი (გულეიკარი).

ლულჯინჯი „ლეღვისძირი“ – მორევი მდ. აბაშაზე (გამოდმა ზანათი).

ლუხური – სახნავი კოვზას ორივე მხარეს. იშვიათი ვარიანტი: როხული (გეზათი, ქოლობანი).

– მ –

მაიღანი „მოედანი“ – 1. სოფელი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას, ონოლიასა (მარტვილის რ-ნი) და სამიქაოს შუა. ჩრდ.-დას-ით საზღვარია მდ. ნოღელა. რესპ.: „მაიღანი თავდაპირველად ერქვა საბურთაო ვაკე-მოედანს. სოფლის სახელწოდებად მერე იქცა“. იყოფა: ზედა მაიღანი, ქვედა მაიღანი (აბაშის რ-ნი); 2. ვაკე-სახნავი ზანის მარცხ. მხარეს, ნადოხორის აღმ. გაგრძელებაზე. არაბული მაიღან „მოედანი“ ქართულიდანაა შეთვისებული მეგრულის მიერ (ძველი აბაშა).

მაიის წკობი – სახნავი რიონის ნაპირზე. რესპ.: „წყალში ვიწროდ შეჭრილი ნახევარკუნძულია. ეკუთვნოდა მაიას“. **წკობი** – წაწვეტებული რამე, მაგალითად, მიწის ნაკვეთი. აღ. ქობალია: „წკობი – კობი შუბლისა: წამახული წვერი რისამე“ (გაუწყინარი).

მაღონის ყანა – სახნავი კურდღელიაში. რესპ.: „მაღონი იყო აბესალომ ფირცხალავას მეტსახელი“ (გაუწყინარი).

მამულონი – სახნავი შავღელის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ყურძნის ადგილი იყო. ამიტომაცაა მამულონი“ (მაიდანი).

მან(ი)ჩაშ ნაკარუ – მინდორი ნოდელის მარჯვ. მხარეს, მანჩაშ მონძვიროთან. მანჩა, მანჩა ← მანუჩა ← მანუჩარი (აბაშა).

მანეშო//მანიშორი – ფართო ველი (100 ჰა). მოუყვება რიონის მარჯვ. ნაპირს რამდენიმე კმ-ზე (გამოდმა კოდორი, ნაესაკაო).

მანიშორი – ფართო ველი. იგივე მანეში (გამოდმა კოდორი, ნაესაკაო).

მანჩარიშ ოთხირე – საძოვარი ნოდელის მარჯვ. მხარეს. მანჩარი ← მანუჩარი (აბაშა).

მანჩაშ მონძ(ე)ირი – მორვეი ნოდელაზე, კვათანაში. რესპ.: „წყარი გუთულანსე დო ინანთხუჟ“. მართლაც, აქ ნოდელას მოსახვევი აქვს და ყოველი წყალდიდობისას წყლისპირის მიწა ინგრევა, იქცევა. მანჩა პირსახელია (← მანუჩარი). მონძვირი „მონძრეული, მორყეული“. შდრ. აღ. ქობალია: „მონძრია, მონძრეობა – მონძრევა, მორყევა“ (აბაშა).

მანჩაშ საბო – ბექობი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე (ნაესაკაო).

მანცხვარი „მაცხოვარი“ – 1. ნაეკლესიარი საჭატურითში, სადაც უწინ მაცხოვრის ეკლესია მდგარა (მანცხვარკარი); 2. ნაეკლესიარი საუჩანეიშვილოში (გამოდმა ზანათი).

მანცხვარი//ტყვირიშ ოხვამე – ეკლესია ნაცხენწყარუს მარცხ. ნაპირზე. აგურისაა. თავად ქველი ჭილაძეს აუშენებია XIV-XV სს. მიჯნაზე, ხოლო ორი ეკვდერი მიშენებულია XVII ს-ში. ხატებზე შემორჩენილია მხედრული წარწერები. ტყვირის მაცხოვრის ეკლესია მრავალგზისაა დასახელებული XIX ს-ის ეკლესიების აღწერის მასალებში (იხ. ჭითანავა, 2000, გვ. 58, 61, 507). (ტყვირი).

მანცხვარკარი – სოფელი მდ. აბაშის მარცხ. მხარეს, ძველ აბაშასა და საბოკუჩავოს შუა. თავდაპირველად ერქვა დასახლებულ უბანს მანცხვართან. 1939 წელს კომკავშირელთა ინიციატივით დაერქვა განათლებისკარი (//განკარი), ისტორიული სახელი აღდგენილ იქნა სსრკ-ის დაშლის შემდეგ. მაცხოვრისკარის მაცხოვრის ეკლესია დასახლებულია 1838 წლის „სამეგრელოს ეპარქიის“ ეკლესიათა შორის (ჭითანავა, 2010, გვ. 56, 67, 484). მაცხოვრისკარში დაფიქსირებულია წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარიც (იქვე, გვ. 497). (აბაშის რ-ნი).

მანცხვარჭალე – სახნავი საუჩანეიშვილოში, აბაშის ნაპირას, მანცხვართან (გამოდმა ზანათი).

მაჟია ონტოფო – სოფლის ნაწილი. იგივე მეორე ონტოფო (ონტოფო).

მარაგანი/ნამარაგანუ – ნამდინარევი. მარაგანი გადიოდა სადანელიოში და ერთოდა აბაშას გიძე მიდორთან. ზედ იყო წისქვილები (გადმა ზანათი).

მარანი – სოფელი ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე. ჩრდ-ით ესაზღვრება მარანჭალა, სამხრ-ით – პ. მაისი და თხმელარი, დას-ით – ტყვირი (აბაშის რ-ნი).

მარანჭალა – სოფელი მარნის თ/ს-ში (აბაშის რ-ნი).

მარიამიშ ნანწყვი – მორევი ზანაზე. ნწყუალა „ჩაიძირვა“ → ნანწყვი „ჩანაძირი“. მარიამიშ ნანწყვი „სადაც მარიამი ჩაიძირა“ (სეფიეთი).

მარიამიშ ოისირე – ბუჩქნარი ნოდელასა და ჭითა დელეს შუა (სეფიეთი).

მარკოზიაშ მუხურე – 1. სახნავი; იგივე მარკოზიაშ ნოცონი (მანცხვარკარი); 2. სახნავი ჯაპანასთან, უჩა დელის მარჯვ. მხარეს. მუხური „კუთხე, მხარე“ (უფრო ზუსტად: „მდინარის რკალში მოქცეული, ან კლდისძირას მომწყვდეული ვაკე“). (ძველი აბაშა).

მარკოზიაშ ნოცონი/მარკოზიაშ მუხურე – სახნავი ბაკარიადელესა და წისქვილიშ ტეხურის შესართავთან (მანცხვარკარი).

მარნაშ ნახაჯუ – სახნავი უჩა ღალის მარცხ. მხარეს. რესპ.: „მარნა გვარი იყო. ახლა მარღანიად ან მარღანაძედ იწერებიან“. ნახაჯუ „ნაცერცვალი“ (სუჯუნა).

მარნის გორა – საძოვარი სოფ. მარნის საზღვარზე. აქ გორა აღნიშნავს საზღვარს (თხმელარი).

მარჭიხოლიშ დიხა – სახნავი ჩიტურთან, სახოსტარის საზღვარზე. მარჭიხოლი მერცხალია. რესპ.: „მარჭიხოლს მეუღუნია დიხა ცუდეშ ოკეთებელო. ჩე დიხა რე, ჭაბუჯგუა“ (ნორიო).

მასაიაშ ნაგორდოუ – მორევი აბაშაზე, ნარამუსთან. მასაია კუპრავას აქ ჩადგმული ჰქონია გორდოუ – თევზის საჭერი მოწყობილობა, იგივე კუნო (ძველი აბაშა).

მასხარაშვილების მამული – სახნავი შაველელს მარცხ. ნაპირზე (გულუხეთი).

მასხარაშვილების საბანაო – ერქვა საბანაო ჩქერს კოვზას წისქვილის არხზე (გულუხეთი).

მასხარაშვილების სამანი – სახნავი. იგივე სამანი (გულუხეთი).

მასხარაშვილების ტყე – საძოვარი რუსიების უბანში (გულუხეთი).

მასხულიაშ ნოდიხე – საძოვარი საკატრაოში. მასხულია მცირერიცხოვანი გვარსახელია (იხ. ცხადია, 2000, გვ. 109). (აბაშა).

მაქსიმეს თხილები – სახნავი ბეგებში (გულუხეთი).

მაქსიმეს ფშიარი – ტყე წყაროთავეში (მაიდან).

მაქსიმის ფონი – საბანაო მორევი ნოღელაზე (მაიდან).

მაღალი – საძოვარი სახურცილოში (წყემი).

მაღალი დობერა – სახნავი ნოღელის მარჯვ. მხარეს, საზიარო სოფ. ონტოფოსთან (ძველი აბაშა).

მაღალკოდორე – საძოვარი, კოდორეს ნაწილი (აბაშა).

მაღალმინდორი – მინდორი ნოღელას მარჯვ. მხარეს, კვათანაში (აბაშა).

მაღალმიწა – სახნავი რიყისთავსა და კატარეებს შუა (სამიქაო).

მაღალნაფაცხენი – სახნავი რიონის მარჯვ. ნაპირზე. დაბალნაფაცხენთან შედარებით ცოტათი შემადლებულია. იხ. ნაფაცხენი (ტყვირი).

მაღალსაპერტენა – საძოვარი ცუდღარის მარცხ. ნაპირზე, ქალაქ აბაშის (კაპანის უბანი) საზღვართან (ძველი აბაშა).

მაღალსილა – ერქვა ბორცვს ანჯერში, კაცობურთან. რესპ.: „ქარისგან იყო მოსილული“ (გაღმა კოდორი).

მაღვალური – სახნავი. იგივე ოღალური (ბულვანი, ტყვირი).

მაღლაჭალა – სახნავები ცხენისწყლის ჭალაში, დაბლაჭალის ზემოთ (მდინარის დინების მიხედვით). (პირველი მაისი).

მაშაშ დისა – ჩაის ფართობი ჭითა ღელეს მარცხ. მხარეს (სეფიეთი).

მაჩარკა – საძოვარი, ქვაგნარი ნოდელის მარცხ. მხარეს. კოდორემდე. რუს. *мочалка* (ქართ. ლუფა, ნეჭა) მეგრულში შემოვიდა ზეპირი გზით როგორც მაჩარკა. შდრ. ს.-საბა: „ნეჭა – სუფთა ჭილობი“; ნ. და დ. ჩუბინაშვილები: „ნეჭა – სუფთა ჭილობი (ნახე ჭილობთან““. იშვიათი ვარიანტი: მაჩარგა (აბაშა).

მაჩიანოხორი – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს (ონტოფო).

მახაფიაფონი – ფონი ნარნეზე, ჟიპიჯთან. უწინ ღრმა წყალი ყოფილა და მახაფიას (პირსახელი უნდა იყოს) აქ ბორანი ჰქონია გამართული (კეთილარი).

მგელადის კოვზიპირი – სახნავი კოვზას მარჯვ. ნაპირზე (გულუხეთი).

მგელადის ნაწისქვილარი – მინდორი კოვზას ნაპირას (გულუხეთი).

მგელადის ყანები – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (გულუხეთი).

მეანჯერეშ პარონი – ფონი. იგივე ჩეჩონაშ პარონი (კეთილარი).

მეგელეშური – სახნავი მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს. -შური იგივეა, რაც იმერ. -სეული „საზიარო, ზიარი“. **მეგე-**

ლე პირსახელი ჩანს. შდრ. ი. კეკელია: „შესაძლებელია ტოპონიმი ორმაგი სუფიქსაციით იყოს მიღებული: მეგელე-ში → მეგელე-შ-ურ-ი (კეკელია, სეფიეთის ტოპნიმია, გვ. 28). (სეფიეთი).

მეიევიშ ნაოხვამუ – სახნავი. იგივე ნაოხვამუ (სეფიეთი).

მელენკოდორი – სოფ. გაღმა კოდორის სახელწოდების მეგრული ვარიანტი (გაღმა კოდორი).

მელენსაქორჩილაო – მიკროუბანი. იხ. საქორჩილაო (აბაშა).

მელენჭალე/გაღმა ჭალა – სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს, სოფ. ონტოფოს საზღვართან (ძველი აბაშა).

მელიაშ შანი – დღევ. იწეება სოფ. ძველ აბაშაში, გაედინება ესაკეთის გვერდით და ერთვის აბაშას საახობადოსა და საუჩანეიშვილოს შუა. მელია გვარსახელია. იხ. (ყ)შანი (გამოდმა ზანათი).

მელიაშ წყურგულე – წყარო წისქვილიშ ტეხურის მარჯვ. ნაპირზე, სამელიოში (წყემი).

მელიევიშ ნაწისქვილე – მინდორი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე. მელია გვარსახელია (ძველი აბაშა).

მელინციაშ დიხა – სახნავი მოჭვირთან. მელინცია „მილიცია“ (კეთილარი).

მელტოს ნაეზვარი – საძოვარი ნოდელის ნაპირას (გეზათი).

მელტოს ნაქონი – ტყე კოვზასა და შავდელეს შუა (გულუხეთი).

მელტოს ტყე – ტყე დიდ კოვზას მარჯვ. მხარეს (მაიდანნი).

მეორე ეწერი – სოფელი რიონსა და სუჯუნას შორის, ნორიოსა და ნაესაკაოს საზღვართან (აბაშის რ-ნი).

მეორე ილორი – ერქვა სოფელს ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე, უწინდელი სოფ. საჭილაოს ნაწილი. იგივე გამოდმა ილორი (იხ.). (მარანჭალა, მარანი).

მეორე ონტოფოლ/მაჟია ონტოფო – სოფ. პირველი ონტოფოს ნაწილი ძვ. აბაშის საზღვართან, ნოდელის მარჯვ. მხარეს (ონტოფო).

მეორე წყალი – ცხენისწყლის ტოტი პირველ ტოტსა და მესამე ტოტს შუა (სამიქაო).

მესამე წყალი – ცხენისწყლის ტოტი ტანწყალსა და მეორე წყალს შუა (სამიქაო).

მესხიაშ დაბალი – სახნავი მცირე და წაგრძელებულ ჩადაბლებაზე, კადარობაში (გაღმა კოდორი).

მესკალი – სახნავი მდ. აბაშის მარცხ. მხარეს. უწინ აქ მდგარა მეხ(ი)კალი „ნეკერჩხალი“ (აბაშის რ-ნი).

მთავარანგელოზის ეკლესია – ნაეკლესიარი, სასაფლაო ბექობზე. ეკლესია ხისა იყო. ამჟამად აქ დგას ჯვართამაღლების ახალი ეკლესია (მარანჭალა).

მიმინოსქუალეფიშ ნოხორი – სახნავი მანიშორში (გამოღმა კოდორი).

მიმინოსქუალეფიშ ნოხორი – სახნავი ფიხორის მარჯვ. ნაპირზე, სოფ. ჭყონაგორის საზღვართან (კეთილარი).

მინდორა – სახნავი სახოშტარიოში. ცუდღარის მარცხ. მხარეს (სუჯუნა).

მინდორიშ დიხაზურგა – ბორცვი. იხ. დიხაზურგე (გამოღმა ზანათი).

მისარონიშ ოხვამე – ნაეკლესიარი საკორძახიოში. **მისარონი** საქონლის მფარველი წარმართული ღვთაებაა, რომელსაც ქრისტიანობის გაბატონების შემდეგ ეწოდა ჯეგე-მისარონი და გაიგივებულ იქნა წმ. გიორგისთან. ჩვენს აზრით, მიუღებელი ჩანს ასეთი მსჯელობა: „ღიალექტური სახელებისა და რიტუალების შედარებისას ნათელი ხდება, რომ მისარონი//მეისარონი, იგივე ნირსა//მირსა, უნდა ნიშვანდეს წმ. გიორგი მოისარს“ (აბაკელია, 1999, გვ. 300), თუმცა კი აღმოსავლური მითრა (→მისრა →მირსა) ღვთაების ზოგი ნიშანი ქრისტიანულ ღვთაებებზეა გადმოსული (ძველი აბაშა).

მიქაძეები//მიქაძეების ქუჩა – მიქაძეების უბანი კოვზას ორივე ნაპირას. რესპ.: „ცხოვრობენ მიქაძეები. მათი მეტსახელებია (კილები, ანუ საგინებელი): ჩითა (კარტის თამაში უყვარდა); ფრიალი (მარჯვე კაცი იყო), ბაღდო (ბაღდოსავით ბავშვი იყო, ე.ი. მსუქანი). მიქაძეები სულთა რაოდენობით ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია საქარ-

თველოში (4950 სული, 81-ე ადგილი). სამეგრელოში ფართოდაა გავრცელებული აბაშის, სენაკისა და ხობის რაიონებში (ადგ. ვარიანტი მიქანძე იშვიათად ოფიციალური გვარიცაა). 1996 წელს სამიქაოში მკვიდრობდა 137 კომლი მიქაძის გვარისა (სამიქაო).

მიქაძეების ფშიარი – ტყე ცხენისწყლის კუნძულზე (მაიდან).

მიქაძეების ქუჩა – უბანი. იგივე მიქაძეები (სამიქაო).

მიქაძის ნაწისქვილარი – მინდორი კოვზას ნაპირას (გულუხეთი).

მიქელაიაშ ნაწისქვილუ – მორევი ნოღელაზე, კვანანაში (აბაშა).

მიქელაძე/მიქელაძისეული – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (ქლოლობანი).

მიქელაძეშ ნოხორი – სახნავი ნოღელის მარცხ. მხარეს (ნაესაკაო).

მიქელაძისეული – სახნავი. იგივე მიქელაძე (ქლოლობანი).

მიქელური – სახნავი კოვზას მარჯვ. მხარეს, ბეგსა და ქურდაძეებს შუა. მიქელა (პირსახელი) → მიქელური „მიქელას კუთვნილი წარსულში“ (სამიქაო).

მიხას კოპიტები – სახნავი რუშიპირებში (მარანჭაღა).

მიხაშ ფონი – ფონი. იგივე ჯვეშ ფონი (აბაშა).

მიხელის წყარო – წყარო ნოღელის მარცხ. მხარეს (მაიდან).

მიხელიშ ნოხორი – 1. სახნავი ვახანაში (აბაშა); 2. ტყე ობერგულეში (გამოდმა კოდორი).

მოთოთი – უბანი. იგივე იქმოდეიშვილების ქუჩა (მაიდან).

მოლენსაქორჩილაო – მიკროუბანი. იხ. საქორჩილაო (აბაშა).

მოლენჭაღე/გამოდმა ჭაღა – სახნავი ნოღელის მარჯვ. ნაპირზე (ძველი აბაშა).

მოლენსაბო – ფლატე რიონის მარცხ. ნაპირზე (გაღმა კოდორი).

მონია – მორევი. იგივე ჭითა ძერწი (სეფიეთი).

მონიაშდუდი – მორევი ზანაზე, შქასოფელში. რესპ.: „მონიას ორთე წყარი, იტრიალგ“. **მონია** წყალტრიალა მორევი. შდრ. გურ. „ბრუნაო“ (ძველი აბაშა).

მონიო – 1. მორევი ცხენისწყალზე. დასავლურქართულ დიალექტებში მონიო ეწოდება მორევს, სადაც წყალი ბრუნავს, ტრიალებს. რესპ.: „აქ წყალი ტივსაც კი ატრიალებს“ (მარანჭალა); 2. მორევი რიონზე, ჯაპანასთან. რესპ.: „მორევი წყალტრიალა იყო და ერიდებოდნენ, ბავშვებს გვაფრთხილებდნენ, არ შეხვიდეთო“ (ქვიშანჭალა).

მორთუ – მორევი ნოდელაზე, პირველ ონტოფოში. მორთუ, მართუ მეგრულში ნიშნავს იმავეს, რასაც გურულში ბრუნაო, ე.ი. წყალტრიალა მორევი (ონტოფო).

მოსიაფონი – ფონი ცხენისწყალზე. მოსია გვარსახელია, ძირითადად ზუგდიდისა და აბაშის რ-ნებშია გავრცელებული (ქლოლობანი).

მოსიაფონის წისქვილი – ნაწისქვილარი ცხენისწყლის ნაპირას (ქლოლობანი).

მოდვალური – სახნავი. იგივე ოდვალური (ბუღვანი).

მოჭვირი „ნახანძრი, მომწვარი“ – სახნავები ანჯერში. რესპ.: „ტყე გადაუწვავთ და სახნავებად უქცევიათ“ (კეთილარი).

მუმულიშ ნაყიდერა „მამლის ფასად ნაყიდი“ – სახნავები სუღირსა და დობერაში (ძველი აბაშა).

მუმულნაყიდერი – სახნავი საჭატურიოში. უწინ ტყე ყოფილა. მამლის ფასადაა ნაყიდი (მანცხვარკარი).

მურზაშ ნაცალა „მურზას ნაკაფი“ – სახნავი დიხა-ზურგესთან (სუჯუნა).

მურზახოკის შემოკაგებული – სახნავი ზედა მაიდანში. ხოკია, საერთოდ, გვარ მიქაძის „კილია“. მურზა მამაკაცის სახელია (მაიდანი).

მურხვია – სახნავი ცუდღარის მარცხ. მხარეს, ნათიფურეს პირდაპირ. რესპ.: „მურხვია უწოდეს პატარა ექსკავატორს, რომელიც 30-იან წლებში აქ თხრიდა არხს ცუდღარიდან რიონამდე. მურხვი მეგრულში თხუნელაა“. შდრ.

აღ. ქობალია: „**მუხვი** – თხუნელა, **მუხვია** – თხუნელას თვისებისა“ (სუფუნა).

მუქერიების ყანები – სახნავეები რუშის ნაპირას. მუქერია გვარსახელია. ძირითადად გავრცელებულია სამტრედიის რ-ში (მარანი).

მულურული – სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „მულურული დიხა რე ფუშუტია დიხა, ტუტაცალი, წყარიშ მენადელი“ (აბაშა). შდრ.: ჯვარზენში (წალენჯიხის რ-ნის დაბა ჯვარში) მულურონი ერქვა ჭაობს.

მუხიანი – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, ნარამოსთან (გეზათი).

მუხისძირი – მინდორი ქოლობნის ცენტრსა და საქაჯაიას შუა (ქოლობანი).

მუხურე – სახნავი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე. რესპ.: „მდინარის რკალში იყო მოქცეული“ (ნაესაკაო).

მუხური – სახნავეები პალოტის ნაპირებზე (გამოდმა ზანათი).

მუხურში ტობოლო – 1. ტობორი ნოდელის ნაპირას, სადაც უწინ მდინარეს რკალი ჰქონდა და გაასწორეს (ნაესაკაო); 2. ნატბევი. იგივე ტობოურე (ცილორი).

მუხურფონი – ფონი ნოდელაზე, მუხურესთან (ნაესაკაო).

– 6 –

ნა[ა]კა – ერქვა ტყეს ჭითა დელეს მარცხ. მხარეს. სვან. ნაკ „ვაკე“ წარმოადგენს ლექსიკურ სუბსტრატს მეგრულში და მეორდება რამდენიმე ტოპონიმში. შდრ. აღ. ქობალია: „ნაკა – ვრცელი, ნათელი მინდორი“ (რედაქტორის შენიშვნა: მეგრ. ნაკა//ნოკა ქართ. ვაკეს ზუსტი შესატყვისია: ვ : ნ, ა : ო, ე : ა). (სეფიეთი).

ნააბაშუ – სახნავი მდ. აბაშის ნაპირას, ხაშში (გაღმა ზანათი).

ნააბაშუ/ნაუბაშუ – სახნავი აბაშის მარჯვ. ნაპირზე. ნააბაშუ ის ადგილია, სადაც მდ. აბაშა ან მისი ტოტი დიოდა. ძირითადი ფორმაა ნააბაშუ. ხოლო მისგან დისიმილაციით წარმოიქმნა ნაობაშუ (→ ნაუბაშუ). (საბოკუჩავო).

ნაანგურუ „ნაანგურალი“ – 1. მინდორი დიხაზურგესთან (გამოდმა ზანათი); 2. მინდორი საკორძახიოში (ძველი აბაშა).

ნაარაქისო – სახნავი კოდარაში. საბჭოთა პერიოდში აქ მოჰყავდათ არაქისი (გეზათი).

ნაბაკენი – საძოვრები რიონის მარჯვ. მხარეს. უწინ დასახლებული უბანი ყოფილა. რესპ.: „ბაკი საქონლის დასამწყვდევად შემოსზღუდული ადგილია, უსახურავო“. მაშასადამე, **ნაბაკენი** „ნაბაკევი“ (ტყვირი).

ნაბაღვარი – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (გულუხეთი).

ნაბაღო „ნაბაღარი“ – სახნავი სოფ. პირველი მაისის საზღვართან (ქვიშანჭალა).

ნაბოთრღელე – ღელე, დაჭუს მარჯვ. შენაკადი. მოედინება კვათანიდან და ქმნის საზღვარს კოდორთან (მეორე ქვერი).

ნაბო – სახნავი კოვზას ნაპირას, წახარების სათავესთან, ჩორგოლაშვილების უბანში. რესპ. ა. ჩორგოლაშვილი: „ნაბო დაბაღ ადგილს ეწოდება, სადაც ცოტა წყალი დგება“. აღნიშნული ღექსემა არაა შეტანილი აღ. ქობალიასა და ო. ქაჯაიას ღექსიკონებში (სამიქაო).

ნაბოგირალი – სახნავი შავღელის ნაპირას (მაიდანი).

ნაბოინუ – საძოვარი ნოდელის მარჯვ. მხარეს. საკაჭარაოში. აქ ჰქონიათ ნიЙня „სასაკლაო“ → მეგრ. ბოინია (აბაშა).

ნაბოსელო – სახნავი შუბლაძნების უბანში, წყვიას მარცხ. მხარეს (გეზათი).

ნაბოსელუ „ნაბოსლარი“ – სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს (აბაშა).

ნაგუმორი – სახნავი ფიჩორის მარჯვ. მხარეს. გუმორი „გეიმრა“ (კეთილარი).

ნადარეიშვილების უბანი – უბანი კოვზასა და წყვიას შუა (გეზათი).

ნადიდცხენწყარო – ნამდინარევი, სადაც, გადმოცემით, უწინ დიდი ცხენისწყალი მოედინებოდა. მღვდელი კონსტანტინე (კაჭარავა) წიგნში „ესე სოფელი კეთილ

არს“ (2004 წ.) აღნიშნავს: „ცხენისწყლის კალაპოტის ხაზი ონტოფოდან მოყოლებული ტყვირისა და ტობოყოს გავლით კეთილარამდე გრძელდება. ნაცხენისწყლები ნოდელის კალაპოტი კეთილარსა და გულეკარს მიჯნავდა, ეს-ლა კი კოდორსა და კეთილარს შუა ჩადგა“ (გვ. 57). (ონტოფო).

ნადიზელო – სახნავი. რესპ.: „აქ უწინ იყო რუსიების ტყე. იგი ამოძირკვა და მიწა გადააბრუნა დიდმა დიზელის-ძრავიანმა ტრაქტორმა“ (გეზათი).

ნადოლაბარი – სახნავი რიონის ჭალაში, შავდელის შესართავთან. გადმოცემით ნაწისქვილარია (გაუწყინარი).

ნადოხორ(გ) – ბორცვი, სახნავი მდ. ზანის მარცხ. მხარეს. ნადოხორი, საერთოდ, თავადის ნასახლარია (ძველი აბაშა).

ნადოხორუ – სახნავი აბაშის მარცხ. მხარეს, საუჩანეიშვილოში (გამოდმა ზანათი).

ნადუქანი/დუქანკარი – გზათგასაყარი სოფლის ცენტრში (გულეკარი).

ნადუქანუ „ნადუქნევი“ – მინდორი სამელიოში (წყემი).

ნაეზვარები/ეზოობა – ტყე კოდარაში, კოვზას მარჯვ. მხარეს. ეზოობა იგივეა, რაც ეზოები (გეზათი).

ნაეკლესიო – ერქვა საძოვარს ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. წაიღო წყალმა (გულუხეთი).

ნაესაკაო – სოფელი ნოდელის მარჯვ. მხარეს, ქ. აბაშასა და სოფ. გამოდმა კოდორს შუა. ოიკონიმისათვის ამოსავალია გვარი ესაკია. ერთ დროს ესაკიები ამომწყდარან და ნაესაკაოც მაშინ დარქმევიან. ცოცხლად დარჩენილი ორიოდ კომლი გამრავლებულა და ახლა ნაესაკაოში ესაკიები მრავლად არიან (აბაშის რ-ნი).

ნავენახარი/ლორთქიფანიძის ფართობი – სახნავი დასახლებასა და ნატეხს შუა (ქვიშანჭალა).

ნაზავოდარი – სახნავი ცხენისწყლის ჭალაში. რესპ.: „აქ იტალიელებს ჰქონიათ ხეტეის ქარხანა, ორთქლის ქვაბზე მომუშავე“ (მარანჭალა).

ნათიფურე – სახნავი ცუდღარის მარჯვ. მხარეს, მურ-
ხეიას პირდაპირ. **თიფი** – თივა, საქონლის სადგომი. ოთი-
ფურე „სათიბარი“, ნათიფურე „ნასათიბარი“ ან ადგილი,
სადაც საქონლის სადგომი იყო (სუჯუნა).

ნათუნთერა „ნადთვარი“ – საძოვარი სოფ. ნოსირის
საზღვარზე (წყემი).

ნათურქუ – 1. საძოვარი აბაშის მარჯვ. მხარეს, ზუ-
გუსთან. ნათურქუ შეიძლება ნიშნავდეს ნათურქალსაც და
თურქიას (გვარია) ნაქონ ადგილსაც (ძველი აბაშა); 2. მინ-
დორი აბაშის მარჯვ. მხარეს. რესპ.: ა. „თურქი გენობარგუე
ჩხუპიშ დროს“. ბ. აქ გამწყდარა თურქის ჯარი, მამახემს
ახსოვდა თურქების გაქცევა“ (როგორც ჩანს, იგულისხმება
1855 წლის შემოსევა). (წყემი).

ნათხარი – ტბორი, საძოვარი ნახერალას მარცხ. მხა-
რეს, რკინიგზასთან. ფოთის პორტის ასაშენებლად აქედან
გაჰქონდათ ნათხარი მიწა. ამიტომაც დარქმევია (ბულვანი).

ნათხორა „ნათხარი“ – საწისქვილე არხი სადანელიო-
ში (გაღმა ზანათი).

ნაისირუ „ნაისლარი“ – 1. საძოვარი ღანჩარასთან
(ცილორი); 2. საძოვარი ნოღელის მარცხ. მხარეს. რესპ. „აქ
ისლი ება“ (ონტოფო).

ნაიცუ – 1. საძოვარი ნოღელის მარცხ. მხარეს,
წამურჯინჯის გვერდით. რესპ.: „ნოისზრე რდგ დო ცუნჯი
ნოჩქე“. შდრ. აღ. ქობალია: „**ცგ** – თელა; თხა...“ თუმცა კი
არაა შეუძლებელი: ციცუა „საადრეო (სიმინდი და სხვ.)“
→ ნაციცუ „ადგილი, სადაც საადრეო სიმინდი ეთესა“ →
ნაიცუ (აბაშა); 2. სახნავი ტურაკესთან (გამოღმა ზანათი);
3. სახნავი რიონის მარჯვ. ჭალაში (ტყვირი).

ნაკარე(ნი) – სახნავი რიონის ჭალაში. კარე (კარავი
„მწყემის დროებითი სადგომი“) → ნაკარენი „ნაკარვალი“
(ტყვირი).

ნაკართხუ – სახნავი ნაფაცხენის გვერდით, რიონის
მარჯვ. მხარეს (ტყვირი).

ნაკარტახუ/ნაპარტახუ – საძოვარი კაცობურთან.
რესპ.: „შარა მიშგ სირიაჩქონიშა დო ათაქი უღუდუ მგკა-
ტახაფუ, ე.ი. მოსახვევი“. რესპ.: „ნაკარტახუ რიონის მოსახ-

ვევს ერქვა“. იშვიათი ვარიანტი: ნაპარტახუ. მაგრამ: ქართ. პარტახი მეგრულშიც იმავე მნიშვნელობის მატარებელია: „უპატრონო, გავერანებული, გაოხრებული, გაჩანაგებული (ადგილ-მამული, სახლ-კარი)“. (კეთილარი, გამოდმა კოდორი).

ნაკარუ – სახნავი რიონის მარჯვ. მხარეს (ცილორი).

ნაკაშ ჩაი – ჩაის ფართობი ნა(ა)კაში (სეფიეთი).

ნაკებური – სახნავი სადანელიოში, ტეხურსა და ტეხურწყარს შუა. რესპ.: „აქ ჰქონიათ კებური, ანუ კერია“ (გაღმა ზანათი).

ნაკეახირუ – მორევი ზანაზე. აქ დგამდნენ **კეახირს** – თევზის შესაპყრობ მოწყობილობას, მახეს. იგება მდინარეზე. მას გარდიგარდმო გადატიხრავენ, გადაკედლავენ, დაუტოვებენ „თვალს“ (შესასვლელს), რომელიც გადის წრიულ შემოღობილში. თევზი საკვების მოსაძებნად წყლის დინებას მიჰყვება, იქ ემწყვდევა და ხესქერით (ხელბადე) ამოჰყავთ. აღმ. სამეგრელოში ეწოდება **კეახირი**, დას. სამეგრელოში – **კეახილი**. მდინარეზე გადებენ ჭოკს ან ხეს, მას მიაყრდნობენ ჩელტს, რომელსაც გაუკეთებენ ორ გამოსასვლელს და მათ მიუდგამენ გორდოულებს სხვადასხვა მხარეს, რათა შიგ მოიმწყვდიოს როგორც აღმა, ისე დაღმა მოძრავი თევზი (ცხადაია, 1999, გვ. 37-38; იხ. აგრეთვე: ქობალია, 2000). (სეფიეთი).

ნაკიფუ – საძოვარი ანჯერში. კიფი „კანაფი“ → ნაკიფუ (კეთილარი).

ნაკლასო – სახნავი ნოდელასა და საქაჯაიას შუა, სადაც უწინ იდგა გეზათი-ქოლობნის სკოლა და გადიოდა „რუსის გზა“ (ქოლობანი).

ნაკრძალი – ტყე-ნაკრძალი. იგივე დაბალტყა (წყემი).

ნაკუკულუ//კუკულური – სახნავი, არხი სოფლის დას. ნაწილში. იწყება თარანგილოზის ოხვამესთან, გადის სახომტარიოში (სუჯუნის ს/ს) და ერთვის ცუდლარს მარცხნიდან. გვარი კუკულავა ძირითადად გურიაშია გავრცელებული (სულ საქართველოში 295 სული). როგორც ჩანს, ერთი კუკულავა აქაც ესახლა (ნორიო, აბაშისპირი).

ნამადენო – მინდორი. იგივე ნამადენუ (სამიქაო).

ნამადენუ/ნამადენო – მინდორი, ცხენისწყლის ტოტი რიყეში, დავითის ფშიარების გვერდით (სამიქაო).

ნამანდარინო „ნამანდარინევი“ – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (გულუხეთი).

ნამანდარინუ – 1. სახნავი გოგიშვილების უბანში (მარანი); 2. სახნავი მდ. აბაშის მარცხ. ნაპირზე, რჩქონთან (გამოდმა ზანათი); 3. სახნავი სანოდიოში, სადაც მანდარინის ნარგავები იყო (გაღმა ზანათი).

ნამანცხვარუ – მცირე ბორცვი, ნაეკლესიარი საგუნისა და ძიგურში, საბესელიოს საზღვართან (გაღმა ზანათი).

ნამარ(ა)ნუ – სახნავები ფიხორის მარჯვ. მხარეს. შუაშია ხელოვნური ბორცვი, თხრილშემოვლებული. საზიარო კეთილართან. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ეს „ნამარნუ“ უძველესი კოლხური ნამოსახლარია, რაც ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში გაუნადგურებიათ კიმერიელებს. ნამარანუს გათხრებზე იხ.: გ. გრიგოლია, №33, 1973; პაპუაშვილი, 1987; ჭითანავა, 2010, გვ. 518; მღვდელი კონსტანტინე, 2004, გვ. 8-18). (გაღმა კოდორი).

ნამარაგანუ – ნამდინარევი. იგივე მარაგანი (გაღმა ზანათი).

ნამარილევი – საძოვარი კოვზასა და ნოდელას შუა (სამიქაო).

ნამასუ – ტყე, გზა ცუდლარის ორივე ნაპირას. გზა გადიოდა სანოდიოდან რიონამდე (სუჯუნა).

ნამეხერა „ნამეხარი“ – სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს, სოფ. ძვ. აბაშის საზღვართან (ონტოფო).

ნამოსახლარი – სახნავი სოფ. ქოლობნის საზღვართან (პატარა გეზათი).

ნამოსახლები – 1. სახნავები ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (გულუხეთი); 2. სახნავები დიდკოვზას მარჯვ. მხარეს (მაიდანი).

ნამოსახლი – 1. სახნავი ცხენისწყლის ჭალაში (გუგუნაყათი); 2. სახნავი სოფ. მაიდნის საზღვართან (სამიქაო); 3. სახნავი კვაწახურებში (მაიდანი).

ნამოსახლის ღელე – ღელე, ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი (სამიქაო).

ნამოცოროდები//ნამოცოროხები – სახნავეები თბილის-პირში. მოცოროდი ღომია ერთგვარი. ამბობენ აქ ითვისებოდაო. ს.-საბა: „მოცოროხი – შვიდკვირია ღომი თუ ფეტვი“; ქეგლ-: „მოცოროხი – საადრიო (სიმინდი)“. ალ. ქობალია: „მოცოროხი – მომცრო; ღომისა და სიმინდის ჯიში, ე.წ. შვიდკვირია...“ (სამიქაო, მაიდან).

ნამოცოროხები – სახნავეები. იგივე ნამოცოროდები (მაიდან, სამიქაო).

ნამწარეული – ერქვა სოფელს. იგივე ნანწარაული. 1846 წლის საეკლესიო საბუთში დასახელებულია: „საჭილაო, ნამწარეულის წმ. გიორგის ეკლესია“ (ჭითანავა, 2010, გვ. 61. იხ. აგრეთვე გვ. 58). ეკლესია ორპირიდან სოფ. ნამწარეულში გადაუტანიათ რიონის წყალდიდობის შიშით (იქვე, გვ. 505). (პირველი მაისი).

ნამწარეულის ეკლესია – ნაეკლესიარი. იგივე ნანწარეულის ეკლესია (პირველი მაისი).

ნამწერაული – ერქვა სოფელს. იგივე ნამწარეული (პირველი მაისი).

ნანოხორჯ – სახნავი ნოღელის მარჯვ. მხარეს (აბაშა).

ნანწარაული//ნანწარეული//ნამწარეული//ნამწერაული – ერქვა სოფ. პირველ იღორს, რომელსაც საბჭოთა პერიოდში პირველი მაისი ეწოდა (პირველი მაისი).

ნანწარეული – ერქვა სოფელს. იგივე ნანწარაული (პირველი მაისი).

ნანწარეულიმიდორი – მინდორი ნანწარეულთან (მარანი).

ნანწარეულის ეკლესია – ნაეკლესიარი. იგივე ნანწარეულის ეკლესია (პირველი მაისი).

ნანწარეულის ეკლესია//ნანწარაულის ეკლესია//ნამწარეულის ეკლესია – ნაეკლესიარი, სასაფლაო ცხენისწყლის მარჯვ. ბექობზე, სოფ. მარნის საზღვართან. ნაწილი წაიღო წყალმა. გ. ელიავა პ. მაისის სას. საბჭოს ტოპონიმთა ჩამონათვალში ასახელებს: „ნამწარეული – უძველესი“.

სი სალოცავი“. აქვე ყოფილა სკოლა. 1897 წელს „ცნობის ფურცელი“ ხალხს აუწყებდა: „სამმა პირმა სოფ. ნამწარეულისამ ორპირის ეკლესიის შენობა დაშადეს და წაიდეს ს. ნამწერაულში... სადაც უწმინდესმა სინოდმა სცნო კანონიერათ გადატანა ეკლესიისა. ეხლა ხალხს ძალიან უკვირს ეს გარემოება და არ იციან, რას მიაწერონ ეს საქციელი“ (ჭითანავა, 2010, გვ. 505). (პირველი მაისი).

ნაონწყუ – წყლიანი ორმო გულებიკარის ჭალაში. ხანდახან ამოშრება ხოლმე. ონწყუ (საფლობი, ჭაობი, ჩანაქცვეი) → ნაონწყუ „ნაჭაობარი“ (კეთილარი).

ნაორტვინუ „ნაბოსტნარი“ – ბორცვი რიონის მარჯვ. მხარეს, ტაფესთან (სუჯუნა).

ნაოღეჯუ „ნასადორალი“ – საძოვარი ნოღელის მარცხ. მხარეს, ბანკიშ დიხასთან (აბაშა).

ნაოჩარი – სახნავი რუშის მარცხ. მხარეს, სადაც უწინ ყოფილა ოჩე – ფართო საბატონო მიწა. ნაოჩარი „ნაოჩეგარი“ (მარანი).

ნაოხვამკარი – მინდორი სანადარეიშივილოს უბანში, ცუდღალსა და ნოღელას შუა (ონტოფო).

ნაოხვამუ „ნაეკლესიარი; ნასალოცავი“ – 1. სახნავი მცირე ბორცვზე, რომელიც ძვ.წ. VIII-VII სს-ის გორა-ნამოსახლარია (კეთილარი); 2. მინდორი, ნაეკლესიარი საახობადოში, აბაშის ნაპირას (გამოდმა ზანათი); 3. სახნავი სადანედიოს ერთ-ერთ ეზოში (გაღმა ზანათი); 4. სახნავი სათოფურიოში (მანცხვარკარი); 5. სასაფლაო სატოტოჩაოს უბანში (პირველი ეწერი); 6. საძოვარი სოფ. წყემის საზღვართან (ძიგური) და სხვ.

ნაოხვამუ/მეიეფიშ ნაოხვამუ – სახნავი უჩა დელის ნაპირებზე. უწინ აქ ესახლნენ მეიები (მელიები) და იყო უბანი **სამეიო**. დარჩენილია ცაცხვის ხეები (სეფიეთი).

ნაოხვამ(უ) – ნაეკლესიარი რიონის მარჯვ. მხარეს, სადაც იყო უწინდელი წალიკარი (წალიკარი).

ნაოხვამგ – მინდორი ნოღელის მარცხ. მხარეს, საგაბლაიოში. რესპ.: „ჭილაიები აქ გამწყდარან. აქვე დაუმარხავთ. ამიტომია ნაოხვამგ“ (აბაშა).

ნაპარონო „ნაპორნალი“ – მინდორი ცხენისწყლის მარჯვ. ჭალაში. რუს. „ბორანი“ → მეგრ. პარონი (მარანჭალა).

ნაპარონუ – 1. მინდორი რიონის მარცხ. ნაპირზე. 1900 წელს ტყვირსა და გულეიკარს შუა მდებარე რიონის მონაკვეთზე ხუთი ბორანი ყოფილა: 1. წალიკართან; 2. კოდორსა და ეწერს შუა; 3. გულეიკარსა და ტყვირს შუა; 4. კეთილარსა და ტყვირს შუა; 5. საჩხულიასთან (ნაჩხეტურის გვერდით, გულეიკარში). (იხ. მღვდელი კონსტანტინე, 2004, გვ. 62). (გაღმა კოდორი); 2. მინდორი გუდურთან. აქ, მდ. ტეხურზე, გამართული ყოფილა ბორანი, რომელიც სოფელს აკავშირებდა ისულასთან (გაღმა ზანათი).

ნაპარტახუ – საძოვარი. იგივე ნაკარტახუ (კეთილარი).

ნაპაჭკორუ – სახნავი მდ. აბაშასა და საახობადოს შუა, აბაშისპირას. პაჭკორია გვარსახელია. რუსპ.: „წირვისას პაჭკორიები წაიკიდნენ და ერთმანეთი დახოცეს. ამიტომ ეკლესია მოშალეს და ესაკეთში გადაიტანეს“ (გამოდმა ზანათი).

ნაპურალა – სახნავი წყალპირში (ქოლობანი).

ნაჟვებუ – სახნავი საახობადოში. უწინ მცირე ჭაობი ყოფილა. ჟვებუ „გომბეშო“ ← რუს. жабна (გამოდმა ზანათი).

ნარამო – 1. სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (გეზათი); 2. სახნავი სოფ. სამიქაოს საზღვართან (გულუხეთი); 3. სახნავი სოფ. პირველი მაისის საზღვართან, გრიგოლიების კუთხესთან, სადაც ერთ დროს რამი მოჰყავდათ (ქვიშანჭალა).

ნარამო//ნარამუ – 1. სახნავი სოფ. გულუხეთის საზღვართან (სამიქაო); 2. სახნავი ნასერალას მარცხ. მხარეს, ნაკლასოსთან (ქოლობანი).

ნარამუ – 1. სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს, ითესებოდა რამი, ანუ კანაფი (აბაშა); 2. საძოვარი ბოხურთან (გაღმა ზანათი); 3. საძოვარი შუასოფელში, ზანასა და აბაშას შუა (ძველი აბაშა); 4. საძოვარი სოფ. გამოდმა კოდორის საზღვართან. **რამი** სართავი მცენარეა ერთგვარი.

იძლევა მაღალი ხარისხის ბოჭკოს (ქეგლ, VI). (ნაესაკაო) და სხვ.

ნარამუა//ლოლუაშ მუხურე – სახნავი დასახლებასა და ტობოლოს შუა (ცილორი).

ნარიონალი//ნარნავი//ნარნე – ჭაობნარი რიონის მარცხ. მხარეს, ჯაპანის საზღვართან. გადმოცემით, აქ რიონის ტოტი გაედინებოდა ფიჩორისაკენ. შემდგომში რიონმა მარჯვნივ გაუხვია და სოფ. კოდორი ორად გაყო (გულეიკარი, კეთილარი).

ნარისუ – საძოვარი. იგივე რისკარე (წყემი).

ნარმალა – სახნავი. იგივე ნარმოლა (მარანი, თხმელარი).

ნარმელე – დასახლ. უბანი სოფლის სამხრ. ნაწილში. ნარმელე ← ნარნეშ მელე (გულეიკარი).

ნარმოლა//ნარმალა//ლარმოლა – სახნავ-საძოვრები ჩიტეების უბანში, ტყემალას მარჯვ. ნაპირზე. უწინ აქ ტბორი ყოფილა. დაბალი ადგილია და წყალი დგებოდა (პირველი მაისი, მარანი, თხმელარი).

ნარნავი – დელე-ტბორი. იგივე ნარიონალი (გულეიკარი).

ნარნე – 1. ტბორი რიონის მარცხ. ნაპირზე, სადაც რიონს მარჯვ. მხრიდან ერთოდა ნოდელა (კეთილარი); 2. სახნავი აბაშის მარცხ. მხარეს (საბოკუჩავო) და სხვ.

ნარნე//სადარღო – ტბორი თელაფონთან. რესპ.: „ღარღაზე სანადირო ადგილი იყო. ღარღა დაღღაა. ადგილობრივნი განმარტავენ: „წყლის ქათამი“. ღარღა გურული დიალექტის ფორმად ითვლება (გაღმა კოდორი).

ნასათბურე – სახნავი საგუნიოში. უწინ აქ ყოფილა რამის (გერანის) საზამთრო სათბური (გაღმა ზანათი).

ნასაისლარი – საძოვარი არგვანში. ისლი → საისლე → ნასაისლარი (მარანჭალა).

ნასამყურო – სახნავი სოფ. პირველი მაისის საზღვართან. აქ სამყურა ითესებოდა (ქვიშანჭალა).

ნასაყდრი//ნასახლი – სახნავი კოვზას მარცხ. მხარეს (გეზათი).

ნასაყდრო – სახნავი მაღალმიწაში. რესპ.: „აქ ეკლე-
სია არ ახსოვთ. ხენისას კი ხანდახან ძვალი ამოვარდება“
(სამიქაო).

ნასახლი – სახნავი. იგივე ნასაყდრი (გეზათი).

ნასულუ „ნასელარი“ – სახნავი ზანის მარჯვ. მხარეს.
ი. კეკელიას ჩაუწერია **ნასეფუ** ვარიანტიც. იხ. ნასულუ (სე-
ფიეთი).

ნასერალა//ნასირალა//ნასირალე – მდ. ტოტი-არხი.
გამოეყოფა ნოდელას. მოედინება სამიქაოდან. ერთოდა
ტობოდოს რკინიგზის მაგისტრალს ქვემოთ. სავარაუდოა:
სელი → ნასელარი → ნასერალა. რესპ.: „ნასერალას გაღმა
სამეგრელოა. იქ იყო საკაჭარაოს კოლმეურნეობა“. ქო-
ლბენელებიც, რომლებიც ძირითადად ქართულ ენაზე მეტ-
ყველებენ, ხშირად წაიხუმრებენ: ნასერალას იქით სამეგ-
რელოაო. აქვე მდებარე სამკურნალო წყალსაც ნასირალა
ერქვა. იგი 1921 წლის წყალდიდობისას დაიკარგა (ბულვა-
ნი, აბაშა).

ნასირალა – მდ. ტოტი-არხი. იგივე ნასერალა (ბულ-
ვანი).

ნასირალე – მდ. ტოტი-არხი. იგივე ნასერალა (აბაშა).

ნასულუ „ნასელარი“ – მინდორი საკორძახიოში.
ლექსიკური ერთეულისა და ტოპონიმის წარმოქმნის გზა:
ქართ. სელ- → მეგრ. *სულ- → *სოუ → სუუ → სუ. სულ-
ლაზური შესატყვისია (ქეელ, 2000, გვ. 397-398). (ძველი აბა-
შა).

ნასხეპარი – საძოვარი რუშიპირებში. რესპ.: „აქ დგამ-
დნენ სხეპს, რაც მახეა ერგვარი, მოღუნულ ჯოხზე გამარ-
თული. შდრ. გურ.: „სხაპი – ჩიტის მახე“; „სხეპი – ფრინვე-
ლების საჭერი ძუის მახე“; „სხეპი – მახე, ხაფანგი“ („სიტ-
ყვის კონა“, 1984, გვ. 503). მაშასადამე, ქართ. სხეპ- და მეგრ.
სხაპ- ე : ა ბგერათშესატყვისობის კიდევ ერთი მაგალითია
(გუგუნაყათი).

ნატბე „ნატვერალი“ – სახნავი რიონის მარჯვ. მხა-
რეს, დიხაჭითესა და კოდორეს შუა. ხალხ. ეტიმოლოგია:
„ერთხელ აქ რუსებს გაუვლიათ, რაღაცაზე წაჩხუბებუ-

ლან, ერთს მეორესთვის სილა გაუწნავს და უთქვამს: „ნატებე“ (სუჯუნა).

ნატებეშ ტყა – ტყე ნატებეში, უჩა ღალის ნაპირებზე (სუჯუნა).

ნატეხი – სახნავი სოფლის აღმ. ნაწილში. მეგრულში ნატეხი, ნოტეხი ნიშნავს: ა. ნახოვარი; ბ. განცალკევებული ყანის, ტყის მონაკვეთი (გულეიკარი).

ნატყეური „ნატყეუარი“ – სახნავი ქვიშანჭალის საზღვართან (გაუწყინარი).

ნაუბაშუ – სახნავი. იგივე ნააბაშუ (საბოკუნავო).

ნაური – დეღე, ნარნეს მარჯვ. შენაკადი ჩეჩონასთან, მოედინება კეთილარიდან. მოკლე დეღეა. აქვე უბანსაც ნაური ეწოდება. აღ. ქობალია: „ური – უდაბური, უკაცრიელი; ჭაობიანი, დაუსახლებელი ადგილი“. მაშასადამე: ნაური „ნაჭაობარი“ (კეთილარი).

ნაურიში – სათიბი ზანის მარცხ. მხარეს, სადაც ერთ დროს ურიში ითესებოდა. შდრ. ზ. იმერული „ურიშა“. აღ. ქობალია: „ურიში – ფეტვისნაირთა ჯგუფის მცენარეა. ხარობს ჭაობიან ადგილას“ (ძველი აბაშა).

ნაფარახევი – სახნავი ნასერალასა და ნოღელას შუა (ქოლობანი).

ნაფაცერი – დეღე, მინდორი მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირზე. დეღე წყემიდან მიედინებოდა და ერთოდა აბაშას ხიდს ქვემოთ. ფაცერი თევზის საჭერი მოწყობილობაა (მანცხვარკარი, საბოკუნავო).

ნაფაცერიშ ხიდე – ნახიდარი ნაფაცერზე. გაღმა საბოკუნავოს აკავშირებდა სოფ. საგვაზავოსთან (საბოკუნავო).

ნაფაცერუ – 1. სახნავი ნოღელის მარცხ. მხარეს. ფაცერი, ანუ ძლიკუ, თევზის საჭერი ფართო და კედლებიანი ღლასტია, „განიშ წყალზე“ დგამდნენ, სათავე რომ გადაეკეტათ. თევზი ზედ რჩებოდა“ (ონტოფო); 2. სახნავი აბაშის მარცხ. მხარეს, ძიგურში. ფაცერი თევზის საჭერი გეჯაა ერთგვარი (გაღმა ზანათი).

ნაფაცხები – სახნავი (50 ჰა) რიონის ჭალაში, ტყემაღლას შესართავთან. ესაზღვრება გაუწყინარს. მეგრულში

ფაცხა იგივეა მნიშვნელობით, რაც ქართულში: „უჭერო და უიატაკო ქოხი ისლით, ჩალით და მისთ. დახურული“; შდრ. ს.-საბა – „ფაცხა – წნული სახლი“ (თხმელარი).

ნაფაცხენი „ნაფაცხარი“ – სახნავები რიონის მარჯვ. მხარეს, თხმელარში. ორია. აკონკრეტებენ: დაბალნაფაცხენი – რიონის ნაპირზე; მაღალნაფაცხენი – მცირე შემადღებაზე (ტყვირი).

ნაფერმო „ნაფერმალი“ – საძოვარი შავდელის მარცხ. მხარეს (გაუწყინარი).

ნაფიცარები – სახნავი დაკელას გვერდით (სამიქაო).

ნაფშანო – სახნავი გოგაგების უბანში, ცხენისწყალსა და წყვიას შუა. იხ. ფშანი (გეზათი).

ნაქერუ – სახნავი ზანის მარცხ. მხარეს, საოჩიგაოს განაპირას. უწინ აქ ქერი ითესებოდა (სეფიეთი).

ნაქობალი – 1. მინდორი ნა(ა)კაში. ქობალი „ხორბალი“ → ნაქობალი „ადგილი, სადაც ხორბალი ეთესა“ (სეფიეთი); 2. სათიბი სათუნგიოში (წყემი).

ნაქობალუ – 1. შემადღება ნარნავის მარცხ. მხარეს (გულეიკარი); 2. სახნავი ბოხურთან (გაღმა ზანათი).

ნაღაჭუ – ნაარხალი დაჭუს მარცხ. მხარეს (აბაშა).

ნაღელვარი – ერქვა ღელეს, ცხენისწყლის ტოტს რიეში. წყალდიდობამ გაიტანა (მაიდანი).

ნაყვარა „ნაკოდი“ – სახნავი საჭატურიოსა და რიონს შუა. რესპ.: „ყვარუა „დაკოდვა“ არის ხის დაჭდეგება: როცა ხე ნაყოფს არ იძლევა, პატრონი ახალწლის პირველ დღეს მიადგება და ნაჯახს მოუქნევს... ამ დროს მეზობელი მიეჭრება და სთხოვს, ამ ხეს ნუ მოჭრი, წელს აუცილებლად ნაყოფს მოისხამსო. პატრონი ერთხელ მაინც მოიქნევს ნაჯახს და დაკოდავს ხეს. იგი იმ წელს აუცილებლად მოისხამს ნაყოფს. მაშასადამე, **ყვარუა** „შეყვერვა, დაკოდვა“ → ნაყვარა „ნაკოდი, ნაყვერი“. ხის დაკოდვა ხდება სხვა შემთხვევაშიც. **თანჯუა** სხვა რამეა: სასაზღვრო ხეზე ნიშნის ამოჭრა (პირველი ეწერი, მეორე ეწერი).

ნაშენი – 1. საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს (ონტოფო); 2. საძოვარი საგუნეოში. **ნაშენი** – განაშენიანებული ადგილი, ვენახიან-ხეხილიანი (გაღმა ზანათი).

ნაშლამუ – სახნავი ქვიშანჭალის მარცხ. მხარეს, კაპეტების გვერდით, სადაც მიწის გასანოყიერებლად შლამს ყრიდნენ (ქვიშანჭალა).

ნაჩაჩუ – სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს, წყემის საზღვართან, უჩა ღელესა და ტეხირიმ წყარს შუა. ეკუთვნოდა გვარად ჩაჩუას (მანცხვარკარი).

ნაჩხატოური – სოფელი (104 კომლი, 474 სული) ილორის თემის საკრებულოში (იხ. 1886 წლის აღწერის მასალები... Свод... 1893).

ნაჩხეტური – სახნავი რიონის მარცხ. ნაპირზე, გულეიკარის ეკლესიასა და რიონს შუა. ჩხეტიძენი კი გულეიკარში ცხოვრობდნენ XVIII ს-ში: „ნაჩხეტური ჩხეტიას ან ჩხეტიძის გვარის ნაქონს უნდა ნიშნავდეს“ (მღვდელი კონსტანტინე, 2004, გვ. 51). (გულეიკარი).

ნაჩხურუა – საძოვარი ცუდღარის ნაპირას, სანდლიოსა და დიხაჭითეს გვერდით. რესპ.: „ჭაობნარი ყოფილა. იცოდა კოლო ანოფელესი. მისი კბენა იწვევდა შეციებას და სიცივეს. ამიტომ შერქმევია ნაჩხურუა“ (სუჯუნა).

ნაციხვარი – ბორცვი, სახნავი ცხენისწყლის რიყეში (მაიდან).

ნაცხენისწყლო – ტბორი (ხუთასამდე ჰა). გაჩნდა 1914 წელს, როცა ცხენისწყალმა რიყესთან გზა გაიკვალა ნოდელისაკენ. ამან გამოყო გეზათი ქოლობნისაგან (ქოლობანი, გეზათი).

ნაცხენწყარი – ღელე. იგივე შავღელე (გაუწყინარი, ქვიშანჭალა).

ნაცხენწყარუ – 1. ნამდინარევი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ასე ეწოდება ნოდელის ქვემო წელსაც (ტყვირი, ნაესაკოვო); 2. ჩახევებული ადგილი გაღმა კოდორში (ანჯერში). გადმოცემით, რიონი ფიჩორის კალაპოტში მიედინებოდა და ცხენისწყალიც იქ ერთოდა. უფრო ზუსტად: 200 წლის წინათ ცხენისწყალი გაედინებოდა კეთილარსა და გულეიკარს შუა. ფაქტობრივად, ეს იყო ნაცხენისწყლები ნოდელის კალაპოტი. ეს ნაკალაპოტარი შემდგომში კოდორსა და კეთილარს შუა აღმოჩნდა (მღვდელი კონსტანტინე, 2004, გვ. 58-59). (გაღმა კოდორი).

ნაცხენწყო – არხი. იგივე შავდელე (ქვიშანჭალა, გაუწყინარი).

ნაწისქვილარი – 1. საძოვარი ცხენისწყლის ჭალაში (მარანჭალა); 2. მინდორი კოვზას ნაპირას (სამიქაო).

ნაწისქვილი – მინდორი აბაშის მარცხ. ნაპირზე (გაბოღმა ზანათი).

ნაწისქვილუ – 1. სახნავი ცუდღარის ნაპირას (ონტოფო); 2. სახნავი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე, საქვილითაიოში (ნაესაკაო); 3. მინდორი ცუდღარის ნაპირას (სუჯუნა); 4. სახნავი ცხენისწყლის ჭალაში (გუგუნაყათი); 5. ნაწისქვილარი ცხენისწყლის არხზე (ქვიშანჭალა).

ნაწისქვილუ/მიქ(ე)ლაიაშ ნაწისქვილუ – მორევი, საბანაო ნოდელაზე (აბაშა).

ნაწყურგულუ „ნაწყაროვალი“ – მინდორი მდ. ზანის მარჯვ. მხარეს, შქასოფელში (ძველი აბაშა).

ნაჭვი „ნახანძრი“ – 1. სახნავი სადანელიოში, ჩეხირის დას-ით (გაღმა ზანათი); 2. ჩაის ფართობი ნოდელის მარჯვ. ნაპირას. უწინ ტყე ყოფილა. შდრ. ი. კეკელია: „ტყენაკაუ, გადამწვარ მინდორსაც ნაჭვს ეძახიან. დასაშვებია... ნაჭვი „ნაჭვევარი, სადაც ჭვავი ითესებოდა“ (კეკელია, სეფიეთის ტოპონიმი“, გვ. 32). ნაჭვევარ აღვიღს, ჩვეულებრივ, ნაჭუ ეწოდება (სეფიეთი).

ნაჭილაო – სახნავები ანჯერში, სოფლის განაპირას (გაღმა კოდორი).

ნაჭილაუ – ტბორი რიონ-ტეხურს შუა, კოდორეში. „მე-16 საუკუნემდე სოფ. სუჯუნა საჭილაოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა. ამის დასტურია ის, რომ სუჯუნაში ერთ დიდ საყანე მასივს „ნაჭილაუ“, ანუ თავად ჭილაძის ნაქონი ჰქვია“ (დეკანოზი კონსტანტინე, 2009, გვ. 23). (სუჯუნა).

ნაჭინკუ – ერქვა ბორცვს ნოდელის მარჯვ. ნაპირზე. ჰგავდა ხელოვნურს. წაიღო წყალმა. სახელწოდება შერჩა მორევს. ჭინკა ავი სულია, ტანით 3 წლის ბავშვის ოდენაა და ხმაც ბავშვისა აქვს. მისი სამყოფელია ადამიანთა საცხოვრისის ახლო-მახლო ადგილები, ოღონდ ბნელი და მივარდნილი. თმა დაწნული აქვს, სიარულის მანერა – სასა-

ცილო. უყვარს ცხენების ჭენება (იხ. უფრო ვრცლად: თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 11-14). გურიაში, იმერეთსა და სამეგრელოში დარწმუნებულები არიან, რომ „ჭინკა მრავალნაირია და ყველანაირად შეიძლება მოგაღაზნოს თავი“ (ნადარაია, 1980, გვ. 191). (ნაესაკაო).

ნაჭკიდუ – ჩაის ფართობი წისქვილიშ ტეხურის მარცხ. მხარეს, ნაკრძალსა და ციხეთს შუა. უწინ აქ ითესებოდა ჭკიდი „ფეტვი“ (წყემი).

ნაჭკირა – გზის მონაკვეთი. იგივე გოჭკირილი (ონტოფო).

ნაჭურალა – ბორცვი, სახნავი კურდღელიაში. რესპ.: „XIX ს. 30-იან წლებში არხი გააჰყავდათ და ჭურები ამოვარდა. მერე დაერქვა“ (გაუწყინარი).

ნაჭყებიაშ წყურგულე – წყარო საკუპრეიშილოში. წყურგულეშ წყარის სათავეა (წყემი).

ნახარდანუ – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს, გიოცუნუს გვერდით (ონტოფო).

ნახარდანუ//დადიაშ ნახარდანუ – სახნავი აბაშის მარცხ. მხარეს. ხარდანი: ა. ვაზის ჯიში; ბ. ვაზის ასაშვები ბაღდახინი; შდრ. ს.-საბა: „ხარდანი – სარიანი ვენახი დაბალი“ (სეფიეთი).

ნახაჯენი „ნაცერცვალი“ – სახნავი წიფრონის გვერდით, სოფლის დას. ნაწილში (ტყვირი).

ნახაჯუ „ნაცერცვალი“ – 1. სახნავი თელაფონის გვერდით, ფიხორის მარჯვ. მხარეს. საზიარო კეთილართან (გაღმა კოლორი); 2. სახნავი სარურუოში (სეფიეთი); 3. სახნავი სამელიოში (წყემი).

ნახეთურუ – ტყე ნოდელის მარცხ. მხარეს, მეორე ონტოფოში (ონტოფო).

ნახელუ – საძოვარი. იგივე ნახილუ (პირველი ეწერი).

ნახეცუ – სახნავი საახობადოსა და ახალსოფელს შუა. ხეცია გვარსახელია (გამოდმა ზანათი).

ნახვილა – მორევი მდ. აბაშაზე. აქ მდინარე იყო გადატინრული საწისქვილე არხისთვის. **ხვილუა** „დამწყვდე-

ვა, წყლის გადაკედვლა, დაგუბება“ → ნახვილა „ნაგუბარი; რაც დააგუბეს“ (საბოკუჩავო).

ნახვილაშდული – მორევი მდ. ზანაზე. აქ საწისქვილე არხის სათავე-ჯებირი ყოფილა (ძველი აბაშა).

ნახილუ/ნახელუ – საძოვარი სოფ. წალიკარის საზღვართან. სავარაუდოა: იმერ. ხელიძე → ნახელუ (პირველი ეწერი).

ნახუტურუ – სასაფლაო საკიხირიოში. ნახუტურუ არის სასაფლაო უკურთხებელ მიწაზე, სადაც მარხავდნენ არაქრისტიანს, ხოლერისაგან ან ომში დახოცილებს (ძიგური).

ნაჯიხურუ – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს (ონტოფო).

ნაჯოლუ – სახნავი აბაშის მარჯვ. ნაპირზე, ხაშთან. ჯოლა „სათრიელი“ → ნაჯოლუ „სადაც სათრიელის გზა იყო“ რესპ.: „ჯოლათი ეკმუდუდეს ჯალეფი აბაშაწყარშე. თეიშა მუდუდეს ნე შით სირიანქონშე“ (გალმა ზანათი).

ნესტორიაშ მუხურე – საძოვარი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე (ნაესაკაო).

ნესტორიშ ჭორთი – ბუჩქნარი ჟიპიჯთან (კეთილარი).

ნეძიშჯინჯი „კაკლისძირი“ – მინდორი ხატკართან (გალმა კოდორი).

ნეძიჯინჯი „კაკლისძირი“ – სახნავი მდ. ნოდელის ჭალაში (ძველი აბაშა).

ნეძონა „ნიგეზნარი“ – სახნავი ცივის მარცხ. მხარეს, სუდელოს ნაპირას (ტყირი).

ნიგოზი – საძოვარი საჭამიასერის საზღვარზე (გულეიკარი).

ნიკოიაშ მაღაი – სახნავი ზანის მარცხ. მხარეს. მაღაი ამ შემთხვევაში ოროგრაფიული ნომენია, აღნიშნავს შემადლებულ ვაკეს (სეფიეთი).

ნიკოიაშ ტობა – მორევი ზანაზე (სეფიეთი).

ნიკოლაიშიელების საბანაო – საბანაო ჩქერი კოვზას წისქვილის არხზე (გულუხეთი).

ნიკოლაიშიელების ტყე – საძოვარი შავდელეს მარცხ. მხარეს (გულუხეთი).

ნიკოლოზის ჩავაკებული – მინდორი ღობირში. იხ. ჩავაკებული (თხმელარი).

ნოღიაშ ცვანა – სახნავი მდ. ზანის მარცხ. მხარეს (ძველი აბაშა).

ნოღიაშ წყურგილი – წყარო ნაქერუსთან, ზანის მარცხ. შენაკადი. ნოღია გვარსახელია (შეიძლება ზარმაცი კაცის მეტსახელიც იყოს). (სეფიეთი).

ნოღიეფიშ ჭორთი – ტყე სატყებუჩოში, ცუდღარის მარჯვ. მხარეს. ჭორთი არის ახალამონაყარი თხმელნარი, ნორჩი ბუჩქი (ძველი აბაშა).

ნოვეს ტყე – ტყე შაველის მარცხ. მხარეს. ნოვე პირსახელია (მაიდანო).

ნოვეშ დიხა – სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს (მანცხვარკარი).

ნოვეშ მაღალი – საძოვარი კოდორეში. ნოვე – 1. პირსახელი; 2. ვაზის ჯიში (აბაშა).

ნოვეშ შანი – მოკლე დეღე ნაჩხურუაში, ცუდღარის მარჯვ. შენაკადი (სუჯუნა).

ნოკარენი – სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს, საღაბარტყაოში. კარე „კარავი“ → ნოკარენი „ნაკარვალი“ (ადგილი, სადაც იღვა კარე – მწყემსის დროებითი სადგომი). (სეფიეთი).

ნორიო – სოფელი ცუდღარის ორივე ნაპირას, თემის საკრებულოს ცენტრი ქ. აბაშასა და სოფ. ზანათს შუა. შდრ. აღ. ქობალია: „ნორია, ნორიო – წყნარი, მშვიდი, მდორე; სუსტი ქარი; წყლის მოქცევა; ნაწყლევი“ (აბაშის რ-ნი).

ნორიოშ ჩაი – ჩაის ფართობი ნოტეხში. ტერიტორია წყემისაა, მაგრამ ჩაის კრეფდა სოფ. ნორიოს კოლმეურნეობა (წყემი).

ნოტეხი – 1. სახნავი სოფლის ცენტრის სამხრ-ით (კეთილარი); 2. საძოვარი ტეხურისწყლის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ტყა დობტახითია, მობსპითია. თიშენი რენია ნოტეხი“ (გაღმა ზანათი); 3. მინდორი საკილასონოსა და ნაკრძალს შუა. რესპ.: „ნოტეხი ნაახოვარი ნაკვეთია“ (წყემი); 4. სახნავი საახობადოს აღმ. ნაწილში. მეგრულში „ტახუას“

ერთ-ერთი მნიშვნელობაა მოახოება, ახოს აღება ე.ი. ყამირი მიწის გასაყანურება; ტყენაკაფის საყანედ გადაქცევა“. სათანადო მიმღეობა ნოტეხის (დააკვირდით: ტეხ ფუძე ქართულია) კონკრეტული მნიშვნელობებია: ა. საყანედ ქცეული ყამირი (უხნავი მიწა); ბ. საყანური ტყე-ნაკაფზე. შდრ.: „ახო – საყანური გაკაფული, საყანური განაკაფი“ (ს.-საბა); „ახო – საყანედ გაკაფული ტყე, ნატყევიარი“ (ქეგლ); „ახო – საყანედ გაკაფული ტყე“ (ქსე, II. იხ. აქვე: ახოს აღება, ახოს ტეხვა და ახობა). (შენიშვნა: „მართალია, ქართულში „ახოს აღების“ სემანტიკური პარალელია „ახოს ატეხა“, მაგრამ ქართულსა და მის დიალექტებში **ტეხ ფუძე** „ახოს“ აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებში არ ჩანს. მეორე მხრივ, მეგრულში გვაქვს ნო-ტეხ-ი (და არა ნო-ტახ-ი). რედაქტორის შენიშვნა: ტახ- → ნო-**ტეხ** აბლაუტია და არა ქართული ლექსიკური ერთეული (გამოდმა ზანათი).

ნოტეხიშ ნაოხვამუ – ბორცვი ნოტეხთან, დასახლებაის განაპირას (კეთილარი).

ნოლა – სახნავი ზანის მარჯვ. მხარეს. დაბალი მდინარისპირა ადგილია. ქართველ მკვლევართა განმარტებით, მეგრულში **ნოლა** აღნიშნავს მდინარის ტოტს, შესართავს. ავთ. ფაილოძე ეთანხმება ამ მოსაზრებას და ასახელებს სათანადო ნიმუშებს იმერეთსა და სამეგრელოში (ფაილოძე, 2011, გვ. 191-192). მ. გეგეშიძე თვლის, რომ ნოლა, ნოლო და ნოყა საერთო ფუძისაა (გეგეშიძე, 1987, გვ. 46). ჩვენ მიერ მრავალგან დასახელებული ნოლა ყველა შემთხვევაში არის ფართო და ნოყიერი მდინარისპირა ვაკე. ნოლელა კი ის მდინარეა, რომელიც ნოლას ჩაუვლის (შდრ. ჯორბენაძე... 1988, გვ. 143). (სეფიეთი).

ნოლა-ხაში – ერქვა სოფელს ნოლელის მარჯვ. ნაპირას, დღევანდელი ქ. აბაშის ჩრდ.-აღმ-ით, ონტოფომდე. შედიოდა კვათანის სოფლის საზოგადოებაში. ამიერკავკასიის კომლობრივი აღწერის (1886 წ.) ცნობარის (1893 წ.) მიხედვით, ამ სოფლის მოსახლეობა შეადგენდა 175 კომლს (917 სული: კაცი – 486, ქალი – 461). საქ. სსრ მოსახლეობის პირველი აღწერის ცნობარში (1930 წ.) ნოლა (81 კომ-

ლი, 361 სული) და ხაში (170 კომლი, 767 სული) შედის აბაშის სას. საბჭოში. შემდგომში გაბატონდა ფორმა „ნოლო-ხაში“. 1931 წელს შეიქმნა ნოლო-ხაშის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა. XX საუკუნის 60-იან წლებში გეგმეკორისა და აბაშის რაიონები გაერთიანებული იყო ერთ – გეგმეკორის რაიონად. მასში შედიოდა ნოლა-ხაშის სას. საბჭო ორი სოფლით – ნოლა-ხაში და კაპანა, მაგრამ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულებით აბაშის სადაბო საბჭო გარდაიქმნა აბაშის საქალაქო საბჭოდ, ხოლო ნოლა-ხაშის სას. საბჭო გაუქმდა, მასში შემავალი სოფლები ნოლა-ხაში და კაპანა შეუერთდა ქ. აბაშას და იქცა მის უბნებად, ხოლო პატარა კვათანა და დიდი კვათანა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა სოფლის სტატუსს აბაშის საქალაქო საბჭოში. კ. ჰანი „განმარტავს“:

() ნოყა = .
 ხაში = .

(ჰანი, 1909, გვ. 112).

ნოღელა – მდინარე, რიონის მარჯვ. შენაკადი ნაესა-კაოს თემში. ჩამოედინება ასხის მთიდან, სიგრძე 51 კმ, აუზის ფართი 130 კმ². საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლით (ქსე, 7). ჩაუვლის ან გაივლის მარტვილისა და აბაშის რ-ნის მრავალ სოფელს. ქვემო წელზე ეწოდება ნაცხენწყარუ. 1914 წელს ცხენისწყალმა სადინარი გაიკვალა ნოღელისაკენ და 1952 წლამდე მოედინებოდა კიდევ ნოღელის კალაპოტში. ამიტომ დაერქვა ნაცხენწყარუ „ნაცხენწყლევო“. „ცხენისწყლის ძველ კალაპოტში... ახლა მდ. ნოღელა მიედინება. „ნოღალი“ მეგრულად ნამდინარევს ნიშნავს“. ერთი აუცილებელი ამონაწერიც: „თუ ადრე ნაცხენისწყლევო ნოღელის კალაპოტი კეთილარსა და გუღეკარს მიჯნავდა, ეხლა უკვე კოდორსა და კეთილარს შორის ჩადგა. მისი კალაპოტის ნაშთია... ჭაობი, რომელსაც ხალხი რატომღაც ნარიონალებს ეძახის. არადა სინამდვილეში ნოღალეგია. კეთილარელები იხსენებენ თავიანთი ძველების ნაამბობს იმის შესახებ, რომ ადრე კეთილარიდან კოდორში ნაგებით გადიოდნენო“ (მღვდელი კონსტანტინე, 2004, გვ. 57).

ეტიმოლოგიისათვის: რესპოდენტოა ერთი ნაწილი თვლის, რომ აბაშის რაიონში ნოდელის ძირითადი ნაწილი იმერეთისა და სამეგრელოს საზღვარია. როული სუფიქსი -ელა (ელ+ა) გეოგრაფიული პუნქტის სახელისგან აწარმოებს იმ დელის, ხევის სახელწოდებას, რომელიც სახელდებულ ობიექტს ჩაუვლის. მაშასადამე, ნოლა (ტოპონიმი) + -ელა → ჰიდრონიმი: ნოლა → ნოდელა. ასეთივე დანიშნულებისაა -ურა: კაცხი → კაცხურა, ჩარგალი → ჩარგლურა. შდრ.: აღ. ცაგარლის მოსაზრებით, ნოდელა არის „ (ცაგარელი, მეგრული ტექსტები... გვ. VI). გამოთქმულია ასეთი მოსაზრებაც: ნოდელა წინავითარების სახელია, რომელიც იწარმოება ნო-ელა პრეფიქს-სუფიქსით, მაშასადამე, დღლ „დელე“ → ნო-დალ-ელა → ნოდელა (?). (მალრაძე, 2004, გვ. 25). კიდევ ერთი სალექსიკონო განმარტება: „ნოლა... – ხევი; დელე; რუ; წყალსაწრეტი არხი ყანაში, მდინარის ტოტი...“; „ნოლალი – დამშრალი დელე, ნაწყლვევი“; „ნოლო – დელე“; „ნოდელა – პატარა დელე“ (ქობალია, 2010, გვ. 526). და ბოლოს: გიულდენშტედტი, რომელმაც 1872 წელს იმოგზაურა საქართველოში, ასახელებს მდინარეებს – ცხენისწყალს, ნოდელასა და აბაშას (გიულდ., გვ. 381). (მარტვილის რ-ნი, აბაშის რ-ნი).

ნოდელა//ნაცხენწყარუ – ნოდელის ქვემო წელი, ერთვის რიონს მარჯვ. მხრიდან სოფ. გამოღმა კოდორში. რესპ.: „ჩემს ახალგაზრდობაში დიდცხენწყარმა გადმოხეთქა მაიდანში და ნოდელის კალაპოტში მოექცა. ამიტომ დარქმევია ნაცხენწყარუც“ (ონტოფო, ძველი აბაშა, აბაშისპირი, ნაესაკაო, გამოღმა კოდორი).

ნოდელაპიჯი – საძოვარი ნოდელის ნაპირას (სეფიეთი).

ნოდელგადმა – სახნავი მდ. ნოდელის მარჯვ. მხარეს. კონტექსტი: „ნოდელგადმა მივედივარ სახნავად“ (მაიდანნი).

ნოდელე – მდინარე. ნოდელას ადგ. ვარიანტი (ონტოფო, გეზათი, ქოლობანი, ტყირი, ქ. აბაშა).

ნოდელიკიდე – სახნავები ნოდელის მარცხ. მხარეს (სამიქაო).

ნოდელიპირი – 1. საძოვრები ნოდელის მარცხ. ნაპირზე (გეზათი); 2. საძოვრები ნოდელის მარცხ. ნაპირზე (სამიქაო).

ნოდელისგაღმა – ერქვა ჩაის ფართობს. იგივე სეფიეთიმ ჩაი (სამიქაო).

ნოდელიპირები – სახნავები ნოდელის მარცხ. მხარეს. ნოდელიპირი → ნოდლიპირი → ნოდელიპირები (მაიდან).

ნოდო – 1. უბანი ქალაქის განაპირას, ნოდელის მარჯვ. ნაპირას (აბაშა); 2. რიონის ტოტი, ჩადაბლება ანჯერში, ჩეწონასა და ჭალეს შუა. უერთდებოდა რიონსვე (კეთილარი); 3. სახნავი დანჩარასა და რიონს შუა (მარანი); 4. ტბორი რიონის მარჯვ. ნაპირას, სოფ. მარნის საზღვართან (ტყვირი); 5. სახნავი რიონის მარჯვ. ჭალაში, რუშის ნაპირებზე. რესპ.: „ნოდო ისეთი ადგილია, სადაც წყალი დგება ტბასავით“. ი. ყიფშიძე: „ნოდო – მდინარის ტოტი“; ალ. ქობალია: „ნოდო – დედე“ (თხმელარი) და სხვ.

ნოდო-ხაში – 1. ნოდო-ხაშის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა შეიქმნა 1931 წელს. მერე სოფელსაც ეწოდა. ეს სოფელი გაუქმდა და ნოდო და ხაში ისევ და ისევ ქაბაშის უბნებია (აბაშა); 2. სახნავები ანჯერში. სოფ. ნოდო-ხაში ამუშავებდა (კეთილარი). შდრ. ნოდო-ხაში.

ნო(ც)ონი//ხახულიაშ ენაჭვარა – სახნავი სოფლის დას. ნაწილში. ნოცონი „ნაყანევი“; ენაჭვარა „ნაკაფი“. ხახულია პირსახელია (პირველი ეწერი).

ნოჭკერი – 1. ჩაის ფართობი საკილასონიოში, ნატყევარზე. რესპ.: „ნოჭკერი განცალკევებული ყანაა“ (წყეში); 2. ერქვა ტყესა და საძოვარს წალიკარის საზღვართან, ზურგსა და ნახელუს შუა, საჭატურიოს ჩრდ-ით. რესპ.: „სახნავი იყო, მაგრამ შემდეგ ჭეჭყობად იქცა“. ალ. ქობალია: „ნოჭკერი – ნაჭკერი, ნაკვეთი“ (პირველი ეწერი).

ნოხორევი „ნახახლარი“ – საძოვარი კაპანის საზღვართან (მაცხოვრისკარი).

ნოხორი „ნახახლარი“ – ხეხილნარი სამაკალათიოში (გამოდმა ზანათი).

ნოხორიეფი//ნოხორიობა „ნასახლარები“ – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს. როგორც ვხედავთ, სუფიქსი -ობა ფუნქციით უტოლდება -ეფ-ს (ონტოფო).

ნოხორიობა „ნასახლარები“ – 1. სახნავეები მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს (გაღმა ზანათი); 2. სახნავი საახობადოსა და ახალსოფელს შუა. -ობა მრ. რიცხვს აწარმოებს. რესპ.: „ნოხორი ართი რე დო ნოხორობა ბრელი ნოხორი“ (გამოდმა ზანათი); 3. სახნავეები მანიშორში. იყოფა: კიზირიეფიშ ნოხორი, კუციეფიშ ნოხორი (გამოდმა კოდორი); 4. საძოვარი სათუნგიოში (წყემი); 5. საძოვარი. იგივე ნოხორიეფი (ონტოფო).

ნოხორობა//ჩაჩეფიშ ნოხორი – საძოვარი საჩაჩაოსა და სკოლას შუა. აღ. ქობალია განმარტავს: „**ნოხორობა** – ნამოსახლარი“. სინამდვილეში ნოხორობა ნასახლარებს ნიშნავს (აბაშისპირი).

ნოხორტები – სახნავი ჭალასა და ფშანს შუა. როგორც ჩანს: ნოხორტები ← ნოხორიშ ტები „ნასახლარის ტევრი“ (ტყვირი).

ნოჯიხენი – ბორცვი დიდ ნარნესთან, ჯაპანის (ჩოხატაურის რ-ნი) საზღვარზე. დაფარა გრუზობამ (გულეიკარი).

ნოჯიხენის ნაეკლესვარი – ნაეკლესიარი ნოჯიხენში. დაფარა გრუზობამ (გულეიკარი).

– ო –

ობერგულე//ობერგული – ფართო ვაკე-სახნავეები საკვირკველიოში, მეორე ეწრის საზღვართან. მიუყვება ღაჭუს მარჯვ. ნაპირს 5 კმ-ზე. ცუდმოსავლიან ადგილად ითვლებოდა. ამიტომ არ ხნავდნენ, თოხით ამუშავებდნენ (გამოდმა კოდორი).

ობერგული „სათოხარი“ – 1. სახნავეები, ფართო მასივი (100 ჰა) ძვ. აბაშის საზღვართან. რესპ.: „ითესებოდა მოყრილად და მერე ითოხნებოდა“. იყოფოდა: დიდი ობერგული და ჭიჭე ობერგული. საზიარო ეწერთან, ძვ. აბაშის საზღვარზე (ეწერი, ონტოფო); 2. ფართო ვაკე-სახნავეები. იგივე. ობერგულე (გამოდმა კოდორი); 3. სახნავი ნამარავა-

ნის მარჯვ. ნაპირზე, საგუნიოში (გაღმა ზანათი); 4. სახნავი რიონსა და დასახლებას შუა, სოფ. კოდორის საზღვართან (მეორე ეწერი); 5. ტყე საქოიაგოში. ობერგული, ჩვეულებრივ, აღნიშნავდა ფერდობს, რომელიც ხარით კი არ იხენებოდა, არამედ თოხით („ბერგი“) მუშავდებოდა. რესპ.: „ობერგული საყანვა, რომელსაც ხარით კი არ ხნავენ, არამედ თოხით ამუშავებენ, რათა დათესონ. მიმართავენ, როცა სახნავი ფერდობზეა და ხარით მოხენა შეუძლებელია. შავმიწა ნიადაგი რბილია, თოხით ამუშავებდნენ და ამიტომ მასზეც ობერგულს იტყოდნენ“. ანტ. ოხოჯური. შდრ. აღ. ქობალია: „**ოხოჯური** – ადგილი, რომლის მოხენა ხარგუთნით ხდება (აჩაქუეს ანტონიმი); ხარების სადგომი“. ო. ქაჯაია: **ობერგე, ობერგული** – ადგილი, რომლის დამუშავება შეიძლება მხოლოდ თოხით, სათოხე“ (ძველი აბაშა).

ობერგული//ახალსოფელიშ ობერგული – სახნავი ახალსოფელში, ცუდღარის მარჯვ. მხარეს (გამოღმა ზანათი).

ობერგული//სამაკალათიოშ ობერგული – სახნავი სამაკალათიოში. ნორიოს საზღვართან. რესპ.: „სიმინდის თესლს თოხით ფლავდნენ მიწაში. ამიტომაც ობერგული (გამოღმა ზანათი).

ობერგულიშ ნაზონა – შემადლება ობერგულში. **ნაზონა** „ნაზინევი“ იგივე მიწაზინულია (მეორე ეწერი).

ობერგულიშ ტყა – ტყე ობერგულში (ონტოფო, ეწერი).

ოდანიაშ წისქვილი – წისქვილი ცუდღარზე. ოდანია პირსახელია (ეწერი).

ოდაფე „სადაფნე“ – სახნავი რკინიგზის ხაზის სამხრეთ, გაღმა საბოკუჩავოში (საბოკუჩავო).

ოთიფურე – 1. სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს. ოთიფურე – 1. სათიბარი; 2. სათივე (საბოკუჩავო); 2. სახნავი აბაშის მარჯვ. ნაპირზე (გაღმა ზანათი).

ოთიფური – საძოვარი საკუპრევიშილოში, წისქვილიშ ტეხურის ორივე მხარეს. ნიშნავს იმასვე, რასაც ოთი-

ფურე. შდრ. აღ. ქობალია: „ოთიფური – თიბვაში სამღერი“ (წყემი).

ოთხბორზალა//პახვალაშკარი – გზათგასყარი ნო-
ლოში, აბაშა-მარტვილის საავტ. გზაზე, სადაც ოთხი გზა
ჯვარედინად ერთდებოდა. ამიტომ დარქმევია ოთხბორზა-
ლა. პახვალას აქ სამიკიტნო ჰქონია. **ბორზალი** – ბოძალი,
ბოლოგაყოფილი ისარი, შუბი (აღ. ქობალია). (აბაშა).

ოთხირონა – ჩაის ფართობი ჭითა დელის მარცხ. მხა-
რეს. თხირი „თხილი“ → ოთხირონა „თხილნარი“ (ორმაგი
სუფიქსაციით). (სეფიეთი).

ოისირე „საისლე“ – სახნავი ზუგაში (ნაესაკაო).

ოისგრეკარი – მინდორი ტურაკესთან (გამოდმა ზანა-
თი).

ოკარალოკე//ოცომურე – ხეხილნარი ტყემლის ნარგა-
ვებით საჩაჩაოში. კარალ(ი)ოკი (← რუს.) – სუბ-
ტროპოკული ხურმის ჯიში. ცომური „ტყემალი“ → ოცომუ-
რე „სატყემლე“ (აბაშისპირი).

ოკატყე „საკატე“ – ტყე ღაჭუს ნაპირას, მანიშორში
(გამოდმა კოდორი).

ოკაწიერი//ოკოწიერი – ხერთვისი, სახნავი ზანა-აბა-
შის შესართავთან, ჯაპანაში. რესპ.: „აქ მაღალ ხეებზე
ასულ ვაზებზე ჩამოკიდებული ჰქონდათ ოკანწიე „საქანე-
ლა“, ამიტომ დარქმევია“. სინამდვილეში: „აკოწიმა „ერთმა-
ნეთთან შერწყმა, მდინარეთა შეერთება“ → ოკაწიერი,
ოკოწიერი „წყალთშესართავი; ხერთვისი“. შდრ. აღ. ქობა-
ლია: „ოკაწიმერი – შესართავი, შერთვის, შედინების, შერ-
წყმის ადგილი, ხერთვისი“ (ძველი აბაშა).

ოკობეშე/ოკოპეშე „საკეახე“ – სახნავი ნოდელის
მარცხ. მხარეს. მცირე შემადლებაზე, ჭადეს გვერდით
(რესპ.: „ჭადეს მოდება რე“). აქ კვახი ითესებოდა და
კარგ მოსავალსაც იძლეოდა (ცილორი).

ოკოპეშე – სახნავი. იგივე ოკობეშე (ცილორი).

ოკოწიერი – ხერთვისი. იგივე ოკაწიერი (ძველი აბა-
შა).

ოკუეში – ტბორი. იგივე ოჩხომე (გაღმა ზანათი).

ოლაქაშე//ლაქაშონა – ტყე-ჭაობი კოდორეში, ირაკლიშ ნაკარუსთან. ო. ქაჯაია: „ლაქაში წყლის მცენარეა ერთგვარი, პრასს ჰგავს“. ქეგლ: „ლაქაში – ჭაობის მრავალწლოვანი ფესურიანი მცენარე...“ ალ. ქობალიას ლექსიკონში არაა შეტანილი. ა. მაყაშივილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ დასახელებულია ლაქაშის მრავალი დიალექტური სემანტიკური ვარიანტი, მაგრამ მეგრული არ ჩანს (გამოდმა ზანათი).

ოლეკეში – ტლაპო ნოჭკერთან. **ლეკი** „შლამი, ლექი“ → **ოლეკე** „საშლამე (ადგილი)“. (პირველი ეწერი).

ოლიფანტეს ტყლაპო – ტლაპო ბეგებში, შაველელეს ნაპირზე (გეზათი).

ომანდარინე – სახნავი ჭერესთან. აქ უწინ მანდარინი ყოფილა გაშენებული (საბოკუნავო).

ომარეშ წისქვილი – ერქვა წისქვილს ომა(ე)არესთან (საბოკუნავო).

ომარღეფე – ერქვა დელეს, მდ. აბაშის მარჯვ. შენაკადს. მოედინებოდა წყემიდან. გააუქმა არხმა (საბოკუნავო).

ომა(ე)არე – სახნავი უჩა ღალისა და წისქვილიშ ტეხურის (ტეხურის ტოტის) შესართავთან. **მაყალე/მაყარე** – მეგობარი, მხლებელი (გადატ. მეუღლე) → **მაყალუა/მაყარუა** – მეგობრობა; შეყრა, შეერთება, ხლება → **ომაყარე** – შესართავი. შესაყარი; სამეგობრო. სათავე აქვს წყემში და გაედინება მანცხვარკარში (საბოკუნავო, წყემი).

ომაყარეშ წისქვილი – წისქვილი ომა(ე)არეში (წყემი).

ომბოლდინა//ხაუომიაშ დინა – სახნავი ზანის მარცხ. მხარეს, დიახონში. ეკუთვნოდა „ომბოლს“, ე.ი. ობოლს. მერე იყიდა ხაუომიამ (გვარსახელია). (სეფიეთი).

ო(ნ)გერე „სამგლე“ – სახნავი ანჯერში (კეთილარი, გაღმა კოდორი).

ონიშ(ოლი) „სანავე“ – ტყე რიონსა და უჩა დელეს შუა. რესპ.: „ებრაელებს აქამდე მოჰყავდათ ნავი. მოჰქონდათ და მიჰქონდათ, რაც ვაჭრობისთვის იყო საჭირო. ნავიც ამ ტყეში მზადდებოდა“ (სუჯუნა).

ონოდიის კოვზა – კოვზას ერთ-ერთი მდგენელი. მოედინება ონოდიდან. ვარიანტი: მეორე კოვზა (მაიდან).
ონტოფო – აბაშის რ-ნის სოფლების – პირველი ონტოფოსა და მეორე ონტოფოს ძველი საერთო სახელწოდება. მდებარეობს ნოდელის მარჯვ. მხარეს (ონტოფოს თ/ს).

ონტოფოშ ნაყუდუ – სახნავი უშქურონაში. აქ, ჩაის ფართობში, ონტოფოს ფარდული ედგა (სეფიეთი).

ონჭიკეთის ფართობი – სახნავი ქორეისუბნის საზღვართან. ონჭიკეთი სოფლების – ზემო ონჭიკეთისა და ქვემო ონჭიკეთის (ჩოხატაურის რ-ნი) გამაერთიენებელი სახელწოდებაა (გულეიკარი).

ორპირი – ერქვა სოფელს რიონის ორსავე ნაპირზე ცხენისწყლის შესართავთან. ამჟამად ჭალაა. ა. ფაილოძის მოსაზრებით, სოფლისთვის ორპირი იმიტომ უწოდებიათ, რომ რიონის ორივე ნაპირზე იყო გაშენებული (ფაილოძე, II, გვ. 193). სინამდვილეში, ორპირი მეგრული ჟიპიჯის (← ჟირპიჯი „ორპირი“; შესართავი; ხერთვისი) თარგმანია (დღევანდელ ქვემო იმერეთში ქართის ტომის დამკვიდრების შემდეგ), ქართულ ენაში „ორპირის“ გადატანითი მნიშვნელობაა „ფლიდი, ცბიერი, სიტყვის გამტეხი“. მეგრულში კი ჟიპიჯს მხოლოდ ჰიდროგრაფიული მნიშვნელობა აქვს და სამეგრელოში ხშირად გვხვდება ხერთვისის სახელწოდებად. ორპირი ნავსადგურად იქცა XIX ს. დასაწყისში. ყულევი-ორპირის სანაოსნო გზა რუსეთმა სატრანსპორტო ტრასად გამოიყენა. ამან გამოიწვია მებარეშუმეობის აღმავლობა და ძაფსაღები ფაბრიკის აშენება XIX ს. შუა წლებში. თბილისი-ფოთის სარკნიგზო გზის გაყვანის შემდეგ ორპირმა ნავსადგურის მნიშვნელობა დაკარგა და დაცარელდა. დღეს ორპირის ნაწილი სოფ. ქვიშანჭალაში შედის (ქვიშანჭალა).

ორჟველები – საძოვარი შავდელის მარცხ. მხარეს. იდგა ორი ბუოლის ხე (მაიდან).

ორწყალშუა – სახნავი ცხენისწყლის ჭალაში, შავდელესა და არხს შუა. ორი წყალი აღნიშნავს ორ ტბორს (გუგუნაყათი).

ოტიას დაბადი – ტყე რიონის მარცხ. ნაპირზე, სოფ. ქორეისუბნის საზღვართან (გულეიკარი).

ოტიეშ ნოხორი – სახნავი რიონის მარჯვ. მხარეს (პირველი ეწერი).

ოტორთხე „სამტრედე“ – ტყე რიონის მარჯვ. მხარეს, გამოდმა კოდორის საზღვართან. ხურმის ტყე იყო და მტრედები ეტანებოდნენ (მეორე ეწერი).

ოქროპირაშ ტობა – მორევი ნოდელაზე (ძველი აბაშა).

ოდალური/მადვალური/მოდვალური – სახნავი ტობოლოსა და ნოდელას შუა, სარკინიგზო და საავტ. ტრასასთან (ბუღვანი, ტყვირი).

ოდლე „საბუე“ – 1. სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს (ონტოფო); 2. სახნავი მდ. აბაშის მარცხ. ჭალაში (საბოკუჩავო); 3. სახნავი აბაშის მარცხ. მხარეს (მანცხვარკარი).

ოყომურე „სატყემლე (ადგილი)“ – ხეხილნარი. იგივე ოკარალოკე (აბაშისპირი).

ოყანჩე „საყანჩო“ – ერქვა სახნავს სამაკალათიში (გამოდმა ზანათი).

ოჩარული – საძოვარი. იგივე ოჩვარუ (ონტოფო).

ოჩარულის წყარო – წყარო ოჩარულში (სამიქაო).

ოჩარულიშ მადალი – ტყე ნოდელის მარცხ. ნაპირას, შემადლებულ ადგილზე (ონტოფო).

ოჩარულიშ წყურგილი/ოჩვარუშ წყურგულე – წყარო-ნაკადული, ნოდელის მარცხ. შენაკადი (ონტოფო).

ოჩე – 1. საძოვარი ნოდო-ხაშის საზღვართან (ონტოფო); 2. ერქვა სახნავს ნოდელის მარჯვ. ნაპირზე, მდინარის რკალში. მდინარე გაასწორეს და ოჩე ნოდელას მარცხ. მხარეს აღმოჩნდა. ოჩე აღნიშნავს საბატონო, სადადიანო, ფართო და მადალმოსავლიან ადგილს. ი. ყიფშიძე: „ოჩე – დიდი მინდორი“; 3. ჭარაია: „ოჩე – დიდი ყანა, ხოდაბუნი“. ოჩეს უძველესი, უპირველესი მნიშვნელობაა: საუფროსო, საუხუცესო (ქართ. ც : მეგრ. ჩ). (ნაესაკაო).

ოჩემუხური – სახნავი ოჩესთან, ნოდელის მარცხ. ნაპირზე (ნაესაკაო).

ოჩენაგუდი – სახნავი კოვზას ნაპირზე. ზედა მაიდანში, დიდოჩეს გვერდით (მაიდანის).

ოჩვარუ//ოჩარული – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს, დაკელას გვერდით. რესპ.: „ჭადისჭადის საცეხველი ედგათ და ისაა ოჩვარუე“. შდრ. ოჩარუე „საცეხველი, სიმინდის საფშენელი“ (ონტოფო, სამიქაო).

ოჩვარუშე წყურგული – ნაკადული. იგივე ოჩარულიშე წყურგილი (ონტოფო).

ოჩხამური – მინდორი საგადელიოში, ცუდღარის ნაპირას. აქ უწინ წყლის საცეხველი მდგარა. აღ ქობადია: „**ოჩხამა** – წვრილი თევზია ერთგვარი, წითელფორეჯებია-ნი“; ო. ქაჯაიას განმარტებით კი, ოჩხამური იგივეა, რაც ოჩხომური „სათეფზაო ადგილი“. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ოჩხამური იგივე ცხემლაა, ხოლო ოჩხომური – საცხემლე (გ. როგავა, მ. ჩუხუა). შდრ. ქეგლ: ქართ. ცხემლ- : მეგრ. ცხემურ-//ცხიმურ- : ლაზ. ცხემურ-//მცხემბრ- : სვან. ცხუმ-, ცხემ-, ცხჷიმ (ონტოფო).

ოჩხომე/ოკუეში – ტბორი ძიგურში, სკურსა და ჭილურს შუა. ოჩხომე „სათეფზე“, ოკუეში „საკუე“ (გაღმა ზანათი).

ოჩხომებოგა – ბოგირი ოჩხომეში (გაღმა ზანათი).

ოწურბელანარნე – ტბა-ჭაობი. იგივე რგვალნარნე. ოწურბელა „საწურბლე“ (კეთილარი).

ოჭორთე – საძოვარი მაღალსა და სათუნგიოს შუა. **ჭორთი** – ნორჩი, ახლამოყრილი ხე → **ოჭორთე** – ნორჩი ბუჩქნარი, ტანწვრილი ხეების ტყე. შდრ. აღ. ქობადია: „ოჭორთე – ნორჩი, ტანწვრილი, სასარე ხეების კორომი; ჭალაკი“ (წყემი).

ოხვამეკარი – 1. საკარმიდამოები კვათანის ცენტრში, თარანგილოზთან. უწინ საბურთაო ადგილი იყო (აბაშა); 2. ერქვა სოფ. კეთილარის ცენტრს (კეთილარი); 3. უბანი მანცხვარის ნაეკლესიართან, საჭატურიოში. მანცხვარკარსაც უწოდებდნენ, სანამ იგი სოფლის სახელად იქცეოდა (მანცხვარკარი); 4. უბანი საკუპრაოში, ზანის მარცხ. მხარეს.

ოხვამეკარი აღნიშნავს ოხვამეს („სალოცავი, ეკლესია“) წინ მდებარე ტერიტორიას (ძველი აბაშა).

ოჯაპია – სახნავი დაჭუს მარჯვ. მხარეს. **ჯაპი** „თუ-თა“ → ოჯაპე „სათუთე, თუთნარი“ → ოჯაპეა → ოჯაპია (გამოდმა კოდორი).

ოჯარე – მინდორი ღანჯონაში, თარანგელოზის ოხვამესთან. **ჯარი** – შეკრებილობა, ხალხმრავლობა დღეობაში, ხატობაში ან გასართობად თავმოყრილი ხალხი → ოჯარე – დღეობაში, ხატობაზე, სადღესასწაულო დღეებში ახალმობილო სოფლებიდან (უბნებიდან) ხალხის თავშეყრისა და გართობის, ცეკვა-თამაშის ადგილი (გამოდმა კოდორი).

– 3 –

პალოტი (← რუს. ჭაობი) – ტბა-ჭაობი საახობადოში (გამოდმა ზანათი).

პალოტბა – სახნავი პალოტთან (გამოდმა ზანათი).

პალური – სახნავი. იგივე სადობი (გაღმა ზანათი).

პაპანების წყარო – წყარო-ნაკადული ნაცხენიწყლოს მარჯვ. მხარეს. პაპავა გვარია (გეზათი).

პაპაშ მუხური – სახნავი სადანელიოში (გაღმა ზანათი).

პაპაშ ნოხორი – 1. სახნავი უბან ახალსოფელში, ცუდღარის მარჯვ. მხარეს (გამოდმა ზანათი); 2. სახნავი საჩოხიოში (ნორიო).

პაპაშ წისქვილი – წისქვილი ცუდღარზე. ეკუთვნოდა პაპას, ე.ი. მღვდელს (ეწერი).

პართენიაშ დიხა – სახნავი კაპანაში (აბაშა).

პართეშ მაღალი – სახნავი ნოღელის მარჯვ. მხარეს, ვახანაში (აბაშა).

პარმენიშ ჭორთი – ბუჩქნარი ახალსოფლის განაპირას, კოლაშ ჭორთის გვერდით (გამოდმა ზანათი).

პატარა გეზათი – სოფელი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, ქლობნის ჩრდ. წვეტსა და გუგუნყათს შორის. ფაქტიურად, ერთი ქუჩაა 62 კომლით. თვლიან, რომ მათი წინაპრები გეზათიდან გადმოსახლებულან. ზოგი ამტკიცებს,

რომ პატარა გეზათი დიდი გეზათის ნაწილია. თუმცა დღეს პატარა გეზათსა და დიდ გეზათს საერთო საზღვარი არა აქვს. რესპ.: „პატარა გეზათი ეწოდა იმის მერე, რაც ცხენისწყალმა ნოდელისაკენ გადმოხეთქა“ (აბაშის რ-ნი).

პატარა კვათანა – ქალაქის უბანი. იგივე ჭიჭე კვათანა (აბაშა).

პატარა კოვზა – კოვზას მარცხ. მდგენელი (მაიდან).

პატარა ცხენისწყალი – ცხენისწყლის ტოტი (გულუხეთი).

პატარა წყაროთავი – სახნავი, წყაროთავის ნაწილი (მაიდან).

პატონსქუაშ ტყა – ტყე-ნაკრძალი. იხ. დაბალტყა (წყემი).

პახვალას ბეგი – საძოვარი ბეგებში (გულუხეთი).

პახვალაშკარი – გზათგასაყარი. იგივე ოთხბორზალა (აბაშა).

პერელა – ფერდობი აბაშის ნაპირზე. ეთესა პერელა, ეთერზეთოვანი მცენარე. შდრ. რუს. *перилла масличная* „ზეთის პერილა“ (ძველი აბაშა).

პერელაშჯინჯი – მორევი აბაშაზე, პერელას ძირას (ძველი აბაშა).

პეტრეშ ნოხორი – ჩაის ფართობი საკილასონიოში (წყემი).

პეტრიანამოსახლი – სახნავი ხირჩინას ნაპირას, ონოდის საზღვართან (მაიდან).

პირველი ეწერი – სოფელი წალიკარსა და მეორე ეწერს შუა, რიონის მარჯვ. მხარეს (აბაშის რ-ნი).

პირველი იღორი – სოფლის ძველი სახელი (პირველი მაისი).

პირველი მაისი – სოფელი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე. რესპ.: „1937 წელს მარნის ერთ ნაწილს დაერქვა პირველი მაისი“. ესაზღვრება ჩრდ-ით – სოფ. მარანი, სამხრ-ით – გაუწყინარი, დას-ით – თხმელარი. უფრო ადრე გამოღმა საჭილას ნაწილი ყოფილა (აბაშის რ-ნი).

პირველი ონტოფო – სოფელი მდ. ნოდელის მარჯვ. მხარეს. ესაზღვრება: ძვ. აბაშა, გეზათი, ეწერი, გულუხეთი, სამიქაო (აბაშის რ-ნი).

პირველწყალი – ცხენისწყლის ტოტი. ცხენისწყლის სამი ტოტიდან უახლოესია სოფელთან. შდრ. მეორე წყალი, მესამე წყალი (სამიქაო).

პირტახიას ადგილი – სახნავი დობირში. პირტახია გვარია. ძირითადად სენაკისა და მარტველის რაიონებშია ვაგრცელებული (მარანი).

პიტაგების უბანი – უბანი თელიების უბანსა და ჯანელიძეების უბანს შუა. პიტაგები თვლიან, რომ მათი წინაპრები იყვნენ კვიტაშვილები სოფ. ნიკორწმინდიდან (რაჭა). გვარი მცირერიცხოვანია (180 სული საქართველოში). ამოსავალია პირსახელი პიტა, რაც ნიშნავს: „პატარა ტანისა, ნამცეცა“ (მარანჭალა).

პლატონის წყარო – წყარო წყვიას ნაპირას (გეზათი).

პროკოფიშ მიშალური – გზა, რომელიც მუხურფონში მიდის. მიშუულა „შესვლა“ → მიშალური „შესასვლელი“ (ნაესაკაო).

პროფიშ დიახონი – სახნავი ზანის მარცხ. ნაპირზე. დიახონი ჩაქანებულ-ჩადაბლებული ადგილია (სეფიეთი).

პუმპულანა – სახნავი საჭატურიოში. პუმპულა ვაზის ჯიშია (აბაშა).

პუმპულონი – სახნავი გაღმა საბოკუჩავოში, ბაქან ძიგურის სამხრ-ით (საბოკუჩავო).

– უ –

უვანიაშ დინა – სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს (საბოკუჩავო).

უვანური – საძოვარი კოვზასა და შადვლელეს შუა. უვანია (გვარსახელია) → უვანური „რაც უვანიასი იყო“ (სამიქაო).

უველეები „ბჟოლები“ – სახნავი სოფ. გუგუნაყათის საზღვართან. რესპ.: „უველე იგივეა, რაც ბჟოლი. აქ იყო გაშენებული“ შდრ. აღ. ქობალია: „უველა – ფოთლოვანი რტო“ (პატარა გეზათი).

ჟიპიჯი – 1. სახნავი ნარნეს მარჯვ. მხარეს, ჩეჩონის გვერდით. ჟიპიჯი ← ჟირპიჯი „ორპირი“ აღნიშნავს ხერთვისს, ე.ი. ორი მდინარის შესართავს. აქ ნაური მარჯვნიდან ერთვის ნარნეს (კეთილარი); 2. სახნავი. იგივე გუდური (გაღმა ზანათი); 3. სახნავი ტეხურისა და აბაშის შესართავთან, ნაპაჭკორუს პირდაპირ (გამოდმა ზანათი).

– რ –

რადიაშ ნოხორი – სახნავი ვახანაში (აბაშა).

რამენული – სახნავი ზუგუს ქვემოთ, აბაშის მარჯვ. ნაპირზე. რამინი, რამენი პირსახელია (ძველი აბაშა).

რამისქუაშ ნაკარუ – სახნავები დიდიანომერთან. რამისქუა იგივე რამიშვილია (კეთილარი).

რამიშ დაბაი – მორევი მდ. აბაშაზე. იმ დროსაა დარქმეული, როცა გვერდით რამი ეთესა (ძველი აბაშა).

რამიშ ჭალა – საძოვარი ნოდელის მარჯვ. მხარეს, სადაც რამი ეთესა (აბაშა).

რაფი – საძოვარი ცხენისწყლის მარჯვ. ჭალაში. აქ იყო რაბი – არხის სათავე-საკეტი. შდრ. ქართ. რაბი: „მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ჩაკეტავენ ან მიუგდებენ წყალს (არხში, წისქვილში...)“. (ქეგლ, VI). შდრ. იმერულ დიალექტში: „რაფი – წისქვილის სათავე“ (ბერიძე, 1912). (გუგუნაყათი).

რგვალნარნე/ოწურბელანარნე – ტბა-ჭაობი ანჯერში (კეთილარი).

რეკა – 1. საძოვარი ნოდელში, ნოდელასა და შავდელეს შუა. რეკა მდინარისპირა ქვიანი ადგილია, რიყეზე ოდნავ ამადლებული (აბაშა); 2. საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს. რესპ.: „რეკა საერთოდ კრიოხი, ქვიანი, მოუსავლიანი ადგილია“ (ქართ. კრიოხი : მეგრ. კრიოხი). აღ. ქობაღია: „რეკა – რიყე“; ო. ქაჯაია: „რეკა – მდინარის ქვიანი და ქვიშიანი პირი; რიყე, კრიოხი“ (ონტოფო).

რეკაღელე – ღელე, ზანის მარცხ. შენაკადი. გადის სარურუოსა და საოჩიგაოში. (სეფიეთი).

რემანოზიშ ეზო – სახნავი ძვ. აბაშის საზღვართან (ონტოფო).

რემას ფშიარი – ტყე წყალთაშუაში (მაიდან).

რიონი – დას. საქართველოს უდიდესი მდინარე. სიგრძე 327 კმ. სათავეს იღებს ფასის მთაზე. გაივლის რაჭის, იმერეთის, სამეგრელოს რეგიონებს. ერთვის შავ ზღვას ქ. ფოთთან. ძველ ბერძნულ წერილობით წყაროებში მოიხსენიება ფასისის სახელით. ეს მდინარე შავი ზღვისა და კასპიის ზღვის დამაკავშირებელი სავაჭრო გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო (სუჯუნა).

რიონის ჭალა – ჭალა-სახნავები. იგივე ჭალა (ქვიშან-ჭალა).

რიონის ხაბო – ფლატე რიონის მარჯვ. ნაპირზე (გაუწყინარი).

რიონში ღარღე – მდ. ტოტი. იგივე ღარღე (წალიკარი).

რიონკიდე – ბექი რიონის მარცხ. ნაპირზე (გულეიკარი).

რიონკიდის ჭალა – რიონის ჭალა რიონკიდესთან (გულეიკარი).

რიონპიჯი/ჭალა – ჭალა-სახნავები რიონის მარჯვ. ნაპირას (პირველი ეწერი).

რიონპიჯობა „რიონისპირები“ – ჭალა-სახნავები რიონის მარჯვ. ნაპირზე, ჯვეშ ტყვირში (ტყვირი).

რისკარე/ნარისუ – საძოვარი საჯალაღანიოში სოფ. ძიგურის საზღვართან. გადმოცემით, აქ რუსს ჰქონდა კარე. მეგრ. რისი, რგსი „რუსი“ (წყემი).

რიყე – 1. სახნავები ნაცხენიწყელს მარჯვ. ნაპირზე (გეზათი); 2. საძოვრები. იგივე ცხენისწყლისპირი (გულუხეთი); 3. ერქვა მინდორს, რომელიც დაფარა სატბორემ. ამ რიყიდან გადავიდა ცხენისწყალი ნოდელაში 1914 წელს (ქოლობანი); 4. საძოვრები ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე (სამიქაო) და სხვ.

რიყიპირი – სახნავი. გასდევს ცხენისწყლის რიყს (მაიდან).

რიყისპირი – სახნავები ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირის ბექობზე (სამიქაო).

რიცე „რიყე“ – საძოვარი ნოდელის მარცხ. ნაპირზე (ონტოფო).

რიჭკე/სატაბანო – სახნავი ცხენისწყლის ჭალაში. რესპ.: „რიჭკე ეწოდება თხელ წყალს, სადაც ტოვებენ ტაბანს, ანუ ანკესს ლარზე“. რესპოდენტისეულ ერთ წინადადებაში ორი სიტყვაა განმარტებული: რიჭკე და ტაბანი. ამათგან რიჭკე (ე.ი. „წყალთხელი“) სალიტერატურო ქართულისა თუ ქართველური ენებისა და დიალექტების ლექსიკონებში არაა დაფიქსირებული. მაშასადამე, იგი მეგრულის კუთვნილებაა; ტაბანი კი, ჩვენთვის მისაღები მნიშვნელობით, მხოლოდ მეგრულის ლექსიკონებშია დამოწმებული. „ტაბანი – გვარლი. გრძელი და მსხვილი თოკი, ღვლეჭი; ძირი“ (აღ. ქობალია); „ტაბანი – სათევზაო მოწყობილობის ნაწილი; მსხვილი თოკი, რომელზედაც მიბმული იყო უფრო წვრილი თოკები – კოლები; ამ უკანასკნელზე კი – ანკესი“ (ო. ქაჯაია). (გუგუნაყათი).

რკინიგზიპირი – სახნავი რკინიგზის გვერდით (ქოლბანი, ბულვანი).

რობა „ხევი, ჩაღრმავება“ – 1. სახნავი ნაცხენისწყლოს მარჯვ. მხარეს, კოვზას ნაპირებზე. ჩადაბლებული ადგილია. აქ ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ წყალდიდობის შემდეგ გადასახლდნენ (გეზათი); 2. ერქვა სოფელს ქოლობანსა და ნოდო-ხაშს შუა. ცხენისწყლის გადმოვარდნის შემდეგ რობას მცხოვრებნი, გვარად სიმონია, ცომია, კორძია და სხვ. საცხოვრებლად ჭიჭე კვათანასა და კაპანაში გადასულან. ამჟამად რობა საძოვარია ქ. აბაშისა და ქოლობნის საზღვარზე. სახელწოდება დაფიქსირებულია 1753 წელს შედგენილ „წყალობის წიგნში“: „რობას სამი გლეხი იყო ჩვენი... ეს სამი გლეხი რობას ესახლენ, მაგრამ მიქელაძემან არ დააყენეს და წამოვიყვანეთ და გამოღმა კოდორს დავასახლეთ“ (ქსმ, III, გვ. 837). დავით დადიანის მიერ განხორციელებული ოდიშ-ლენხუმის აღმ.-ტერიტ. დაყოფის (1842 წ.) თანახმად, **რობა** სოფელია და შედის სუჯუნის მაზრაში, ხოლო 1886 წელს – კვათანის სოფლის საზოგადოებაში (19 კომლი, 106 სული: კაცი – 55, ქალი – 51). (ქ. აბაშა, ქოლობანი).

რობაშ დიკალუ – დაღმართი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე. დიკალუ „დაღმართი; ჩასასვლელი“ (აბაშა).

რობაშ წისქვილი – ერქვა წისქვილს რობაში, კოვზაზე (გეზათი).

როგონე – სახნავი ანჯერში მოჭვირის დას-ით. აღ. ქობალია: „როგო – ტყეში მდგარი ფუღურო ხე, რომელშიც ფუტკარი ბუდობს; სკა, ბუკი გარეული ფუტკრისათვის. **როგონა//როგონე** – ბუკნარი; ბუნებრივი სკების ადგილი ტყეში“ (კეთილარი).

როხული – სახნავი. ლეხურის იშვიათი ვარიანტი (გეზათი).

რუსე – დეღე, ნარნეს მარჯვ. შენაკადი ნაურიდან 1,5 კმ-ზე (კეთილარი).

რუსეშ დაბალი – სახნავი რუსეს ნაპირებზე (კეთილარი).

რუსეშდუდი – წყალთშესართავი: აქ რუსე ერთვის ნარნეს (კეთილარი).

რუსიები – სახნავები კოვზას მარცხ. მხარეს. ესახლნენ გვარად რუსიები. ძველ საქართველოში რუსა, რუსი, რუსია პირსახელებია. გვარი რუსიძე უკვე XII ს-შია დადასტურებული. საერთოდ კი რუსა მოხსენიებულია კერ კიდევ ურარტულ წარწერებში (გეზათი).

რუსიების ტყე – ერქვა ტყეს. ახლა ამ ადგილს ეწოდება ნადიზელო (იხ.). (გეზათი).

რუსის გზა – ნაგზაური ნაკლასოსთან. გადიოდა გეზათისაკენ (ქლოლობანი).

რუშა//რუში//რუშე – დეღე. სათავეა წყარო-ტბორი ლეჟავების უბანში. იერთებს ცხენისწყლის ტოტს, ჩაედინება ნოდოში და წიფნართან ერთვის რიონს. იხ. აქვე: „რუშას გამოდმა“; „რუშას გაღმა“. რუშა რამდენიმეჯის არის მოხსენიებული შუა საუკუნეების საისტორიო-საეკლესიო წყაროებში. მაგალითად, „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლის დავთრის“ (1616-1621 წწ.) მინაწერში სამგანაა დასახელებული რუშა. „შემოგწირე საჭილაოს რუშას საყდარი თავისი თორმეტი კომლი კაცით, თავის წყლით, მიწით, ტყით, მამულით და ყოვლის მისის ქონებით“ (იხ. ქსმ, III,

გვ. 474-475). რუ საერთოდ ეწოდება ჩამდგარ წყალს. მაშასადამე, რუშა ← რუ შავი. შდრ.: ერთ-ერთ შეწირულების წიგნში დასახელებულ „რუშის საყდარს“ ა. ფაილოძე განმარტავს: „ჩემი აზრით ეს მეგრული გამოთქმა ნიშნავს რუის, რუისპირის საყდარს“ (ფაილოძე, 2011, გვ. 215). რუშავა სახნავია სოფ. დიდ ჯიხაიშიც (სამტრედიის რ.). (ქლოლობანი, თხმელარი, გუგუნაყათი, მარანი...).

რუშე – დეღე. იგივე რუშა (ქლოლობანი, თხმელარი...).

რუში – დეღე. იგივე რუშა (ქლოლობანი, თხმელარი, გუგუნაყათი, მარანი...).

რუშიპირები – 1. სახნავები რუშის მარცხ. ნაპირზე, რკინიგზის ხაზამდე (გუგუნაყათი); 2. სახნავ-სადოვრები რუშის ნაპირებზე (მარანჭალა).

რუშიპირი – 1. სახნავები რუშის მარჯვ. ნაპირზე (ქლოლობანი); 2. სახნავი რუშის მარჯვ. მხარეს, სოფ. მარნის საზღვართან (ბულვანი).

რჩქონი – 1. სახნავი აბაშის მარცხ. ნაპირზე (გამოდმა ზანათი); 2. ტირიფნარი, სახნავები. იგივე ტილიფნარი (გამოდმა კოდორი); სახნავი რიონის მარჯვ. ნაპირზე (წალიკარი). შდრ. ჩქონი.

– ს –

სააგურე – სახნავი რკინიგზის ხაზის ჩრდ-ით, ბარცხიმთან (მარანი, ქლოლობანი).

საანგურე „სააგურე“ – სახნავი მდ. აბაშის ნაპირას, დობირაში (საბოკუჩავო).

საანგურო – მინდორი ჭითა დეღეს მარცხ. მხარეს (სეფიეთი).

საახლობაძო – ახობაძეების უბანი აბაშის მარცხ. მხარეს. ახობაძე მრავალრიცხოვანი გვარია (2363 სული საქართველოში). ფართოდაა გავრცელებული იმერეთსა და სამეგრელოში: ქლოლობანი – 22 კომლი, პირველი მაისი – 21 კომლი, ზანათი – 6 კომლი, ძველი აბაშა – 4 კომლი და სხვ. (გამოდმა ზანათი).

საბალახო – ნატყევარი. იგივე გოშახი (ქვიშანჭალა).

საბასქუაშ ბოგა – ბოგირი ცუდღარზე, სახომტარიო-ში. საბასქუა გვარ საბაშვილის არაოფიც. ვარიანტია (სუ-ჯუნა).

საბატია – უბანი. იგივე ცაგურიების უბანი (ქოლობანი).

საბერისული – საძოვარი საღანჭალის მარცხ. მხარეს (სამიქაო).

საბოკერიო – ბოკერიების უბანი ნოდელის მარჯვ. მხარეს. დარჩენილია 3 კომლი ბოკერია. ბოკრო სვანეთში პირსახელია, ხოლო ბოკერიანი – გვარსახელი (ონტოფო).

საბოკუნავო – სოფელი მდ. აბაშის ორივე ნაპირას, ძიგურსა და გაღმა ზანათს შუა. ადგ. ვარიანტი: საბოკუნო (აბაშის რ-ნი).

საბოკუნო – საბოკუნავოს ადგ. ვარიანტი (საბოკუნავო).

საბჟალიო//ბჟალაგების უბანი – უბანი ცუდღარის ნაპირას. როგორც ჩანს, ბჟალა „მზიანი, ნათელი“ (ეპონიმის მეტსახელი ან პირსახელი) → ბჟალაგა. სვანთა შორის, ბჟალა მეგრულში წითურსაც ნიშნავს. ონტოფოში ცხოვრობს ამ გვარის 8 კომლი (ონტოფო).

საბჟია – სახნავი ნაცხენიწყლოს მარჯვ. მხარეს. ბუ → საბჟე → საბჟია (გეზათი).

საგაბლაიო – დასახლ. უბანი ხაშში. გაბლაია (← გაბელაია) მცირერიცხოვანი გვარია (სულ 257 სული საქართველოში, ძირითადად, ზუგდიდის, წალენჯიხისა და აბაშის რაიონებში). გაბა, გაბე, გაბელ, გაბი, გაბილ სვანეთსა და სამეგრელოში გავრცელებული სახელებია (ქსს, 1986). (აბაშა).

საგაბუნო – ერქვა მდ. აბაშის მონაკვეთს. რესპ.: „გაბუნი ეწოდება ბაწარს, რომელზეც გამობმულია რამდენიმე ანკესი და გაჭიმულია მორევის თავზე ან მდინარის ერთი ნაპირიდან მეორემდე“. გაბუნი ქეგლ-სა და ქართული დიალექტების ლექსიკონებში არ დასტურდება (ძველი აბაშა).

საგაგულიო – უბანი. გაგულია მცირერიცხოვანი გვარია, სულ 61 სული საქართველოში. მათგან კეთილარში ცხოვრობს 5 კომლი. 1634 წლის დოკუმენტში დადასტურე-

ბული არიან გაგულია ბაბაშია და გაგულია მუშქვამური (პალ, I, გვ. 589). გაგულიები, შელიები და ქობალები, რომლებიც კეთილარის კოდორში დღემდე ცხოვრობენ, სუჯუნის ეკლესიის ყმები ყოფილან (მღვდელი კონსტანტინე, 2004, გვ. 52). გაგულ (სვანეთში) და გაგულა (სამეგრელოში) პირსახელებია. პირსახელებად გვხვდება გაგულია (ც. XVIII ს. საეკლესიო საბუთში დასახელებულია გაგულია მამფორია (ქსძ, III, გვ. 1077). (კეთილარი).

საგადელიო – გადელიების უბანი ცუდლარის ნაპირზე. მეორე ონტოფოში ცხოვრობს ამ გვარის მატარებელი 9 ოჯახი. **გადა** კოლხეთში პირსახელია, **გადელი-** და **გადილ-**მისი ვარიანტებია. მეტყველებაში გადელია და გადილია ხშირად ცვლის ერთმანეთს (ონტოფო).

საგამსახურდიო – ერქვა დღევანდელ კუპრავების უბანს ძველ აბაშაში. გამსახურდიები მიგრირებულან სამურზაყანოდან, აქედან კი ნოსირში გადასულან. პირსახელი გამსახურდა, გამსახურდი და გვარი გამსახურდია გვხვდება XVII ს. საეკლესიო საბუთებში (პალ, I, 597; ქსძ, III, 510). აქაური გამსახურდიები აზნაურები იყვნენ (ძველი აბაშა).

საგეგენაო – გეგენავების უბანი სოფ. საკილასონის საზღვართან. გეგენავები ოდიშის სამთავრო ტახტთან დაახლოებული აზნაურები იყვნენ. გვარი პირველად 1636 წელსაა დამოწმებული. პირსახელი გეგენა ფართოდ ყოფილა გავრცელებული იმერეთისა და გურიის თავადა-ზნაურთა ოჯახებში (ჭუმბურძე, 1993, 1999). 1904 წლის აღწერით, წყემის თემში (კერძოდ, სოფ. ძიგურში) მცხოვრები გეგენავები აზნაურები იყვნენ (ძიგური).

საგვალეო – დასახლ. უბანი სოფლის დას. ნაწილში. აქ მკვიდრობს გვალეების 34 კომლი. გვალეები მრავლად ცხოვრობენ მარტვილისა და ხობის რაიონებში. იყვნენ აზნაურები (ვიღორი).

საგონოლისქუო – უბანი. იგივე საგონოლეიშვილო (ეწერი).

საგონოლეიშვილო//საგონოლისქუო – გონოლეიშვილების უბანი ცუდლარის ნაპირას. გვარის სამშობლოა აბა-

შის რაიონი. ამიტომაც აელენს ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ თავისებურებებს: გოჩოლა (პირსახელი) → გოჩოლაიშივილი → გოჩოლეიშივილი. არაოფიც. ვარიანტები: გოჩოლიშივილი, გოჩოლისკუა. ეწერში ცხოვრობს გოჩოლეიშივილთა 30 კომლი (ეწერი).

საგოჭია – სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს, ნატყე-ვარზე (მაიდან).

საგოჭილე – სახნავი. იგივე საკოჭილო (კეთილარი).

საგუგუსქუო//საგუგუშივილი – გუგუშივილების უბანი სოფლის დას. ნაწილში. რესპ.: „ჩვენი წინაპარი ყოფილა გვარად ზუმბაია აფხაზეთიდან. ორ ძმას იქ კაცი მოუკლავს, გამოქცეულან და აქაურ თავადს მინდობიან, მას ოჯახში ჰყავდა გუგული და ამიტომაც ძმებისთვის უთქვამს, გუგუსქუა იყავითო. ამასთანავე, ერთისთვის აზნაურობა უბოძებია, ხოლო მეორისთვის (მისი შთამომავლები მეორე ეწერში ცხოვრობენ) – არა“. სხვა გადმოცემა: „სამურზაყანოელი ზვამბაია მინდობია ჭყონდარს აქ, სუჯუნაში, სადაც მას საზაფხულო სამყოფი ჰქონია. ლტოლვილის სახელი ყოფილა ლომინი. იგი დაუსახლებიათ იქ, სადაც დღეს ლომნოხორი ეწოდება. ლომინის შვილი ყოფილა გუგუ და გვარი გუგუსქუა სწორედ მისგან მომდინარეობს“ (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 76). კიდევ ერთი გადმოცემა: „ეწერელი გუგუშივილების წინაპრები რაჭიდან გადმოხვეწილან. ოფიც. ვარიანტია გუგუშივილი (აბაშის რ-ნში – 367 სული, სენაკის რ-ნში – 931 სული, მოლიანად საქართველოში – 1450 სული). (პირველი ეწერი).

საგულეიკარო – სახნავი ანჯერში (ქსძ, III, გვ. 515). როგორც ჩანს, ამ ყანას გულეიკარი ამუშავებდა (გაღმა კოდორი).

საგუნო – დასახლ. უბანი აბაშის მარჯვ. ნაპირას, საოდიშარიომდე. გვარსახელი გუნია ამ სოფელში წარმოდგენილია 25 კომლით. წინაპრები მოსულან სოფ. ეკიდან. ეკის მცხოვრები გუნები დასახლებულია 1629 წლის საეკლესიო საბუთში (პალ, I, გვ. 741). (გაღმა ზანათი).

საგუჯუე – მიკროუბანი სანადარეიშვილოში. გუჯუე ნადარეიშვილების ერთ-ერთი შტოს მეტსახელია (ონტოფო).

სადავითაიო – დავითაიების უბანი ცუდღარის ნაპირას. ეწერში ცხოვრობს ამ გვარის 28 კომლი. დავითაია (ამოსავალია პირსახელი დავითა) დაფიქსირებულია XVII ს. საბუთში. ფართოდაა გავრცელებული სენაკისა და ზუგდიდის რაიონებში (ეწერი).

სადანელიო – დანელიების უბანი მარაგანის ნაპირებზე. დანელია მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში (5666 სული, მე-60 ადგილი) და სამეგრელოშიც (3084 სული, მე-16 ადგილი). გაღმა ზანათში ცხოვრობს 17 კომლი. პირსახელი დანელ(ა) დაფიქსირებულია საისტ. საბუთებში (პალ, II, გვ. 51). (გაღმა ზანათი).

საეკალო – საძოვარი შავდელის მარცხ. მხარეს. სალაქაშოსა და კურდღელისა შუა. რესპ.: „ხეები იდგა გვინძლიანი, ე.ი. ეკლიანი. ისე გრაკალს უძახიან“ (შდრ. ქეკელ: „გრაკლა – დაბალი ტანის ფოთლოვანი ბუჩქი... დეკორაციულია და თაფლოვანი“. იმერულ დიალექტში ეკალა იგივეა, რაც სალიტერატურო ქართული ენის ეკალდიჭი (ა. მაყაშვილი). (გაუწყინარი).

საესაკიო – ესაკიების უბანი საჯანაშოისა და სოფლის ცენტრს შუა. ესაკიებს ერთმანეთი დაუხოცავთ და მხოლოდ ორიოდე გადარჩენილა. მაშინ დარქმევეა ნაესაკაო. მერე გამრავლებულან. 1904 წელს ნოსირში ცხოვრობს ორი კომლი ესაკია, აზნაურის წოდებისა. გ. ელიავა საესაკიოს ასახელებს „ნაესაკუ“ ვარიანტით (ელიავა, 1977, გვ. 52). გვარისათვის ამოსავალია პირსახელი ესაკი (ნაესაკაო).

საესიო – უბანი სოფ. ნორიოს საზღვართან. ცხოვრობს ესიაეების რამდენიმე კომლი. საერთოდ კი, ესიაეა მცირერიცხოვანი გვარია (420 სული საქართველოში, ძირითადად აბაშის რ-ნში). გვარისათვის ამოსავალია პირსახელი ესია (მანცხვარკარი).

სათაკვარელიო – თაკვარელიების უბანი ნოდელის მარჯვ. მხარეს. თაკვარელია მცირერიცხოვანი გვარსახე-

ლია (მხოლოდ 126 სული საქართველოში). ძირითადად ცხოვრობენ აბაშისა და სამტრედიის რ-ნებში. გადმოცემით, აქაური თაკვარელიები ყოფილან საყვარელიძეები ზესტაფონიდან. ზოგი რესპოდენტი ამ გვარს უკავშირებს ლენხუმის უძველეს ტოპონიმს – თაკვერს. თაკვარელიანი → თაკვარელია (თოფურია, 1961, გვ. 482). (ონტოფო).

სათან(ა)ური – უბანი ტყემაღლას ორივე ნაპირას (პირველი მაისი, თხმელარი).

სათესლე – სახნავი რუსიებში. კოლმეურნეობას აქ ჰქონია სათესლე ფართობი (გეზათი).

სათეშდული – 1. მორევი ნოდელაზე. ქართ. სათავე → მეგრ. სათე. აქ საწისქვილე არხის სათავე ყოფილა (აბაშა); 2. მორევი ნოდელაზე. წისქვილის არხის სათავეა (ონტოფო); 3. მორევი ნოდელაზე, წისქვილის წყლის არხის სათავესთან (ძველი აბაშა).

სათოფურიო – თოფურიების უბანი სოფლის ცენტრთან. თოფურია მრავალრიცხოვანი გვარია (3225 სული საქართველოში). XX ს. დამლევს აბაშის რ-ნში მკვიდრობდა რამდენიმე ათეული კომლი თოფურია: ქ. აბაშა – 79 კ., სუჯუნა – 19 კ., ძვ. აბაშა – 10 კ., სეფიეთი – 8 კ., ონტოფო – 8 კ., კეთილარი – 8 კ. გვარი დამოწმებულია სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესიის ხუცურ წარწერაში (XVII ს.) და წმ. გიორგის ხატის მხედრულ წარწერაშიც (1844 წ.). შდრ. გვარი თოფურიძე (მოხსენიებულია 1413-1444 წწ. საისტორიო საბუთში. იხ. სოსელია, 1973, გვ. 285). 1904 წლის აღწერის მიხედვით, აზნაურების ერთი ნაწილი თოფურიძედ იწერება, მეორე ნაწილი – თოფურიად (გაბელია, II, გვ. 53). (იხ. ვრცლად თოფურიათა შესახებ: თოფჩიშვილი, 2011, გვ. 149). როგორც ჩანს, თოფური „თაფლი“ ტკბილმსუბარი და კეთილი კაცის მეტსახელია ან პირსახელი (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 88). (ონტოფო); 2. უბანი მდ. აბაშის მარცხ. ნაპირზე, ძვ. აბაშის საზღვართან. ცხოვრობენ თოფურიები. საერთოდ, აქაური თოფურიების (82 კომლი, 1996 წელს) ორ ჯგუფს გამოყოფენ: ძიგურული თოფურიევი და დეეძვარევი (მანცხვარკარი).

სათოფურიო//კაპანაში სათოფურიო – თოფურიების უბანი კაპანაში, დაჭუს ორივე ნაპირას, მანცხვარკარის საზღვართან. აქაურ თოფურიათა ერთი ნაწილი თოფური-ძედ იწერება (აბაშა).

სათოფურიო//კვათანაში სათოფურიო – თოფურიების უბანი კვათანაში, დაჭუს ორივე ნაპირას (აბაშა).

სათუნგიო – თუნგიების უბანი სოფ. გეჯეთის საზღვართან. გვარი მცირერიცხოვანია (228 სული საქართველოში). რესპ.: „თუნგიეს ჟიმოლენ სამარგალში იტყვიან, ჩვენთვის კი ესაა სათუნგიო“. წყემში ცხოვრობს 6 კომლი თუნგია. მეგრ. თუნგი „ლითონის დოქი“ შეიძლება ეპონიმის მეტსახელად ქცეულიყო (წყემი).

საიობაიო – იობაიების უბანი კვათანაში. იობაია მცირერიცხოვანი გვარია (სულ 40 სული საქართველოში), მათგან აბაშის რ-ნში ცხოვრობს 24 სული. როგორც ჩანს, იობაია გვარ იობაძის ოფიციალური (საპასპორტო) ვარიანტია (აბაშა).

საისლე – 1. სახნავი წყალპირში (ქლობანი); 2. ბუჩქნარი დიდი კოვზას მარჯვ. მხარეს (მაიდან).

საკაკულიო – კაკულების უბანი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე. კაკულია მრავალრიცხოვანი გვარია: საქართველოში 2803 სული (ძირითადად ზუგდიდისა და მარტვილის რ-ნებში). მეორე ონტოფოში კი 16 კომლი ცხოვრობს. გადმოცემით, კაკულიათა წინაპრები სოფ. ჯგალიდან გამოქცევიან სვანების შურისძიებას. წალენჯიხის რ-ნის ჯგალის თემის საკრებულოში შედის სოფ. ლეკაკულე, სადაც არც ერთი კაკულია არ ცხოვრობს. მაშასადამე, სავარაუდოა, რომ ისინი მართლაც სვანებთან კონფლიქტის გამო გასცილებიან ამ სოფელს. საისტორიო წყაროებში დაფიქსირებულია კაკი (პირსახელი) → კაკული → კაკულია (ონტოფო).

საკაჭარაო – უბანი. იგივე კაჭარეები (სამიქაო).

საკაჭრ(ა)ო – კაჭარაეების უბანი ნოდელის მარჯვ. მხარეს. 1886 წელს „საკაჭაროვ“ სოფელია კვათანის სოფლის საზოგადოებაში. საქ. სსრ პირველი აღმ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით, ეს სოფელი ფორმით „საკაჭარაო“ შე-

დის აბაშის სას. საბჭოში, შემდეგ კი ტერიტორიულად შე-
ერწყა ქ. აბაშას. კაჭარავა ფართოდ გავრცელებული გვა-
რია აბაშისა და ჩხოროწყუს რაიონებში. საკუთრივ ქ. აბა-
შაში მკვიდრობს 160 კომლი კაჭარავა. ვარაუდი: კაჭარა
მომდინარეობს სვან. კაჭარანისაგან (თოფჩიშვილი, 1997,
გვ. 50, 102). მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა აღნიშნავს:
„ფოთი-თბილისის სარკინიგზო გზის გაყვანამ საკაჭარაოს
დიდი ნაწილი აქცია ჯერ დაბად, ხოლო მოგვიანებით –
ქალაქ აბაშად“ (აბაშა).

საკერია//ღარღო – ერქვა ხევს. იწყებოდა ონოღიაში,
ერთოდა ნოდელას ბუღვანის ბოლოში. ამ დღეში გადა-
ვარდა ცხენისწყალი 1914 წელს. გადმოცემით, აქ, ტყეში,
ბევრი ყოფილა კერი „ტახი“ (→ საკერეა → **საკერია**). „**ღარ-
ღა, ღარღო** (გურ.) – ღრმა ხრამი ან ძნელად ჩასასვლელი,
ძნელად მისადგომი ადგილი“ (იხ. ქეგლ, VII; შდრ. „სიტ-
ყვის კონა“, 1984, 583). (გეზათი, ქოლობანი).

საკესო – ტყე. იგივე საკისო (კეთილარი).

საკვირკველიო – კვირკველების უბანი ნასოფლარ
კვათანის საზღვართან. რესპ. მ. კვირკველია: „ლანჩხუთი-
დან ჩამოსულან ბაბუაჩემი ეგნატია და ბებია ალათია. იქ
ბატონის შვილს ზრდიდნენ, მაგრამ მამალს ამ ბავშვი-
სათვის აკვანში თვალი ამოუკორტნია. გამოქცეულან და აქ
დამკვიდრებულან. ახლა მთელი უბანი ვართ. მამაჩემი კი
დადიოდა იქ, მე არ ვყოფილვარ“. XVI ს. საეკლესიო საბუ-
თის მიხედვით, წყალიძგაში (რიონის მარჯვ. ნაპირზე)
ცხოვრობენ საეკლესიო გლეხები – გვარად კვირკველები
(პალ. II, გვ. 50). შდრ. XVII-XVIII სს-ში სვანეთის სულთა
მატიანეში დაფიქსირებულია გვარი კვირკველიანი. არაა
გამორიცხული: კვირკვე/კვირიკე (პირსახელი) → კვირკვე-
ლი (კნინობით-მოყვრებითი ვარიანტი) → კვირკველია
(გვარსახელი). (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 95). (გამოღმა კოდო-
რი).

საკიდუანი – სახნავი რუშის მარცხ. ნაპირზე, დანჩა-
რას გვერდით. უწინ ტყე და ეკალ-ბარდნალი ყოფილა (მა-
რანი).

საკიზირიო – 1. კიზირიების უბანი გაღმა ზანათის საზღვართან. კიზირიებს 1921 წელს წყალდიდობის გამო დაუტოვებიათ რიონისპირა სოფ. კოდორი და აქ დამკვიდრებულან (ძიგური); 2. სახნავეები რიონის მარჯვ. ნაპირას. გამოღმა კოდორში იყო უბანი და ესახლნენ კიზირიები, მაგრამ წყალდიდობის შემდეგ დასახლდნენ ძიგურსა და კვათანაში (გამოღმა კოდორი, მეორე ეწერი).

საკირცხალი – მინდვრები ანჯერში. კირცხალია გვარსახელია. კეთილარში წარმოდგენილია სამი კომლით. **კირცხალი** ფიცხი და კერკეტი კაცის ეპითეტია. სხვა მოსაზრება: „კირცხალი ნიშნავს კირცხელს, ანუ კირცხიდან მოსულს. კირცხი სოფელია ჩხორაწყუს რაიონში“ (მღვდელი კონსტანტინე, 2004, გვ. 143). (კეთილარი).

საკისო//საკიცო//საკესო – ტყე გაღმა ანჯერში, ფიხორის მარჯვ. მხარეს (კეთილარი).

საკიცო – ტყე. იგივე საკისო (კეთილარი).

საკობრია – ცხენისწყლის ტოტი. რესპ.: „ნელა მიედინებოდა და კობრი იცოდა“. აღ. ქობალია: „**კობრი** თევზია ერთგვარი... შუაში გადრეკილი ტანი, თეთრია, ერთ არშინამდე იზრდება. ჭამს მოლს, მსუქანია, გემრიელი“ (ქოლოზანი, პატარა გეზათი).

საკორძახიო – კორძახიების უბანი ნოდელის მარჯვ. მხარეს, ონტოფოს საზღვართან. რესპ.: „უწინ იტყოდნენ საკორძახიო-საქოიაუ... შუასოფლიდან აღმ-ით გრძელდებოდა ონტოფომდე. რესპ.: „ძველი აბაშის ერთი მთავარი უბანი იყო ისევე, როგორც საკუპრაო, საქოიაუო და საჭანტურიო. ხოლო ყველაზე დიდ უბანს წარმოადგენდა შქასოფელი, რომელსაც ერთ დროს სოფლის სტატუსი ჰქონია“. ძველ აბაშაში მცხოვრები კორძახიების წინაპრები ყოფილან კორძაიები ნოქალაქევიდან, სადაც ბოლო დრომდე მიჰქონდათ შესაწირავი და მოილოცავდნენ „ჯინჯი ხატს“ (გაბელაია, 1998, გვ. 69). კორძა გვაქვს გვარ კორძაიაშიც. **ხ** გამოსატავს შთამომავლობა-მემკვიდრეობას (ძველი აბაშა).

საკოჭილო//საგოჭილე – სახნავე ანჯერში, ფიხორის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „თელაფონის მოღებაზეა“ (მოღება „გვერდით მღებარე“). (კეთილარი).

საკრამიტე – 1. ჯაგნარი სოფ. ნაესაკაოს საზღვართან (აბაშა); 2. შემადღებული მინდორი სოფლის ცენტრალურ ნაწილში (კეთილარი).

საკრამიტო – სახნავი. იგივე შქამანგარი (ტყვირი).

საკუპრათ – კუპრავების უბანი შქასოფელში, ზანის მარცხ. მხარეს. გვარსახელი კუპრავეა ძირითადად ზუგდიდისა და მარტვილს რაიონებშია გავრცელებული. ძველ აბაშაში ცხოვრობს ამ გვარის მატარებელი 30 კომლი. ყოფილან ფადავების ყმები (სოსელია, II, გვ. 189-190). პირველად მოიხსენიება 1767 წლის შეწირულების წიგნში (კაკაბაძე, II, გვ. 33). კუპრა სამეგრელოში შავგვრემანი კაცის ეპითეტია და მეტსახელადაც გვხვდება. კუპრა, კუპრი ძველ ქართულ წყაროებში მეტსახელებია. გადმოცემით, აქაური კუპრავების წინაპრები სამურზაყანოს ილორიდან ჩამოსულან (ძველი აბაშა).

საკუპრეიშვილო – უბანი სოფლის ცენტრის აღმ-ით, წისკვილიშ ტყხურის ორივე მხარეს. 1996 წელს საქართველოში აღინუსხა 1938 სული ამ გვარისა. მათი ნახევარზე მეტი სენაკისა და აბაშის რ-ნებში ცხოვრობს. სოფ. წყემში წარმოდგენილია 42 კომლით. ამოსავალია პირსახელი კუპრა. რესპ. ი. კუპრეიშვილი: „ჩვენი ძველები მოსულან გურიანთიდან. მამაჩემმა იქ, ჯინჯიხატში, წაიყვანა შესაწირი მოზვერი“ (წყემი).

საკუციო – 1. კუციების უბანი ღაჭუს ნაპირებზე. გადმოცემით, ისინი ყოფილან ტუსკიები გურიიდან. ამ გვარს ს. ჯანაშია აკავშირებდა სვანურ გვარ კვიციანთან (ჯანაშია, 1959, გვ. 36, 40). შდრ. გვარები: კვიც-არ-ი-ა, კვიც-არ-ი-ძე, კვიც-ი-შვილ-ი, (გამოდმა კოდორი); 2. კუციების უბანი ცუდღარის ნაპირას, სოფლის ცენტრის აღმ-ით (სუჯუნა).

საკუჭუხიძეო – კუჭუხიძეთა უბანი ღაჭუს ნაპირებზე, სოფლის ცენტრის დას-ით. წინაპრები ფარცხანაყანებიდან ჩამოსულან, სადაც მათ ხუთი საუკუნის წინათაც უცხოვრიათ (იხ. პალ, II, გვ. 546). ნაესაკაოს თემში მკვიდრობს კუჭუხიძეთა 83 კომლი, საერთოდ კი ამ გვარს აბაშის რ-ნში VIII ადგილი უკავია. რესპ.: „კუჭუხური“ ნიშნავს კუჭუს მოდგმას, კუჭუს შთამომავალს“ (ნაესაკაო).

სალაბარტყაო – ლაბარტყაეების უბანი მდ. ზანის ორივე ნაპირას, სოფლის ცენტრის ჩრდ.-აღმ-ით, სოფ. ვედიდკარის საზღვართან. გვარი ლაბარტყაეა ფართოდაა გავრცელებული აბაშის რ-ნში (283 სული): ძირძველი სამკვიდროა სოფ. სეფიეთი (61 კომლი). ლაბარტყა, ლაბარტყია მეგრულში აღნიშნავს ბრტყელს, წაბრტყელებულს და, შესაძლოა, ბრტყელსახა ან ბრტყელცხვირა კაცის მეტსახელად იქცეს (სეფიეთი).

სალაქაშო – 1. სახნავი დანჩარაში. უწინ ჭაობნარი ყოფილა. იზრდებოდა ლაქაში, რაც წყლის მცენარეა ერთგვარი (მარანი); 2. სახნავეები (30 ჰა) სოფლის განაპირას, პირველი მაისის საზღვართან. დაბალი ადგილია. უწინ წყალი იღვა და ლაქაში ხარობდა (გაუწყინარი); 3. საძოვარი (15 ჰა) სიმონიშვილებში, სოფ. მარნის საზღვარზე. სალაქაშია, სალაქაშო დასტურდება იმერეთის ტოპონიმიაშიც (თხმელარი).

სალიპარტიო – ლიპარტიების უბანი კვათანაში, დაჭუს ნაპირებზე. რესპ.: „ლიპარტიები წარმოშობით ლიპარტიანები არიან. ამას წინათ ერთმა ქალმა მოზვერი წაიყვანა სვანეთში შესაწირად“. გვარი დოკუმენტირებულია XV ს-დან (იხ. პალ, II, 565-566). არაა გამორიცხული: ლიპარტიო (პირსახელი სამეგრელოში) → ლიპარტია → ლიპარტია. თ. ბერაძე აღნიშნავს: ნოდის ერთ-ერთ უბანში ცხოვრობენ ლიპარტიები და მათ უბანს ეწოდება სალიპარტიო. ამ ლიპარტიებს ლიპარტიანებთან საერთო არაფერი აქვთ (ბერაძე, სიგკ, II, გვ. 120, 126). „ლიპარტიანობა სამეგრელოს მთავრის სამოხელეო ტიტულს წარმოადგენდა“ (იქვე, გვ. 120). (აბაშა).

სალოცავი ცაცხვი – ერქვა ძველთაძველ საკულტო ცაცხვს ჭანჭუარში. აქ ყრიდნენ ხურდა ფულს. ქვევრებიც იყო ჩამარხული. წაიღო წყალმა (სამიქაო).

სამაკალათიო – მაკალათიების უბანი მდ. აბაშის მარცხ. მხარეს, სოფ. ნორიოს საზღვართან. მაკალათიების წინაპრები სამურხაყანოდან გამოქცეულან მესისხლეობის გამო და ზანათში დამკვიდრებულან. მათი სალოცავი ილარის წმ. გიორგი ყოფილა, აქ კი სუჯუნის წმინდა გი-

ორგის ეკლესიას მიეწერნენ. რესპ.: „დღესაც ჩვენი „ჯინჯი“ ხატი ილორის წმინდა გიორგია, მაგრამ ჩვენი „ძველები“ ვერ ბედავდნენ იქ გამოჩენას“. გვარის წარმომავლობა: მაკალათე „კალათის მწვენელი“ → მაკალათეა → მაკალათია (ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში). (გამოდმა ზანათი).

სამაკალათიოშ ობერგული – სახნავი. იგივე ობერგული (გამოდმა ზანათი).

სამანი//მასხარაშვილების სამანი – სახნავი წყაროსა და შავფლეს შუა. სამანი სპარსული სიტყვაა (სმმნ „ზომა, საზღვარი“) და ქართულშიც აღნიშნავს საზღვარს, მიჯნას. მეორე მხრივ, სამანი არის მანა, ანუ ქვა, რომელსაც ასობენ მიწაში საზღვრის აღსანიშნავად (ქეგლ, VI). (გულუხეთი).

სამარგანო//სამარღანა – მარღანიების უბანი რიონის მარჯვ. მხარეს. გადმოსულან ანჯერიდან. მარგანი იგივე მარღანიაა. გადმოცემით, მოგვიანებით გვარი გადაუკეთებიათ მარღანაძედ//მადღანაძედ (სუჯუნა).

სამარღანა – უბანი. იგივე სამარგანო (სუჯუნა).

სამარღანა//სამარღანო – სახნავეები (200 ჰა-მდე) რიონის მარცხ. ნაპირზე, ანჯერში. უწინ აქ მარღანიების სამოსახლოები ყოფილა. გვარის აფხაზური ვარიანტია მარგანი. 1760 წ. შედგენილ „შეწირულების წიგნში“ აღნიშნულია: „რიონის და ცხენისწყლის შესაყრიდგან ტეხურის შესაყრამდის სულ გადმართი, კოდორა, ცხენპიჯი, კუკუთი. სამარღნაო და ანჯელი, ესენი ძველთაგან ჭილაძის ყოფილიყო და ჭილაძეს შეწირა“ (კაკაბაძე, II, 1921, გვ. 13). (კეთილარი).

სამარღანო – სახნავეები. იგივე სამარღანა (კეთილარი).

სამარცახო – რიონის ნაწილი, სადაც მარცახით იჭერდნენ თევზს. რესპ.: „მარცახი არის თევზის საჭერი ჭოკი, რომელსაც წამოცმული აქვს ჩანგალი 3-4 კბილით“. უფრო ვრცლად განმარტავს ალ. ქობალაია: „**მარცახა** – მარწახი, დიდი, გრძელი სამთითა ჩანგალი ან ჭვილთი, რომლითაც თევზს იჭერენ ტოფობისას“ (ქვიშანჭალა).

სამატკო – უბანი ცუდღარის ნაპირას, სოფლის ცენტრის დას-ით. რესპ.: „მატკაჲა წარმოშობით თურქი მანწკაჲა“ (სუჯუნა).

სამბორზალა – მორევი. იგივე სუმფურცელა (აბაშა).

სამეველო კარე – სახნავი ოჩეში, სადაც მდგარა მეველის კარე, ანუ ფარდული (ნაესაკაო).

სამეიო – უბანი. იგივე სამელიო (სეფიეთი).

სამელიო – მეღიების უბანი სოფ. გეჯეთის საზღვართან (წყემი).

სამელიო//სამეიო – მეღიების უბანი სოფლის ცენტრის ჩრდ.-აღმ-ით. გვარის ძირითადი საცხოვრებელია აბაშისა და ზუგდიდის რ-ნები. ამჟამად სეფიეთში ცხოვრობს 25 კომლი. მათი წინაპრები წამოსულან გეჯეთიდან თავისუფალი მიწა-წყლის საძიებლად. გვარი მეღია გვხვდება XVII-XVIII საუკუნეების საისტორიო წყაროებში (ს. კაკაბაძე). წყალიძგას მცხოვრები მეღიები დასახელებულია XVII-XVIII სს. საეკლესიო საბუთებში (იხ. ქსძ, III, გვ. 473, 732, 767). მეღია ძველ საქართველოში მამაკაცის სახელი იყო. მეღია, მეღა შეიძლება მეტსახელად დარქმეოდა ეშმაკ, მოხერხებულ კაცს. 1904 წელს ზანათსა და წყემში მცხოვრები მეღიები ახნაურები იყვნენ. გვარი მეღიაჲა მოხსენიებულია „საცაიშლო დავთარსა“ (1616-1681 წწ.) და შემდგომი დროის მრავალ დოკუმენტში (იხ. თოფჩიშვილი, 2011, გვ. 224-225). (სეფიეთი).

სამელიოშ წყარი – არხი. უერთდება ნოდელას მარჯვ. მხრიდან, სამფურცელასთან (აბაშა).

სამიმინოსქუო – 1. მიმინოშვილების უბანი რიონის მარჯვ. მხარეს, ღაჭუხ ნაპირებზე. ნაესაკაოს თემში მკვიდრობს ამ გვარის მატარებელი 55 კომლი (გამოდმა კოდორი); 2. უბანი. იგივე სამნოსქუო (სუჯუნა).

სამიმინოსქუო//სამიმინოშვილო – მიმინოშვილების უბანი ახალსოფელსა და საუჩანეიშვილოს შუა. გვარის სამშობლოდ ითვლება გურია. განსაკუთრებით მრავლად არიან აბაშის რ-ნში: ზანათი – 100 კ., ნაესაკაო – 55 კ., სუჯუნა – 48 კ. და სხვ. პირსახელი მიმინო დამოწმებულია „ტბეთის სულთა მატინანეში“ (გამოდმა ზანათი).

სამიმინოშვილო – მიმინოშვილების უბანი. იგივე სამიმინოსქუო (გამოდმა ზანათი).

სამიქაო – სოფელი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. სოფლის ცენტრში იდგა წმ. გიორგის ეკლესია (ჭითანავა, 2010, გვ. 63. იხ. იქვე: სამიქაო-გეზათის წმ. თეოდორე ტირონის ეკლესია (გვ. 63). ესაზღვრება: გულუხეთი, მაიდანი, სეფიეთი (სამიქაო).

სამიქელადო – მიქელაძეების სამფლობელო. გიულდენშტედტი აღნიშნავს: „სამიქელადოს მხარეს სახელი აქვს მიქელაძეების თავადური გვარიდან, რომელსაც ეკუთვნის მისი უმეტესი ნაწილი. მას უკავია დაბლობი მდ. ცხენისწყალსა, გუბასა და რიონს შორის“ (გიულდ., 1962, გვ. 307). აქვე დასახელებულია სამიქელადოში შემაგალი 19 სოფელი, მათ შორისაა აბაშის რ-ნის სოფლები: კოლობანი, ქვიშანჭალა, ილორი, ბოლოს ნათქვამია, რომ სამიქელადოს „მოსახლეობა იმერლებია“. საისტორიო წყაროთა ნაწილში გვხვდება ვარიანტი „სამიქელიაო“: 1733 წელს შედგენილი „შეწირულების სიგელის“ მიხედვით კათალიკოს გრიგოლ ღორთქიფანიძეს ბიჭვინტისათვის შეუწირავს სოფლები და ყმა გლეხები, მათ შორის „სამიქელაოს სასახლე გვაზაური ნიჟარაძისეული მისის განწყობილებით“ (ქსძ, III, გვ. 730). მიქელაძეების გვარი ერთ-ერთი ძველი თავადური გვარია დას. საქართველოში (თოფჩიშვილი, 2011, გვ. 232-234).

სამკალია – სახნავი კოვზას მარცხ. მხარეს, ქურდობაძეებში (სამიქაო).

სამნოსქუო//სამიმინოსქუო – მიმინოშვილების უბანი ცუდღარის მარცხ. მხარეს, სოფ. ნორიოს საზღვართან. რესპ.: „წინაპრები გურიიდან მოსულან“. 1985 წელს სუჯუნაში მკვიდრობდა ამ გვარის მატარებელი 48 კომლი (სუჯუნა).

სამრეკლო – მდ. ცუდღარის მონაკვეთი ეკლესიასთან. რესპ.: „ცუდღარში ნავი შემოდოდა ამ სამრეკლომდე, პარახოდი კი – რიონში ცუდღარის შესართავამდე“ (სუჯუნა).

სამსონის ფონი – საბანაო ცხენისწყალზე (პირველი მაისი).

სამსოშ რჩქონი – სახნავი. იგივე სამსოშ ჭალე (გამოდმა ზანათი).

სამსოშ ტობა – მორევი მდ. აბაშაზე. ამ მორევიში სამსონის ცხენი დამხრჩვალა (სეფიეთი).

სამსოშ ჭალე/სამსოშ რჩქონი – სახნავი მდ. აბაშის ჭალაში, საუჩანეიშვილოში (გამოდმა ზანათი).

სამფურცელა – მორევი. იგივე სუმფურცელა (აბაშა).

სამიქაოშ ჩაი – ჩაის ფართობი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე. ეკუთვნოდა სოფ. სამიქაოს (სეფიეთი).

სამიქუ – საძოვარი სოფ. სამიქაოს საზღვართან. როგორც ჩანს, სამიქაო → სამიქუ (ონტოფო).

სამიქუმ წყურგულე – ნაკადული, კიბორჩხალის ზემო წელი (ონტოფო).

სამიძირხე – გზისპირი კაჭარაგების უბანში. გზის პირზე სამი ვერხვი დგას (სამიქაო).

სანადარეისკუო – ნადარეიშვილების უბანი. იგივე სანადარეიშვილო (ონტოფო).

სანადარეიშვილო/სანადარეისკუო – ნადარეიშვილების უბანი ცუდდარის მარცხ. მხარეს. პირველ ონტოფოსა და მეორე ონტოფოში 1995 წელს მკვიდრობდა ამ გვარის მატარებელი 181 კომლი. გვარის სალოცავია ონტოფოს წმინდა ბარბალეს ეკლესია. ამ ეკლესიის ვერცხლის თასის წარწერაში (1762 წ.) დასახელებულია ონტოფოელი იოვანე ნადარეიშვილი. ადგ. ვარიანტია ნადარეისკუა. ამოსავალია პირსახელი ნადარა. შდრ. გვარსახელი ნადარაია. გადმოცემა: „ნადარეიშვილი ნოდელას გაუტაცია, ხეს მოსჭიდებია და გადარჩენილა. აქვე დასახლებულა და გამრავლებულა“. ამ სოფელში მცხოვრები ნადარეიშვილების „კილებია“ (მეტსახელები): **გორგოლე** (ნამდვილი სახელი სიკოია): ბაბუა მღეროდა: „ჩარირამა გორგოლე, ოსქოთე მოგორე, იშენი ოკო ქორდოლე“; **მაცამაცა** (ნამდვილი სახელი სოლომონი): „ვაგაცალენდგ რაგადის თინეფიში ბაბუა“; **პურჭინაია** (ვისაც სწევია პურჭინი „პრუწუნი“); **ჩაკუტია** (მოტივაცია ვერ გაიხსენეს); **ლიბინე** (ლიბინი „უშნოდ

ლიმილი“): პაპუ მერაბას გაუღიმია და თავადს გაბრაზებით უთქვამს: „მუს ილიძეინანქია“ (ონტოფო).

სანაკაშიო – ნაკაშიძეთა უბანი ნასოფლარ კვათანის საზღვართან. ნაკაშიძე გურიასა და აჭარაში ფართოდ გავრცელებული გვარია (2896 სული საქართველოში). ნაესაკალოში ცხოვრობს ამ გვარის მატარებელი 7 კომლი. ადგილობრივი ვარიანტი ნაკაშია ძალზე მცირერიცხოვანია (სულ 63 სული, ძირითადად სენაკის რ-ნში). გადმოცემით, ჩამოსუღან გურია-აჭარიდან (ნაესაკაო).

სანოდიო – 1. დასახლ. უბანი აბაშის მარჯვ. მხარეს. გვარსახელი ნოდია ფართოდაა გავრცელებული საქართველოში (1681 სული). აბაშის რ-ნში კი ცხოვრობს 544 სული, კომლთა რაოდენობით (პირველ ადგილზეა სუჯუნა, 70 კომლი), გაღმა ზანათში ცხოვრობს 14 კომლი. 1996 წელს გაღმა ზანათში ცხოვრობს 14 კომლი. გვარი დასახელებულია 1628-1630 წწ. შედგენილ განჩინების წიგნში და 1770 წელს შედგენილ სუჯუნის მონასტრისადმი შეწირულების წიგნში. შდრ. ნოდია „ოჩანი ცხენი“. ზარმაც კაცზეც იტყვიან. მეტსახელიცაა (გაღმა ზანათი); 2. ნოდიების უბანი ცუდღარის მარცხ. მხარესა და ჭითა შარას შუა. სამი ძმა ნოდია აჯამეთიდან მოსულა, აქ საქონელს აძოვებდნენ და დასახლებულან კიდევც (სუჯუნა).

საოდიშარიო – სახნავი ნოტეხთან, ტეხირწყარის მარჯვ. მხარეს, სოფ. საოდიშარიოს (სენაკის რ-ნი) საზღვართან. გვარსახელი ოდიშარია დამოწმებულია XVII-XVIII სს-ის საეკლესიო საბუთებში. ამოსავალია ოდიშარი „ოდიშელი“ (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 19). (გაღმა ზანათი).

საოჩიგაო – ოჩიგავების უბანი ღამარკულის ნაპირებზე, მთავარანგელოზის ეკლესიის გარშემო, ძველი აბაშის საზღვართან. XX ს. დამღევს აქ ცხოვრობდა ოჩიგავათა 56 კომლი. ეს გვარი დაფიქსირებულია სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესიის სამხრეთი კედლის მხედრულ წარწერაში. გადმოცემით, ეს ეკლესია ოჩიგავებს აუშენებიათ XV-XVI სს. მიჯნაზე, მაგრამ შემდგომში აზნაური ოჩიგავები დამარცხებულან აზნაურ თოფურიძეებთან ქიშპობაში. გამარჯვებულებს ეკლესიის კედლებიდან უკლებლივ ამოუშ-

ლიათ გვარი ოჩიგავა. ი. გაბელაიას დასკვნით, „ოჩიგავა ადგილობრივი წარმოშობის გვარია“ (გაბელაია, 1996, გვ. 52-53). (სეფიეთი).

საპერტენაო – 1. ერქვა პერტენაეების უბანს ცუდლარის მარცხ. ნაპირზე, ძველი აბაშის საზღვართან. აქ შემდეგ ევკალიპტები დარგეს. ამჟამად საპერტენა – პერტენაეების უბანი (28 კომლი) მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში. ი. გაბელაია თვლის, რომ პერტენაეა ადგილობრივი წარმოშობის გვარია (გაბელაია, 1998). (აბაშა); 2. პერტენაეების უბანი მანცხვარკარის საზღვართან, სადაც ცხოვრობს ამ გვარის 25 კომლი. პერტენაეა მცირერიცხოვანი გვარია, ძირითადად ხობის, ზუგდიდისა და ჩხოროწყუს რაიონებში მკვიდრობენ. გვარისათვის ამოსავალია პირსახელი პერტე (← პეტრე), -ენ+ა გამოსატავს კნინობითობა-მოფერებითობას. -(ვ)ა გვარს აწარმოებს (ძველი აბაშა).

საჟვანიო – სახნავეები ცუდლარის მარცხ. ნაპირზე. უწინ ჟვანიების სამოსახლეები ყოფილა (ონტოფო).

საჟორდანიო – სახნავი ანჯერში, გურიის საზღვართან. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულად რომ გვარი ჟორდანია წარმოქმნილია პირსახელ იორდანესგან: იორდანე → დორდანე → ჟორდანე → ჟორდანეა → ჟორდანია (ა. შანიძე, შ. აფრიდონიძე). ჟორდანიები აზნაურები იყვნენ და არაერთგზის არიან დასახელებული XVIII-XIX საუკუნეების დოკუმენტებში (იხ. ვრცლად: თოფჩიშვილი, 2011, გვ. 273). (კეთილარი).

სარატიო – უბანი საჯალაღონისა და საკილასონის შუა. რატია მცირერიცხოვანი გვარია. XVI ს-ის საეკლესიო საბუთში ნათქვამია: „მართებს რატიებსა ოცი თეთრი“ (ქსძ, III, გვ. 449). რატი გავრცელებული პირსახელია. შდრ. სვანური გვარი რატიანი (წყემი).

სარატიოტყა – ერქვა ტყეს საკუპრეიშივლოში (წყემი).

სარურუო – რურუების უბანი სოფ. ეწრის (ონტოფოს თ/ს) საზღვართან. გვარსახელის ძირძველი სამკვიდროა სოფ. ვედიდკარი (116 კომლი XX ს. დამღევს). სეფიეთში მკვიდრობს ამ გვარის მატარებელი 54 კომლი. ზოგი რეს-

პოდენტი ამტკიცებს, რომ რურუები ადგილობრივი მკვიდრები არიან (სეფიეთი).

სასიმონიო – უბანი საჭატურიოსა და სათოფურიოს შუა. ამ სოფელში მკვიდრობს 19 კომლი გვარად სიმონია. ამოსავალია სიმონ (ებრაული პირსახელი) → სიმონია (მანცხვარკარი).

სატაბანო – სახნავი. იგივე რიჭკე (გუგუნაყათი).

სატბორე – ტბორი, რომელიც გაჩნდა ნოღელის კალაპოტში ცხენისწყლის გადმონაცვლების შედეგად (ქლობანი).

სატოტოჩიო – ტოტოჩიების უბანი სოფ. წალიკარის საზღვართან. ტოტოჩია ძალზე მცირერიცხოვანი გვარია (მხოლოდ 55 სული საქართველოში, მათგან აბაშის რ-ნში – 34). ამოსავალია ტოტო, ტოტია (პირსახელი) → ტოტოჩა → ტოტოჩია (და ტოტოჩავა, რომელიც აგრეთვე მცირერიცხოვანია – 176 სული საქართველოში). (პირველი ეწერი).

სატყებუჩო – ტყებუჩავების უბანი შქასოფელში. აქვე სახნავსაც ეწოდება სატყებუჩო. გვარის ძირითადი სამკვიდროა ზანა (240 კომლი), იქიდან მოსავლიანი მიწის მოსაძებნად ჩამოსულებს აქ მდინარისათვის ზანა უწოდებიან. ძველ აბაშაში ტყებუჩავები მხოლოდ 14 კომლითაა წარმოდგენილი. წარსულში აფაქიძეთა გლეხები ყოფილან. ტყებუჩა „შავკანა“ ალბათ შავგვრემანი კაცის მეტსახელი იყო (ძველი აბაშა).

საუჩანეიშვილო – უჩანეიშვილების უბანი. იგივე საუჩანესქუო (გამოდმა ზანათი).

საუჩანესქუო//საუჩანეიშვილო – უჩანეიშვილების უბანი სოფლის ცენტრში, მდ. აბაშის მარცხ. ველზე. აქ ერთ დროს ცალკე კოლმეურნეობაც ყოფილა. უჩა, უჩანა კოლხეთში გავრცელებული პირსახელებია: უჩანა → უჩანაიშვილი → უჩანეიშვილი (ქვემო იმერეთში). ზანათში ცხოვრობს 25 კომლი. ამ უბანს შუა ზანათსაც უწოდებენ (გამოდმა ზანათი).

საფირცხალო – ფირცხალავების უბანი ნოღელის მარჯვ. მხარეს. მეორე ონტოფოში ცხოვრობს ამ გვარის 8 კომლი. მეგრული ფირცხალი იგივეა, რაც ქართ. ფიცხელი

– ბრაზიანი, გაწიწმატებული. ე.ი. ფირცხალა (მეტსახელი) → ფირცხალავა, ფირცხალია (გვარსახელი). შდრ.: ფირცხალაიშვილი (გურია), ფირცხალაშვილი (იმერეთი), ფირცხალაძე (აჭარა). (ონტოფო).

საქან(ი)ბაიო – სახნავეები სოფლის დასახლებასა და ქიბიჯს შუა, სადაც უწინ ქან(ი)ბაიები ესახლნენ (კეთილადრი).

საქაჯია//საქაჯიის მუხური – უბანი ქოლობნის ძველ ცენტრთან, ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, გეზათის საზღვარზე. აქ მდგარა მაცხოვრის სახელობის ეკლესია, რომელიც 1914 წელს ცხენისწყლის ადიდებას შეეწირა. რესპ.: „საქაჯია იმიტომ დაურქმევიათ, რომ აქ, სასიმიინდეში, გრძელთმიანი ქალი, ე.ი. ქაჯი, უნახავთ. ვიდაცის საყვარელი იყო და იმასთან მიდიოდაო“ (ქოლობანი).

საქაჯიის მუხური – უბანი. იგივე საქაჯია (ქოლობანი).

საქვილითაიო – ქვილითაიების უბანი ნოღელის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ქვილითაიები არიან ქუთათელაძეები ძველი ხონიდან. აქ ქვეითად მოსულან და ამიტომ დაერქვათ ქვილითაია. ძველები დადიოდნენ ხონში და მიჰყავდათ შესაწირი ხარი“. გურიაში წარჩინებული აზნაურები იყვნენ. წერილობით წყაროებში მოიხსენიება XVI ს-დან (იხ. ცხადია, 2000, გვ. 116). (ნაესაკაო).

საქობალიო – დასახლ. უბანი მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს. ქობალია მრავალრიცხოვანი გვარია – 5209 სული საქართველოში (73-ე ადგილი), ხოლო სამეგრელოში – 3818 სული (მე-11 ადგილი). გაღმა ზანათში ცხოვრობს ქობალიების 23 კომლი. გვარსახელის ფუძეა მცენარის სახელი (შდრ. ქობალი „ხორბალი“. იხ. ჭუმბურიძე, 1987, გვ. 316). „ქობ“ ძირი მრავალ გვარში ჩანს (ქობალავა, ქობალია, ქობულია, ქობალაძე, ქობულაშვილი, ქობულაძე). (გაღმა ზანათი).

საქობულიო – დასახლ. უბანი სოფლის სამხრ. ნაწილში, რიონის მარცხ. მხარეს. ქობულია აჭარასა და გურიაში გაგრცელებული „ქობულაძის“ დაბოლოებაშეკვეცილი ვარიანტი ჩანს (მხოლოდ 342 სული, მათგან აბაშის რ-

ნში – 89). შდრ. ქობულაშვილი ქართლში. სუჯუნის წმ. გიორგის ერთ-ერთი ხატის ფიცარზე არსებულ წარწერაში (XVII საუკუნე) დასახელებულია ეკლესიისათვის შეწირული „სამი კვამლი კაცი სოგიორე შელია, მისი სახლის კაცები თვალიკაც ქობულია და ხოხონაჲ გაგულია მათის სახლის კაცებით, მამულით და ალაგითა“ (მღვდელი კონსტანტინე, 2004, გვ. 51). (გაღმა კოდორი).

საქობულიოშ ჭალე – ტყე, ჭალა რიონის მარცხ. ნაპირზე (გაღმა კოდორი).

საქოიავო – ქოიავების უბანი ცუდღარის ნაპირზე. აკონკრეტებენ: დიდი საქოიავო და ჭიჭე საქოიავო. ქოიავების სამშობლოა ძვ. აბაშა (104 კომლი). 1753 წელს შედგენილ „შეწირულების წიგნში“ დასახელებულია „რობას მცხოვრები სამი ძმა“ ქოიავა, რომლებიც გამოდმა კოდორს დაუსახლებიათ (კაკაბაძე, II, გვ. 2; ქსძ, IV, გვ. 837). (ძველი აბაშა). პირსახელი ქოი, კოი, ქოია დასახელებულია საისტორიო წყაროებში (იხ. ცხადია, 2000, გვ. 140).

საქოიოშ ჩაი – ჩაის ფართობი ნოტეხში, სოფლის აღმ. ნაწილში (წყემი).

საქორჩილაო – ქორჩილავების უბანი დიდკვათანაში, სოფ. აბაშისპირის საზღვართან. რკინიგზა ყოფს ორ მიკროუბნად: მეღენსაქორჩილაო და მოღენსაქორჩილაო. ქორჩილავა მცირერიცხოვანი გვარია (515 სული საქართველოში. მათგან ორ მესამედზე მეტი ცხოვრობს აბაშის რ-ნში). ქორჩ- ძირი გამოიყოფა გვარ **ქორჩოლუაშიც** (საეკლესიო გლეხი სამურზაყანოში: XVII ს. იხ. ქსძ, III, 426). ეს გვარი დღეს არ ჩანს (აბაშა).

საღალიბო – ერქვა დასახლ. უბანს ნოდელის მარცხ. მხარეს. ცხოვრობდა სხვადასხვა გვარის ხალხი. გადასახლდნენ 8 კმ-ის მოშორებით და უბნის სახელიც გადაიტანეს. ლექსიკური ერთეული „ღალიბი“ ქეგლ-სა და ქართველურ ენათა დიალექტურ ლექსიკონებში არ ჩანს. თუმცა შდრ. დ. ჩუბინაშვილი: „ღარიბი (არაბ.) – უცხო, გლხაკი; თბოლი“ (ტყვირი).

საღანჭალ(ი)ა/საყანჩალა – ქვიანი სახნავები ნოდელის მარცხ. მხარეს (მაიღანი, სამიქაო).

სადარღო – ტბორი. იგივე ნარნე (გალმა კოდორი).

სადვანო – ღვანიების უბანი ნოდელის მარჯვ. მხარეს, სამიქაოს საზღვართან. ღვანია მცირერიცხოვანი გვარსახელია, სეფიეთში ცხოვრობს ამ გვარის 17 კომლი. გადმოცემით, მესისხლეობის შიშით ხონიდან გამოსქცეულ ღვამბერიებს სეფიეთში გვარი ღვანიად გადაუკეთებიათ. შდრ. ღვანიძე იმერეთში (სეფიეთი).

სადლამო – ერქვა ტბორს. ამჟამად სახნავია ანჯერში, რიონის მარცხ. ნაპირზე. ტბორში რიონიდან შემოდისოდა ღლამი, ანუ ღლავი (გალმა კოდორი).

სადობი – სამოვარი რიონის მარჯვ. ნაპირზე. რესპ.: „სადობი ეწოდება ჯებირს, რომელმაც რიონის წყალი არ უნდა გადმოუშვას“ (მეორე ეწერი).

სადობი//პალური – სახნავი აბაშის მარჯვ. ნაპირზე, ბაწურში. სადობი არის თევზის შესაპყრობი ღობე, რომლითაც გადაკედლავენ ღელეს, არსს, მდინარის ტოტს. წყალდიდობა რომ ჩაივლის, თევზი სადობში რჩება და მას იჭერენ ხელით ან იარაღით (ცხადაია, ძიებანი..., გვ. 88). პალური იგივეა, რაც ს.-საბას **პალური** „სათევზე“; „საპალურო არს კეთილი სათევზე ადგილი სხვათა რითამე შესაპყრობელი“ (ს.-საბა, II, 1993, გვ. 47). „საპალურო ეწოდების ყოველთა საწყლისპიროსა ადგილთა თევზთა საპყრობელსა“ (იქვე, გვ. 47, ვარიანტი). რესპ.: „პალურიშა მეურქუ, ჩხომი ოკო მივდიარუ“. გალმა ზანათის პალურთან დაკავშირებით რესპოდენტი აღნიშნავს: „აქ, მარაგანზე (არხია), პალური ჰქონიათ მოწყობილი, აბაშაზე. მეთევზეები დასხდებოდნენ ბოგირზე და ანკესით იჭერდნენ თევზს პალურში“ (პალურში ყრიან სხვადასხვა სახის საკვებს, რათა თევზი მიიჩვიონ). (გალმა ზანათი).

საყანჩალა – ქვიანი სახნავები. იგივე საღანჭალ(ია) (სამიქაო).

საყარაულო ჯა – ერქვა ალვის ხეს (ეწ. რუსული ჩეჯა) ანჯერში. იყო დიდი და მაღალი. რესპ.: „ომის დროს აქ ადიოდნენ ყარაულები ღამით და ათვალეიერებდნენ მიდამოს“ (კეთილარი).

საჯანჩო – სახნავი ნოხორტებსა და თხირნეს შუა. უწინ ყოფილა ტბორი, სადაც ხშირად დაფრინავდნენ ყანჩები. ამიტომ დარქმევია (ტყვირი).

საშარუხიო – შარუხიების უბანი ცუდღარის ნაპირებზე, მეორე ონტოფოში. შარუ (← შარვან) კოლხეთში გავრცელებული სახელია. სუფიქსი -ხ მიანიშნებს წარმომავლობა-შთამომავლობას. შარუხი დასტურდება „ქართლის ცხოვრებაშიც“ (ონტოფო).

საშვები – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე. აქ იყო საწისქვილო არხის სათავე – წყლის გასაშვები რაბი (გუგუნაყათი).

საჩაგანაო – ჩაგანაგების უბანი ჭიჭე ნარნეს ნაპირებზე. ჩაგანა (ჩაგუ-ს მოფერებითი ფორმა) დადასტურებულია XVIII ს. დოკუმენტში (ქსს, 1967). დეკანოზ კონსტანტინე კაჭარავას რესპოდენტი რ. ჩაგანავა მოგვითხრობს: „კეთილღარის თავდაპირველი განსახლება ჩაგანაგების უბანია რიონის პირად, რომელიც ტყვირისაგან პატარა არხით იყო გამოყოფილი. ჩაგანაგები ტყვირის ეკლესიის მრევლი იყვნენ, ამიტომაცაა, რომ დღესაც ტყვირის ეკლესიას ჩაგანაგების ეკლესიას ეძახიან კეთილარელები, როდესაც რიონმა იმ პატარა თხრილში (არხში – პ. ც) გაიარა, ტყვირი და საჩაგანაო ერთმანეთს დაშორდა“ (დეკანოზი კონსტანტინე, 2004, გვ. 55). (კეთილარი).

საჩალხია – თევზსაჭერი ადგილი მდ. ცხენისწყალზე. თევზს იჭერდნენ ჩალხით – გრძელი ბაწარია 75 ანკესით. თევზი გვერდს გაჰკრავდა და ანკესი ჩაესობოდა. „ჩალხი“ ამ მნიშვნელობით არ დასტურდება დღემდე გამოცემულ დექსიკონებში (ქვიშანჭალა).

საჩაჩაო – ერქვა სოფელს დაჭუს ნაპირებზე. შედიოდა ჭკალადიდის თემში. ამჟამად ჩაჩაგების უბანია ქ. აბაშისა და ეწერ-სახოშტარიოს საზღვართან. სადაც ცხოვრობს 19 კომლი ჩაჩავა. ჩაჩა, ჩაჩი, ჩაჩო... პირსახელებია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თუმცა მეგრულში ჩაჩა ჩოჩიალა ბავშვის ან ზოხინა და აჩაჩულ-დაჩაჩული კაცის ეპითეტიცაა (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 150). (გამოდმა კოდორი, აბაშისპირი).

საჩაჩაოშ ბოგირი – ბოგირი ღაჭუს ტოტზე (გამოდმა კოდორი).

საჩეხი – 1. საძოვარი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე, ძიგურის საზღვართან (აბაშა, საბოკუჩავო); 2. სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს. „ჩვენს კუთხე იყო საჭყონდარო. ჭყონდარს ჰყავდა ჯოგი და აქ საჩეხი ჰქონდა“. მაშასადამე, მეგრულში საჩეხი აღნიშნავს პირუტყვის სადგომად შემოდლობილ ადგილს. იმერულში ამ მნიშვნელობისაა სიტყვა საჩეხე, რასაც ქველ-ში იშვიათად ცვლის „საჩიხი“. შდრ. ო. ქაჯაია: „**საჩხე** – საქონლის სამწყვდევად შემოკავებული ადგილი“ (მანცხვარკარი).

საჩორგავი – სახნავი ნოდელის ნაპირას. რესპ.: „ჩორგვა არის სიმინდის ძირების მოჭრა – ადგილის მოწმენდა. საშვიდნოემბროდ მეძახიან ხოლმე საჩორგავად. აქ მაგარი მიწაა“. ალ. ქობალია: „**ჩორგუა** – ჩორგნა, ჩორგით დამუშავება. ხოლო ჩორგი, იგივე ჩენგი, არის საჩორგავი თოხი“ (მაიდან).

საჩოჩიო – 1. სახნავი რიონის მარცხ. ნაპირას. ჩოჩია გვარსახელია. ძირითადი სამკვიდროა აბაშის რ-ნი. ჩოჩი კოლხეთში პირსახელია, ხოლო ჩოჩია აღნიშნავს ჩოჩიას, ზოხინას და მეტსახელადაც გვხვდება (კეთილარი); 2. ერქვა სოფელს ქ. აბაშასა და სოფ. სახოშტარიოს შუა. ამჟამად უბანია სოფ. აბაშისპირში. ჩოჩიათა ყველაზე მრავალრიცხოვანი და უძველესი საცხოვრისია ნორიოს თ/ს (71 კომლი 1996 წელს. მათგან საკუთრივ ნორიოში – 32 კომლი). (ნორიო).

საჩხ(ირ)ეკარი – სახნავი შქასოფელში, ზანის მარჯვ. მხარეს, აეროდრომთან. რესპ.: „საჩხირე ურემიშ გას ინოშქუნ თინა რე“. შდრ. ო. ქაჯაია: „საჩხირე იგივეა, რაც საცხირე“; ალ. ქობალია: „საცხირე – სასარე (ტყე)“. (ძველი აბაშა).

საჩხაიძო – ჩხაიძეების უბანი ნოდელასა და ღაჭუს შუა. ეს გვარი იმერეთსა და გურიაში ფართოდ გავრცელებულ ფეოდალურ გვარ ჩხეიძესთან უნდა იყოს დაკავშირებული. XVII ს-ში გაბრიელ ჭყონდიდელი სუჯუნის ხატის წარწერაში აღნიშნავს: „გურიიდან ჩხაიძე მახარობელი გა-

მოვიყვანეთ და შელიას შევეყარეთ“. ამასთანავე, ეს ჩხაიძე კოდორში დაუსახლებიათ და სუჯუნის ეკლესიისათვის შეუწირავთ (გამოდმა კოდორი).

სახსულია – სახნავი რიონის მარცხ. ნაპირზე, ნახე-ტურის გვერდით (გულეიკარი, კეთილარი).

საცანაო – ცანაების უბანი კვათანაში, ნოღელის მარჯვ. ნაპირზე. რესპ.: „ცანაების წინაპრები სოფ. აჯამეთიდან ყოფილან. სამ ძმას იქ კაცი მოუკლავს და აქ მოსულა. პაპუჩქიმი იქ დადიოდა, ვიცი“. გვარისათვის ამოსავალია პირსახელი ცანა (ქსს, 1986). არსებობდა გვარი ცანას-ქუაც (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 154). (აბაშა).

საცანაო – უბანი. იგივე ცანაების უბანი (ბულვანი).

საცდელი – სახნავი ნოღელის მარცხ. მხარეს. რესპ.: „აქ ჯიშთა გამოცდას ეწეოდნენ“ (ქოლობანი).

საცილორო შარა – გზა, რომელიც სოფ. რუშადან მიემართებოდა სოფ. ცილორისაკენ (იხ. 1616-1621 წწ. დავთარი: ქსძ, III, გვ. 475). (აბაშის რ-ნი).

საცომილი – დასახლ. უბანი. იგივე დობირა. გადმოცემით, ცომიათა წინაპრები აჯამეთიდან ჩამოსულან. ამჟამად გვარის სამკვიდროა ქ. აბაშა და მისი მეზობელი სოფლები. მეგრულში **ცომა** უმწიფარი, გამოუცდელი კაცის მეტსახელია (აბაშა).

საძველიაო – ძველაიების უბანი სოფ. ეწრის საზღვართან. ძველია მცირერიცხოვანი გვარია. XX ს. დამლევს საქართველოში ცხოვრობდა 15 კომლი ამ გვარისა. რესპ.: „ორი ძმა ზვამბაია XVIII ს-ის დამლევს გადმოხვეწილა სამურზაყანოდან, დამკვიდრებულა მაცხოვრისკარში და ძველიად დაწერილა. მათი შთამომავლები ბოლო დრომდე დადიოდნენ სალოცავად ილორის ეკლესიაში“. პირსახელი ძველია დამოწმებულია საეკლესიო საბუთებში (ქსს, 1987). (სეფიეთი).

საწოლია – სახნავი საკერიის გვერდით. რესპ.: „საკერიში ამოწუმპული ღორები აქ წეებოდნენ“; „აქ, მუხნარში, გარეული ღორების საწოლი ყოფილა“ (გეზათი).

საწურბლია – გუბე, რუშის მონაკვეთი (თხმელარი).

საწყობი/საწყობიშ ეზო – სახნავი შქასოფელში, ზანის მარცხ. მხარეს, კ. გამსახურდიას სახლმუხეუმის გვერდით (ძველი აბაშა).

საწყობიშ ეზო – სახნავი. იგივე საწყობი (ძველი აბაშა)

საჭანტურილი – ჭანტურაიების უბანი კვათანაში, ღაჭუსა და ცუდღარის ნაპირებზე, საქოიაგოსა და საკორძახიოს შუა. რესპ.: „ჩვენი წინაპრები ყოფილან ჭანტურიები სოფ. ჯვარიდან, იქ მიჰყავდათ შესაწირი ჯგეგოხვამეში ყოველ მესამე წელს. სოფელში ხშირად ჭატრაიასაც გვეძახიან“. ჭანტურაია ძალზე მცირერიცხოვანი გვარია – 20 სული საქართველოში. შდრ. ჭანტურია (ძველი აბაშა, აბაშა).

საჭანტურილი/საჭატურილი – 1. ჭანტურიების უბანი ოხვამეკართან, კაპანისა (ქ. აბაშა) და ნორიოს საზღვართან. ჭატურია ჭანტურიას ვარიანტია, ოლონდ ზოგ შემთხვევაში ადგილობრივი, არაოფიციალური, ზოგშიც კი – ოფიციალური. რესპ. ს. ჭანტურია (83 წ.): „ჩემი პაპის პაპა ეგნატე და მისი რამდენიმე ახლობელი ჯვარიდან ჩამოსულა და ახალდაარსებული სოფლისათვის უწოდებიათ მანცხვარკარი მათი ძველი სალოცავის პატივსაცემად“ (შენიშვნა: მართლაც, სოფ. ღეშამუგეში, რომელიც უწინ წაღენჯხის რ-ნის ჯვარის თემში შედიოდა, არის მაცხოვრის ეკლესია და ჭანტურიები მის ახლო-მახლო დღესაც მოსახლეობენ). სხვა რესპოდენტი: „სვანებისაგან შურისძიების შიშით ჯვარიდან გამოქცეულა სამი ძმა ჭანტურია. ერთი საჯიჯაოში მინდობია დადიანს, მეორე ქვალონში – ლოლუას, მესამე აბაშაში – თოფურიას. გვარი ჭანტურია საქართველოში სულთა რაოდენობით 39-ე ადგილზეა (6698 სული). ხოლო სამეგრელოში – მეთაე ადგილზე (3839 სული), აბაშის რაიონში კი პირველი ადგილი უკავია. სოფ. ნორიოში ცხოვრობს ამ გვარის მატარებელი 126 კომლი, ხოლო ქ. აბაშაში – 79 კომლი. საისტორიო-საეკლესიო წყაროებში გვარსახელი ჭანტურია მოიხსენიება XI ს-დან. გვარის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით იხ.: ჭუმბურიძე, 1987, გვ. 310-311; ჭანტურია, 1999, გვ. 83). (მაცხოვრისკარი);

2. ჭა(ნ)ტურიების უბანი სოფლის დას. ნაწილში (პირველი ეწერი).

საჭილაო – საფეოდალო ტეხურსა და გუბისწყალს შუა, სამეგრელო-იმერეთის საზღვარზე. ძირითადად მოიცავდა თანამედროვე აბაშის რ-ნის ქვემო ზონას: დღევანდელ ქ. აბაშასა და სოფლებს – მარანი, ქოლობანი, პირველი მაისი, ტყვირი, ნაესაკაო, კვათანა, კეთილარი, კოდორი, სუჯუნა, ეწერი, ზანათი განაგებდნენ ჭილაძეები (საისტორიო წყაროებში მოიხსენიებიან XIII ს-დან). ლევან II დადიანის მმართველობისას „ჭილაძეები იყვნენ პირველი თავადები ოდიშისა“ (არქ. ლამბერტი, 1991, გვ. 94). ჭილაძეთა ძირითადი საცხოვრისი იყო ტყვირი (დღემდეა შემორჩენილი ჭილაძეთა კარის ეკლესია და სასაფლაო) XVII ს-ში საჭილაო ჭყონდიდელ მიტროპოლიტებს დაექვემდებარა და საჭყონდიდლო ეწოდა. იგი გააუქმა რუსულმა მმართველობამ. საჭილაოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო სუჯუნა და სოფ. საჭილაოც (დღევანდელი პირველი მაისი). შემდგომში საჭილაო დაქუცმაცდა და მისი დიდი ნაწილი მიუერთდა საჭყონდროს. როგორც ცნობილია, სამეგრელოს თავადაზნაურობა შუა საუკუნეებში თავის გვარს ქართულ დაბოლოებას უმატებდა გლეხების გვართაგან განსასხვავებლად. ამის შედეგია, რომ გვარს ორი ვარიანტი აქვს: ჭილაია (მეგრული) და ჭილაძე (ქართული). XVII ს-დან საფეოდალო საჭყონდროს (ქართ. „საჭყონდიდლო“) ცენტრი იყო ჭყონდიდი. ეს საფეოდალო გაფართოვდა საჭილაოს ხარჯზე. XVIII ს-ში ანტონ ჭყონდიდელმა ძველ ნაეკლესიარზე ააგო ტაძარი, რომელიც შემდგომში ჭყონდიდელთა საზამთრო რეზიდენციად იქცა. სწორედ ანტონ ჭყონდიდელის თაოსნობით გაუთხრიათ არხი ცუდლარი, რომლითაც სუჯუნა ჯერ რიონს, შემდეგ კი ფოთს დაუკავშირდა. ამან სუჯუნა სავაჭრო დაბად აქცია. საკუთრივ ჭილაძეების რეზიდენცია იყო ტყვირში, კერძოდ, ნასოფლარ ცილორში, სადაც სოფლისაგან განმარტოებით დღესაც დგას ანტონ ჭყონდიდლის მიერ აშენებული ტაძარი. საჭილაო ნელ-ნელა შემცირდა და ბოლოს მოიცავდა ტერიტორიას მხოლოდ რკინიგზის ტრასიდან ფიხორამდე.

ვახუშტის ცნობილ საგეოგრაფიო-საისტორიო ნაშრომში საჭილაო დასახელებულია ორჯერ (გვ. 774: „ცხენისწყლისა და რიონისაკენ არს საჭილაო“; გვ. 861: „ესე შეუხნდა აბაშიძეს, მოუწოდა ლიპარიტიანსა და შეკრბნენ საჭილაოს სპათა და ეზრახნენ გურიელსა“. ს. კაკაბაძე აღნიშნავდა: „რიონის და ცხენისწყლის შესაყრიდგან ტეხურის შესაყრამდის სულ გაღმართი, კოდორა, ცხეპიჯი, კუკუთი, სამარღნაო და ანჯელი, ესენი ძველთაგან ჭილაძის ყოფილიყო, ჭილაძეს შეწირა“ (საბუთი შედგენილია კაცია დადიანის მიერ 1760 წელს. იხ. კაკაბაძე, 1921, II, გვ. 13). (აბაშის რ-ნი).

საჭილაო – სოფელი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას. ძირითადად ემთხვევა დღევანდელ სოფელ მარანს. ცნობილია „საჭილაოს შეთანხმება 1804“. ეს შეთანხმება დაიდო იმერეთის მეფე სოლომონ II-სა და სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანს შორის სოფ. საჭილაოში 1804 წელს. შეთანხმების მიზანი იყო, დროებით მაინც, რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილების მიღებამდე, სამეგრელო-იმერეთს შორის შეწყვეტილიყო ცილობა ლენხუმთან დაკავშირებით. სხვა საჭირო საკითხებიც მშვიდობიანი მორიგებით უნდა გადაეჭრათ. შეთანხმებლობის შემთხვევაში შუამავლად რუსეთის ხელისუფლებისათვის უნდა მიემართათ... არც ერთი პირობა არ განხორციელებულა (ქსე, 9, გვ. 225). 1733 წელს შედგენილ „შეწირულების წიგნში“ ტყვირის მონასტერზე საუბრისას აღნიშნულია: „ასე რომე საჭილაო აზნაურის შვილებს ყველას მისი ნიშანი მართებს“ (ქსდ, III, გვ. 716). „სოლომონ მეორის დროს (1790-1810 წწ.) საჭილაო (მარანი), სამიქაო, მაიდანო, ქოლობანი მეფის საკუთრება არის. სოლომონ მეორემ საჭილაო რიონს გაღმა ორწყალს შუა შაქარა მიქელაძეს გადასცა“ (ფაილოძე, 2011, გვ. 213-214). 1803 წლის „წყალობის წიგნში“ აღნიშნულია: „წყალობა გიყავთ და საჭილაოს დაგასახლეთ და სახასო მიწა გიბოძეთ ოთხი ქცევა“ (კაკაბაძე, I, თბ., 1921, გვ. 142). XIX ს-ის შუა წლების სამართლებრივ საბუთში დასახელებულია „სენაკის ოკრუჟენის სოფელ საჭილაოს მცხოვრებნი“ (მხარეთმცოდნე, III, გვ. 29). (შდრ. ელიავა, 1977, გვ. 42). დავა-

ზუსტით: „სოფელი საჭილაო იმყოფება სენაკის მაზრაში, სამეგრელოს განაპირას, მდინარე ცხენისწყლის ორსავე ნაპირას და ამის გამო ეს სოფელი ორ საზოგადოებად არის გაყოფილი: მარნის საზოგადოება დასავლეთისკენ და ილორისა აღმოსავლეთისკენ“ (გაზ. „ივერია“, 90, 1892. ვ. მასხულია. ეუთითობთ: ჭითანავა, 2010, გვ. 505). გ. ელიავა „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმთაში“ ორჯერ ახსენებს საჭილაოს: ა) „საჭილაო – ჭილაძეები ცხოვრობდნენ და ტოპონიმიც აქედანაა წარმოქმნილი“ (ელიავა, 1977, გვ. 47); ბ) „წინათ მარანში ჭილაძეები ცხოვრობდნენ. ამიტომ მას საჭილაოსაც ეძახდნენ“ (რესპოდენტისეული მოტივაცია. იქვე, გვ. 47). (აბაშის რ-ნი).

საჭილაო-სამიქაო – დასახელებულია შუა საუკუნეების საისტორიო-საეკლესიო დავთარში. ვახუშტი თავისი ნაშრომის თავში „აღწერა ეგრისის ქვეყნისა...“ აღნიშნავს: „ცხენისწყლისა და რიონისაკენ არს საჭილაო-სამიქაო“ (ვახუშტი, 1973, გვ. 774). „მოვიდნენ საჭილაო-სამიქაოს არჩილ და გიორგი მეფენი და ეზრახნენ აღექსანდრეს, რათა მისცეს გზა წარსვლისა“ (იქვე, გვ. 851). ზოგ საისტორიო წყაროში დასახელებულია „საჭილაო-სამიქელაძო“.

საჭყონდრო – საეკლესიო მამული. იგივე საჭყონდიდლო (აბაშის რ-ნი).

საჭყონდიდლო//საჭყონდრო – საეკლესიო მამული, რომელიც „მთელს სამეგრელოში იყო გაფანტული, მაგრამ მთავარი მისი ნაწილი მდებარეობდა მდ. აბაშასა, ტეხურსა და რიონს შორის და ამ ადგილს მთითვლებოდა სამ ათას კომლზე მეტი გლეხი. შუაგულ სოფლად ითვლებოდა სუჯუნა“ (დეკანოზი კონსტანტინე, 2009, გვ. 27). სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიისა და თვით სუჯუნის აღორძინებისათვის დიდი ღვაწლი გაუწევია ანტონ ჭყონდიდელს (1854-1904 წწ.). გადმოცემით, სწორედ ანტონ ჭყონდიდლის თაოსნობით გაითხარა არხი „ცუდღარი“. გ. ელიავა სუჯუნის სასოფლო საბჭოს ტოპონიმთა ჩამონათვალში აღნიშნავს: „საჭყონდრო – ამ ადგილს და მთელს სუჯუნას საჭყონდროს ეძახდნენ“ (ელიავა, 1977, გვ. 54). აქვე „ადგილის სახელთა“ შორის დასახელებულია ჭყონდარიშ ნაღოხო-

რუ „ჭყონდიდლის ნასახლარი“ (იქვე, გვ. 15), ნაჭყონდარუ „ნაჭყონდიდარუ“ – გზა, რომელიც ჭყონდიდლის განკარგულებით გაუჭრიათ (იქვე, გვ. 17) და ცუდლარი „ცუდი არხი“. იგი ჭყონდიდლის განკარგულებით გაუთხრიათ. ამიტომ ჭყონდიდლის არხსაც ეძახიან (იქვე, გვ. 16). ანტონ კათალიკოსს საეპისკოპოსო რეზიდენცია ჰქონია სუჯუნაში (ამჟამად ამ რეზიდენციის კვალი არ ჩანს). სხვათა შორის, სუჯუნა ჭილაძეთა მამული იყო. იგი მფლობელებმა აჩუქეს მარტვილის ტაძარს და ამიტომაც ჭყონდიდელი მიტროპოლიტი განაგებდა (აბაშის რ-ნი).

სახარასქუო – უბანი კაპანის საზღვართან. რესპ.: „ერთი ხარაზი ყოფილა აქ ჩასიძებული, გვარად ჭანტურია. მისი შთამომავლების ჯგუფური მეტსახელია ხარასქუა“ (მანცხვარკარი).

სახოშტარიო – ერქვა სოფელს ცუდლარის ნაპირებზე, ნორიოს საზღვართან. ამჟამად უბანია სუჯუნაში. ხოშტარია გვარსახელია. საქართველოში XX ს. დამლევს ცხოვრობს ამ გვარის მატარებელი 1006 სული. ითვლება, რომ მათი სამშობლოა სოფ. სუჯუნა (58 კომლი). იყვნენ აზნაურები. სუჯუნის ეკლესიის წმ. გიორგის ხატის ხუცურ წარწერაზე აღნიშნულია, რომ იგი შეუქმნია თვდორე ხოშტარიას გრიგოლ ჭყონდიდელის (მე-18 ს. მეორე ნახევარი) ბრძანებით (იხ. ჭითანავა, 2010, გვ. 490). ვარაუდობენ, რომ ხოშტარი უნდა ნიშნავდეს ხოსტელს. ამის გარდა, კოლხურში ხვიშტარი პირსახელიცაა (სუჯუნა).

სახოშტარიოშ ოხვამე – ეკლესია და სასაფლაო ცუდლარის მარჯვ. მხარეს, სახოშტარიოში (სუჯუნა).

სახურცილო – ყოფილი დასახლ. უბანი გეჯეთისა და ნოსირის საზღვარზე. ხურცილავა მრავალრიცხოვანი გვარია – 4122 სული საქართველოში (117-ე ადგილი) და 2039 სული სამეგრელოში (28-ე ადგილი). (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 170). 1996 წელს წყემში ცხოვრობდა მხოლოდ 2 კომლი ამ გვარისა (წყემი).

საჯალაღონიო – ჯალაღონიების უბანი სკურეს მარცხ. მხარეს, საკილასონიოს საზღვართან. 1996 წლის აღწერის თანახმად, საქართველოში ცხოვრობს ჯალაღო-

ნიათა 4269 სული (112-ე ადგილი საქართველოში), სამეგრელოში კი – 3136 (მე-14 ადგილი). (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 173). ამავე პერიოდში წყემში აღინუსხა ამ გვარის მატარებელი 48 კომლი (წყემი).

სევეშ წყურგილე – წყარო ბოხურში (გადმა ზანათი).

სეითოშ წყურგილი – ნაკადული კოლურში (სეფიეთი).

სეფიეთი – სოფელი ნოღელასა და მდ. აბაშას შუა (აბაშის რ-ნი). იხ. პირველ ნაწილში.

სეფიეთიშ ჩაი//ნოღელისგადმა – ასე უწოდებდნენ სამიქაოელები ჩაის ფართობს, რომელიც სეფიეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა (სამიქაო).

სვანიპირი – საძოვარი დაკელის გვერდით, გულუხეთის საზღვართან. რესპ.: „სვანი პატარა ტყეა“; „სვანი ფერდობზე ხის დასაცურებელი ღარია“. „სიტყვის კონა“ სათანადო წყაროებზე დაყრდნობით ასე განმარტავს: „სვანი (ქართლ.) – ტყის ერთი ნაწილი; მოჭრილი ხის დასაცურებელი ადგილი ტყეში“. სვანი დასავლურ-ქართულ დიალექტებშიდა დასტურდება. აღმ. სამეგრელოს ტოპონიმიაში იგი იმერელთა შენატანია. მეგრულის ლექსიკონებში სვანი არ ჩანს. რედაქტორი მ. ჩუხუა გამოთქვამს ვარაუდს: ქართ. სვან-ი : მეგრ. შურ-ო (სამიქაო).

სვიმოშ ტყა – ტყე ჭითა ღელის მარცხ. მხარეს (სეფიეთი).

სიბაკარი – 1. საძოვარი ნოღელის მარცხ. მხარეს. მეველეებს აქ ჰქონიათ სიბაკარი „ლარტყის კარი“ (ონტოფო); 2. სახნავი აბაშის მარცხ. მხარეს, ოღუესთან. სიბა, სიბაკარი – ერთფრთიანი კარი, ლარტყის კარი ყანის დობეში. შდრ.: „სიბა – სარტყლის ადგილი; წელი“ (ს-საბა, II, გვ. 86). იხ. ჭილაშვილი, 2001, გვ. 76). (საბოკუჩავო).

სიღოს ნამოსახლი – ერქვა საძოვარს. დაფარა ქოლობნის სატბორემ (ქოლობანი).

სიღოშ ნოხორი – საძოვარი საოჩიგაოში. სიღო ← სიღოვანი (სეფიეთი).

სიმონას წყარო – წყარო, წახარების სათავე ჩორგოლაშვილების უბანში (სამიქაო).

სიმონიშვილები – საძოვარი სოფ. მარნის საზღვარზე. **სიმონიშვილი** კახეთსა და ქართლში ფართოდ გავრცელებული გვარსახელია. სამეგრელოში იშვიათია. გადმოცემით, მარნის საზღვარზე ცხოვრობდნენ და უბანიც ჰქონდათ (თხმელარი).

სირ(ი)ნოზიშ ჭორთი – ტყე სოფლის დასახლების განაპირას. სირინოზი ქალს ერქვა. **ჭორთი** – 1. ლატანი, ჭორთი, გრძელი სახრე; 2. ნორჩი მურყანი, მურყნის შიმელი (ა. შანიძე). ჭორთი – ნორჩი, ახალი ამონაყარი ხე“ (აღ. ქობალია). (გაღმა კოდორი).

სირი – სახნავი რიონის მარჯვ. ნაპირზე. ხშირად ისილებოდა რიონისაგან. მაშასადამე: სილუა „მოსილვა“ → სირილი „მოსილული“ → სირიი → სირი (ტყვირი).

სკაპეცები – ერქვა სკაპეცების (დაკოდილების) უბანს ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. თავადებს მოუყვანიათ მსახურებად. „საჭურისი“ (ქვიშანჭალა).

სკურე – საძოვარი ნატყევარზე, ნოსირის საზღვართან. დღეე ან წყარო დღეს აქ არ ჩანს (წყემი).

სკურე//ტეხურწყალი – საწისქვილე არხი, ტეხურის ტოტი ძიგურში, გაივლის საქობალიოს და ჩაედინება მარაგანში. რესპოდენტთა განმარტებით და სკურ- ფუძიანი სახელწოდების ობიექტზე დაკვირვებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ სკური, სქური აღნიშნავს ტყიან-წყლიან ხევს, ხეობას და, მაშასადამე, ჰიდროგრაფიულ-ოროგრაფიული ტერმინია. აღ. ქობალია: „სკური, სქური – ხევი, ხეეში მდინარი დღეე“ (გაღმა ზანათი).

სკურეპიჯი – სახნავი სკურეს გვერდით (წყემი).

სოლომონიშ ტყა – ნატყევარი. იგივე ბუკეშ ტყა (სეფიეთი).

სოლომონიშ ჭალე – ჭალა-სახნავი აბაშის ნაპირას (მანცხვარკარი).

სორტი – ტყე ნოდელის მარცხ. მხარეს, კეკელურის გვერდით. სოფელ სორტის ითანე ნათლისმცემლის ეკლესია დასახელებულია სამეგრელოს ეპარქიის 1855 წლის ეკლესიათა ჩამონათვალში (ჭითანავა, 2010, გვ. 61). შდრ. აღ. ქობალია: „სორტა – ხევი, ხეობა“. შდრ.: სენაკის რ-ნის

ძველი სენაკის სოფლების – ზედა სორტისა და ქვედა სორტის საერთო სახელწოდება სორტა (ონტოფო).

სოფელიშდუდი „სოფლისთავი“ – საძოვარი სოფლის ბოლოში, ცუდდარის მარჯვ. მხარეს (სუჯუნა).

სოფრონის ტყე – ტყე ოჩარულში (სამიქაო).

სოფრონის წყარო – წყარო ოჩარულში (სამიქაო).

სტეფანეს წყარო – ნაკადული. იგივე გძელფონი (სამიქაო).

სტეფანეშ დისა – საძოვარი ნოდელის მარჯვ. მხარეს (აბაშა).

სულერი – სახნავი ნამანცხვარსა და საქობალიოს შუა, სოფ. საბესელიოს საზღვართან. იხ. ქველ, 2000, გვ. 398: სუ „სელი“ → სულუა „გაფცქენა, კანის მოშორება; დაძენძვა“ (სელისა, კანაფისა)“ → სულერი „გაცრცვნილი, გასველებილი...“ ღ-ს გამოვლენა ღაზურში აიხსნება *სალ ვარიანტთან კონტამინაციით. მ. კვირტიას განმარტებით, ტოპონიმი სულერი ის ადგილია, სადაც სელი ითესებოდა (გაღმა ზანათი).

სულური – სახნავი რიონის მარჯვ. ნაპირზე. შდრ. აღ. ქობალია: „სულური – კანაფის ადგილი; კანაფის განქერქვის ადგილი“ (ტყვირი).

სუმბორზალა – მორევი. იგივე სუმფურცელა (აბაშა).

სუმბორძალა – მორევი. იგივე სუმფურცელა (აბაშა).

სუმთოლწისქვილი – წისქვილი. იგივე ჭატურაიფვიშ წისქვილი (ეწერი).

სუმოიაშ დისა – სახნავი სოფლის დასახლების განაპირას, ბზიეფიშ დისას გვერდით (გაღმა კოდორი).

სუმოშ ნოხორი – სახნავი სოფლის დასახლების განაპირას (გაღმა კოდორი).

სუმოშ ფონი – ფონი რიონზე (გაღმა კოდორი, მეორე ეწერი).

სუმფურცელა//სუმბორძალა//სუმბორზალა//სამბორძალა – მორევი ნოდელაზე და ნოდელის მონაკვეთი, სადაც ამ მდინარეს უერთდება კოვზა და არხი „სამელიოშ წყარი“. რესპ.: „სუმფურცელა და სუმბორძალა ეწოდება არა მარტო სამი გზის შესაყარსა თუ გასაყარს, არამედ სამი

მდინარის შეერთების ადგილსაც“. სამ მდინარეში იგულისხმება: ნოდელა, კოვზა, არხი (აბაშა).

სუნეჯი – საძოვარი ზანასა და აბაშას შუა. გადმოცემით, უწინ აქ მდგარა სამი კაკლის ხე. სუნეჯი ← სუმნეძი „სამი კაკლის ხე“ (ძველი აბაშა).

სურმაშ ჭორთი – ბუჩქნარი გაღმა ზანათის საზღვართან. ჭორთი – ნორჩი თხმელნარი, ახალამონაყარი ხე; ღაბანი. ა. შანიძე განმარტავს: ჭორთი, ჭვერთი – ნორჩი მურყანი, მურყნის შიმელი; ღაბანი, ჭოკი, გრძელი სახრე (საბოკუჩავო).

სურნალები – სახნავი, ხირჩინიპირების ნაწილი. სურო „მარადმწვანე მცოცავი ბუჩქი; ღიანა“ → სურონალი → სურნალი „სუროვანი“ → სურნალები (მაიდან).

სურონი „სუროვანი“ – ტყე, ჩაის ფართობი ნოდელა-სა და ჭითა დელეს შუა (სეფიეთი, ეწერი).

სულელო – დელე, მდ. ცივის შენაკადი (ტყირი).

სულირი – სახნავი უზა დელესა და მდ. აბაშას შუა, მანცხვარკარის საზღვართან (წყემი) და სახნავი მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს, წყემის საზღვართან (ძველი აბაშა).

სუჯინა – სოფ. სუჯუნის ადგილობრივი. ვარიანტი (სუჯუნა).

სუჯუნა/სუჯინა – სოფელი აბაშის რ-ნში, მდ. აბაშის ნაპირას, თემის საკრებულოს ცენტრი. ზ. დ. 15 მ, ქ. აბაშიდან 6 კმ. (აბაშის რ-ნი). სუჯუნის ტოპონიმური მასალის ერთი ნაწილი ჩაწერილია თსუ სტუდენტების სვეტლანა კუციასა (1961 წ.) და შორენა ჭანტურიას (1965 წ.) მიერ. დეკანოზი კ. კაჭარავა აღნიშნავს: სუჯუნის თემში ცხოვრობს 770 კომლი „აბსოლუტურად ყველა ეროვნებით ქართველებია. სალაპარაკო ენა ქართულ-მეგრულია“ (დეკანოზი კონსტანტინე, 2009, გვ. 7). მაგრამ ფაქტია, რომ სუჯუნის თემის საკრებულოს სოფლებში (სუჯუნა, მეორე ეწერი, პირველი ეწერი, წალიკარი) მხოლოდ ორი ტოპონიმია ქართულენოვანი: **ცუდღარი** – საკუთრივ სოფ. სუჯუნაში და **ზურგი** – პ. ეწერში. უადგილო არ იქნება თუ აქ აღვნიშნავთ, რომ სუჯუნის თემის სოფლებში ჩაწერილი ზოლინებია მთლიანად მეგრულია. იხ. დანართი.

სსულიჯინჯი „მსხლისძირი“ – მინდორი აბაშის მარცხ. მხარეს, ჭანიორში (გამოდმა ზანათი).

– ტ –

ტაბიძნების ნაწისქვილარი – მინდორი წყვიის ნაპირას. ტაბიძნებს აქ წისქვილი ჰქონიათ (გეზათი).

ტაბური – სახნავი წისქვილიშ ტეხურის მარჯვ. მხარეს, საკილასონიოში. როგორც ჩანს: ტაბია (ტაბიძის ადგ. ვარიანტი) → ტაბური „ტაბიასეული“ (წყემი).

ტანსაბანი – საბანაო დიდკოვზაზე, ვეკუების ქუჩაზე (მაიდანი).

ტანწყალი – ცხენისწყლის ძირითადი დინება. სოფელსა და ტანწყალს შუა მდინარის სამი ტოტია: პირველწყალი, მეორე წყალი, მესამე წყალი (სამიქაო).

ტაფე – ტყე რიონის მარჯვ. მხარეს. შდრ. აღ. ქობალია: „ტაფი – ტაფობი, ტაშირი, ბრტყელი, სწორი ადგილი. ტაფე შეიძლება ჩაღრმავებულ ადგილსაც აღნიშნავდეს“. ო. ქაჯაია: „ტაფე – ტაფა“; ქეგლ, VI: „ტაფი – ტაფობი“ (სუჯუნა).

ტბორი – ტბორი უწინდელი ცხენისწყლის არხზე (სიგრძე 10 კმ.). უერთდება ნოლოს (გუგუნაყათი).

ტები „ტევრი“ – საძოვარი ნოდელის მარჯვ. მხარეს, კვათანაში, საცანაოს გვერდით. რესპ.: „ტები გაუჩეხავი ტყეა“ (აბაშა).

ტებიბა „ტევრისპირი“ – სახნავი საჭანტურაიოში (აბაშა).

ტებონა „ტევრნარი“ – სახნავი საგევენაოში (ძიგური).

ტეურები – სახნავი ხირჩინას ნაპირას. რესპ.: „ტეური ეწოდება ქვიან მიწას“. შდრ. ტევრი → მეგრ. ტები „ხშირი, დაბურული ტყე“ → ტეური → ტეურები „ტევრიანი, ტევრით დაფარული“ (მაიდანი).

ტეხური – მდინარე დას. საქართველოში. სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრ. კალთაზე და ერთვის რიონს მარჯვ. მხრიდან, კოდორესთან (სუჯუნა). სიგრძე 108 კმ. მთავარი შენაკადია მდ. აბაშა (მარტვილის რ-ნი, აბაშის რ-ნი).

ტეხურიშ წყარი//წისქვილიშ ტეხური – არხი, რომელიც გამოეყოფა ტეხურს, ერთვის უჩა დაღს და მერე ჰქვია ომაქარე (საბოკუჩავო, წყემი).

ტეხურწყარი – ტეხურის ტოტი. იგივე სკურე (გაღმა ზანათი).

ტობოურე – ტბა. იგივე ტობოლო (ბულვანი).

ტილიფნარი – სახნავი საცანოსა და ნასერაღას შუა. ტილიფი იგივეა, რაც ტირიფი იმერულში (ბულვანი).

ტილიფონა – საძოვარი ანჯერში (კეთილარი).

ტილიფონა//რჩქონი – ტირიფნარი, სახნავები რიონისა და ნოდელის შესართავთან. რჩქონი – კუნძული ან ნახევარკუნძული მდინარეზე (გამოღმა კოდორი).

ტიტულიშ შანი//ერუსტუშ შანი – ჭაობი სანადიოში. ზამთრობით ფრინველზე სანადირო ადგილი იყო. რესპ.: „შანი ეწოდება დაბალ, წყლიან ადგილს, რომელსაც გასასვლელი არა აქვს“. ტიტული, ერუსტუ პირსახელება (სუჯუნა).

ტიფიშ წისქვილი – წისქვილი ცუდღარზე. ტიფი კაცის სახელია (ონტოფო).

ტიფონიაშ დაბალი – სახნავი რიონსა და ონგერეს შუა. ტიფონია მამაკაცს ერქვა (გაღმა კოდორი).

ტიხონიკის ტყე – ტყე ოჩარულში. ტიხონიკი პირსახელია (სამიქაო).

ტობა – ერქვა ტყეს ჭყონკაკირთან (კეთილარი).

ტობაწყურგულე – ღელე. ნოდელის მარჯვ. შენაკადი მეორე ონტოფოში. ზემო წელზე ეწოდება კეკელურიშ წყურგულე (ონტოფო).

ტობეში – სახნავი მდ. აბაშის მარცხ. ნაპირზე. ტობა – ა. ტბა; ბ. ღრმა ადგილი მდინარეში; გ. ჩაღმავებული ადგილი ხმელეთზე. **ტობაში, ტობეში** (← ტობაიში) – ღრმა ტაფობი; ქვაბული (სეფიეთი).

ტობოურე – სახნავი. იგივე ტროვონი (ონტოფო).

ტობოურე//ტობოყო//ტობოლო – სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს, საკაჭარაოში. რესპ.: „ტობოლო რე ლაქაშონა“; „დასურო ტობოურე რდგ, ლაქაშონა, ჭყოჭყოტი“; „ტობოურე დოდგინელი წყარი რე“. როგორც ჩანს: ტობა ცურე

„ყრუ და ღრმა ჩამდგარი წყალი“ → ტობაურე → ტობოურე. შდრ.: ო. ქაჯაია: „ტობოცურე – გაუვადი ტბა; ღრმა, ჭაობიანი ადგილი, წუმპე, სადაც ზაფხულში კამეჩები წვებიან“ (აბაშა).

ტობოურე/ჭიჭე ტობოლო/მუსურიშ ტობოლო/ტობოყო – ნატბევარი, სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს, ცილორსა და ჯვეშ ტყვირს შუა. სიგრძე 1,5 კმ. სიგანე – 30 მ. ტბა ყელით იყო შეერთებული ნოდელასთან. ახლოსაა დიდი ტობოლოც (ცილორი).

ტობოლო – სახნავი. იგივე ტობოურე (აბაშა).

ტობოლო/ტობოყო/ტობოურე/ტოლობო/დიდი ტობოლო – ტბა ნოდელის მარცხ. მხარეს. ნახევარკალის ფორმისაა. მდინარის ნაკალაპოტარი ჩანს. ამბობენ, უწინ აქ ნოდელა გადიოდა. ამის სამხრ. გაგრძელებაზე არის ჭიჭე ტობოლო. რესპ.: „ტობოურე მეგრული სახელწოდებაა, ტობოლო კი – ქართული“ (ბულვანი).

ტობოყო –1. სახნავი. იგივე ტობოურე (აბაშა); 2. ნატბევარი. იგივე ტობოურე (ცილორი); 3. ტბა. იგივე ტობოლო (ბულვანი).

ტორნალი – სახნავი. იგივე ტორნარი (ცილორი).

ტორნარი/ტორნალი – სახნავი ნატყვეარზე, სოფელსა და ღანჩარას შუა. რესპ.: „გამიგონია, რომ ტორი რაღაც ბალახია, ფართოფოთლოვანი“. აღ. ქობალიას განმარტებითაც, ტორი ბალახია ერთგვარი (ფართო ფოთლები აქვს). (ცილორი).

ტოტიაშ დინა – სახნავი ცომურჯინჯთან (აბაშა).

ტოტიის ფშიარი – ტყე შავდელესა და კოვზას შუა (მაიდან).

ტოფურონი – სახნავი აბაშის მარჯვ. მხარეს. **ტოფური** ბალახია ერთგვარი. აღ. ქობალიას განმარტებით, ესაა წითელი სამყურა (სეფიეთი).

ტოლობო – ტბა. იგივე ტობოლო (ბულვანი).

ტრიფოლიატი – სახნავი კოვზას მარჯვ. ნაპირზე. რესპ.: „ყველა ესო ტრიფოლიატი იყო შემოსაზღვრული. მერე გაჩეხეს“ ქეგლ-: „ტრიფოლიატა „სამყურა ღიმონი“.

რუს. . გამოიყენებოდა მრავალწლიან ცოცხალ ღობედაც (მაიდანნი).

ტროგონი//ტობოურე – სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს. ჩადაბლებული ადგილია. რუსპ: „ტობოურე რდუ თეჟი, ბალოტი, ცხენ ინდუოდუ“ (ონტოფო).

ტურაკე(ლი) – სახნავი ტეხურის მარცხ. მხარეს, ჭალაში. რუსპ.: „უღრანი ტყე იყო და ტურა კიოდა“ (გამოდმა ზანათი).

ტურაკემ პალოტი – ტბორი ტურაკეში (გამოდმა ზანათი).

ტყაშ დიხა – სახნავი საოჩიგაოს განაპირას. სახნავი ტყეში ყოფილა (სეფიეთი).

ტყაშ დიხაზურგა – შემადლება ცუდღარის მარჯვ. მხარეს, წყურგულეს სამხრ-ით. იხ. დიხაზურგე (გამოდმა ზანათი).

ტყებჩაშ დიხა – სახნავი საკაჭარაოში. ტყებჩა ← ტყე-ბუჩავა (გვარსახელია). (აბაშა).

ტყემალა – დელე-არხი. სათავეს იღებს ჩიტების უბანში და უერთდება რიონს ბახეაჭალაში, ნაფაცხების ბოლოში (პირველი მაისი, თხმელარი).

ტყემალიპირი – საძოვარი ტყემალას ნაპირზე (თხმელარი).

ტყემალისპირი – სახნავი ტყემალას არხთან (მარანი).

ტყეპო//ჭყოჭყოტი – ტლაპო-ჭეჭყობი, საძოვარი საოჩიგაოს განაპირას. ტყეპო, ჭყოჭყოტი იგივეა, რაც ქართ. ჭენჭყობი; ნესტიანი, ჭაობიანი ადგილი (სეფიეთი).

ტყვირი – სოფელი ნოდელის მარცხ. მხარეს. გრძელდება სოფ. მარნამდე. აღმ-ით ესაზღვრება სოფ. ბულვანი, დას-ით – სოფ. ცილორი. ხალხ. ეტიმოლოგია: „ჭილაქ გაშენუა ოხვამე დო თუდო ტყვია ქათუდუა“. 1776 წ. შედგენილ „წიგნში“ აღნიშნულია შეწირულობის ობიექტი: „ტყვირის საყდარი და ზედ მოსახლე გლეხნი“ (კაკაბაძე, II, 1921, გვ. 56). (აბაშის რ-ნი).

ტყვირიშ ნოხორი – ნასოფლარი. იგივე ჯვეშ ტყვირი (ტყვირი).

ტყვირიშ ოხვამე – ეკლესია. იგივე მანცხვარი (ტყვირი).

– უ –

უდანო – ნატყევარი, სახნავები (30 ჰა) შაველელეს მარჯვ. ნაპირზე, სოფლის განაპირას. რესპ.: 1. მონადირეს კურდღელი მოუკლავს და ვერ გაუტყავებია, ვაი უდანობასაო, უოქვამს; 2. ურემი გადაბრუნებულა, ხარი იხრჩობოდა და მეურმეს აპეური ველარ გადაუჭრია, რადგან უდანო ყოფილა; 3. ქურდებს მოუპარავთ ძროხა და უდანოდ გაუტყავებიათ (გაუწყინარი). არაა გამორიცხული: ქართ. უდაბნო → მეგრ. უდანო (გაუწყინარი).

უთურიაშ დისა – სახნავი ცომურჯინჯთან (აბაშა).

ურეკები – საძოვარი. იგივე ურეკი (მარანი, თხმელარი).

ურეკი/ურეკები – საძოვარი (20 ჰა) მარნისა და თხმელარის საზღვარზე. სიმონიშვილების გვერდით. **ურეკი** უსიერი, უღრანი ტყვა, სადაც საქონელი ვერ შედის და ჩასაფრებული მონადირეებისაკენ ნადირის გამორეკვა შეუძლებელია. „სიტყვის კონა“: „ურეკი (გურ.) – ბნელი, ღრმა, გაუვალი ადგილი, ტყე; ურეკი ტყე – გაუვალი, უდაბური ტყე“. გვხვდება სამეგრელოსა და სამურზაყანოშიც. შდრ. აღ. ქობალია: „**ურეკი** – ურიყო, ძლიერ დაშლამული, ნოყიერი, უკენჭებო, სილიანი ადგილი; ნარ-ეკლიანი ტყე“ (თხმელარი, მარანი).

ურიადისა „ებრაელის მიწა“ – სახნავი რუმის მარჯვ. ნაპირზე (ცილორი).

ურიაშ დისა – სახნავი აბაშა-ტეხურის შესართავთან. აქ ნაპოვნია უძველესი ჭური-სამარხი (გამოღმა ზანათი).

ურიაშ ოხვამე – სასაფლაო ცუდღარის მარჯვ. მხარეს, სოფლის ცენტრში. ესახლნენ ებრაელები, ყველანი ისრაელში წავიდნენ (სუჯუნა).

ურიაშ პარონი – ნაბორნალი რიონზე. ბორანი მეორე ეწერს აკავშირებდა ანჯერთან. გაუმართავს ურიას, ე.ი. ებრაელს (მეორე ეწერი, კეთილარი).

ურიჭალა – ტყე სოფლის აღმ. განაპირას, ნარნეს მარჯვ. მხარეს. გადმოცემით, უწინ აქ ებრაელები ესახლნენ (კეთილარი).

ურიების ფართობი – სახნავი დანჩარასთან (მარანი).

უშქურონა „ვაშლნარი“ – 1. სახნავი დოცონურში (გაღმა ხანათი); 2. ჩაის ფართობი ჭითა დელეს მარცხ. მხარეს, სალაბარტყაოში (სეფიეთი); 3. სახნავი რისკარესა და საჯალაღონოს შუა (წყემი).

უნა დელე „შავი დელე“ – 1. დელე, აბაშის მარჯვ. შენაკადი და სახნავები (120 ჰა) ამ დელის ორივე ნაპირზე, სოფ. ორქის საზღვრამდე (სეფიეთი); 2. მდინარის მონაკვეთი. იგივე ბაკარიაღალუ (მანცხვარკარი); 3. დელე, რომელიც მარცხნიდან შეერთვის მდ. წისქვილიშ ტეხურს და იქმნება ომაყარე, შემდეგ კი ერთვის მდ. აბაშას მანცხვარკარის ტერიტორიაზე. მოედინება გეჯეთიდან (წყემი); 4. მდინარე, ცუღღარის ქვემო წელი სუჯუნაში (სუჯუნა) და სხვ.

უნა დელე/შავდელე – დელე, ნოდელის მარჯვ. შენაკადი გეხათის საზღვარზე (აბაშა).

უნადური – ტბორი და სახნავი სათოფურიოში, უნა დელეს ნაპირას. რესპ.: „უნა წყარი ინოდგდუა, ნოშქვერიჯგურა. უნადური შხვადო ხოლო ჯოხო“. აღბათ: უნადური ← უნა დურე. უნა „შავი“; დურე „ჩადრმავებული ადგილი; ორმოსებური ჩადრმავება“ (საბოკუნაეო, მანცხვარკარი).

უნადელექობა – სახნავი უნადელის ნაპირას (ძველი აბაშა).

– ფ –

ფალაგე/ქანხაპონა – სახნავები ოკატუესთან, დაჭუს ნაპირას. ფალაგე, ფაქტობრივად ბარდია. რესპ.: „ფალაგეს კორცხელი ჩანს. ვაიშერთე. კალია იწილუუ. ქანხაპი გვინძლი ჩანს“. გვინძლი ეკალ-ბარდია. შდრ. ო. ქაჯაია: 1. „**ფალაგე** – სახლის გვერდით ადგილი; 2. ფოთოლმოყრილი მივარდნილი ადგილი“; ალ. ქობალია: „**ფალაგე** – ფოთლი-

ანი, ბარდები. ცოცხალ ღობეზეც იტყვიან“; „ქარჩხაპი – ქარიანი წვიმა“ (გამოდმა კოდორი).

ფარეხი – სახნავი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. აქ ზამთრობით აბანაკებდნენ ცხვარს და ფარეხიც ედგათ (ქვიშანჭალა).

ფარნაშ დაბალი – ღელე, ტბორი საჩაგანაოში (კეთილარი).

ფარნაშ დიხა – სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს (აბაშა).

ფარცხმაკარე – სახნავი ნარნეს მარცხ. მხარეს. სოფ. ფარცხმას (ჩოხატაურის რ.) აქ ჰქონია კარე – მწყემსის ბინა და საქონლის დასაყენებელი ადგილი (გულეიკარი).

ფალავას ადგილი – საძოვარი სოფ. ქოლობნის საზღვართან (მარანი).

ფალავას მიწები – სახნავი რუშის მარცხ. ნაპირზე (მარანი).

ფალავას ნაყანვარები – სახნავი. იგივე ფალავაყანები (მაიდანი).

ფალავაყანები//ფოლაყანები//ფალავას ნაყანვარები – სახნავი ნოდელის მარცხ. ნაპირზე. ეკუთვნოდა ფალავებს (მაიდანი).

ფალურები – საძოვრები. იგივე ფალური (გაუწყინარი).

ფალური//ფალურები – საძოვარი (25 ჰა) სოფ. ქვიშანჭალის საზღვართან, ცხილარსა და შავდელეს შუა. ფალური ნიშნავს: „ფალავას ყოფილს, ფალავას ნაქონს“. საბჭოთა პერიოდში იქ ბევრს ჰქონია ნაკვეთი. ამიტომ ფალურებიც დარქმევიან (ფალავები თავადები იყვნენ). ამის გარდა, ფალური ნიშნავს ბატონკაცურს. ო. ქაჯაია: „ფალური – ფალავას შესაფერისი; მდიდრული, უხვი“. აღ. ქობალია: „ფალური – სადიდებელი, ბატონკაცური“; „ფალურო – ბატონკაცურად, განცხრომით“ (გაუწყინარი).

ფილ(ი)პეშ ტყა – ტყე აბაშის მარჯვ. მხარეს (ძველი აბაშა).

ფილ(ი)პიას ზღვაურა//ბაახიას ზღვაურა – ერქვა ტბორს სალაქაშოში. ზღვაურა ამ შემთხვევაში აღნიშნავს პატარა ზღვას, ზღვის მსგავს ტბორს (გაუწყინარი).

ფილიპეს ამოკავებული – ტყე დიდკოვზას მარჯვ. მხარეს (მაიდანნი).

ფილიპიის კარავი – მინდორი კოპიტნარსა და ღობირს შუა. კარავი მწყემსის დროებითი სადგომია. შდრ. მეგრ. **კარე** (თხმელარი).

ფილიპიის ყანა – სახნავი რუშის ნაპირას. ფილიპია პირსახელია (მარანი).

ფილპეშ ნაკარუ – სახნავი ანჯერში. ფილპე ← ფილიპე (გაღმა კოდორი).

ფილპეშ კარე – სახნავი სოფლის დასახლების გვერდით, ნარნეს ნაპირას (გაღმა კოდორი).

ფილუშ ნაცალა – სახნავი ძვ. აბაშის საზღვართან. **ნაცალა** – 1. ნათიბი; 2. ნაკაფი (სეფიეთი).

ფილუშ ტობა – მორევი ზანაზე. ამ მორევი ფილუს ცხენი დახრჩობია (სეფიეთი).

ფირცხალავეების ტყე – საძოვარი შაველეს ნაპირას (გულუხეთი).

ფირცხალების ფონი – ფონი კოვზაზე (გულუხეთი).

ფიწორა – სახნავი მდ. ფიწორის მარჯვ. ნაპირას (კეთილარი, გაღმა კოდორი).

ფიწორი – მდინარე, აბაშის რ-ნის საზღვარი ლანჩხუთის რაიონთან. ითვლება, რომ ოდესღაც რიონი ფიწორში ჩაედინებოდა. ალ. ქობალია: „**ფიწორი** – ფართო, ვრცელი, ხალვათი, გაშლლი ადგილი...“ (კეთილარი).

ფოლაყანები – სახნავი. იგივე ფალაყანები (მაიდანნი).

ფრიალეშჯინჯი „ვერხვისძირი“ – მორევი მდ. აბაშაზე (ძველი აბაშა).

ფრიალეჯინჯი – საძოვარი ნოღელის მარცხ. მხარეს, მეორე ონტოფოში (ონტოფო).

ფრიალიძირი „ვერხვისძირი“ – მინდორი ტეურებში (მაიდანნი).

ფულუეში – სახნავი წყურგულეწვარის მარჯვ. მხარეს. დიხაზურგესა და რისკარეს შუა. რესპ.: „ფულუ დიხარე, ლიბუ, ფხვიერი“. ფულუ თხუნელასაც ეწოდება (წყემი).

ფშანი – 1. ღელე. იგივე წყვია (გულუხეთი); 2. არხი კოპიტნარში. უერთდება ტყემალას მარჯვ. მხრიდან. დასა-

ხელებულია 1616-1621 წწ. დავთარში როგორც „შანის დელე“, რომელიც „შეერთვის რუშას გამოღმა, რომელზედაც საცილორო გზა მიაჭრის“ (ქსძ, III, გვ. 475). (თხმელარი).

(ფ)შანი – მცირე დელე, რუშეს მარჯვ. შენაკადი და მიმდებარე სახნავეები სოფ. მარნის საზღვართან. რესპ.: „ეს დელეა ჩვენი და იმერლების საზღვარი“. შდრ. ქეგლ-ის განმარტებანი: „ფშანი – იგივეა, რაც ფშა“, ე.ი. „მდინარის პატარა შენაკადი, მდინარის ტოტი“ (ქეგლ, VIII, გვ. 220); ს.-საბა: „ფშა – მდინარისაგან წყარო, მუნვე ახლო გამოშაკალი“ (ტყვირი).

ფშანიპირი – სახნავი წყვიას ნაპირას (გულუხეთი).

(ფ)შანიპირი – სახნავი რუშიპირსა და თელიების უბანს შუა. ფშანი ეწოდებოდა არხს, რომელიც აქ გადიოდა (მარანჭალა).

ფშიარები – ტყე-თხმელნარი ღობირში. აღ. ქობალია: „**ფშიარი** – ფოთლოვანი“. ო. ქაჯაია: „შიარი – შამბნარი; ჩქოლნარი“ (მარანი).

ფშიარი – ტყე კაჭარავეების უბანში (სამიქაო).

ფხაკაძემ ნოხორი – სახნავი კაპანაში (აბაშა).

– ქ –

ქანთარიაშ ნომერი – სახნავი ანჯერში. ნომერი ამა თუ იმ პიროვნებისათვის დასამუშავებლად გაპიროვნებული ნაკვეთია (კეთილარი).

ქარჩხაპონა – ბუჩქნარი საჯალაღონიოში. რესპოდენტთა განმარტებით, ქარჩხაპი ქარიანი წვიმაა, ამასთანავე, ერთგვარ მცენარესაც უნდა აღნიშნავდეს (წყემი).

ქარჩაპონა – სახნავეები. იგივე ფალაგე (გამოღმა კოდორი).

ქაციბური – საძოვარი კოვზას მარჯვ. მხარეს, სოფ. გულუხეთის საზღვართან (სამიქაო).

ქაცხაცხონი – საძოვარი ნოდელასა და სალაბარტყაოს შუა. **ქაცხაცხია** ეკალფოთლიანი მცენარეა. აღ. ქობალია: „**ქაცხაცხი** – ეკალ-ბარდი; ცეცხლეკალა (მცენ.)“; ა. მაყაშვილი: „ცეცხლეკალა – ... მეგრ. ქაცხაცხი“. შდრ. აცხაცხუე „სუსხავს“ (სეფიეთი).

ქაჭები – ბუჩქნარი. იგივე ქაჭინარა (მაიდან).

ქაჭინარა//ქაჭები – ბუჩქნარი მამულონთან. რესპ.: „ქაჭი ეკლიანი მცენარეა, კურკოვანი, წითელი ნაყოფით. იყენებენ ღობეების გასამაგრებლად. შავკაჭის ნაყოფი არ იჭმევა. თეთრკაჭისას კი ბალივით ნაყოფი აქვს და იჭმევა“. შდრ.: „ქაჭვი (გურ.) – ქაცვი, ეკლის წვერი; ქაჭვნარი – ეკალნარი; ეკლიანი ადგილი; ეკალი, ეკლიანი ტოტი“; „ქაჭი (იმერ.) – ეკალი, ეკლიანი ადგილი“ (სიტყვის კონა, 1994, გვ. 564). (მაიდან).

ქაჯეკალა – მინდორი. იგივე კლეფხერი (სამიქაო).

ქეთევანიშ დისა – სახნავი ობერგულეში (გამოდმა კოდორი).

ქველა მაიდან – სოფლის ნაწილი ცენტრიდან სამიქაომდე (მაიდან).

ქველა სამიქაო – სოფლის ნაწილი გულუხეთის საზღვრიდან სოფლის ცენტრამდე (სამიქაო).

ქვეითციხე//ქვეიჩხე – სახნავი მდ. აბაშის მარცხ. ნაპირის ჭალაში. აქ იყო ქვა-ხრემის კარიერი (გამოდმა ზანათი).

ქვეიჩხე – სახნავი. იგივე ქვეითციხე (გამოდმა ზანათი).

ქვეიჩხეშ მარჩხა – ფონი მდ. აბაშაზე, ქვეიჩხეში. შდრ. ი. ყიფშიძე: „მარჩხა –“; ქველ: მარჩხი, მარჩხობი – თხელი წყალი; თავთხელი“. აღ. ქობალია: „მარჩხა – მარჩხი, მეჩხერი“ (გამოდმა ზანათი).

ქველონადველი – სახნავი. იგივე ქვენოდველი (კეთილარი).

ქველონდველი – სახნავი. იგივე ქვენოდველი (კეთილარი).

ქველუნოდველი – სახნავი. იგივე ქვენოდველი (კეთილარი).

ქვენოდველი//ქველუნოდველი//ქველონადველი//ქველონდველი – სახნავი ანჯერში, ფიხორის მარჯვ. მხარეს. **ნოდველი** – ნადები, ნაყანევი (რაც ყანად იდო). აღ. ქობალია: „ნოდველი – ნაყანევი“ (კეთილარი).

ქვიშანჭალა – სოფელი რიონისა და ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე, შესართავთან, ორპირის პირდაპირ (პირველი მაისის თ/ს).

ქვიშაფონი „ქვიშის ფონი“ – ფონი ნოღელაზე, ცა-შორტყაფუსთან (აბაშა).

ქობულიები – ქობულიების უბანი შავდელის მარცხ. ნაპირზე. გვარი ქობულია გურია-აჭარაში გავრცელებული ქობულაძის ბოლოშეცვლილი ვარიანტია. სამეგრელოში ძირითადად აბაშის რაიონშია გავრცელებული. მაიდანში მკვიდრობს 16 კომლი (მაიდან).

ქოლობანი – სოფელი ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, სოფ. ბულვანამდე. სამხრ-ით ესაზღვრება გეხათი და გუ-გუნაყათი. რესპ.: „ქოლობნის საკრებულოს სოფლებში ქართულია საოჯახო სამეტყველო ენა, მხოლოდ ტყვირსა და ცილორშია გაბატონებული მეგრული ენა“. ოიკონიმის წარმომავლობა: „ქოლო „კოდი, კოდის წყალი“ → ქოლოს უბანი → ქოლობანი. გ. ელიავა ამ სოფლის სახელწოდების განმარტებისას ეყრდნობა მხოლოდ რესპონდენტს: „ქოლობანი „ჩაქოლეის ადგილი“ (ელიავა, 1977, გვ. 44). ქოლობანი ჰიბრიდული ინტერფერენციის ნიმუშია: მეგრ. ქოლო „კო-დი“ + ქართ. უბანი (აბაშის რ-ნი).

ქორქაშვილები – სახნავი კოვხასა და ცხენისწყალს შუა. რესპ.: „ესახლნენ ქორქაშვილები. წყალმა აყარა“. ქორქაშვილი მცირერიცხოვანი გვარია – 141 სული საქართველოში, ძირითადად იმერეთში (მაიდან).

ქვა „ქვა“ – საძოვარი, ქვიანი ადგილი სამედიოსა და ნაკრძალს შუა (წყემი).

ქვალონი „ქვანარი“ – საძოვარი აბაშის მარცხ. მხარეს (საბოკუჩავო).

ქვაუჩაშ დაბალი – სახნავი სოფ. მუხურჩის საზღვართან. **ქვაუჩა** – ქვაშავი (სეფიეთი).

ქვაშ ეკადალარი „ქვის ამოსაზიდი“ – გზა, აღმართი, რომლითაც აბაშისპირეთიდან ურმით ამოჰქონდათ ქვა (გაღმა ზანათი).

ქურახანა – ერქვა მინდორს, სადაც შემდეგ გეხათის 8-წლიანი სკოლა აშენდა. გადმოცემით, აქ იდგა აგურის

ქარხანა, რასაც ქურახანას უწოდებდნენ. შდრ. „ქურახანა (არაბ. ქურ „ქურა“ + სპარს. ხანე „სახლი“) – აგურის, კრამიტის და მისთ. გამოსაწვავი ქარხანა“ (ქეგლ, ტ. VII). (გეზათი).

ქურდობაძეები – ქუნა-უბანი. იგივე ქურდობაძეების ქუნა (სამიქაო).

ქურდობაძეების ტყე – ტყე ბეგსა და მიქელურს შუა (სამიქაო).

ქურდობაძეების უბანი – ქუნა-უბანი. იგივე ქურდობაძეების ქუნა (სამიქაო).

ქურდობაძეების ქუნა//ქურდობაძეების უბანი//ქურდობაძეები – ქუნა-უბანი სოფლის ცენტრსა და კოვზას შუა. ქურდობაძე ძალზე მცირერიცხოვანი გვარია. სულ 84 სული საქართველოში, ძირითადად აბაშისა და სამტრედიის რ-ნებში. სამიქაოში ცხოვრობს 15 კომლი. არაოფიც. ვარიანტი: ქურდობაძე (სამიქაო).

– ღ –

და(ლ)ინა – საძოვარი დიხაზურგესა და ნოღელას შუა. რესპ.: „დალი, ე.ი. დელე, აქ აღარსადაა“ (აბაშა).

დალუ – დელე-ტბორი რიონის მარჯვ. ნაპირზე (პირველი ეწერი).

დამაკულა – დელე. იგივე დამაკულე (მანცხვარკარი).

დამაკულე//დამაკულა – დელე. სათავეს იღებს კაპანაში (ქ. აბაშა), გამოივლის საკუპრას უბანს და ერთვის მდ. აბაშას მარცხ. მხრიდან. დამაკულა ნიშნავს დაკლაკნილს, გამრუდებულს (მანცხვარკარი).

დამარკია – დელე. იგივე დამარკულა (სეფიეთი, ძველი აბაშა).

დამარკულა//დამარკია//დანტკურა „დაკლაკნილი, დაღრეკილი“ – დელე. იწყება ობერგულსა და ატამონაში, ზანის მარცხ. შენაკადი საქოიავოში. სეფიეთიდან გადის ძე. აბაშაში. შდრ. აღ. ქობალია: „დამარკულა – ძველი არხი ჭაობისა; წყალსაბრუნი, წყალსაწრეტი თხრილი“. იგივე ლექსიკოგრაფი განმარტავს; **მარკულა//მორკულა** – მორკალვა (ერთ-ერთი მნიშვნელობა), რაც გვაგარაუდები-

ნებს: დამარკულა ← დამარკულა „დელე მორკალული“. შდრ. რესპოდენტი: „დელათ მეურცუ, თიშენი რე დამარკულა“; რესპ. აკ. ქობალავა: „ზიგზაგებით მიდიოდა. ამიტომაც დაერქმეოდა“ (სეფიეთი, ძველი აბაშა).

დანტურა – დელე. იგივე დამარკულა (სეფიეთი, ძველი აბაშა).

დანჩარა/ბანკის მამული – საძოვარი რუშის მარჯვ. მხარეს, სოფ. ცილორის საზღვართან. **დანჩარა** იგივე ჩანს, რაც ალ. ქობალიას დანჩო: „მდინარის აუზი ჭაღლითა და წვრილი განშტოებებით“ (მარანი, თხმელარი).

დარდე/რიონიშ დარდე – რიონის მარჯვენა მცირე ტოტი. **დარდა** გურულ და იმერულ დიალექტებშია გავრცელებული და ნიშნავს: წყლისა და ღვარის მიერ გათხრილი ორმო; ღრმა ხრამი; ნაპრაღი, ღარი, ხრამი; **დადარდული** – დახრამული, დანაპრაღებული („სიტყვის კონა“, 1984, გვ. 583). (წალიკარი).

დარისთავი – მორევი კოვზაზე, წისქვილის არხის სათავესთან (სამიქაო).

დარდანე – სახნავი ცუდღარის მარცხ. მხარეს. შდრ. **დარანჩა** – ღრანტე, ჩახრამული ადგილი, ნადვარევი, ოღრო-ჩოღრო. შდრ. ო. ქაჯაია: „დარანჩია – ღვარისაგან ფერდობზე გავლებული ღარი“ (ეწერი).

დარდანეშ მინალე – გზა, გადასასვლელი ნოღელაზე. „მინალე – მისასვლელი, შესასვლელი“ (ეწერი).

დარწყარი – ნოღელის საწისქვილე არხი (სეფიეთი).

დაჭუ – დელე, ნოღელის არხი. იწყება ნაესაკაოსა და სეფიეთში. გამთივლის აბაშის ცენტრს, კვათანას და ერთვის რიონს ნოღელის შესართავის სიახლოვეს (სიგრძე 5 კმ-მდე). რესპ. აკ. კუცია (დაბ. 1900 წ.): „რუსეთის მეფე ნიკოლოზ პირველი 1880 წელს სწორედ რიონისა და დაჭუს შესართავამდე ამოვიდა ფოთიდან. მის შესახვედრად ხალხს მსხმოიარე ატმები დაარგვევინეს.. ორპირში ჩამოვიდა გემიდან და ცხენით გაემართა ქუთაისისაკენ“ (სეფიეთი, ნაესაკაო, ქ. აბაშა, მეორე ეწერი, გამოდმა კოდორი).

დელე – დელე კაჭარაგების უბანში, კოვზას მარცხ. შენაკადი გულუხეთ-გეზათში (სამიქაო).

დე(ლ)ექტა – უბანი ცუდღარის ორივე ნაპირას, თარანგილოზიდან დას-ით (ნორიო).

დელეტა „დელისპირი“ – სახნავი სადანელიოში. ამჟამად აქ არხია (გაღმა ზანათი).

დელეწყარი – მდინარე. იგივე წყურგულეწყარი (წყემი).

დელპირი – დიდი უბანი შავდელის ნაპირას. აქაურ მცხოვრებთ ეწოდებათ დელპირელები. რესპ.: „როდესაც სოფლის სტატუსი უნდა მიეღო, დელპირი არ მოეწონათ და გაუწყინარი უწოდეს“ (გაუწყინარი).

დეთიშობელი – ეკლესია, სასაფლაო შუაქალაქში, ნასოფლარი კვათანის (ქ. აბაშა) საზღვართან (ნაესაკაო).

დობირი – სახნავი (70 ჰა) ტყემალას მარჯვ. მხარეს. როგორც ჩანს: დობუა „დობვა“ → დობირი „შედობილი“ (თხმელარი).

– ყ –

ყირიმისოული – სახნავი რუშიპირებში. ყირიმი მამაკაცის სახელია (გუგუნაყათი).

ყიფიანიშ დაბაი – სახნავი ჭიჭე ნარნეს მარჯვ. მხარეს, ჩადაბლებულ ადგილას (კეთილარი).

ყომურჯინჯი „ტყემლისძირი“ – საძოვარი ნაიცუს გვერდით, ნოდელის მარცხ. მხარეს (აბაშა).

ყურუას ნაყანვარი – სახნავი სამიქაოს საზღვართან (გულუხეთი).

ყურუას წყარო – წყარო სამიქაოს საზღვართან (გულუხეთი).

– ლ –

ლომურჯინჯი „ტყემლისძირი“ – 1. სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს (ონტოფო); 2. მინდორი საღვანიოში (სეფიეთი).

– მ –

შავდელა//შავდელე – დელე, ნოდელის მარცხ. შენაკადი მახათისა და ონოღის საზღვართან (მაიდან).

შავდელე – 1. დელე. იგივე უჩადელე (აბაშა); 2. დელე. იგივე შავდელა (მაიდან); 3. დელე, ნოდელის მარცხ. შენაკადი.

კადი. მოედინება გულუხეთიდან (გეზათი); 4. არხი-ნაკადული. გამოეყოფა ცხენისწყალს სოფ. ქოლობანში და უერთდება ისევ ცხენისწყალს სოფ. გუგუნაყათში (გუგუნაყათი).

შავდელე/ნაცხენწყო/ნაცხენწყარი – ცხენისწყლის არხი. გამოეყოფა ჩახიბაიებში და ერთვის რიონს კურდღელიაში. გაივლის კაპეტებსა და ბოგირებს. სიგრძე 4 კმ. აქ მიედინებოდა ცხენისწყლის მთავარი ტოტი (ქვიშანჭალა, გაუწყინარი).

შავდელე/შავწყარო – დელე, ნოდელის მარცხ. შენაკადი ონტოფოში. მოედინება მაიდნიდან (გულუხეთი, სამიქაო, ონტოფო).

შავწყარო – დელე. იგივე შავდელე (გულუხეთი, სამიქაო, ონტოფო).

შალვას ტყე – ერქვა ტყეს რიონის მარცხ. ნაპირზე (გულეიკარი).

შალიკოს შემოკაგებული – ტყე ბეგებში (გულუხეთი).

შანგურ(ებ)ი – სახნავები ქვედა მაიდანში, სოფლის ცენტრთან. შანგუა მცირერიცხოვანი გვარია (მხოლოდ 130 სული საქართველოში, მათგან მარტვილის რ-ნში – 28 სული). შანგური ნიშნავს „შანგიას კუთვნილს წარსულში“. შანგუ „შავი“ პირსახელიცაა (მაიდანი).

შანიპირი – მცირე დელე. იგივე (ფ)შანიპირი (ტყვირი).

შანის დელე – დელე, ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი. შდრ. ქსძ, III, გვ. 475. „საცილორო შარას აქეთ ცხენისწყალს რომ შანის დელე, რუშას გამოდმა...“ (თხმელარი).

შარუხიანოხორი – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს. შარუხია მცირერიცხოვანი გვარია. იხ. საშარუხიო (ონტოფო).

შაქროს დამბა – მორევი ცხენისწყალზე (ქოლობანი).

შეთხრილი – სახნავი კოდარაში. ცხენისწყალი ადიდდა და შეთხარა ნაპირი, მერე გასწორდა (გეზათი).

შემოთხრილი – სახნავი კოვზასა და წახარებას შუა. შემოვლებული იყო წყლიანი არხით, რომელზეც თავად მიქაძეს წისქვილი ედგა (სამიქაო).

შეღობილი – სახნავი რიონის მარცხ. მხარეს, დასახლებების განაპირას (გულეიკარი).

შუაქალაქი – უბანი. იგივე შუაქალაქი (ნაესაკაო, აბაშა).

შონიაშ ნოხორი – სახნავი ტყვირის ეკლესიასთან (ტყვირი).

შონიაშ ოლე – სახნავი. იგივე ჯაღელური (ტყვირი).

შოქალაქი – უბანი. იგივე შუაქალაქი (ნაესაკაო, აბაშა).

შოშე – ნაგზაური, საქართველოს სამხედრო გზის მონაკვეთი. გადიოდა ორპირიდან და მიემართებოდა სოფ. ტყვირის მიმართულებით. **შოშე** (← რუს. – გზატკეცილი) – შოსე, გზატკეცილი, ქუჩა. ვარიანტი: შორშე (მარანი).

შოში(ს)პირი – სახნავი რუშის მარცხ. მხარეს, შოშესთან. აქ გადიოდა სამხედრო გზა (მარანი).

შუა ზანათი – სოფლის ცენტრალურ უბანი (გამოდმა ზანათი).

შუასოფელი – სოფლის ნაწილი. იგივე შქასოფელი (ძველი აბაშა).

შუაქალაქი//შოქალაქი//შვაქალაქი – დასახლ. უბანი ნოღელის მარჯვ. ნაპირზე, ქ. აბაშის (კვათანის) საზღვართან. რა თქმა უნდა: შუაქალაქი → შვაქალაქი → შოქალაქი. აქვეა ღვთიშობლის ეკლესია. რესპ.: „ფოთი-ქუთაისის გზაზე შუა ქალაქია“. რესპ.: „ძველებისაგან გამიგონია, რომ ძველად აქ ქალაქი ყოფილა“; „აქ იყო შუა ადგილი ნოქალაქევესა და ვანს შუა“. მართლაც, 1958 წელს აქ ჭის თხრისას აღმოუჩენიათ ანტიკური ხანის მასალა. შუაქალაქი აღნიშნულია თ. ბერაძის მიერ შედგენილ XVIII ს. პირველი ნახევრის ოდიშის რუკაზე. 1750-1758 წწ. შედგენილ ოტია დადიანის „შეწირულობის წიგნში“ აღნიშნულია: „ჩართვადია კოჩობა დაკარგული იყო და ჩვენ ამოვიყვანეთ მისი ცოლშვილიანათ და თქვენ შუაქალაქს დაგისახლეთ და შემოგწირეთ“ (კაკაბაძე, 1921, გვ. 11). (ნაესაკაო, აბაშა).

შუასოფელი – სოფლის ნაწილი. იგივე შქასოფელი (ძველი აბაშა).

შუბლაძნების კუთხე/შუბლაძნების უბანი – შუბლაძნების უბანი წყვილს მარცხ. მხარეს. შუბლაძნე მარტვილისა და აბაშის რ-ნებში ფართოდ გავრცელებული გეარსახელია. გეზათში იგი 22 კომლითაა წარმოდგენილი (გეზათი).

შუბლაძნების უბანი – უბანი. იგივე შუბლაძნების კუთხე (გეზათი).

შქაიფონი „შუა ფონი“ – ერქვა ფონს მდ. აბაშაზე, ნახვილას ქვემოთ. ამჟამად ეწოდება საძოვარს მდ. აბაშის მარცხ. ნაპირზე (საბოკუჩავო, სეფიეთი).

შქამანგარი/საკრამიტო – სახნავი ფშანის მარჯვ. მხარეს. გადმოცემით, აქ გამოიწვა აგური ტყვირის ეკლესიის ასაშენებლად. რესპოდენტთა განმარტებანი: შქა „შუა“ იმიტომაა, რომ ფართობებს შუაა. **მანგარი** გაუვალი ტყეცაა და მაღალნაყოფიერი სახნავიც. შდრ. აღ. ქობალია: „მანგარი – მაგარი; გაუვალი (ტყე); შქერნალი“ (ტყვირი).

შქასოფელი/შუასოფელი – სოფლის ნაწილი მდ. აბაშიდან ცუდღარამდე, მანცხვარკარის საზღვართან (ძველი აბაშა).

შქაუბანი „შუა უბანი“ – უბანი. იგივე დოცონური (გაღმა ზანათი).

– ჩ –

ჩაგანეფიშ ბოგაშდუდი „ჩაგანავეების ბოგირისთავი“ – მინდორი ნარნეზე, კეთილარისა და გაღმა კოდორის საზღვართან (კეთილარი).

ჩაკავებული – ტყეები ღობირში. ჩაკავებული იგივე ჩავაკებულია. შდრ. ნიკოლოზის ჩავაკებული, თომიას ჩავაკებული... (თხმელარი).

ჩაკურთხელი/ჩაკურთხია – სახნავი ნოდელის მარცხ. ნაპირზე. აქ, ტობოლს გაგრძელებაზე, იყო ტბორი. გადმოცემით, ამ ტბორში წყლის კურთხევა ხდებოდა. რესპ.: „შქას რდუა ნაკურთხი წყარი, კრუვის ტობოლო რდგ, ლაქაშონა“ (აბაშა).

ჩაკურთხია – სახნავი. იგივე ჩაკურთხელი (აბაშა).

ჩაჩ(ი)ბაიები/ჩაჩბაიების ადგილი – სახნავეები ცხენის-
წყლის მარჯვ. მხარეს. ჩაჩიბაია აფხაზურ-მეგრული გვარ-
სახელია (← ჩაჩ- სატომო სახელია). მრავლად ცხოვრობენ
სენაკისა და ზუგდიდის რ-ნებში. იყვნენ ჯაიანების აზნაუ-
რები (მდრ.: ჩაჩავა, ჩაჩუა). (ქვიშანჭალა).

ჩაჩბაიების ადგილი – სახნავეები. იგივე ჩაჩბაიები
(ქვიშანჭალა).

ჩაჩევიშ ნოხორი – საძოვარი. იგივე ნოხორობა (აბა-
შისპირი).

ჩახური – სახნავი საცომაიოში. ჩახური ← ჩახავა ან
ჩახაია (?). ფრაზა: „ვახანას გეთუა მუთუნქია და, ჩახურს
ქიმიაკითხევა, ჩახურს გეთუდა, ვახანას დართია“ (აბაშა).

ჩელალუ/წისქვილიშ დალგ – დელე-არხი, გამოეყო-
ვა ტეხურს საგუნოში (საბოკუჩავო, ნოსირი, გაღმა ზანა-
თი).

ჩეღისა „თეთრი მიწა“ – სახნავი საახობადოსა და
ახალსოფელს შუა (გამოდმა ზანათი).

ჩეფიშ ნოხორი – ტყე ობერგულში. აქ ესახლა ჩეფე
ჩაჩავა (გამოდმა კოდორი).

ჩექმაშ ნახეკა „ჩექმის ნახეკი“ – მცირე ბორცვი სუ-
ღირში, აბაშის მარჯვ. ნაპირზე. გადმოცემით, რუსის ჯა-
რის ჩექმების ნახეკია (ძველი აბაშა).

ჩეჩონა – სახნავეები სოფლის სამხრ. ნაწილში, ნარნეს
მარჯვ. მხარეს. ჩეში (ყურძნის ჯიში) → ჩეშონა → ჩეჩონა
(კეთილარი).

ჩეჩონა/ჩოჩონა – სახნავი საკუპრეიშვილოში (წყემი).

ჩეჩონაშ პარონი/მეანჯერეშ პარონი – ფონი ჩეჩონას-
თან. რიონის მარჯვ. მხარეს მცხოვრებნი აქ გადადიოდნენ
ანჯერში სამუშაოდ (მთოხნელნი, მთიბანნი). სწორედ მათ
ეწოდებოდა მეანჯერე. პარონი (← რუს. пором) „ბორანი“
(კეთილარი).

ჩეჩონაშ ფონი – ფონი რიონზე (მეორე ეწერი).

ჩეხირი – სახნავი აბაშასა და ტეხურს შუა. რესპ.:
„ნაჩეხა ცოფე ტყა. გოჩეხესია ტყა, თქუანდეს ჯვეშეფი“. **ჩე-
ხირი** – 1. საჩეხელი (ტყე), დაჩეხილი (შეშა); 2. ჯებირი

(დელეზე). შდრ. აღ. ქობალია: „ჩეხილი – დაჩეხილი, აჩეხილი“ (გაღმა ზანათი).

ჩირე „ტლაპო, ღრმა ტალახი“ – დედე, აბაშის შენაკადი. მოედინება მანცხვარკარიდან. შდრ. აღ. ქობალია: „ჩირე – ტალახი, ვრცელი საფლობი, ჭაობი, ჭაობის წყალი; დიდი ვრცელი (ყანა)“. (საბოკუჩავო).

ჩიტეების ეზობა – საძოვარი ჩიტეების უბანში (პირველი მაისი).

ჩიტეების უბანი – უბანი სოფ. მარნის საზღვართან. ჩიტია მცირერიცხოვანი გვარსახელია, ძირითადად სამტრედიისა და აბაშის რ-ნებშია გავრცელებული. ისტორიულ წყაროებში ჩიტია პირსახელიცაა და გვარსახელიც (ქსე, III, 377, 417). შდრ. ჩიტაია, ჩიტავა, ჩიტაძე, ჩიტეიშვილი, ჩიტეიშვილი (პირველი მაისი).

ჩიტური – სახნავი ცუდღარის მარჯვ. მხარეს, სოფლის დას. ნაწილში. გადმოცემით, ჩიტიას ნასახლარია (ნორიო).

ჩიქვანიშ დისა – 1. სახნავი სოფლის დასახლების შემოგარენში (გაღმა კოდორი); 2. სახნავი შუასოფელში, საწყობის გვერდით. ჩიქვანი (← ჩიქოვანი) გვარია (ძველი აბაშა).

ჩიქვანიშ წისკვილი – წისკვილი ცუდღარზე (ეწერი).

ჩიჩუას ეზო//ჩიჩუას ნამოსახლი – სახნავი დარცმელიძეების უბანში. გვარი ჩიჩუა დასახელებულია 1768 წ. შედგენილ „კაცია დადიანის შეწირულების წიგნში“: „ბატონს მამაჩემს ცაიშის საყმო კაცი ჩიჩუასათვის საყმით მიეცა“ (კაკაბაძე, 1921, II, გვ. 35) (სამიქაო).

ჩიჩუას ნამოსახლი – სახნავი. იგივე ჩიჩუას ეზო (სამიქაო).

ჩიჩუაჭადე – ჭალა, სახნავი აბაშის ნაპირებზე, ხაშთან (გაღმა ზანათი).

ჩორგოლაშვილები//ჩორგოლაშვილების ქუჩა – ჩორგოლაშვილების უბანი კოვზას ორივე ნაპირას, სოფ. მაიდნის საზღვართან, ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. წინაპრები ყოფილან კახეთიდან და კიდევაც დადიოდნენ იქ სალოცავში. რესპ.: „ჩორგოლაშვილების კიდეები: მეჩიტი (წინა-

პარს ჩიტებზე ნადირობა უყვარდა), კონჩხა, ჯოხია („წინაპარს სულ ჯოხი ნაჭირება ხელთ“), კორმომ („ძუნწი იყო, არაფერს მოგცემდა“), კვარია, რეჩხია, დამწვარა (ძუნწი იყო), ჟანგისა („ერთ-ერთ წინაპარს ჟანგი ეცხო სახეზე“). (სამიქაო).

ჩორგოლაშვილების ფშანი – ღელე, კოვზას მარჯვ. შენაკადი. რესპ.: „ფშანი იმიტომაა, რომ მხოლოდ ნაწვიმარი წყალი დის“ (სამიქაო).

ჩორგოლაშვილების ქუჩა – უბანი. იგივე ჩორგოლაშვილები (სამიქაო).

ჩოჩიფიში ნოხორი – სახნავი ნაცხენწყარუს მარცხ. მხარეს. ჩოჩია გვარსახელია (ტყვირი).

ჩოჩონა – სახნავი. იგივე ჩეჩონა (წყემი).

ჩქარწყალი – ჩქერი, საბანაო კოვზაზე (მაიდან).

ჩქონი – 1. სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „ჩქონია, თუკი ირგვლივ წყალი უვლის“. შდრ. აღ. ქობალია: „ჩქონი – კუნძული, კუნძულიკა, ქვა-ლოჯი; მდინარეში ამოზრდილი უსწორმასწორო ხმელეთი, ბუჩქებიანი მეჩეჩი; ჯაგნარიანი რიყე მდინარის პირას; გაშიშვლებული ადგილი, გაჩეხილი ხეივანი“; აკ. ჭანტურია: „ჩქონი – მდინარის ნაპირას მდელოიანი ვაკე ადგილი ირგვლივ მცენარეებით“ (ჭანტურია, 1996, გვ. 229). (აბაშა); 2. სახნავი ნოდელასა და მის ტოტს შუა (ონტოფო).

ჩხირონი – საძოვარი სარატიოში, წყურგულეწყარის მარცხ. მხარეს. აღ. ქობალია: „ჩხილონი – ნორჩი ტყე. იკაფება ყოველ მეორე-მესამე წელს სასარედ“. შდრ.: ჩხირი მეგრულში იგივეა, რაც ქართულში ჩხირი, ე.ი. წკირი, სარი. მაშასადამე, ჩხირონი ტყეა, სადაც ჩხირს ჭრიდნენ (წყემი).

- 6 -

ცაგურიების უბანი/საბატია – უბანი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირას, საქაჯიამდე. რესპ.: „ცხოვრობენ გვარად ცაგურიები. საბატია უბნის კილია, ე.ი. გასაჯავრებელი მეტსახელი“ (ქოლობანი).

ცანადისა „ცანავას მიწა“ – სახნავი უბან ახალსოფლის განაპირას (გამოდმა ზანათი).

ცანავეების უბანი//საცანო – ცანავეების უბანი ნასერალას მარცხ. მხარეს. გვარისათვის ამოსავალია პირსახელი ცანა (დასტურდება: ქსს, 1986). (ბულვანი).

ცანების ნამოსახლი – სახნავი ნასერალას მარცხ. მხარეს (ქოლობანი, ბულვანი).

ცაშორტყეფუ „ცისარტყელა“ – სახნავი ნოდელასა და მის მარჯვ. ტოტს შუა. რესპ.: „ამ ტოტის რკალშია მოქცეული და ცისარტყელას ჰგავს“ (აბაშა).

ცაცხვიძირი – სამოვარი ჭალაში (სამიქაო).

ცვარული – ვაკე-სახნავი კადარსა და სეფიეთის საზღვარს შუა. რესპ.: „ცვარი იცის და ალბათ ამიტომ დარქმევიან“. ქველ: **ცვარვა** „დაცვარვა, დანამვა“ → ცვარული „დაცვარული, დანამული“. აღ. ქობალია: „ცვარუა – ცვარვა; მცვრევა“. ი. კეკელიას ვარაუდით, ცვარია (პირსახელი) → ცვარული „ცვარიასეული, ცვარიასაგან მომდინარე“ (კეკელია, 2011, გვ. 45). (ძველი აბაშა, სეფიეთი).

ცილორი – სოფელი მდ. ნოდელის მარცხ. ნაპირიდან სოფ. თხმელარამდე და მარნამდე. დას-ით რიონამდე არის სახნავეები. უწინ თვით ცალორიც 1,5-2 კმ-ზე დას-ით მდებარეობდა, ნასოფლარ ტყვირამდე. 30-იან წლებში კი გადმონაცვლა დღევანდელ ტერიტორიაზე. შდრ. აღ. ქობალია: „ცილორი – თელიანი, თელის ნარგაობა“ (აბაშის რ-ნი).

ცილორიშ ოხვამე – ნაეკლესიარი, სასაფლაო ნაცხენწყარუს მარჯვ. მხარეს, სადაც უწინდელი ცილორის ცენტრი ყოფილა (ცილორი).

ცოდვის ხიდე – ნაკადული ჭუბროვანში, ნოდელის მარჯვ. შენაკადი ბალხიდის ქვემოთ (სამიქაო).

ცომიაშ დისა – 1. სახნავი ნოდელის მარცხ. მხარეს (აბაშა); 2. ბალნარი შუაქალაქში, ღვთიშობელთან (ნაესაკაო).

ცომაიების უბანი – უბანი დუნდუების უბანსა და გოგიშვილების უბანს შუა. ცომია საქართველოში ფართოდ გავრცელებული გვარია. ამ გვარის სამკვიდროა ქ. აბაშა და მიმდებარე სოფლები (მარანი).

ცომაიეფიშ ნოხოტი – სახნავი ნაცხენწყარუს მარცხ. მხარეს (ცილორი).

ცოცხონა – საძოვარი ტეხურის მარჯვ. მხარეს, სოფ. საოდიშარის საზღვართან. ცოცხი ცახია, ე.ი. ცხავი აბრეშუმის ჭისათვის, ჭის დასასმელი საგველი. გამხმარი რცხილის ტოტებს ჩაასობდნენ ჩელტებზე, რომ აბრეშუმის ჭია აჰყოლოდა და ზედ დაპარკებულიყო (აღ. ქობალია). - ონა სუფიქსი მიუთითებს სიმრავლეზე. ზოგი რესპოდენტის მტკიცებით, ც(ხ)ოცხი მცენარეა. ო. ქაჯაია: „ცოცხი მცენარეა ერთგვარი, თეთრყვავილიანი“ (გაღმა ზანათი).

ცუდღარი/ჭყონდარაშ დარი (იშვიათად: **ცუდღალი**) – არხი-მდინარე, რომელიც გამოეყოფა ნოდელას ჭყონკვათილში (ეწერი), გამოივლის სოფლებს – სეფიეთს, ონტოფოს, ძველ აბაშას, მაცხოვრისკარს, სუჯუნას... და ერთვის მდ. რიონს. სიგრძე – 2,5-3 კმ. არხმა ჭაობიც დააშრო და ეკონომიკური დანიშნულებაც მიიღო. რესპ.: „ცუდღარით ნავი შემოდისოდა სამრეკლომდე, პარახოდი კი – რიონში ცუდღარის შესართავამდე“. გაღმაცემით, სუჯუნისა და ახლომახლო სოფლების ჭაობიან ადგილებში XIX ს. დამდეგს ანტონ ჭყონდიდელის თაოსნობით გაუყვანიათ არხი რიონამდე. სწორედ მას დარქმევია „ჭყონდარიშ დაღ“. 1890 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა (იხ. ჭითანავა, 2010, გვ. 493-494): „დაბა სუჯუნის და ახლო მახლო სოფლების ადგმდებარეობა ძალიან დაბალი და მასთან ჭაობიანია. ამ დაბალ და ჭაობიან ადგილას თითქმის შუაგული არხია, რომელიც ამ საუკუნის პირველ ნახევარში გაუყვანიათ აქაურ მკვიდრთ ანტონ ჭყონდიდელის თაოსნობით მდინარე ცხენისწყლიდან რიონამდე“. როგორც ერთ-ერთი წარწერიანი ქვა გვაუწყებს, ამ დღეზე „წყალი იყო უგუბოვარი, ხალხი იმარცხებოდა“. ამის გამო არხისათვის ცუდღალი დაურქმევიათ (დეკანოზი კონსტანტინე გვაუწყებს: „XVIII საუკუნის ბოლოს რიონთან დასაკავშირებლად სუჯუნიდან საგანგებოდ ხელოვნურად გათხარეს არხი „ცუდღარი“, რომლიდანაც ევროპული თუ ოსმალური საქონელი სუჯუნაში შეჰქონდათ ბრტყელძირა ნაგებით – „ფელუკებით“. სუჯუნიდან იგი მთელს სამეგრელოში ნაწილდებო-

და. სწორედ იმ ხანებში გაჩნდა სუჯუნაში „ურიაკარი“, ანუ ებრაელთა უბანი და ქვის სინაგოგა“ (დეკანოზი კონსტანტინე, 2009, გვ. 30, 53). ამან სუჯუნა სავაჭრო დაბად აქცია. ხოლო არხზე აგებულმა ათმა წისქვილმა ეკლესიას დამატებითი შემოსავალი მოუტანა (სეფიეთი, ონტოფო, ძველი აბაშა, მაცხოვრისკარი, სუჯუნა...).

ცხაცხუჯინჯი „ცაცხვისძირი“ – შემადღებელი საძოვარი. იგივე ზუგუ (წყეში)

ცხემურონა „რცხილნარი“ – ტყე სოფელ სამიქაოს საზღვართან. რესპ.: „ტყე აბია ახლაც“ (ონტოფო).

ცხემურონი „რცხილნარი“ – ტყე საგუგუსქუს განაპირას (პირველი ეწერი).

ცხენისწყალი – მდინარე, რიონის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 176 კმ, აუზის ფართობი 2120 კმ². სათავე აქვს ფასისმთის დას-ით, 2710 მ სიმაღლეზე. ლენხუმის შემდეგ გაედინება კოლხეთის დაბლობზე. ქ. ცაგერთან აშენებულია კაშხალი და არხი უერთდება მდ. ლაჯანურის წყალსაცავს. ვარიანტები: ქაჯის დელე, (მეგრ.) ცხენწყარი. ხალხ. ეტიმოლოგია: „აქ თათრების ჯარი დაბანაკებულა. ჯარის უფროსი – ბეგი მდინარეზე ვერ გადასულა ცხენით და ამიტომ დაურქმევიათ ცხენისწყალი“. ბერძნები ამ მდინარეს უწოდებდნენ ჰიპპოს „ცხენი“, რაც გვაგარაუდებინებს, რომ ცხენისწყალი უძველესი დროიდანვე ერქვა მდინარეს სათავესთან. სვანეთში სოფელს ეწოდება ცანა//ცენა. აქედან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ მდინარეს ერქვა ცენისწყალი (→ ცხენისწყალი). 200 წლის წინათ ცხენისწყალი კეთილარსა და გულეიკარს შუა გაედინებოდა. ამასთანავე, „ცხენისწყლის ძველი კალაპოტის ხაზი ონტოფოდან მოყოლებული ტყვირისა და ტობოყოს გავლით კეთილარამდე გრძელდება. ცხენისწყალს ძველ კალაპოტში დინება მაინც არ შეუცვლია და იქ ახლა ნოდელა მიედინება“. „ნოდალი“ მეგრულად ნამდინარევს ნიშნავს“ (მღვდელი კონსტანტინე, 2004, გვ. 57). (ცაგერის, ხონის, მარტვილის, სამტრედიის, აბაშის რ-ნები).

ცხენისწყლის ჭალა – სახნავეები ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, სოფ. მარნის საზღვართან. იყოფა: დაბლა-ჭალა, მაღლაჭალა (პირველი მაისი, ქვიშანჭალა).

ცხენისწყლის ხაბო – ფლატე მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს (პირველი მაისი).

ცხენისწყლისპირი//რიყე – საძოვრები ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე (გულუხეთი).

ცხენწყარი – ჩვეულებრივ, ასე უწოდებენ მდ. ნოდელის ქვემო წელს (გამოდმა კოდორი).

ცხენწყარიშ პარონი – ბორანი რიონზე, ნოდელის (ანუ ნაცხენწყარუს) შესართავთან (გაღმა კოდორი).

ცხილარი – ტყე შავდელეს მარცხ. ნაპირზე, ქვიშანჭალას საზღვართან. რა თქმა უნდა (რ)ცხილა → (რ)ცხილნარი → ცხილარი (გაუწყინარი).

– ძ –

ძაკაშ კარე – საძოვარი რიონსა და ჩეჩონას შუა. ძაკა პირსახელია (კეთილარი).

ძაკულიაშ ტობა – მორევი ნოდელაზე. ძაკულია პირსახელია (ნაესაკაო).

ძერწონი „ძეწნარი“ – ერქვა უღრან ტყეს რიონის მარჯვ. ნაპირზე (სუჯუნა).

ძველ(ი)ჭალა – სახნავეები ცხენისწყლის ჭალაში. რესპ.: „ძველთაგანვე იყო სახნავეები“ (გუგუნაყაოთი).

ძველი აბაშა – სოფელი აბაშა-ნოდელის შუამდინარეთში. ჩრდ-ით ესაზღვრება ონტოფო და სეფიეთი, სამხრ-ით – მანცხვარკარი და ქ. აბაშა. რკინიგზის გაყვანის შემდეგ კვათანასა და საკაჭარაოს ეწოდა ახალი აბაშა და, შესაბამისად, საკუთრივ აბაშას – ძველი აბაშა. დროთა განმავლობაში ახალ აბაშას ჩამოსცილდა მსაზღვრელი სიტყვა „ახალი“, რაც სახელდებული ობიექტის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი არ იყო (მდრ. ახალი სენაკი → სენაკი. საკუთრივ სენაკს ეწოდება ძველი სენაკი). საბჭოთა პერიოდში ძველ აბაშაში ყოფილა 4 კოლმეურნეობა: კოდორის („წითელი სხივი“), საკუპრაოსი, საკორძახიოსი, საქოიაეოსი (აბაშის რ-ნი).

ძველი ნაწისქვილეუ – სახნავი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე (ქოლობანი).

ძველნადამბო – საძოვარი ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე (გულუხეთი).

ძველჭალის წყარო – წყარო ძველჭალაში (გუგუნაყათი).

ძიგური – დასახლ. უბანი აბაშის მარჯვ. ნაპირზე, სოფ. წყემის საზღვართან. საზიარო სოფ. საბესელიოსთან (გადმა ზანათი).

ძიგური – სოფელი მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირას, წყემსა და საბოკუჩავოს შუა. ეტიმოლოგია: ალ. ქობალია: „**ძიგური** – ჩირგვიანი“ ან ძიგუა (გვარსახელი) → ძიგური „ძიგუასეული“ (აბაშის რ-ნი).

ძიძიგურების ეზოობა – საძოვარი ძიძიგურების უბანში. ეზოობა აღნიშნავს რამდენიმე ეზოს (პირველი მაისი).

ძიძიგურების უბანი – უბანი ხონელიძეების უბანსა და ჩიტიების უბანს შუა. ძიძიგური მრავალრიცხოვანი გვარსახელია. განსაკუთრებით ხშირია მარტვილის რ-ნში (344 სული). საეკლესიო-სამართლებრივ საბუთში პირველად XVI ს-ის დამლევსაა მოხსენიებული. პირველ მაისში მკვიდრობს 15 კომლი ძიძიგურის გვარისა (პირველი მაისი).

ძოკოჭორთი – ტყე სოფ. გადმა ზანათის საზღვართან. **ჭორთი** – ახალამონაყარი ნორჩი ხეა. ამავე დროს ჭორთი იგივეა, რაც ჭოკი, გრძელი სახრე. ძოკო პირსახელია (საბოკუჩავო).

ძუკუშ დიხა – საძოვარი შავდელეს მარჯვ. მხარეს. ძუკუ პირსახელია (აბაშა).

ძუკუშ ნოშქვიდი „სადაც ძუკუ დაიხრჩო“ – მორვეი მდ. აბაშაზე (მანცხვარკარი).

– ♀ –

წაკორტი – სახნავი ძიგურის საზღვართან. რესპ.: „წაკორტი არის ეზოს უკან შემოღობილი“. შდრ. ქართ. „**წალკორტი** – ძალიან ლამაზი ბაღი“ → მეგრ. წაკორტი (შენიშვნა: მეგრულის ლექსიკონებში „წაკორტი“ არაა დაფიქსირებული). (წყემი)

წალიკარი – სოფელი რიონის მარჯვ. მხარეს. ჩრდ-ით ესაზღვრება სუჯუნა, სამხრ-ით – ეწერი. უწინ უფრო დიდი სოფელი ყოფილა რიონის ნაპირზე, მაგრამ 1921 წლის წყალდიდობას წაუღეკავს და მოსახლეობას შორიახლო გადაუნაცვლებია. რესპ.: „წალიკარი გურული სიტყვაა და ნიშნავს წყალისკარს. საქმე ისაა, რომ წყლისაგან სოფლის დასაცავად მდინარის ნაპირზე ჯებირი აღუმართავთ, ე.ი. რიონისათვის სოფელში შემოსასვლელი კარი გადაუკეტავთ. ამიტომ დაურქმევიათ წალიკარი“ (ნაწყვეტი თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტ შორენა ჭანტურიას მიერ 1965 წელს წარმოდგენილი მასალიდან). 1921 წლის წყალდიდობის შემდეგ ამ ახალ ადგილას გადმოვიდნენ ხეცია, წულაია, კუცია, გუგუსქუა, აბსანძე, ცომაია, დოლიძე.. (აბაშის რ-ნი).

წალიკარი/ჯვეშ წალიკარი – სახნავეები ანჯერში. ჰქონდათ კარგები სოფ. წალიკარის (რიონის მარჯვ. ნაპირზე) მწყემსებს. რესპ.: „წყალდიდობის შემდეგ წალიკარმა სუჯუნისაკენ გადაინაცვლა“ (კეთილარი).

წახარება – ღელე, კოვზას მარცხ. შენაკადი გულუხეთის საზღვართან (სიგრძე 3 კმ.). სათავეა სიმონას წყარო ჩორგოლაშიღებში. რესპ.: „აქ სასაფლაოსთან, ეკლესიის გვერდით, იყო წყაროც, სადაც აღინიშნებოდა წახარება, ანუ წყალხარება: მღვდელი აკურთხებდა წყალს და ნაკურთხი წყალი სახლში მიჰქონდათ“; „ამბობენ, რომ ერქვა წყალხარება, რადგან გვალვისას შრებოდა კიდევ. მიეღინება კოვზას მარცხ. მხარეს“. 25 მარტს მთელ საქართველოში აღინიშნებოდა ხარება ყოველად წმიდისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. ეს იყო საყოველთაო ღღესასწაული. ამ ღღეს აკრძალული იყო მუშაობა (შეიძლებოდა სიმბოლურად ხეხილის დამყნობა, თევზის ჭამა). ხარების აღნიშვნას ახლდა გარკვეული თავისებურებანი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (კალენდარი, 1992, გვ. 84-85). (სამიქაო).

წახარების წყარო – წყარო სოფლის ეკლესიის გვერდით (სამიქაო).

წიგწივადის წყარო – წყარო წყაროთავში (მაიდან).

წიმატყა[ლი] – საძოვარი საჯალაღონიოში, წყურგულეწყარის მარჯვ. მხარეს, ეწერობის პირდაპირ (წყემი).

წისქვიკარი – სახნავი. იგივე წისქვილ(იშ)კარი (აბაშა, სეფიეთი).

წისქვილების ჩასავალი – ჩადმართი ღეფსურის ხაბოდან ცხენისწყალზე (მარანჭალა).

წისქვილიშ დაბალი – სახნავი ნოდელის მარჯვ. ნაპირზე (ონტოფო).

წისქვილ(იშ)კარი/წისქვიკარი – სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს (აბაშა, სეფიეთი).

წისქვილიშ ტეხური – არხი. იგივე ტეხურიშ წყარი (საბოკუჩავო, წყემი).

წისქვილიშ დაღვ – არხი. იგივე ჩე დაღვ (საბოკუჩავო, ნოსირი, გაღმა ზანათი).

წისქვილკარი – სახნავი სამეღიოში, წისქვილიშ ტეხურის განაპირას (წყემი).

წიფნარი – სახნავი რიონის მარჯვ. მხარეს. წიფი წიფელია (მარანი).

წიფრონი „წიფლნარი“ – სახნავი რიონის მარჯვ. მხარეს (ტყვირი).

წიფრონიშ ბოგა – ხიდი არხზე სოფ. ზანათის საზღვართან (სუჯუნა).

წიფურონბოგა – ბოგირი ცუდღარზე, წიფურონში. ამჟამად აქ წიფელი არ ჩანს (გამოდმა ზანათი).

წიფურონიწი „წიფლისძირი“ – მიწდორი უჩა დაღის მარჯვ. მხარეს (წყემი).

წიწბაიაშ ნოხორი – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს. რესპ.: „წიწბაია გვარია“. ეს გვარი აფხაზური ჩანს, მაგრამ საქართველოში დღეს არ დასტურდება. შდრ. აჭარაში მკვიდრობს გვარი ციცბა (35 სული). (ონტოფო).

წიწური – საძოვარი ნოდელის მარცხ. მხარეს. წიწავა → წიწური „წიწავას ყოფილი“ (აბაშა).

წმიდა გიორგიშ ოხვამე – ნაეკლესიარი ზანის მარცხ. ნაპირზე, შქასოფლის ცენტრში. როგორც გამონაკლისი, ამ ეკლესიასთან სასაფლაო არ ყოფილა, მაგრამ ტარდებოდა ჯვრისწერა (ძველი აბაშა).

წმინდა ბარბალა – ნაეკლესიარი, სასაფლაო სოფლის ცენტრში. წყემის წმ. გიორგისა და ბარბალეს ეკლესიები დასახელებულია 1838 წელს სამეგრელოს ეპარქიის ეკლესიათა ჩამონათვალში (ჭითანავა, 2010, გვ. 60), 1846 წლის „საქმეში“ კი ბარბალეს ეკლესია წარმოდგენილია როგორც „წყემის წმ. ვარვარას ეკლესია“, რაც ამჟამად ნაეკლესიარია (იქვე, გვ. 64) (წყემი).

წმინდა გიორგი – 1. ნაეკლესიარი, სასაფლაო კოვზას ნაპირას (გულუხეთი); 2. ნაეკლესიარი, სასაფლაო სოფლის ცენტრში (ნაესაკაო). წმინდა გიორგის კულტის წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრებანი: ა. ძველკოლხური ცის ღვთაება ჟინი ანთარი ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ წმინდა გიორგის სახით იქნა წარმოდგენილი; ბ. წმინდა გიორგი ჩაენაცვლა წარმართობისდროინდელ მთავარ ღვთაებას – მთვარის ღვთაებას; გ. წმინდა გიორგის კულტი რომელიმე ღვთაებას კი არ ჩანაცვლებია, არამედ ფორმირებულ იქნა შუა საუკუნეებში უძველესი რელიგიურ-მითოლოგიური სახეების შერწყმის გზით (აბაკელია, 1999, გვ. 295-304).

წმინდა გიორგის ეკლესია – 1. ნაეკლესიარი, სასაფლაო სოფლის ცენტრში (პირველი მაისი); 2. ეკლესია სოფ. სუჯუნის ცენტრში, სასაფლაოზე. ღვას ქვის გუმბათიანი ეკლესია. 1870 წლისათვის შექმნილია სამეგრელოს ეპარქიის სუჯუნის ოლქი (საბლადოჩინო). სწორედ წმ. გიორგის ეკლესიაა სუჯუნის საკათედრო ეკლესია (იხ. დეკანოზი კონსტანტინე, 2009). (სუჯუნა); 3. ნაეკლესიარი საგუგუსქუოს სასაფლაოსთან (პირველი ეწერი); 4. ეკლესია სოფლის ცენტრში (სამიქაო).

წმინდა ზაქარიაშ ოხვამე – სასაფლაო შქასოფელში, წმიდა გიორგიშ ოხვამედან 0,5 კმ-ზე (ძველი აბაშა).

წმინდა თარანგილოზი – ნაეკლესიარი სოფლის ცენტრში (გამოდმა კოდორი).

წმინდა თედორე – სასაფლაო, ნაეკლესიარი სოფლის ცენტრში. რესპ.: „წმინდა თედორე პატარა გეზათშია. თავდაპირველად იქ იყო და მერე აქ ააშენეს“ (გეზათი).

წულუკიძის ნამოსახლი – სახნავი სოფლის ცენტრში (მაიდანის).

წულუკიძის ნატეხი – სახნავი ნატყევარზე, გაუწეინარის საზღვართან. რესპ.: „ნატეხია, ტყეს რომ გაკაფავენ და დათესენ“. შდრ. ნოტეხი (ქვიშანჭალა).

წურღულე/წურგულე – წყარო სამელიოში, წისქვილიშ ტეხურის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „მეგრულად წურღულეს ვიტყვით. იგივე წურგილეა“ (წყემი).

წყალთაშუა – სახნავი ზედა მაიდანში, კოვზასა და ჭიფშნარისწყლის შესართავთან. მოედინება ონოლიდან (მაიდანის).

წყალპირი/წყლიპირი – ჭალა-სახნავეები ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე (ქოლობანი, პატარა გეზათი).

წყარდანოღელაშუა – სახნავი, წყაროს შესართავი ნოღელასთან (მაიდანის).

წყარო – წყარო-ნაკადული, ნოღელის მარჯვ. შენაკადი (გულუხეთი).

წყაროთავი – სახნავეები კოვზასა და ცხენისწყალს შუა. იყოფა: დიდი წყაროთავი, პატარა წყაროთავი (მაიდანის).

წყაროს კოვზა – კოვზას ერთ-ერთი სათავე. იგივე პირველი კოვზა (მაიდანის).

წყაროსგაღმა – საძოვარი სოფ. ონტოფოს საზღვართან, წყაროს მარჯვ. მხარეს. კონტექსტები: „წყაროსგაღმა მივდივარ“; „წყაროსგაღმაში შევხვდი“ (გულუხეთი).

წყარპიჯი – სახნავი ნოღელის ნაპირას (ონტოფო).

წყემი – სოფელი მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირზე. დას-ით ესაზღვრება სოფ. ძიგური (აბაშის რ-ნი).

წყემიშ ტყა – ტყე ზუგუში (ძველი აბაშა).

წყვია – წყარო-ნაკადული, კოვზას მარცხ. შენაკადი კოდარაში. რესპ.: „ზემო წელი გულუხეთშია და იქ ეწოდება ფშანი, სათავეს კი იღებს სამიქაოს უბან კაჭარავეებში. იქ ეწოდება დელე“ (გეზათი).

წყვია/ფშანი – დელე. სათავეს იღებს სამიქაოსა და კოდარაში (სოფ. გეზათი). ერთვის კოვზას მარცხ. მხრიდან. სამიქაოში ეწოდება წახარება (გულუხეთი).

წყლიპირი – ჭალა. იგივე წყალპირი (ქოლობანი, პატარა გეზათი).

წყურგილწყარი „წყაროსწყალი“ – ნაკადული, ჭითა დელის მარცხ. შენაკადი. მოედინება სოფ. ონოლიიდან (სეფიეთი).

წყურგულა – დელე, ნოდელის მარცხ. შენაკადი ნახეთურუსთან. მოედინება სოფ. სამიქაოს საზღვრიდან (ონტოფო).

წყურგულე – 1. ა. წყარო აბანოპიჯში; ბ. ნაკადული, უნა დელეს შენაკადი. მოედინება კოდორედან (აბაშა); 2. წყარო ნამარანუსთან (გაღმა კოდორი); 3. წყარო, სახნავი ურიაში დიხასა და ნაპაჭკორუს შუა (გამოდმა ზანათი); 4. წყარო ძიგურში, რკინიგზის ხაზთან (გაღმა ზანათი); 5. წყარო. იგივე წურღულე (წყემი) და სხვ.

წყურგულეპიჯი – სახნავი წყურგულეს ნაპირას (აბაშა).

წყურგულეწყარი//დელეწყარი – მდინარე, აბაშის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს საკილასონიოსა და სამელიოს შუა (წყემი).

– ჭ –

ჭაბჯვარი – სახნავები. იგივე ჭანჭუარი (სამიქაო).

ჭადარჯინჯი „ჭადრისძირი“ – 1. სახნავი მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირზე (მანცხვარკარი); 2. სახნავი დიხაზურგესთან (გამოდმა ზანათი) და სხვ.

ჭაემ ჭორთი – ბუჩქნარი რიონის მარჯვ. ნაპირის ჭალაში (კეთილარი).

ჭაკიტანა//ჭაკიტანე – მინდორი ნოდელის მარჯვ. მხარეს, საკაჭარაოში. ჭაკირტანი ბალახია ერთგვარი. წააგავს პრასს (ო. ქაჯაია). რესპ.: „ჭაკიტანა რე ოდიარე, ბურკულეფი უღუ ირი ხუთი სანტიმეტრიშ უკული. ირდუუ ართი ტკუ. ცხენიშ ოდიარეს ხოლო უწინა“. შდრ. აღ. მაყაშვილი: „ყვითელი შროშანა... მეგრ. ჭარკვანტია“. იგივე ავტორი: „კოთხოჯი, კოთხუჯი... მეგრ. ჭარკვანტია“. აღ. ქობაღლია: „ჭაკვარტანა – ყვითელი შროშანი“ (აბაშა).

ჭაკიტანე – მინდორი. იგივე ჭაკიტანა (აბაშა).

ჭალა – 1. ფართო ჭალა-საძოვარი რიონის მარცხ. ნაპირზე (გულეიკარი); 2. სახნავები რიონის მარჯვ. ნაპირზე (წალიკარი); 3. ერქვა უბანს ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. აქ გაედინებოდა საკერია. 1914 წლის წყალდიდობის შემდეგ აქაურნი აიყარნენ და დასახლდნენ ბულვანში (ქოლოზანი); 4. ჭალები ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე (გუგუნაყათი); 5. სახნავები შავღელის მარჯვ. ნაპირიდან ნოღელამდე (სამიქაო); 6. სახნავები შავღელის მარცხ. მხარეს (მაიღანი) და სხვ.

ჭალა//რიონის ჭალა – ჭალა-სახნავები რიონის მარჯვ. ნაპირზე (ქვიშანჭალა).

ჭალა//ცხენისწყლის ჭალა – ჭალა-სახნავები ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე (ქვიშანჭალა).

ჭალა//ჭალე – სახნავი ჭალა ნასერალას მარცხ. მხარეს (ბულვანი).

ჭალა//ჭალები – ჭალა-სახნავები რიონსა და შავღელეს შუა. ჭალე მრავლობითში დგას, რადგან აქ ბევრს ჰქონდა სახნავი ნაკვეთი (გაუწყინარი).

ჭალე – 1. სახნავები ნოღელის მარჯვ. ნაპირზე. რესპ.: „საერთოდ ჭალე ყოველთვის ან სახნავია, ან საძოვარი. რიყე კი წყლის დანატოვარია“ (სეფიეთი); 2. ჭალა რიონის მარჯვ. ნაპირზე (გამოდმა კოდორი); 3. სახნავები დამბასა და მდ. აბაშას შუა (საბოკუჩავო); 4. ჭალა-სახნავები რიონის მარჯვ. ნაპირზე (ტყვირი); 5. ჭალა ნასერალასა და ნოღელას შუა (აბაშა) და სხვ.

ჭალები – ჭალა-სახნავები. იგივე ჭალა (გაუწყინარი).

ჭალის კუთხე/გულეიკარიშ ჭალე – დასახლ. უბანი რიონისპირას, ჭალასთან (გულეიკარი).

ჭამჭუარი – სახნავები. იგივე ჭანჭუარი (სამიქაო).

ჭანიორი – სახნავები ზანათის საზღვარზე, მდ. აბაშის მარცხ. მხარეს. რესპ.: „აქ მოდიოდა მხოლოდ ჭა („ჩალა“) და ნიორი. ამიტომ დაერქვა ჭანიორი“. სავარაუდოა: ჭანი (სატომო სახელი) → ჭანია (გვარსახელი) → ჭანიორი (ტოპონიმი) „ჭანიასეული“. გვარი დამოწმებულია 1621

წლის საბუთში (ქსდ, III, გვ. 435). ჭანიორი იყოფა: დიდი ჭანიორი, ჭიჭე ჭანიორი (სუჯუნა, გამოდმა ზანათი).

ჭანიორიდობერა – სახნავი ჭანიორში. რესპ.: „დობირას უძახუნა ეზოში დიხას“; „დობირა რე კოც ეზოთ ინუ-უძენ თინა“ (სუჯუნა).

ჭანჭახი – ჭეჭეობი, ბუჩქნარი კოვზის მარჯვ. მხარეს. შდრ. ქეგლ, VIII: „ჭანჭახი – თხელი ტალახი, ჭენჭეხი“ (სამიქაო).

ჭანჭუარი//ჭამჭუარი//ჭაბჭვარი//ჭაბჯვარი – ერქვა სახნავებს ცხენისწყალსა და სოფლის ცენტრს შუა. აქვე იდგა დიდი საკულტო ცაცხვი, რაც ცხენისწყალმა მოთხარა. იხ. სალოცავი ცაცხვი (სამიქაო).

ჭატურაიფიშ წისქვილი//სუმთოლწისქვილი – წისქვილი ცუდღარზე. **სუმთოლი** „სამთვალი“. წისქვილი სამდოლაბიანი იყო (ეწერი).

ჭატურიაშ ნაკარუ – მინდორი საახობაძოში (გამოდმა ზანათი).

ჭატურაიფიშ ნაკარუ – სახნავი მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს (მანცხვარკარი).

ჭახნაკების ქუჩა – მიკროუბანი. ჭახნაკია მცირერიცხოვანი გვარია – 97 სული საქართველოში, ძირითადად სამტრედიის რ-ში (გეზათი).

ჭახნაკიშდული – მორევი მდ. ზანაზე, წისქვილის არხის სათავე-ნაგებობები. ჭახნაკი არის არხის სათავეს ჯებირი, რომელიც ხოპით იკეტება და განიშკარიც აქვს. შდრ. აღ. ქობალია: „ჭახნაკი – ჭახრაკი, ხის სათლელი ხელსაწყო, საწნეხი, საწური“; ო. ქაჯაია: „ჭახნაკი//ჭახნაკი – ხის ჭურჭლის – კვანჩხას გამოსათლელი ხელსაწყო-იარაღი“. ქეგლ, VIII: „წახნაკი (ფალ. ჩარხაკ) – 1. ხრახნიანი მოსატერი მოწყობილობა; 2. საერთოდ, რამე ხრახნიანი ხელსაწყო“ (ძველი აბაშა).

ჭერეხი – 1. სახნავი შუა ქალაქში. ხრეშიანი ადგილია (ნაესაკაო); 2. ჭალა-სახნავები. იგივე კეჭეხი. რესპ.: „ჭერეხი ქვიანი რიყეა“. შდრ. აღ. ქობალია: „ჭერეხი – ჭერეხი, ქვაწერილი; თევზის ჯიშიცაა ერთგვარი“; ქეგლ: „ჭერეხი – რიყის ქვა, რიყე, თევზია ერთგვარი“; აკ. ჭანტუ-

რია: „ჭერეხი – ქვიანი ჭალა მდინარის პირას, შიგა და შიგ ტყიანი“ (ჭანტურია, 1996, გვ. 229). (საბოკუნაო).

ჭერეხფონი – 1. საბანაო ნოდელაზე, კვათანაში. ჭერეხი ქვიანი ადგილია (აბაშა); 2.

ერქვა ფონს ცხენისწყალზე. რესპ.: „ჭერეხი ქვიანი რიყვა“ (გულუხეთი).

ჭვაკური – მინდორი ნოდელასა და ცუდღარს შუა. იყო „ჯარობის“ ადგილი (ონტოფო).

ჭვირთიშ ნაყვილა „ჭვილთით მოკლული“ – ერქვა ტყეს კოდორეში. რესპ.: „სამამულო ომის წინ იქ ჭვირთით მგელი მოუკლავს ერთ მაკალათიას. რესპ.: „ჭვირთი სამთითა ისარია. ტარი სამი მეტრი სიგრძისა აქვს“. აღ. ქობალია: „ჭვირთი – ჭვილთი, შუბი, ჩქიფი (სათეფზაო ჩანგალი)“; ო. ქაჯაია: „ჭვირთი – ჭვილთი; თევზის საჭერი იარაღი – წვერწაღესილი რკინის სამთითა, ხის გრძელ ტარზე დაგებული; სამკბილა რკინის ჩანგალი – ბარჯი“ (გამოდმა ზანათი).

ჭვირიში – რესპოდენტთა განმარტებით, ასე ეწოდება იმ ადგილს, სადაც შემდეგში მაცხოვრისკარი გაშენდა. ჭვილი (დას. სამეგრელოში) და ჭვირი (აღმ. სამეგრელოში) „ნახანძრი, დამწვარი, შემწვარი“. ამ შემთხვევაში იგულისხმება ტყე-ნახანძრი, სადაც ჯერ სახნავეები იყო, შემდეგ კი დასახლებადა იქცა. ჭვირიში რამდენიმეჯერ არის დასახელებული XIX ს-ის საისტორიო-საეკლესიო საბუთებში (მაცხოვრისკარი).

ჭ(ვი)ჭვიანი – ტყე ფიჩორის მარჯვ. მხარეს, ჯეგორესთან. რესპოდენტი აზუსტებს: „ჭ(ვი)ჭვიანი“ და არა „წიწვიანი“ (გულეიკარი).

ჭითა კოდე „წითელი კბოდე“ – 1. ბექობი აბაშის მარჯვ. ნაპირზე (გეჯეთი); 2. ბექობი აბაშის მარჯვ. მხარეს (წყემი).

ჭითა ღელე – ღელე, ზანის მარცხ. შენაკადი. მოედინება სოფ. მახათიდან (სეფიეთი).

ჭითა შარა – გზა. გადიოდა სოფლის ცენტრიდან, ყოფდა ეწერსა და წალიკარს და გადიოდა ანჯელში რიონის ბორნით (სუჯუნა).

ჭითა ძერწი/მონია – მორევი ხანაზე, კადარში. მორევთან იდგა ჭითა ძერწი „წითელი ძერწა“. მონია მორეგია, სადაც წყალი ბრუნავს ან ლივლივით ეხლება ნაპირს (სეფიეთი).

ჭითა ხაზო „წითელი ფლატე“ – ბექობი ჩაის ფართობით ზუგუში, აბაშის მარჯვ. მხარეს, სეფიეთის საზღვართან (ძველი აბაშა).

ჭითაწყარი – სახნავი ნასერალას მარჯვ. მხარეს (აბაშა).

ჭილაიაშ ნაშარუ – ნაგზაური. გადიოდა გზა ეკალიში პარონიდან ქორისუბნამდე. შარა „გზა“ → ნაშარუ „ნაგზაური“ (გულეიკარი).

ჭილაიაშ ნოხორი – სახნავი საგაბლაიოში (აბაშა).

ჭილოფნარები – სახნავი რუშის მარცხ. მხარეს. რესპ.: „უწინ ჭაობი იყო და ჭილი ხარობდა. ჩვენ ჭილოფს ვუწოდებთ“. შდრ. აღ. ქობალია: „ჭილოფი – ჭილოფი; ჭილის, სელის ან კანაფისაგან დაწნული რამ“; ო. ქაჯაია: „ჭილოფი – ჭილობი (ჭილის ქსოვილი)“ (მარანი).

ჭილური – ტყე საქობალიოში. რესპ.: „ჭილი ნოჩე“. ჭილი იგივეა, რაც ქართ. ჭილი, მაგრამ -ურ სუფიქსი, როგორც წესი ხშირად დაერთვის პირსახელს ან გვარსახელს. ამ თვალსაზრისით: ჭილაია → ჭილური (გაღმა ხანათი).

ჭიპინური – სახნავი ნარამოსა და საცდელს შუა. ჭიპინია პირსახელია (ქოლობანი).

ჭიფშნარი – სახნავი კოვზის მარჯვ. მხარეს, ონოდიის საზღვართან. რესპ.: „ჭიფშნა ეწოდება თხმელის ეკალბარდიან ბუჩქნარს“. შდრ. აღ. ქობალია: „ჭიფეშონა – ვახის ჯიში“. უფრო მოსალოდნელია: ჭიფეში (ვახის ჯიშია) → ჭიფეშნარი → ჭიფშნარი. თუმცა ერთ-ერთი რესპოდენტი დარწმუნებულაია: „ჭიფშნარი ეწოდება ერთად ამოსულ თხმელის ეკალ-ბარდიან ბუჩქს“ (მაიდან).

ჭიფშნარის წყალი – ნაკადული, კოვზას მარჯვ. შენაკადი (მაიდან).

ჭიჭე ბოგაშდული – საძოვარი უიპიჯთან, ნარნეს ნაპირას (კეთილარი).

ჭიჭე ბუიშჯინჯი – მორევი მდ. აბაშაზე. იხ. ბუიშჯინჯი (ძველი აბაშა).

ჭიჭე კვათანა – დასახლ. უბანი, კვათანის ნაწილი რკინიგზის ხაზიდან დიდ კვათანამდე (აბაშა).

ჭიჭე ნარნე – ღელე. გაედინება საჩაგანაოში. დიდ ნარნეს მარჯვ. შენაკადი დიდბოგაშდუდთან (კეთილარი).

ჭიჭე ობერგული – სახნავი, ობერგულის ნაწილი (ონტოფო).

ჭიჭე საქოიავო – უბანი ცუდლარის მარჯვ. მხარეს. იხ. საქოიავო (ძველი აბაშა).

ჭიჭე სულირი – მინდორი. სულირის ნაწილი (წყემი).

ჭიჭე ტობოლო – ნატბევი. იგივე ტობოურე (ცილორი).

ჭიჭე ცხენწყარი//ცხენწყარი – ერქვა ნოღელას, რომელშიც ცხენისწყლის ტოტი მიედინებოდა (ნაესაკაო).

ჭიჭე ჭანიორი – სახნავი, ჭანიორის (იხ.) ნაწილი (სუჯუნა, გამოდმა ზანათი).

ჭოლონა – საძოვარი ნოღელის მარცხ. ნაპირზე. ჭოლი, ანუ ჭიში იგივეა, რაც ქართ. ჭილი. აქ ხარობდა (აბაშა).

ჭუბრ(ოვ)ანი – სახნავი. იგივე ჭუბურვანი (სამიქაო).

ჭუბროვანის ფშანი – შაველის მონაკვეთი ჭუბროვანში. ერთვის ნოღელას ონტოფოში (სამიქაო).

ჭუბურვანი//ჭუბრ(ოვ)ანი „წაბლნარი“ – სახნავი ნამარილევისა და დიდი ხარდანის გვერდით. ჭუბურვანი და ჭუბრ(ოვ)ანი ორენოვნობის ნიმუშია (სამიქაო).

ჭყონდარიში არხი – იშვიათად ასე მოხსენიებენ არხს, რომელსაც, ჩვეულებრივ, ეწოდება ცუდლარი (სეფიეთი, ონტოფო, ძველი აბაშა...)

ჭყონა „მუხნარი“ – საძოვარი ნოღელის მარცხ. მხარეს (ონტოფო).

ჭყონბოგა „მუხის ბოგირი“ – ტყე ცხემურონაში. ბოგირი ტლაპოზე იყო გადებული (ონტოფო).

ჭყონკაკირი – საძოვარი ანჯერში. **კაკირი** – დაჭდევებული, დაღდასმული (კეთილარი).

ჭყონკვათილი „მუხამოჭრილი“ – საძოვარი ნოღელის მარცხ. მხარეს. სეფიეთის საზღვარზე (ეწერი).

ჭყონჯინჯი „მუხისძირი“ – სახნავი ჭითა დელეს ნაპირას, სალაბარტყაოში (სეფიეთი).

ჭყოჭყოტი – ტლაპო. იგივე ტყეპო. აღ. ქობალია: „ჭყოჭყო – ჭენჭყი“ (სეფიეთი).

– ხ –

ხაბო „ფლატე“ – 1. ფლატე ნოდელის მარჯვ. მხარეს (აბაშა); 2. ბორცვი, სახნავი ნათხარის შუაში. გრძლად დევს. ო. ქაჯაია: „ხაბო – ხრამი, ხევი“; ვ. ბერიძე: „ხაბო (იმერ.) – მდინარის ნაპირი“. აღ. ქობალია: „ხაბო – ფლატე“ (ბულგანი).

ხაბოშ დიკაბრულარი – დაღმართი, რომელიც ჩადიოდა ხაბოში. **დიკაბრულარი** „ჩასარბენი“ (აბაშა).

ხაბოძვა – სახნავი ხაბოს თავზე (აბაშა).

ხანჭკოლა – მინდორი ჭყონჯინჯში. ითესებოდა ხანჭკოლა, მრავალწლიანი პარკოსანი მცენარე, მოჰყავთ მწვანე სასუქად ან იყენებენ დეკორაციისათვის. ზოგი სახესხვაობა იჭმევა კიდევ. ანტ. კიზირიას ეტიმოლოგია: ხაჯკოლა „ცერცვი მწარე“ → ხანჭკოლა. შდრ. ა. მაყაშვილი: „ხაჯკოლა – თეთრი ხანჭკოლა“ (სეფიეთი).

ხაჯომიაშ დიხა – სახნავი. იგივე ომბოლდიხა (სეფიეთი).

ხარდანი – სახნავი რუშის მარცხ. მხარეს, ცომაიების უბანში. აღ. ქობალია: „ხარდანი – ხარდანი, ჭიგო; ვაზის ჯიში; ბაღდახინი“; ს.-საბა: „ხარდანი – სარიანი ვენახი“; აღ. დლონტი: „ხარდანად (გურ.) – ვაზის ჯიშია ერთოვარი“; აკ. ჭანტურია: „ხარდანი – ადესა, დიდმოსავლიანი. დამავრება სჭირდება ხარდანიო, ანუ ფაშატურით“ (ჭანტურია, 1996, გვ. 226). ფანჩატური – ტალავარი, თალავარი (ქეგელ, VII). (მარანი).

ხარხინქვა – სახნავი, ქვიანი ადგილი ცხენისწყლის რიყეში, სადაც ყურძნის საჭყლეტი ქვა ნახეს. ხარხენი, ხარხინი ქართულსა და მის დიალექტებში აღნიშნავს ყურძნის საჭყლეტ-საწურავ მანქანას. ვ. ბერიძე: „ხარხინი – ყურძნის საწური მანქანა“. აღ. ქობალია: „ხარხენი, ხარხი-

ნი – ყურძნის საწურავი მოწყობილობა; წნეხი, ხარხინი“ (მაიდან).

ხატიშ დიხა – სახნავი ნოდელასა და მანცხვარს შუა. ხატიშ დიხა საეკლესიო მიწაა. „აქ წყალში ბანდნენ ხატს და შესთხოვდნენ წვიმას“ (ტყვირი).

ხატკარი – საძოვარი სოფლის დასახლებასა და ნაჭილას შუა (გაღმა კოდორი).

ხატფონი – ფონი და მორევი ნოდელაზე, ხატიშ დიხასთან (ტყვირი, ნაესაკაო).

ხაში – 1. უბანი ნოდელის მარჯვ. მხარეს, ნოდოდან სოფ. მეორე ონტოფომდე. იხ. ნოდო-ხაში (აბაშა); 2. სახნავი, ვაკე მდ. აბაშასა და საახობაძოს შუა. უწინ დასახლება ყოფილა. ხალხ. ეტიმოლოგია: „აქ თურქები ხშირად ხარშავდნენ ხაშს. ამიტომ დაარქვეს ადგილობრივებმა“. შდრ. აღ. ქობალია: „**ხაში** – მაღარია; ჭაობის ანაორთქლი“ (გამოდმა ზანათი).

ხაშიშ ბოგა – ბოგირი ხაშიში, მეღიაშ შანზე (გამოდმა ზანათი).

ხახულიაშ ენაჭვარა – სახნავი. იგივე ნო(ც)ონი (პირველი ეწერი).

ხახუშ მუხური – სახნავი ჯეგორესთან (კეთილარი).

ხაჯალიების ტყე – ტყე. იგივე აკაციის ტყე (სამიქაო).

ხიდეშთუდო „ხიდისქვემოთ“ – მორევი ნოდელაზე. რკინიგზის ხიდის ქვეშ (აბაშა).

ხირჩინა – ნაკადული, კოვზას მარჯვ. შენაკადი ზედა მაიდანში. რესპ.: „მიხირჩინობს სუფთა წყალი თეთრ ქვებში და ამიტომაა ხირჩინა“. ო. ქაჯაია: „**ხირჩინი** – სითხის სწრაფად დინების ხმა; ჩქრიალი, ჩხრიალი; წყლის დასხმა... იგივე ქირჩინი“; აღ. ქობალია: „**ხირჩინა** – ჩხრიალა“ (მაიდან).

ხირჩინისპირი – სახნავი ხირჩინის ნაპირას (მაიდან).

ხომანა – სახნავი. იგივე ხომონა (ტყვირი).

ხომლა ტყა – ტყე გურიის საზღვარზე. **ხომლა** – გამხმარი; მშრალი (კეთილარი).

ხომონა – სახნავი სადანელიოში (გაღმა ზანათი).

ხომონა//ხომანა „ხურმნარი“ – სახნავი რიონის მარჯვ. მხარეს (ტყვირი).

ხონელიძეების უბანი – უბანი შავღელის მარჯვ. მხარეს, გაუწვინარის საზღვართან. გვარსახელი ხონელიძე (ხონი → ხონელი → ხონელიძე) იმერეთიდანაა შემოდღეული სამეგრელოში, ძირითადად აბაშის რ-ნში. სოფ. პირველ მაისში ცხოვრობს 37 კომლი ხონელიძე (პირველი მაისი).

ხორჩაყანა – სახნავი გრძელფონის მარჯვ. ნაპირზე. რესპ.: „ქვიანი იყო. ამიტომაა ხორჩა“. მდრ. აღ. ქობალია: „**ხორშა** – ნესტიანი, წამხდარი...“ (სამიქაო).

ხუბუანოდველი „ხუბუას ნაყანევი“ – სახნავი ცუდდარსა და რიონს შუა. უწინ აქ ხუბუას (გვარსახელია) ყანა ჰქონია (სუჯუნა).

ხურცულაშ სუღირი – მინდორი, სუღირის ნაწილი (წყემი).

ხუტუშ დაბალი – სახნავი ნოდელის მარჯვ. მხარეს, ცაშორტყაფუსთან (აბაშა).

ხუტუშ ტყა – ტყე ძვ. აბაშის საზღვარზე. ხუტუ პირსახელია (სეფიეთი).

ხუფერული – სახნავი საკილასონიოში, წისქვილიშ ტეხურიშ მარცხ. მხარეს. ხუფერია (გვარსახელი) → ხუფერული „წარსულში ხუფერიას კუთვნილი“ (წყემი).

ხუხური – სახნავი, მცირე შემადლება სოფლის უწინდელი ცენტრის აღმ-ით. სავარაუდოა: ხუხუა (გვარსახელი) → ხუხური „ხუხუასეული“. დღეს აქ ტყეა და არავინ ცხოვრობს (ციღორი).

– ჯ –

ჯაბელიაშ ბოგირი – ბოგირი ძვ. აბაშის საზღვართან, ჭეჭყობზე. ბოგირი გაუმართავს ჯაბელიას, რაც შეიძლება სახელიც იყოს და გვარსახელიც (სეფიეთი).

ჯაიანიშ ნოხორი – საძოვარი ღამაკულისა და აბაშის შესართავთან (მანცხვარკარი).

ჯაიანკარი – მორევი მდ. აბაშაზე (საბოკუჩავო).

ჯამუღე(თი)შ ნოხორი – სახნავი საპერტენაში (აბაშა).

ჯანაგაშილის წყარო – წყარო ჭუბურვანში (სამიქაო).

ჯანგველაძეების უბანი/ჯანგულაძეების ქუჩა – ჯანგველაძეების უბანი დიდი და პატარა კოვზას შესართავთან. რესპ.: „ჯანგველაძეების ერთი კილია ქოთანი (პატარა ტანისანი ყოფილან), ხოლო მეორე კილი – კოიები (რკოს ჭამდნენ). არის მესამე შტოც „ბაჭიები“ (აქესენტი ბაჭი, ილუშა ბაჭი და სხვ.)“. ჯანგველაშილები აბაშისა და სამტრედიის რ-ნებში ცხოვრობენ (სულ 772 სული). გვარის ძირითადი სამკვიდროა მაიდან (ცხოვრობს 79 კომლი). ჯანგვა, ჯანგო, ჯანგუა სვანეთსა და სამეგრელოში გავრცელებული პირსახელებია (ქსს, 1986). (მაიდან).

ჯანგულაძეების ქუჩა – უბანი. იგივე ჯანგველაძეების უბანი (მაიდან).

ჯანელიძეების უბანი – უბანი სოფ. მარნის საზღვართან. ჯანელიძე ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული გვარია საართველოში (5020 სული, 78-ე ადგილი). სამეგრელოში გადმოსულან იმერეთიდან. მარნის თემში მკვიდრობს ამ გვარის მატარებელი 75 კომლი. ჯანა (პირსახელი) → ჯანელი (მოფერებითი, საალერსო ვარიანტი) → ჯანელიძე (მარანი, მარანჭალა).

ჯანელიძის ნაქონი – ტყე შავღელესა და კოვზას შუა (გულუხეთი).

ჯაპანა „თუთნარი“ – 1. სახნავი შავღელის მარცხ. მხარეს, ბოგირებიდან ჭალამდე (ქვიშანჭალა); 2. სახნავი მდ. აბაშის მარცხ. მხარეს, ძიგურის საზღვართან (საბოკუჩავო); 3. სახნავი მდ. აბაშის მარჯვ. მხარეს. საზიარო სოფ. წყემთან და მანცხვარკართან. აქ სრულებით უადგილოა ს.საზას განმარტება, რასაც მოიშველიებს დ. ყანდაშილი ჯაპანას განმარტებისას: „ჯაპანა – ჯაპა-ჯუპი – მრავალჯერ დიდი ტკეცების ხმა“ (ყანდაშილი, 2000, გვ. 70). (ძეული აბაშა).

ჯაპონა „თუთნარი“ – 1. სახნავი სანოდოში (გაღმა ზანათი); 2. საძოვარი. მცირე შემადლება ღანჩარასთან. ჯვეშ ტყირადაც მოხსენიებენ (ვილორი).

ჯაპჯინჯი „თუთისძირი“ – მინდორი ნოღელის მარცხ. მხარეს (აბაშა).

ჯარნალიები – სახნავი დიდ ნარნესთან, ნოჯიხენის გვერდით. რესპ.: „ასობით ნალია იდგა, ამიტომაა ჯარნალიები“ (გუდეიკარი).

ჯარუკიაშ ტყა – ტყე ჭითა ღელის მარცხ. მხარეს. ჯარუკია კაცის სახელია (სეფიეთი).

ჯაფარუ(ლი) – სახნავი ნოღელის მარჯვ. ნაპირზე, შუაქალაქსა და საქვილითაის შუა (ნაესაკაო, გამოღმა კოდორი).

ჯადელური//შონიაშ ოღე – სახნავი ნოღელის მარჯვ. მხარეს. ოღე „მეზობელი, გვერდით მდებარე, მოსაზღვრე“ (ტყვირი).

ჯახუშ ნაისირუ „ჯახუს ნაისღევი“ – საძოვარი კადარში (სეფიეთი).

ჯებირეფი „ჯებირები“ – საბანაო ნოღელაზე (აბაშა).

ჯეგე ხანგარამი – ნაეკლესიარი. აღ. ცაგარელმა თავის „მეგრულ ტექსტებში“ ერთ-ერთი ღექსის ზოგი სიტყვის განმარტებისას აღნიშნა, რომ „ჯგეგე, ჯგეგე, ჯგეგე ნიშნავს „ , „ „ („წმინდა, ხატი, ეკლესია“), მაგალითობად დაასახელა: ჯეგე გიორგი „წმინდა გიორგი“, ჯეგე მარიამი „წმინდა მარიამი“... ამის შემდეგ აღნიშნულია: „ , „ „ (ნაესაკოვო)

„ჯეგე-ხანგარამი“ (ცაგარელი, 1880, გვ. 72). ამ ცნობას ეყრდნობა ი. ყიფშიძეც: „ჯეგე-ხანგარამი так называется церковь в селе Наесакову Сенакского уезда“ (ყიფშიძე, 1994, გვ. 412); შდრ. ო. ქაჯაია: „ჯეგე-ხანგარამი – ასე ეწოდება ეკლესიას სოფელ ნაესაკოვოში, სენაკის რაიონი“ (ქაჯაია, III, გვ. 605). აღ. ქობაღიას საღექსიკონო განმარტება „ჯეგე ხანგარამი – წმ. გიორგი ღახვროსანი (შუბოსანი)“, რა თქმა უნდა, ეყრდნობა აკ. შანიძის საგანგებოდ ჯეგეს სემანტიკისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სტატიას, როგორცაა „სვანური კულტის ტერმინი ჯგერნგ“. აკ. შანიძეს არასარწმუნოდ მიაჩნია ნ. მარის მტკიცება, რომ ნაესაკოვოს ეკლესიის სახელწოდება „ჯეგე ხანგარამი“ ნიშნავს „წმინდა გიორგის“ (შდრ.: სვან. „ხანგარ, ხანგარ ხმალი, მახვილი“ (ვ. თოფურია, მ. ქაღდანი); „ხანგარ – სატეფარი“, ხანგიარ – ხანჯარ-ხან-

ჯალი“ (ა. ლიპარტელიანი) და, თავის მხრივ, თვლის, რომ ნაესაკოვოს ეკლესიის სახელწოდება „ჯეგე ხანგარამი“ იმასვე აღნიშნავს, რასაც გიორგი ლახვროსანი, მახვილო-სანი, შუბოსანი (შანიძე, „მაცნე“, 2, 1973, გვ. 168-118). ეთ-ნოგრაფი ნ. აბაკელია წმ. გიორგი მოისარზე ვრცლად მსჯელობის შემდეგ განაგრძობს: „კომპოზიტი ჯეგე-ხანგარამი გაიგება როგორც წმინდა ხანგარამი... მაგრამ ჯეგე-ხანგარამი წმ. ხანგარს კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ ჯეგე ხანგროსანს... სვანურში ხანგარ ნიშნავს დანას, ხანჯალს, ხმალს. შესაბამისად გამოითქვა მოსაზრება, რომ ხანგარის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ლახვარი, რომელიც წმ. გიორგის იარაღია და რომლითაც ის გველეშაპს ჰკლავს. ამ მოსაზრების თანახმად, ჯეგე-ხანგარამი შეიძლება ითარგმნოს როგორც გიორგი ლახვროსანი ან გიორგი შუბოსანი (აბაკელია, 1999, გვ. 300-301).

შენიშვნა: ნაესაკაოვოს თემის საკრებულოს სოფლებში – საკუთრივ ნაესაკაოსა და გამოდმა კოდორში ტოპონიმური მასალის ჩაწერაზე ვიმუშავე 1985 წლის 13-14 ოქტომბერს. ყველა რესპონდენტს ვეკითხებოდი, გაუგონიათ თუ არა ჯეგე-ხანგარამი და მხოლოდ ერთმა, 81 წლის ფილიპე ცომიაძემ, გაიხსენა, რომ ჯეგე ხანგარამი, როგორც ბავშვობაში მოუსმენია ბაბუისაგან, უნდა იყოს რიონის მარჯვ. ნაპირზე არსებული ნაეკლესიარი, სადაც უწინ წმინდა გიორგის ეკლესია მდგარა. ი. კეკელია აღნიშნავს, რომ სოფელ ნაესაკაოს „ცენტრში მდებარე სასაფლაოს დღესაც წმინდა გიორგის ან ჯეგეხანგარამს ეძახიან“ (ნაესაკაო).

ჯეგორე/ჯოგორე – ვაკე-სახნავეები ანჯერში, ფიჩორის მარჯვ. ნაპირზე. ცხოვრობს რამდენიმე კომლი (კეთილარი).

ჯექიაშ დაბალი – სახნავი ნოდოში, ნოდელის მარჯვ. მხარეს. ჯექია მეტსახელი ყოფილა აქაური მოსახლისა (აბაშა).

ჯვარიში – სახნავი, ნატყევარი რუშესა და ნაიცუს შუა (ტყვირი).

ჯვეშ ნარიონუ – ტბორი კოდორესთან (გამოდმა ზა-
ნათი).

ჯვეშ ნაშარუ „ძველი ნაგზაური“ – ნაგზაური. გზა
გადიოდა საკაჭარაოდან რობაში ნოდელის გავლით (აბა-
შა).

ჯვეშ ნაცხენწყარი – ნამდინარევი. იგივე ჯვეშ ნოდე-
ლა (გამოდმა კოდორი).

ჯვეშ ნოდელა//ჯვეშ ნაცხენწყარი – ნამდინარევი, ნო-
დელის ძველი კალაპოტი, რომელშიც ცხენისწყალი გადა-
ვარდა. შდრ. ახალნოდელა (გამოდმა კოდორი, ნაესაკაო).

ჯვეშ სულირი – ტყე-მინდვრები, სულირის ის ნაწილი,
რომელიც გლეხებს უყიდიათ დადიანისაგან (წყემი).

ჯვეშ ტყვირი//ტყვირიშ ნოსორი – ნასოფლარი ნოდე-
ლის მარცხ. მხარეს, სადაც იყო სოფელი ტყვირი 30-იან
წლებამდე. 1921-30 წლებში სოფელმა რიონის წყალდიდო-
ბის გამო რამდენიმე კმ-ით გადაინაცვლა ჩრდ-ით, რკინიგ-
ზისპირას, ნოდელის მარცხ. მხარეს, სოფ. ბულვანისა და
მარნის გვერდით (ტყვირი).

ჯვეშ ფონი//მიხაშ ფონი – ფონი ნოდელაზე (აბაშა).

ჯვეშ წალიკარი – საძოვარი. იგივე წალიკარი (კეთი-
ლარი).

ჯიბლაძეების ნაწისქვილარი – ნაწისქვილარი კოვზა-
ზე (გეზათი).

ჯიბლაძეების კუთხე//ჯიბლაძეების ქუჩა – ჯიბლაძე-
ების უბანი წყვიის ნაპირებზე, პ. გეზათის საზღვართან. აქ
მკვიდრობს ჯიბლაძეების 49 კომლი. წინაპრები გადმოსუ-
ლან ლანჩხუთის რაიონიდან (გეზათი).

ჯიბლაძეების ნაქონვარი – ერქვა ტყეს სოფ. გეზათის
საზღვართან (გულუხეთი).

ჯიბლაძეების ქუჩა – უბანი. იგივე ჯიბლაძეების კუთ-
ხე (გეზათი).

ჯიმასულები – სახნავი. იგივე ჯიმასული (ქვიშანჭა-
ლა).

ჯიმასული//ჯიმასულები – სახნავი ცხენისწყლის
მარჯვ. მხარეს, გაუწყინარის საზღვართან. რესპ.: „ადგი-

ლის სახელი მრავლობით რიცხვში იმიტომ დგას, რომ აქ ბევრს ჰქონია ნაკვეთი“ (ქვიშანჭალა).

ჯიპიჯი – სახნავი ნარნეს მარჯვ. მხარეს, ჩეჩონას გვერდით. ჯიპიჯი ← უიპიჯი ← უირპიჯი „ორპირი“ აღნიშნავს ორი მდინარის შესართავს. აქ ნაური მარჯვნიდან ერთვის ნარნეს (კეთილარი).

ჯიხირი – სახნავი ნორიოს საზღვარზე. ძირითადი ნაწილი ნორიოს ეკუთვნის (წყეში).

ჯიჯური „ჯიჯავასეული“ – დელე-არხი, ცუდლარის შტო (ნორიო).

ჯოგორე – ვაკე-სახნავები. იგივე ჯეგორე (კეთილარი).

ჯოღური – საძოვარი შქასოფელში, აბაშის მარცხ. მხარეს. ჯოღია (გვარსახელია) → ჯოღური „ჯოღიას კუთვნილი“ (ძველი აბაშა).

ჯორგოიაშ ნოხორი – სახნავი საპერტენაში (აბაშა).

ჯოღორიშვილის ნაწისქვილო – ნაწისქვილარი კოვზაზე. ჯოღორიშვილი გვარსახელად არსადაა დამოწმებული. როგორც ჩანს, ჯოღორი მეტსახელია (გეზათი).

ჯოჯუების ტყე – ტყე დიდკოვზას ნაპირას (მაიდანი).

ჯოჯუების ქუჩა – ჯოჯუების უბანი კოვზის მარცხ. მხარეს (მაიდანი).

ჯუკონა – სახნავი საახობადოს დას. შემოგარენში. „ჯუკუ – ჯუჯა, ჯირკვი, კუნძი, გონჯი“ (აღ. ქობალია) → ჯუკონა „ჯირკენარი“ (გამოდმა ზანათი).

ჯუტუნის ნამოსახლი – სახნავი წყალპირში (ქოლობანი).

**სუჯუნის თემის საკრებულოს
ზოონიმი**

- აღია (ცხენი) – წითელია, აღისფერი.
აპრილა (ძროხა) – აპრილში დაიბადა.
არაბია (ცხენი) – შავია.
არენდო (ძაღლი) – არქმევენ, თუ ავია.
არაბულა (ცხენი) – მოქნილი ცხენია.
ბარდღალა (კამეჩი) – რესპ.: „ჭიჭე მარლი რე“.
ბატია (კამეჩი) – ახალდაბადებულ კამეჩს ასე უწოდებენ.
ბაჩანა (ძროხა) – წყნარია და მშვიდი.
ბეგლარი (ძაღლი) – დიდი ტანისაა.
ბულა (კამეჩი) – კუროს სახელია.
გიშერი (ძაღლი) – შავი ფერისაა.
გიში (ძროხა) – გიშერაა.
გულია (ძაღლი) – რესპ.: „ბავშვობაში დაარქვა მეზობელმა და არ ახსოვს, რატომ. მოწიფულობაში თავის ვაჟსაც გულია დაარქვა, პასპორტში ასე უწერია“.
ვასკა (ხარი) – წითელია.
ვასქა (ძროხა) – წითელ უნდა იყოს.
დულა (ძროხა) – ურქოა
დულუ (კამეჩი) – ურქოა.
თეთრო (ძროხა) – თეთრი ფერისაა.
ირემა (ხარი) – რქებმაღალია
კაბე (ძროხა) – რესპ.: „ჭითა დო ჩე გიოხე ტანს“.
კაბელა (ძროხა) – ჭრელი უნდა იყოს: შავთეთრი ან თეთრ-წითელი.
კაბელო (ძროხა) – „თუ ტანზე შავ-თეთრია, ე.ი. ჭრელი“.
კვაზა (ხარი) – ტანმკვრივია.
კვირია (ძროხა) – კვირას დაიბადა.
კიოპა (კამეჩი) – იგივეა, რაც ქართული თეულე.
კიოპა (ძროხა) – შუბლზე ჰქონდა თეთრი ნიშანი.
კუკური (ცხენი) – ცხენის სახელად ხშირია.
ლამაზა (კამეჩი) – ლამაზია.

ლამაზია (ძროხა) – ლამაზია.
ლოგო (კამეჩი) – „ბაზა რდგ, ლაგვა, შვიდი“.
ლანკა (ძროხა) – რესპ.: „იყიდეს მუხურჩაში და ასე ერქვა.“
 კარგი გამოდგა და მის ხბოებსაც ლანკა უწოდა“.
ლომა (კამეჩი) – მოთეთროა და რქა აქვს მოღუნული.
ლომა (ძროხა) – მოთეთრო, ნაცრისფერი.
მარტა (ძროხა) – მარტში დაიბადა.
ნაცრისფერა (ძროხა) – ნაცრისფერია.
ნიშელა (ხარი) – წაბლისფერია, შუბლზე ნიშანი აქვს.
ნიშელა (ძროხა) – სუბლზე თეთრი ნიშანი აქვს.
ნისლა (ძროხა) – რესპ.: „ტუტაშფერი რე, ნერსიშ ფერი“.
ნოთიო (ძროხა) – რესპ.: „შუბლზე აქვს ნოთიო, ანუ ნათე-
 ლი ფერი“.
ობოლა (ძროხა) – დედა ადრე მოუკვდა.
ოფოვა (ხარი) – რესპ.: „დიდრვანი რქები ჰქონდა“.
ოქრო (ძროხა) – რესპ.: „კარგი ძროხაა და ხბოებსაც დაარ-
 ქვეს.
ოქრუა (ცხენი) – ალისფერია
სკვერია (ძროხა) – „ცოცხალი რე“.
ტაბია (ძროხა) – ჭრელია. საერთოდ კი ტაბია გვარ ტაბი
 ძის ადგილობრივი, არაოფიციალური ვარიანტია.
ტარზანი (ძაღლი) – დაერქვა კინოფილმის პერსონაჟის
 მიხედვით.
ტიგრა (ძროხა) – რესპ.: „ტიგორე რე ფერო“
ტუზიკა (ძაღლი) – გამხდარ ძაღლს უწოდებენ
ურაია (ძროხა) – რესპ.: „ ურა რე“ (გაუხედნავია).
უზანა (კამეჩი) – შავი ფერისაა.
ფახუცა (ძაღლი) – ტანმცირეა.
ფუთოა (ძაღლი) – დაარქვეს ბავშვებმა. მოტივაცია
 უცნობია
ქაჯანა (ძროხა) – რესპ.: „ქაჯიჯგუა რე“.
ღვინა (ძროხა) – რესპ.: „მოჭრილი წითელია, ღვინისფე-
 რი“.
ღვინა (ხარი) – ღვინისფერია.
ცურზანია (ძროხა) – შავი ფერისა თუა.
შანგულია (ძროხა) – შავია და გადარეული ფიცხი.

ჩელა (ცხენი) – თეთრია.

ჩერქეზა (ძაღლი) – კარგი და დიდი ძაღლია.

ჩორნა (ძროხა) – ამ სახელით იყიდეს.

ციკურა (ძროხა) – წითელ-წაბლსფერია.

ძუკუ (ხარი) – რესპ.: „ხარს ხშირად არქმევენ ამ სახელს“.

წიქარა (ძროხა) – წითელია.

წიქარა (ხარი) – წითელია.

წითელი (ძროხა) – წითელი ფერისაა.

ჭითაშია (ძროხა) – წითელი ფერისაა

ჭრელა (ძაღლი) – ჭრელია.

ჭრელა (ძროხა) – ჭრელია.

ჭრელი (ძროხა) – ჭრელია.

ჭუბრა (ძროხა) – წაბლისფერია.

ჭუბურია (ძროხა) – წაბლისფერია.

ჭუბურა (ძროხა) – რესპ.: „რას წითელია, ე.ი. ძალიან წითელი“

ხვიხინა (ცხენი) – რესპ.: „ხვიხინებს ხოლმე“.

ჯაკუ (კამეჩი) – ამ სახელით იყიდა.

ჯორე (ძროხა) – რესპ.: „მოშავო. ზურგზე აქვს ჯორა, ე.ი. წაბლისფერი“ (საერთოდ, ჯორა თეთრი ნიშანია შუბლზე).

ჯორო (ძროხა) – ნიკორაა, ე.ი. შუბლზე პატარა თეთრი ნიშანი აქვს.

ჯუკუნა (ხარი) – დიდი, მსუსული და მრგვალი.

ლიტერატურა

1. აბაკელია, 1985 – ნ. აბაკელია, ქრისტიანული წმინდანები დასავლურ ქართულ რწმენა-წარმოდგენებში: მაცნე, 1985.
2. აბაკელია, 1999 – ნ. აბაკელია, არქაული კულტები და რიტუალები სამეგრელოში: სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხელოვნებადღერებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები). ილია ანთელავას საერთო რედაქციით, თბილისი-ზუგდიდი, 1999.
3. აბაშა, 2010 – აბაშა. ენციკლოპედია, თბ., 2010.
4. აბულაძე, 1978 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1978.
5. აიხვალდი, 2005 – ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX ს-ის პირველი მესამედი). გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთი გია გელაშვილმა, თბ., 2005.
6. აფრიდონიძე, 1987 – შ. აფრიდონიძე, ანთროპომიის ზოგიერთი საკითხისათვის (კვლავ ჯაკობია, ჟორდანას ტიპის გვარების შესახებ), ონომასტიკა, I, თბ., 1987.
7. აღწერა, 2003 – საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები (საქართველოს სოფლის მოსახლეობა), ტ. 2, თბ., 2003.
8. ბარანოვი, 1977 – . . . , -
 . . . , 1977.
9. ბარდაველიძე, 1941 – ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბარბარე), თბ., 1941.
10. ბალიშვილი, 2010 – ა. ბალიშვილი, არაბული მაიდან და ფალაკა სამეგრელოს ტოპონიმიაში: ქართველური ონომასტიკა, IV, თბ., 2010.

11. **ბედოშვილი, 1997** – გ. ბედოშვილი, ანთროპონომული დაკვირვებანი, IV: ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1997.
12. **ბედოშვილი, 2002** – გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, თბ., 2002.
13. **ბერაძე, 1964** – თ. ბერაძე, ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან: სიგკ, II თბ., 1964.
14. **ბერაძე, 1970** – თ. ბერაძე, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა: „ძეგლის მეგობარი“, კრებული ოცდამეერთე, თბ., 1970.
15. **ბერაძე, მაისაია, 2004** – თ. ბერაძე, ი. მაისაია, სამეგრელო (მეგზური), თბ., 2004.
16. **ბერაძე, ცქიტიშვილი, 1971** – თ. ბერაძე, გ. ცქიტიშვილი, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971.
17. **ბერიძე, 1912** – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ, 1912.
18. **ბურჯანაძე, 1959** – შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, თბ., 1959.
19. **გაბელაია, 1996** – ი. გაბელაია, აბაშის ხეობის გვარსახელების ეთნოისტორიული საკითხები (სოფელ სეფიეთის მასალების მიხედვით): ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1996.
20. **გაბელაია, 1998** – ი. გაბელაია, სოფელ ძველი აბაშის გვარსახელები (ეთნოისტორიული შესწავლის ცდა): ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი, 1998.
21. **გამბა, 1987** – ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987.

22. **გეგეშიძე, 1987** – გ. გეგეშიძე, პიდრონიმული წარმოსობის ქართული ტოპონიმები. ონომასტკა, I, თბ., 1987.
23. **გიულდ., 1962** – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962.
24. **გრიგოლია, 1993** – გ. გრიგოლია, „ბარბაროსების დიდი ქალაქის“ ლოკალიზაციისათვის: „ძეგლის მეგობარი“, №33, 1973,
25. **გრიგოლია, 1994** – გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994.
26. **დანელია, სარჯველაძე** – კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, აკაკი შანიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1987
27. **დაყოფა, 1930** – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ., 1930.
28. **დაყოფა, 1949** – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1949.
29. **დაყოფა, 1987** – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. მეხუთე გამოცემა, თბ., 1987.
30. **დეკანოზი კონსტანტინე, 2009** – დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა, სუჯუნის წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორია (ისტორიული აღმანახი), თბ., 2009
31. **ელიავა, 1971** – გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი. მეგზური, თბ., 1971.
32. **ელიავა, 1977** – გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, თბ., 1977.
33. **ელიავა, 1997** – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მასალები, თბ., 1997.

34. **ელჩობა, 1888** – ,
- (1639-1640), , 1888.
35. **ვახუშტი, 1973** – ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: ქართლის ცხოვრება, IV. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
36. **თაყაიშვილი, 1914** – ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფილისი, 1914.
37. **თაყაიშვილი, III** – ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი სამეგრელოში: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების კრებული: „ძველი საქართველო“, ტ. 3, თბ., 1913-1914.
38. **თოფურია, 1961** – ვარლამ თოფურია, ლეჩხუმური: ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
39. **თოფურია, ქალდანი, 2000** – ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
40. **თოფურია, 2004** – გ. თოფურია, ტოპონიმ „ონტოვოს“ ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „მახარია“, № 4(43), 2004
41. **თოფჩიშვილი, 1997** – რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.
42. **თოფჩიშვილი, 2011** – რ. თოფჩიშვილი, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბ., 2011.
43. **კალენდარი, 1992** – ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1992.
44. **კაკაბაძე, I** – სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, ტფ., 1921.

45. **კაკაბაძე, II** – სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი II, ტფ., 1921.
46. **კაკაბაძე, III** – სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი III, ტფ., 1921.
47. **კაკაბაძე, IV** – სარგის კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი IV, ტფ., 1921.
48. **კეზევაძე**, – მ. კეზევაძე, ქართული გვარსახელები იმერეთში. XIX საუკუნის 40-ანი წლები (ცნობარი).
49. **კეკელია, ბჟაღავა, 2010** – ი. კეკელია, დ. ბჟაღავა, მარტვილის რაიონის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი ოიკონიმის წარმომავლობისათვის. კრ.: „ქართველური ონომასტიკა“, IV, თბ., 2010.
50. **კეკელია, 2011^ბ** – ივორ კეკელია, აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთაისი, 2011.
51. **კეკელია, სეფიეთის ტოპონიმია** – ივორ კეკელია, სეფიეთის ტოპონიმია, ქუთაისი, 2011.
52. **კეკელია, ლქაპ, III** – ივორ კეკელია, აბაშის რაიონის ზოგიერთი ოიკონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის: ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. III, თბ., 2011.
53. **კვირტია, 2001** – მამანტი კვირტია, კვიმატი, თბ., 2001.
54. **ლამბერტი, 1991** – დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991.
55. **ლიპარტელიანი, 1994** – ასლან ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩილურული კილო), თბ., 1994.
56. **მაისურაძე, 1990** – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1990.

57. **მათურელი, 1943** – ი. მათურელი, იმერეთის მეფის ალექსანდრე V რუკა. იხ: ქუთაისის პედიუსტიტუტის შრომები, IX, 1943.
58. **მაკალათია, 1980** – მ. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები გურიაში. კრებ. „გურია“, თბ., 1980.
59. **მაკალათია, 1992** – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1992.
60. **მასალები, 2011** – ი. კეკელია, ე. კურდღელია, ი. ხარებავა – მასალები ოდიშის სამთავროს ისტორიისათვის: მხარეთმცოდნე, II, ქუთაისი, 2011.
61. **მასალები, 2012** – ი. კეკელია, ე. კურდღელია, ი. ხარებავა – მასალები XVIII-XIX საუკუნეების ოდიშის ისტორიისათვის: მხარეთმცოდნე, III, ქუთაისი, 2012.
62. **მაყაშვილი, 1991** – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი (მცენარეთა სახელწოდებანი), მესამე გამოცემა, თბ., 1991.
63. **მადრაძე, 2004** – ვ. მადრაძე, ქართველური ჰიდრონიმები, თბ., 2004.
64. **მეუნარგია, 1939** – ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939.
65. **მღვდელი კონსტანტინე, 2004** – მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა, ესე სოფელი კეთილ არს (ისტორიული აღმანახი), თბ., 2004.
66. **მხარეთმცოდნე, 2011** – მხარეთმცოდნე, II (ონომასტიკური და საისტორიო მასალები). რედაქტორი ი. კეკელია, ქუთაისი, 2011.
67. **მხარეთმცოდნე, 2012** – მხარეთმცოდნე, III (ონომასტიკური და საისტორიო მასალები). რედაქტორი ი. კეკელია, ქუთაისი, 2012.
68. **ნადარაია, 1979** – მ. ნადარაია, წვიმის პატარა ღვთაებები – ჭინკები და მესეფენი. კრ. სამეგრელო, 1979.

69. **ნადარაია, 1980** – მ. ნადარაია, დემონოლოგიის საკითხისათვის საქართველოში. კრ. „გურია“, თბ., 1980.
70. **პაღ., I, II, III** – პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), I, თბ., 1991; II – თბ., 1993; III – თბ., 2004.
71. **პაპუაშვილი, 1987** – თ. პაპუაშვილი, არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები კალხეთის დაბლობზე (1983-1986 წწ.). „ძეგლის მეგობარი“, 4, 1984.
72. **საბუღუა, 1972** – გ. საბუღუა, მივიწყებული სოფელი. გაზ. „განახლებული აბაშა“, № 103, 26. 08. 1972.
73. **სარჯველაძე, 2001** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.
74. **სიგკ, IV, 1971** – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971.
75. **ს-საბა, 1991; 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991; II, თბ., 1993.
76. **საქართველოს სოფლების მოსახლეობა, 2003** – საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003.
77. **სახოკია, 1956** – თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.
78. **სოსელია, 1973** – ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), თბ., 1973.
79. **ფაილოძე, 2005** – ა. ფაილოძე, დასავლურ-ქართული ტოპონიმია და გვარსახელები (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), ნაწილი პირველი, ქუთაისი, 2005.

80. **ფაილოძე, 2011** – ა. ფაილოძე, დასავლურ-ქართული ტოპონიმია და გვარსახელები (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), ნაწილი მეორე, ქუთაისი, 2011.
81. **ქაჯაია, I**, – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I ტომი, თბ., 2001; იგივე, II ტომი, თბ., 2002; იგივე, III ტომი, თბ., 2002, იგივე, IV (დამატებული), თბ., 2009.
82. **ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964.
83. **ქეგლ, 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.
84. **ქელ, 2009** – ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი პროფ. ს. ჭანტურიშვილი, თბ., 2009.
85. **ქობალია, 2010** – ალ. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.
86. **ქსე** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-XI, თბ., 1975-1987.
87. **ქსძ, III** – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.
88. **ღლონტი, 1984** – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი. მესამე გამოცემა, თბ., 1984.
89. **ღლონტი, ქსს, 1986** – ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986.
90. **ყანდაშივილი, 2000** – დავით ყანდაშივილი, საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა განმარტება (საშივილიშვილო წიგნი), თბ., 2000.
91. **ყიფშიძე, 1994** – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი. იხ. ()

- . კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კორნელი დანელიამ, თსუ გამომცემლობა, თბ., 1994.
92. **შანიძე, 1973** – აკ. შანიძე, სვანური კულტის ტერმინი ჯგერნგ: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, 1973.
 93. **შედგეგები... 2003** – საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლის მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003.
 94. **ჩანტლაძე, 2012** – იზა ჩანტლაძე, ქართველური ლექსიკის ისტორიიდან, I, თბ., 2012.
 95. **ჩუბინაშვილი, 1961** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. დღონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.
 96. **ჩუბინაშვილი, 1984** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბ., 1984.
 97. **ცაგარელი, 1880** – . . . , : . I, . . . , - . . . , 1880.
 98. **ცხადაია, 1985** – პ. ცხადაია, მთანი სამეგრელოს ტოპონიმი (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985.
 99. **ცხადაია, 1999¹** – პ. ცხადაია, -ობა სუფიქსის რეინტერპრეტაცია არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის ნიშნად ქართულისა და ზანურის დიალექტებში. ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესია. 15-17 აპრილი, თბილისი-სიღნაღი, 1999.
 100. **ცხადაია, 1999²** – პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I, თბ., 1999.
 101. **ცხადაია, 2000** – პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.

102. **ცხადია, 2002** – პ. ცხადია, საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002.
103. **ცხადია, ჯოჯუა, 2003** – პ. ცხადია, ვ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003.
104. **ცხადია, 2004** – პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I (წალენჯიხის რ-ნი), თბ., 2004.
105. **ცხადია, 2008¹** – პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი IV (ჩხოროწყუს რ-ნი), თბ., 2008.
106. **ცხადია, 2008²** – პ. ცხადია, ჰიდრონიმი ზანაკოლხეთის ტოპონიმიაში: იკე, XXXVI, 2008.
107. **ცხადია, 2010¹** – პ. ცხადია, ოჩე – აპელატივი და ტოპონიმი (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ანალიზი): ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. 2, თბ., 2010.
108. **ცხადია, 2010²** – პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V. მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), თბ., 2010.
109. **ცხადია, 2011** – პ. ცხადია, მირსა (მირსობა), მ(ე)ისარონი, ჯეგე-მისარონი სამეგრელოს ტოპონიმიაში: ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. 3, თბ., 2011.
110. **ცხადია, 2012** – პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი VI (მარტვილის რ-ნი, II, ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012.
111. **ჭანტურია, 1989** – აკაკი ჭანტურია, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში: თსუ შრომები, ტ. 283, თბ., 1989.

112. **ჭანტურია, 1996** – აკაკი ჭანტურია, მასალები მეგრულ-ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონისათვის: თსუ შრომები, ტ. 326, თბ., 1996.
113. **ჭანტურია, 1999** – სოსო ჭანტურია, ჭანტურიას გვარის ეტიმოლოგიის შესახებ, აია, 7, თბ., 1999.
114. **ჭითანავა, 2010** – დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010.
115. **ჭილაშვილი, 2001** – ლ. ჭილაშვილი, ტოპონიმიკური შენიშვნები, თბ., 2001.
116. **ჭუმბურიძე, 1987** – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987.
117. **ხუხუა, 1972** – ო. ხუხუა, აბაშა, ბაში, ბარდა, ლე-ბარდე, ცხენისწყლის ეტიმოლოგიისათვის: გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის XVI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1972.
118. **ჯანაშვილი, 1900** – . . . , . . . : . . . , . . . 27, I . . . 1900.
119. **ჯღარკავა, 1965** – შ. ჯღარკავა, სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), თსუ შრომები, ტ. 113, თბ., 1965.
120. **...1893** – . . . , . . . 1886 . . . , 1893.
121. **ჰანი, 1909** – . . . , . . . , . . . , 1909. . . 40.
122. **ჰანი, 1916** – . . . , . . . (. . . , . . . 21- . . . 1913 .): . . . XIII- . . . 16-24 . . . 1913 . . . VI, . . . , . . . , 1916

შემოკლებანი

- ადგ. – ადგილობრივი
ადმ.-ტერიტ. – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული
ავტ. განჩერება – ავტობუსის განჩერება
არაოფიც. – არაოფიციალური
ადმ. – ადმოსავლეთი
გაზ. – გაზეთი
დას. – დასავლეთი
დასახ. – დასახლებული
ე.ი. – ესე იგი
ეტიმ. – ეტიმოლოგია
ე. წ. – ეგრეთწოდებული
ვარ. – ვარიანტი
ზან. – ზანური
თბ. – თბილისი
თ/ს – თემის საკრებულო
იხ. – იხილეთ
მარცხ. – მარცხენა
მარჯვ. – მარჯვენა
მეგრ. – მეგრული
ჟურნ. – ჟურნალი
რესპ. – რესპოდენტი
რ-ნი – რაიონი
საავტ. – საავტომობილო
საკრ. – საკრებულო
სამკ. – სამკურნალო
სვან. – სვანური
სოფ. – სოფელი
ტფ. – ტფილისი
ქართ. – ქართული
ქ. – ქალაქი
შდრ. – შეადარეთ
წ. – წელი
წწ. – წლები
ხალხ. – ხალხური

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
პირველი ნაწილი. აბაშის რაიონი (საკრებულოები, სოფ- ლები, რესპოდენტები)	11
1. ქ. აბაშა	13
2. გეზათის თემის საკრებულო	17
3. ზანათის თემის საკრებულო	21
4. კეთილარის თემის საკრებულო	25
5. მარნის თემის საკრებულო	33
6. ნაესაკაოს თემის საკრებულო	41
7. ნორიოს თემის საკრებულო	46
8. ონტოფოს თემის საკრებულო	53
9. პირველი მაისის თემის საკრებულო	63
10. სამიქაოს თემის საკრებულო	69
11. სეფიეთის სოფლის საკრებულო	75
12. სუჯუნის თემის საკრებულო	78
13. ტყვირის თემის საკრებულო	89
14. ქოლობნის თემის საკრებულო	94
15. ძველი აბაშის სოფლის საკრებულო	102
16. წყემის თემის საკრებულო	106
მეორე ნაწილი (ტოპონიმთა სია)	111
დანართი (სუჯუნის თემის საკრებულოს ზოონიმია).....	287
ლიტერატურა	290
შემოკლებანი	301

პაატა ცხაღია

სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII

აბაშის რაიონი

, VIII

ტექსტის აკრეფა: დოდო შონია



დაიბეჭდა გამომცემლობა `universalSi`

Tbilisi, 0179, i. WavWavaZis gamz. 19,

☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

